

644
1958/3

В. Г. Габбасов



Оммунар

7

ქალკარი



ლიბერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

საპარტემლოს ალკა ც. კ-სა და
მწიგნობართა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

ბ. ჩხიძე — მწვანე ხოდაბუნი (რომანი. გაგრძელება) 3

ლ. სულაბერიძე — ჩვილის სიზმარი (ლექსი) 22

ნ. გუჩუაძე — უცხოეთის გზებზე (ლექსები) 24

ო. ჩიქაძე — ფოლადის ფრთებზე 29

პ. ძეგლაძე — ჩემი დილა (ლექსი) 47

ზ. ლორთქიფანიძე — ლექსები 48

შ. ურდიაძე — ვალი, გაცნობა (მოთხრობები) 51

ს. კორინთელი — სიცარიელე, ღამე წაღვერთან (მოთხრობები) 60

ბ. იმედაძე — ლექსები 73

ჯ. ინჯია — ლექსები 75

ჯ. ნიშაბაძე — ლექსები 77

ჩინური კლასიკური პოეზია (VII-X საუკ. პოეტები თარგმნა თ. ჩხენკელმა) 79

შ. შამსადინი — პენრი მეოთხე (ისტორიული ქრონიკა. ინგლისურიდან თარგმნა ვ. ქელიძემ) 82

ფ. ქაჩელი — უცნობი მამა (მოთხრობა) 107

ბ. ვინოკურიძე — უმდიდრესი საგანძური 113

ბ. ემინი — ამაღლვებელი საკითხები 114

მ. ლუკონიძე — ხალხის საყვარელი პოეზია 117

ა. ბარბო — ქართველ პოეტთა დიდი წვლილი 119

ჩვენი აღამიანები

ბ. თორაძე — ჯარისკაცის ბარათი 121

თბილისის 1500 წელი

ბ. მინდაძე — სასმელი და ხარწყავი წყალი ძველ თბილისში 124

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ბ. ხუბუაძე — ოსტატის საიდუმლო 129

ვ. ჯიბუაძე — გიორგი ლეონიძის ლექსები 136


7752

7

1958

ივლისი

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“





ალ. კოკლავაშვილი — ვაჟა-ფშაველა ჭიათურაში 143

ნ. ორლოვსკაია — გოლდონის მაჩაბლისეული თარგმანი 146

ზ. ჯამასკიშვილი, ბ. გულბანი — გამოჩენილი პროფესიონალი რევოლუციონერი . . . 150

ბ. მახარაძე — ჭადრაკი კ. მარქსისა და ვ. ლენინის ცხოვრებაში 153

ქოველი მხრიდან

ქრონიკა 157



ბ ე დ ა ქ ტ ო რ ი ვ ა ხ ტ ა ნ გ ჭ ე ლ ი ძ ე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

თ. ბადურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი, ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02

ნელმოწერილია დასაბეჭდად 23/VII-58 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. შეკვეთა № 372. ში 02425 ქალაქის ზომა 70 X 108. ტირაჟი 8.000.

მაქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ, 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ბოჩის ჩხიძე

უკან ნოღაზენი

თავი მათე

სტუმრებით გარშემორტყმული სესე თალალაშვილი შუადღის გადასულზე შევიდა სოფლის ორღობეში. დღისსულად მიუახლოვდა თავის ეზო-გარემოს. ოდნავ დაწინაურებული სესე ჭიშკართან წამით შედგა, ამოიხრა, გული თან ამოაყოლა. არ გაახარა მამისეული ეზო-გარემოს სანახაობამ. იქაურობა პირქუშად გამოიყურებოდა. სახლში შესასვლელ კარს ენახიანი ბოქლომი ედო. ბუხრის მილიდან, როგორც სხვა მისი მეზობლების სახლებიდან, კვამლი არ ამოდიოდა. ეზოშიც იგრძნობოდა უპატრონობა. საახალწლოდ დასაკლავ სასუქ ღორს დინგით საღორის კარი გამოენგრია და ეზო მთლიანად აეჩიჩქნა. მერე ერთ ადგილას ძეძვის ღობე გადაეგლიჯა, გაქცეულიყო ტახი. არავინ იცოდა, სად დადიოდა. იქით კი, დილით, პირზე წყლის შესხმის დროს გადავიწყებული, ფოთოლ-გაცვენით ქლიაზე ჩამოკიდებული ძველი ჩოხა, ხანგრძლივად წეწვით ძლიერ ქარს დაეგლიჯა. ახლა ჩხმეტებში გაბმული მისი კალთები და სახელოები, თითქოს უქალო ოჯახის დროშააო, ფალას-ფალას ფრტიწინებდნენ. ასე გულზე ძმარ-გადასხმულმა ხელის კანკალით გამოაგდო ურდული, ჭიშკარი ოდნავ შეაღო, რომ თითო-თითოდ შეეშვა სტუმრები და თან უკან მოიხედა. სამი ვეებერთელა ვაჟკაცი მზად იყო მასთან ერთად ეზოში შესასვლელად. უკან მოხედვისას უცნაურმა, იმ დღემდე განუცდელმა გრძნობამ გაჰკრა სესეს. არა, რა ეშმაკად დაპატიყა, რად დაეკიდა კალთაზე სტუმრებს!

გულის სიღრმეში არ უხაროდა მათი შინ მოყვანა.

ამ გრძნობამ შეაშინა და ჩააფიქრა სესე. ის ეკითხებოდა თავს: რად დაებადა უკაცურობის და პურადძვირობის განწყობილება მთელ თავის სიცოცხლეში სტუმართმოყვარე, მომასლაათე ადამიანს?

პასუხმა არ დააყოვნა: კითხვის დაბადების უმაღლე თვითონ გაჩნდა, გონებაში დეხატა.

რედაქტორი ვანო იორაშვილი არ იყო ისეთი პიროვნება, რომ ვინმე მიეზიდოს, უმისობას არ მოისაკლისებდა ადამიანი — თუნდაც ისეთი, როგორც სესე იყო. ეს შეხედულება, რაიონის ამ ერთი პასუხისმგებელი მუშაკისადმი, მასთან პირველად დანახვა-მოლაპარაკების უმალ ჩაესახა მასპინძელს. ჩაესახა და მთის წვერიდან დაგორებულ ნაბულ თოვლის გუნდასავით გაიზარდა, საღამომდე ვეებერთელა ზევაად იქცა.

ქოთანეთელ მეტყვევის ბიჭს აკი ადრევე იცნობდა. თვალის დასანახავად ეზარებოდა ის. იმიტომ, რომ ეს დასრულებული ვაჟკაცი არსად მუშაობდა, არსად მსახურობდა. მამის ჯამაგირით და ოჯახის სხვა წევრების ნაოფლარით დიდრაჯობდა. ეს მიზეზები საკმაო იყო, რომ სესეს კაცების სიიდან ამოერიცხა ხოსია,

* გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 4, № 5, № 6.



ზედაც არ შეეხედა მისთვის. თუნდაც გადასაყრელად ჰქონოდა პური, დამბული ნატეხიც არ წაეძლია მისთვის. მაგრამ დახეთ, ეშმაკმა წაიღოს ხოსიას თავი და ტანი, თავლოს ძმისწული აღმოჩნდა, მოდი და ნუ მოიპატიეებ.

ფოტორეპორტიორი სესეს ზიზღს გვრიდა. მუშაობას შეუჩვეველი, დაფუებული ხორციით, თითქოს დაგორავდა. მთელი დღე ერთად იყვნენ, მაგრამ მისი პიროვნებისა ვერა გაიგო რა სესემ. მუნჯივით იყო პირმოკუმული. ლაპარაკში არ ჩარეულა, ხმა არ გაუღია. ხანდახან ფოტოაპარატს დააწკაპუნებდა. მაშინ სახე და თვალები გონებანაკლულივით უაზროდ გაუმხიარულდებოდა. სესეს არც მისი ხელოვნების სწამდა რამე. აპარატის ჩხაუნი რა ვაჟკაცის საქმეა, ქალს უფრო შეშვენისო. ვაჟკაცის ხელობა გუთანი, წერაქვი, ვენახის მაკრატელი, ორთქლმავალი, ქლიბი და ჯარისკაცობა არისო. ასეთი წარმოდგენისა იყო მამაკაცზე და აბა რას უზამდით, ძნელად შეიცვლიდა აზრს.

კიდევ უფრო დიდი მიზეზიც ჰქონდა, რომ დანანებოდა მათი შინ მიპატიეება. სწორედ ეს მიზეზი აწყველინებდა მათი ხაზრეთში გამოჩენის წამსა და საათს. ეს მიზეზი ის იყო, რომ ერთი კვირაა სესე ველარაფერს ეწია. გლედირიები გადაუბელავი რჩებოდნენ. შეუტია, მაგრამ მოთავება ვერ შეძლო. ლეონილამ და თავლომ თავი გაანებებინეს დღეს — ფერმაში მუშაობასაც მოსცდა. მაინც საიდან ჩამოეჩხირენ ეს ოჯახქორები?! დილიდან საღამომდე მათ გაცილგამოცილებას მოუნდა. ახლა სესეს ღამეც ეკარგებოდა. ამას ვინ ჩივის, მის უნახავი წავა შინ თავლო. ყველაზე უფრო ამის ატანა ეძნელებოდა სესეს. ის დაემართა, რისაც გაჩენის დილიდან ერიდება და სძაგს. რამდენიმე საქმეს ერთად დაეჭიდა. ვერც ერთი ვერ დაიმორჩილა. ყველა ხელმოუთავებელი დარჩა. ყველაზე უფრო კი ის სწვავდა, რომ მინდვრად, სტუმრებთან საუბრის დროს, ენას კბილი ვერ დააჭირა, თავი ვერ შეიკავა. ნებსით თუ უნებლიეთ კოლმეურნეობის გამგეობის და მისი თავმჯდომარის ავანჩავანი გაჰკილა, მათი საქმიანობა უჩვენა უტხოვებს. ამით გასცა თავისი თავი. ყველას დაანახვა, რომ ხელმძღვანელებზე ცუდი, ძვირი გული ედო მკერდში. ამ დღის შემდეგ მარტო თითოთროლა მეზობელმა კი არა, რედაქტორმა და კიდევ სხვებმაც იცოდნენ სესე თალალაშვილის უკმაყოფილება კოლმეურნეობაში თავდაყირა დაყენებული საქმეებისა გამო. უფრო კი ის ტანჯავდა, რომ ზურგს უკან გაამხილა, კარს იქით გაიტანა ხაზრეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის, ბასა სამარლანიშვილისადმი მტრობა, ორგულობა, რაც დიდი ხანია კოლმეურნეთა შორის ჩათესილი ამოსულიყო და მყარალა ბალახს აუტანელი სუნი დაეფრქვია გარშემო. ამაზე ნაკლებად არ სწვავდა კიდევ ერთი ამბავი. მეფრინველეობის ფერმაში მუშაობის დღეებში ბულიანთ თავლო ჩაუჯდა გულსა და გონებაში. ეს გარემოება კიდევაც არცხვენდა. კიდევაც ახარებდა. ახარებდა იმიტომ, რომ იმ დღეებში, თავლოსთან ერთად მუშაობის დროს, დაკარგული ახალგაზრდობის ჯანი და შნო თითქოს სასწაულებრივ აღუდგა და დაუბრუნდა. არცხვენდა იმიტომ, რომ აშკარად ამჩნევდა თავის თავს, სიბერის მოახლოვებას. „აწ ფეხებს სამარისაკენ მიყუყვარ, რალადროს ჩემი სიყვარული და აცუნცრუკება არისო“. ასე იყო თუ ისე, თავლოს სახე ერთი წამითაც კი არ სცილდებოდა. მისი ლანდი უტრიალებდა წინ, საითაც კი გაიხედავდა. მისი ხმა ედგა ყურში და ნელად, საამურად ესალბუნებოდა სმენას. ათიოდე დღე იმუშავეს ერთად. ამ ხნის განმავლობაში ერთმანეთს დაუახლოვდნენ. იმდენი რამ საერთო ჰქირი აღმოაჩნდათ, რომ შეუძლებელი გახდა ამ ქალზე აღარ ეფიქრა, აღარ ეოცნება. კიდევ უფრო მეტიც: შეუძლებლად ეჩვენებოდა თავლოს დაშორებოდა. ვერ წარმოედგინა აწ უერთმანეთოდ როგორღა გაძლებდნენ.

მრავალ სხვა საბუთს, მიზეზს, რომ დღეს ის ხალხი შინ არ უნდა მიეპატი-
 ებინა, კიდევ ერთი მთავარი მიზეზი ყველაზე ბოლოს, ეზოში შესვლისას. თაფლოს
 ცოლად შერთვის გადაწყვეტილების შემდეგ უქალო სახლში სტუმრების მი-
 ყვანა თითქოს ენათობებოდა. წამოცდა, ენამ გაუსწრო, თორემ აბა რა ესტუმ-
 რიანებოდა.

იორაშვილს და მის ამხანაგებს კი არაფერი ენაღვლებოდათ. არხეინად
 გრძობდნენ თავს. ელოდნენ როდის შევიდოდნენ შინ, დასხდებოდნენ ჭერქვეშ,
 პურსა და ღვინოს მოუღებდნენ. ის კი არ იცოდნენ, ვერ წარმოედგინათ, რა
 ცეცხლი, იჭვები სწავდა მათი მასპინძლის გულს და თავი მაღლა, ამაყად ეჭი-
 რათ. ისეთი გამომეტყველება მიეღოთ, თითქოს ხათრს რა ეშველებოდა, ვერავინ
 გატებდა, თორემ სესესთანა მასპინძელი მათთვის დიდი პატივი არ იყო.

მასპინძელმა სტუმრები მცირე ხნით ეზოში შეაჩერა. მალე სახლის თითქ-
 მის მუდამ გამოკეტილი კარ-სარკმელი გააღო. მხოლოდ მაშინ შეიყვანა ყველა
 შინ, როცა ნაგუბი, ცივი, ნესტიანი ჰაერი გამჭვალავი ნიავეთ გაწმინდა და ბუ-
 ხარში ტკაცუნა ცეცხლი აანთო.

— მობრძანდით, დაბრძანდით. არ დამძრახთ მარტოხელა, ხანში შესული
 კაცი!

ორიოდე წუთის შემდეგ კუთხეში მიდგმული მაგიდა ოთახის შუაგულისაკენ
 გააჩინა, საფენი გადაფარა. პირველად ყოვლისა, ზედ კილოზნიდან ამოდებული,
 კარგა ხნის გამომცხვარი და ცივი, გამომშრალი პურები გაამწკრივა და ჩაილა-
 პარაკა:

— ერთი კვირაა კილოზანში ყრია. დაუდგეს უქალობას თვალები. ფევილის
 მომზელი და საფორის ჩამყენებელი არა მყავს, თორემ კარგად ვიცი, თონიდან
 ახლად ამოყრილ შოთს საჭმელად არა სჯობია რა.

— მაგასაც მშვენივრად გეახლებით! — ამოიღა ენა ხოსიამ, რომელიც
 სხვებსავით არ მიდიდურობდა. ამან მასპინძელი წააქეზა, დატრიალდა. ხან ერთ
 კუთხეს მივარდებოდა, ხან მეორეს ეცემოდა. ყვითელი, ცისფერი ხაზებით შე-
 კრებულნი ქაშანურის ჯამებს მაგიდაზე ჩამოალაგა. სათონიდან გამოარბენი-
 ნა ლობიოს შეჭამანდით სავსე, ოხშივარიანი ქოთანი, რომელიც მისთვის ძმის-
 წულის ცოლს მერგალურ ზინოს ჩაედგა, მოეხარშა, ნიგვით, წიწკით და ქინძ-
 ნიორით შეენელებინა.

ხოსიამ ქოთნის მაგიდაზე შემოდგმისთანავე ციცხვს დაავლო ხელი. შეჭა-
 მანდს ამოურია, დაასხა ქაშანურის ჯამებზე.

მოშივებული სტუმრები შეუპატიებლად შეუდგნენ ჭამას. სანამ ორიოდე
 ლუქმას ამოაწებდნენ, სესემ კომბოსტოსი და პილპილის მწნილი გააჩინა მაგი-
 დაზე. მწვანილიც ბლომად დაჰყარა ჯამებს შორის. სულ ბოლოს, როცა საჭმე-
 ლი სუფრაზე გამოიტანა, ტახტის გადაღმა ჩადგმული კოკა ამოიღო. ახლად გა-
 მომწვარი, წითელი, შროშული ჩაფი ხაზრეთული ძველშავი ღვინოთ იყო
 სავსე. მალე თვითონაც მიუჯდა სუფრას. მძიმე ჭურჭელი მუხლზე შემოიღდა
 ძლივსძლივობით. ჩაფში თვრამეტი ჩარქვი ჩადიოდა. სიმინდის ფორჩხების საცო-
 ბი გვერდზე მისწია, ღვინოს გამოსავალი გაუჩინა და წითელი ღვინო ერთადერთ
 ჩაის ჭიქაში დაასხა. გამასპინძლების ქართული წესის მიხედვით შევსილი პირ-
 ველი ჭიქა მასპინძელს ეკუთვნოდა შესასმელად. სესემ ეს ჩვეულება არ დაარ-
 ღვია, პირველად თვითონ ასწია სასმისი.

— დავსილი, ამოგდებული, ჩვენი მტერი და ორგული იყოს, ის ვისაც ჩვენ-
 თვის სიცოცხლე ენანება, — თქვა და სავსე სასმისი ნელნელა გამოცალა. კვლავ

ავსო და მარჯვნიდან მარცხნივ სურნელოვანი, ნაპერწკლების მტრჭკვევლად ცეცხლის შეხებებიანი ღვინო რამდენჯერმე ჩამოარიგა.

თანდათან ღვივებოდა მხიარულებს. რვა ხელი, ოთხი პირი გამაღებით მოქმედებდა.

სტუმრები მაღიანად შეექცეოდნენ სუფრაზე მოტანილ საჭმელს. სასმისში წვეთის ჩაუტოვებლად სკლიდნენ ჭიქებს.

ღვინის მაღალი ხარისხით აღტაცებულმა რედაქტორმა კმაყოფილებით შენიშნა, ასეთ გემრიელ სასმელს საჭმელი აღარ უნდაო. ამ სიტყვებმა სესე უფრო გაამხიარულა. დაავიწყდა მისი საწუხარი. აღარ ნაღვლობდა დღის გაცდენას. ორი ჩაის ჭიქა რომ გადაჰკრა, ბულიანთ თავლოს ლანდიც გაუქრა მხედველობიდან. მესამეჯერ სასმისის დაცლა არ გაეთავებინათ, რომ კარი გაიღო და შინ შემოვიდა მერგოლურ ზინოს რვა წლის გოგონა. გოგონამ მორცხვად ხელები სახეზე აიფარა, მალვით შემოუარა გარს სტუმრებს და პაპას აეკრა.

— შენ აქ ტყუილად არ მოხვიდოდი! — უთხრა ბავშვს სესემ.

— დედამ დამაბარა, სტუმრები ლობიოს ნუ მიეძალებიანო.

— ბიჭოს, ბარაქალა, კიდევ რაღაც სიკეთე მოგვეღოს, ბიჭებო! — უთხრა სესემ სტუმრებს და გოგონას თავზე ხელი გადაუსვა, მიეფერა, — გაიზარდე, გაიზარდე! მოგვასწროს შენ ქორწილს.

აქ ჯიბეები მოიხხრია. ერთი მუქა ხმელი წაბლი ამოიღო, ჩაუჩხრიალა კალთაში გოგონას და ისევ შეეხმაურა სტუმრებს.

— ხომ გაიგონეთ, რა შემოუთვლია ზინოსა? მაგ ფესვგასახმობ ლობიოს ხელი შეუშვით, თორემ ავკრებ ქაშანურებს. — და სესე წამოდგა. — მცირე ხნით არ მომიწყინოთ. სულ რამდენიმე წუთით დაგტოვებთ. — აქ სესემ ჩაფი ხოსიას გადაუდგა მუხლზე. — სანამ მოვიდოდე, ჩემ მაგიერად ღვინო შენ დაასხი, არ მომიწყინო სტუმრები.

— სესე სადღაც მიდის! — წამოიძახა ხოსიამ და ჩაფს ხელი გადახვია. მართლაც სესე მწვანისლის მოსამატებლად წავიდა. ბოსტანში გადაირბინა. დანით, მუღმივად რომ წელზე ეკიდა ქარქაშით, ოხრახუშ-ნიახური მოკუქა, შავი ბოლოკიც მოთხარა. ბოსტნიდან წყაროზე ჩავიდა. მწვანელი გეჯაში გაარხია, გარეცხა და ამ დროს მოაგონდა ლონგინოზ მკვდელი. მაშინვე აიჭრა წყაროს თავის ქვაზე. იქიდან პირდაპირ მოჩანდა ოდესღაც ნაღუქნარი, ახლა სამკვდლოდ ქცეული შენობა, საიდანაც მოისმოდა უროსი და მიმსადაგებელი კვერის ბრაგუნ-კაკუნი. მკვდელი ლონგინოზ გიგითაშვილი, სესეს განუყრელი მეგობარი ნალ-ლურსმანს ქედდა.

— ლონგია, ჰა ლონგია! — გადასძახა წყაროსთავიდან სესემ. და ამ დროს ურო-კვერის ცემა შესწყდა. მკვდელმა რკინა ღველფში სახურებლად შედო. გაიგონა თუ არა სესეს ძახილი, ნაღუქნარის კარი გააღო, ეზოში გამოვიდა, ტყავი გადაიძრო, კედელს მიარტყა რამდენჯერმე და ისევ ჩაიცვა.

— ჰა, ლონგიავ! — კვლავ გადასძახა მკვდელს სესემ.

— ჰა, ჰაი, ვინ მეძახის! — ვასცა მკვდელმა შორიდან ხმა და წყაროსაკენ შებრუნდა, საიდანაც ძახილი ესმოდა.

— სესე ვარ, სესე! დააგდე ჩაქუჩი, ვერა ხედავ — დაღამდა. ეგ ტყავი მოიქნიე, ახლავე, საჩქაროდ ჩემთან ამოდი.

— რომ ამოვიდე, რას მიპირებ!

— რასაც გიპირებ, გაიგებ. ახლავე ამო-მეთქი, შე ბებერო ჯორო, შენა!

— რა ეშმაკი შეგიჯდა, შენ წიფელის აბედა, შენა! მომასვენევი!

— მალე ამოდი-მეთქი თორემ, შენ რომ ეშმაკს განდობილი ხარ, მას ჩემი სტუმრები სულ დალევენ. ხახამშრალი დამრჩები და ამას გამომრჩები მაგ ეპქრობითა!

— ღვინის ანგარიშია?!

— ჰოდა მალე, გამოიქე-მეთქი!

მჭედელმა სახელოსნოს კარი მიაჯახუნა, გამოსწია კოშკისუბნისაკენ. სესემ წყაროდან ერთი ჩაფი წყალი წამოიღო. ისევე მივიდა სტუმრებთან და ქორფა მწვანილი ორი ხელით დაყარა სუფრაზე.

— გვმატოს და ნურაფერი გვაკლოს! — წამოიძახა მწვანილის დანახვით ნასიამოვნებმა რედაქტორმა. ბოლოკის მოზრდილ თავს ხელი წაავლო, ქოთანეთელ მეტყვევის ბიჭს გადაუგდო. ისიამოვნეო, უთხრა ტუჩგვერდელად, დაცინვით, რაც ხოსიამ, რა თქმა უნდა, არ შენიშნა. ბოლქვს სწრაფად მოავლო ხელი, დანა აამუშავა. მოთლიდა ნაჭერს — თეფშზე დაადებდა, მოთლიდა მეორეს — მარილზე დააწებდა, პირში იტყცავდა, ახრამუნებდა, სანსლავდა.

— მოვისხი თქვენი მადლი! — გადაულაპარაკებდა ხანდახან რედაქტორი ამხანაგებს, რომლებიც მაღიანად ილუკმებოდნენ და ჭიქას ჭიქაზე ცლიდნენ.

ამასობაში კარი გაიღო. ჩქარი ნაბიჯით შინ შემოვიდა ნახშირის მტვერით ყვრიმალბეჩაშავებული მჭედელი ლონგინოზ გიგითაშვილი. დაბალ-დაბალი ვაყკაცი იყო მჭედელი. მაგრამ ბეჭები ჰქონდა ფართო და ჩამსხვილებული. მხრებზე ძელებივით ეკიდნენ ვეებერთელა მკლავები. შემოსწრებულმა სკამი თვითონ მონახა, მასპინძლის გვერდით მაგიდასთან დაიდგა. სანამ დაჯდებოდა, ხამი ტყავის ხმელი ქალამანივით ხერხეშა მარჯვენა ყველას ჩამოართვა.

— მჭედელს სიცოცხლე! — ეუბნებოდნენ მას სალამზე დამხდურები და ზეზე წამოუდგომლად ხელსაც უწვდიდნენ. ეს დაუფასებლობად მიიღო მჭედელმა. ამიტომ გამოწვდილ ხელს, როგორც ღველფში რკინის დასაჭერ მარწუხის ტარს, მძლავრ თითებს გამეტებით უჭერდა. ნამეტნავად რედაქტორს გაუჭირდა, ტკივილისაგან შეწუხებული ზეზე წამოხტა. ამ დროს სესე მიეშველა. ახალმოსულს ჰაზამბარში გამოსასვლელი დააღვივინა. ნამუშევარ მჭედელს ღვინო მაშინვე აუვარდა თავში.

ყველა შეზარხონებული იყო. სახეზე სიწითლე ავარდნოდათ. ღონდლო და ჩამრგვალბულ ფოტორეპორტიორს ღვინო მეტო მოსვლოდა. თავის ადგილას ვეღარ ეტეოდა, უთავბოლოდ ბლუკუნებდა რაღაცას. ხანდახან ცხვირს აცემინებდა, თვალებს კარკლავდა. რედაქტორსაც ეტყობოდა სიმთვრალე, სკამზე ქანაობდა, თვალებს ქაჩავდა, ხელებს ატოტინებდა. სისხლნაკლული, უფერული ტუჩები ონტოტყვასავით უკიაფებდა და რომ იტყვიან, პირიდან, ენიდან შარბათი ეღვრებოდა.

— ასეთი კარგი სოფელი, როგორც ეს დალოცვილი ხაზრეთია, მეორე არ მეგულება ჩემ რაიონში. მიწა ხომ რაღა... შოკოლადია. ხალხიც ძვირფასია. ყოველი ხაზრეთელი კოლმეურნე, დიდია თუ პატარა, ქალია თუ კაცია, მის წონა ოქროდ უღირს მთელ ჩვენ ხელმძღვანელობას. ამიტომ არის, რომ აღმასკომის მდივნიდან დაწყებულს ინკასატორით გათავებულს, აქეთ მოგვიხარია ყველას. აქედან შინ გაუმხიარულბელი არ წახვალ კაცი. ზემოთ საწვერიოს კი არა ჰვავს, სადაც ადვილად ვერ მიადწევ და თუ პური გაჭამეს, ხრაკი არყით პირს გამოგიკალავენ.



ხაზრეთის ქება სესეს თავის სიცოცხლეს ერჩია. ზეზე წამოიჭრა, რედაქტორს უკანიდან მოუარა, ნაზად დაიხარა, კისერზე აკოცა. ერთი სიტყვით, სიხარულით კინაღამ დავლური დაუარა.

— თქვენი ჭირიმიე, ჩემო სტუმრებო! — შესძახა სუფრას, როცა კვლავ თავის ადგილას დაჯდა. მჭედელს თვალი ჩაუკრა, ერთი კიდევ დალიე, იქნება გუნებაზე მოხვიდე, მანდედან ბანი მომეო და წამოიწყო სიმღერა:

— აქ მოწყენილსა სტუმარსა შინაც არ გაუხარია...

ვენაცვალე ჩვენ მასპინძელს,
მარნის კარი უჭრიალებს,
ამოიღებს წითელ ღვინოს,
ყელსაც ჩაგვიმაჰრიანებს...

მოსძახა მას ლონგინოზ მჭედელმა. მათ ზმუილით აჰყვნენ სხეები. გაჩაღდა დროს ტარება და ქეიფი. სესეს სახლში შორს გასაგონი მხიარულება შეიქნა.

ასე მოლხენაში დიდ დროს გაევლო. დადამებულიყო. სტუმრები მაგიდაზე ველარაფერს არჩევდნენ. მასპინძელმა პრიალა თუნუქის აფრით კედელზე ჩამოკიდებულ ნავთის ლამპას მოუკიდა.

— კარგ სოფელს, მდიდარ კოლმეურნეობას ელექტრონი არ გაქვთ. ხედავთ, აი რა დღეში ვართ! ნავთმა უნდა ამოგვივსოს თვალები! — შენიშნა რედაქტორმა.

— ეჰ, რა ვქნათ, ჯერ ვერსაიდან მოვიყვანეთ ელექტრონი! — ჩაიდუღუნა სესემ.

— არაფერია! — ჩაერია საუბარში მჭედელი. ამამამ იოლად გავალთ. გამოგონია კი არა, მოვსწრებივარ, ჩვენ მამაპაპას ჭრაქი ენთო.

ყველამ მჭედელს გადახედა. ამ დროს კარმა გაიჭრიალა. შინ შემოვიდა სესეს ძმისწულის ცოლი მერგოლური ზინო. ახლა ყველამ მას შეხედა. ქალს ხელში თეთრ საფენგადაფარებულ ხონჩა ეჭირა. მას ხელი მიაშველა სესემ. ხონჩა მაგიდაზე ჩადგა და საფენი ასწია. ხონჩა იყო და რა ხონჩა! მის დანახვაზე ხონთქარი თითს გაილოკავდა. ცაცხვის ახლად ვაშალაშინებულ ფიცარზე ელავა სამი მრგვლად მოხარშული, ბარკლებჩახვლეწილი დედალი თავისი კუჭ-მაჭით. ხონჩაზე იდო კიტრის მწნილით სავსე წაფა, ქაშანური ჯამით — კარაქი, მოხარშული კვერცხებით ახორავებული პატარა ხახალი, იქვე იდო ბუხრის კვამლზე გამოსული ოხშივარიანი ლორი, თონიდან ის არის ამოყრილი ექვსიოდე წითელი დოლის შოთი, კალათა — ყურძნით და ვაშლებით სავსე. ზინოს დატკოჩილი და მოხალული წაბლიც კი არ დავიწყებოდა. ქალმა ეს ხილი საიდგანლაც პარკით ამოიღო და მაგიდაზე მოაპირქვავა.

— ამას თუ მოვლოდი, სესე, ლობიო სულ არ უნდა მოგეტანა სუფრაზე! — უსაყვედურა მასპინძელს რედაქტორმა.

— მოგვეკერი თავი, მამამთილო, — აუბა მხარი რედაქტორს ზინომ. — ეს რა გიქნია? ერთი კვირის წინათ გამომცხვარი პური სუფრაზე რამ მოგატანინა ასეთი სახათრო ხალხისათვის!?

ზინომ ხონჩიდან მაგიდაზე გადაალავა ხორაგი. ქათამი ასაქნელად სესეს გადაუდგა და თან უთხრა:

— თუ სტუმრის მოყვანას აპირებდი, ერთს გადმომძახებდი რალა, მამამთილო. ბავშვების პირით მაინც შემოგეთვალა რამეი, ჰა! ლობიოს მოტანა სუფრაზე როგორღა იქისრე?

— თორემ ვერ მივირთვით! — ჩაუთოო მჭედელმა. — შეხე, ზინო, ქაშანურებსა! ზედ აღარა არის რა, ფსკერზე გამკეთლები მოჩანს.

— არა, ლონგინოზო, შენ ნუ მიქარვებ სიტყვას. — შეუტია მას ზინომ. — მე იმაზე ვფიქრობ, რას იტყვიან ჩვენი სტუმრები შინ? ხაზრეთში თალაღანთსა ვიყავით, ობიანი პური მოგვიტანეს, ამოღესილი ლობიო გვაჭამესო, ჰა? ვაი, სირცხვილო, ვაი, გარეთ ცუდად გატანილო ოჯახის სახელო!

— დაპატიჟებული არ გახლდით. გზად გამოვლით შემოვუხვებით სესესთანა. ლობიოც გემრიელი იყო და პურიცა. — მიეშველა სესეს რედაქტორი. — ამასა, — რედაქტორმა ხოსიას თავში ჩაარტყა ხელი, — ასეთი სუფრა მის დღეში არ ექნება. ოლონდ უკმაყოფილო იმაზე ვართ, რომ თურმე რა მოგველოდა და ჩვენ მადა ლობიოზე დავხარჯეთ.

— რაილა ასეა, მეც შემთხვევით მორთმეულ ხონჩას დამჯერდით. იცოდეთ, გაკეთება ჩემი, სხვა სულ სესესი გახლავთ. — თქვა ზინომ და მაგიდას დაუტრიალდა.

ქაშანურის ჯამები ყველას ააცალა. მათ მაგივრად ფაიფურის თევზები ჩადგა. თევზებს ფიალაში გახსნილი ნიორწყალი მიუდგა ქათმის ხორცის საწებლად. ბოლოს ლორიც დაჭრა. ყველას რომ თითო და თანაბარი ნაჭერი გადაუდო, მკედელს, ლონგინოზ გოგითაშვილს, მთელი ნეკნი დაუდო და უთხრა:

— ეს ნაჭერი, შენა, ლონგომ! იქნება მკლავში ძალა მოგეცეს, მომასწრო, დროით გამიჭედო ასტამ-საჩხრეკელი, მაშა და შამფურები.

— მქრთამავ, ქალო!

— მა რა ექნა! ასე თუ არ მოვიქციე, სამი თვეა შეკვეთილს ვუცდი და მაინც არ ჩანს. არ მინდა გაის ამ დროსაც უმაშოდ ვიყო.

— დედამთილიან ქალებს მე ასტამ-საჩხრეკელს არ ვუჭედავ. ხელში მაინც-დამაინც ისინი მოხვდებათ ხოლმე, როცა შინ ჩხუბი აუტყდებათ. — გადაკრა მკედელმა.

— მაშ არ გამიჭედავ? — ჰკითხა ზინომ ისე, თითქოს გადაკრული არ სმენიო.

— შენი დედამთილი დაგიდგეს თავდება და... შენი ხმალი და ჩემი კისერი. — ჩაიხითხითა ლონგომ. მოწოდებულ ლორის ნაჭერს ხელი მოავლო, ასწია და გაგლიჯა.

— ვერ მოვესწარი, რომ ეგ შენი ძირმწარემოყრილი ენა შენთვის ვინმეს ამოვლიჯა, მკედელი! ასტამ-საჩხრეკელი გამიჭედე-მეთქი! მალე! ჩემთვის ხორცის წაგლიჯას, კბენას თავი დაანებე, გირჩევნია. თორემ... თორემ... განგებამ ცოლის ღირსი არ გაგხადა. იქ მოგახვედრა მოსახვედრი, სადაც ქალების ავად-მხსენებელს გეკუთვნოდა. ცოლი თუ არა გყავს, შვილსა და რძალს ვინდა მოგაჭევაებდა. გააუშდი! რძალ-დედამთილობის ანგარიშისა, ურთიერთობისა არა იცი რა, შენ ყანგისა და ჰვარტლის დალაქო!

ლონგინოზ მკედელი აიფხორა. თავი მიიბრუნა, ამოიხვნეშა. მიხვდა, რა მტკივანზეც დაჰკრეს. პირველ იმპერიალისტურ ომში უცნაურად იყო დაჭრილი.

დედამთილის დაწიოკებით კარგად ცნობილი ზინო კი მშვიდად განაგრძობდა თავის საქმეს. დედლებს ასო-ასო ჰჭრდა, მკედელს არც კი უყურებდა და მისი საყვარელი ნაჭრები — ბარკლის გადანახსენი თეთრი კიპკიპა კანითურთ, ღვიძლი და კუჭი რედაქტორს გადაუდო.

— სულ გამიმეტე? — შეეკითხა მას მკედელი.

— სულ როგორ გამიმეტებ, ჩვენი ჰედილა მკედელი, — უთხრა ზინომ, —



ჯერ ეს საბძელა და კისერა მიირთვი, მერე თუ შენ გრძელი ენის ნათქვამს მოინანიებ, კურტუმსაც გარგებ, მაგრამ ვერ მოერევი, მგონია.

ეს მეტისმეტი იყო. მკედელმა ველარა უთხრა რა ზინოს. ერთი ჩაის ჭიქა ღვინო გადაკრა სადღეგრძელოს მოუტყუელად და დაჯავრიანებულმა, რომ წყეთულმა ჭრილობამ უშთამომავლოდ გადააგო — თავი მწარედ ჩაიკიდა.

სხვები კი განაგრძობდნენ მასლაათს და სიამოვნებას.

— იცოცხლე და გაიხარე, ჩემო რძალო! — დალოცა სესემ ზინო და სტუმრებს მიმართა: — რაც მართალია, მართალია, ე მაგ ჩემი რძლით მიღვას სული ამ ქვეყანაზე მარტოხელა კაცს. ეგ არ მოგვეყვანა — ჩვენ ოჯახებსა, მაგას ეგეთი ძმაკაცური ხასიათი არ დაეჭირა, ჩემი საქმე შაბზე იქნებოდა წასული. ვინ იცის, რა მომივიდოდა, საღ და როგორ ჩავღვრძვებოდი აქამდე! — და სესემ სავესე სასმისი მალა ასწია. — გაუმარჯოს ზინოს, ჩემს შვილივით საყვარელ რძალსა. უცოცხლოს თავისი ქმარი, შვილები, ყოველივე კეთილი და გულის საყვარელი. — ამას აქ თავისებური ჭარტალი დაურთო, — და კიდევ გაუმარჯოს ბეჟანა ჯამბარასა, მის მამა ჭლარასა, კუდიან სოფიოსა, მექვაბე დანიასა, ჩვენ სიძეს სურამელ არუცას, მეფანჯაფინე ბულდანასა, ავანსა, ჩავანსა, პავლესა, ივანესა, ყველაზე პირველად ლონგინოზ მკედელსა — ჩემ ძველისძველ დოსტს, ძმასა, ამხანაგსა და თქვენც გავიმარჯოს ყველასა! ახლა შემხედეთ, გამსინჯეთ, როგორ გამოვცლი ჩაის ჭიქასა. დაისწავლეთ, დაისხომეთ სამაგალითოდ. მერე თქვენაც ისე მოიქეცით, როგორც მენა. სასმისში წვეთი არ ჩატოვოთ. ჭურჭელში გოლვა გააჩინეთ, თორემ კალოზე წვიმა მოგასწრებთ, პური ალაგოდ გექცევით. მას ასე, მიცქირეთ! ვინც არ დალიოს, ღვინო მოიპაროს, ცოლი გაექცეს, ლუარსაბ მურყანასთან მივიდეს, წამოუწვეს, სამი ბუში შეეძინოს. მასთან, შინ ნულარ დაბრუნდეს თავის კანონიერ ქმართანა.

სესემ სასმისი დაცალა. ლონგოს გადაუგდო ცარიელი ჭიქა. მკედელმა სწრაფად მოავლო დიდი ხელები, სტუმრებმა გადაიხარხარეს.

სანამ მასპინძელი ლაპარაკობდა, შეღვინიანებული რედაქტორი ქვემ-ქვემ მისჩერებოდა ზინოს. წინათაც ენახა ის, როცა ყანებში ჩაუვლია ხოლმე და რგოლების მუშაობა გაუსინჯავს. მაგრამ ახლა უფრო მოეწონა. ზინოს ზაფხულის მზისაგან დამწვარ მიხაკისფერ კანზე ფერი გადასვლოდა, თეთრად უქათქათებდა ლოყები და შუბლი. უბრწყინავდნენ ლამაზი, ლილისფერი თვლები. რედაქტორი ხან ღაბაბს ჩააცვივებოდა თვლებით, ხან ბიბილოებზე, მკერდზე და თეძოვებზე მიჩერებოდა დიდხანს დაყინებით. ამით უხერხულობაში ჩააგდო ქალი. ზინო გაწითლდა, აიღეწა, დაიბნა. წვერიანი დანა, რომლითაც ხორცეულს სჭრიდა, კინადამ ხელის გულში გაიყარა და გამწარების, უხერხულობის დასაფარავად სესეს დაუწყო საყვედურები.

— მამამთილო, შენ სიცოცხლეს, ნუ იცი ეგეთი ლაპარაკი და სიტყვის ჩაკვრა. სხვას, ვინაც შენი ენის ამბავი არ იცის, მართალი ეგონება. გულის საყვარელიო საიდან! ქმარი მყავს და მიცოცხლოს მისი თავი. შენ კი გულის საყვარელიო, ეგეთი რამ აწ აღარ მითხრა. გაწყინა ალბათ ჩემმა პატივისცემამ, მოვლამ და თანგადაყოლამ, თორემ ქმარშვილიან ქალს განა მაგეთებს ეტყვიან ხალხსა და ერშია!

— იპ, ისე ვთქვი, ქალო. სიტყვაში გამოვურიე. შენ აქ ჩემ ზუმრობას არაფერი დავიდარაბა მოაყოლო. გასამხიარულებლად ვთქვი. სხვა მიზანი არა მქონდა რა, არ მოგვედ და არ დავიმარხო ადრე და მალე. — მოუხადა ბოდიში სე-



სემ ძმისშვილის ცოლს, სიტყვა განგებ დაიბრუნა, — სხვა, უცხო ხალხში წამოძა-
ხილი გამოვიდაო. ზინო გულმოდგინედ აჯერებდა ყველას, სესეს ნათქვამი მხო-
ლოდ სიტყვის მასალაა, მე არ მეზება, ეგეთი უზამსი ლაპარაკი იცის მაგ ენაკვი-
მატმაო. ნამდვილად კი დიდად არ სწყენია სადღეგრძელოში გამორეულად გუ-
ლის საყვარელის ხსენება. ხსენება კი არა, ნეტავი ახლა, აქ, მაგიდასთან იჯდეს
ჩემი... და ვინაც რა უნდა თქვასო და განგებ დაემუქრა სესეს.

— სამაგიეროს გადაგიხდი, მამამთილო!

— არ მეშინია შენი შურისძიებისა. შენი მგვანე მტერი დაე კიდევ ოციოდე
მომცეს უფალმა ხაზრეთში, დარდი არა მაქვს მაშინ სიცოცხლისა.

— არ შეგარჩენ, არა! — ეუბნებოდა ზინო.

— იგეთს რას მიზამ? ცოლს ხომ არ შემრთავ? ნეტავი მაგას მიზამდე, მო-
გიკვდეს ჩემი თავი, თუ მეწყინოს, ან ქალი უკმაყოფილო თუ დარჩეს, გამექცეს
და უბედობა შემოგჩივლოს ცხარე ცრემლის წვიმითა.

— აბა რის უნდა გეშინოდეს შენისთანა გასწორგასწორას, ხბოყვირის,
ვინ და რას დაგაკლბს? აწი მაინც ტყუილუბრალოდ აღარაფერი თქვა, არ გამ-
ლანძღო ქალი. — და სალაპარაკოს გამოსაცვლეულად ისევ მისდგა სესეს: — არა,
შენ იმაზე მიგე პასუხი, ასე დაულაგებელ სახლში ხალხი რად და როგორ შემო-
იყვანე! აბა რას ჰგავს აქაურობა? თითქოს მოზვრებს უბულრავეითო, ისეა მიყ-
რილმოყრილი აქეთ ლოვინები, იქით ვარცლი, საცერი და ფქვილის კოდი.

— აბა რა მექნა?

— ერთი ხმა მოგეწვდინა, შორიდან დაგეძახა. მე თუ ვერ გადმოვიდოდი,
ჩემ გოგონას გამოგვზავნიდი, ის დაგილაგებდა აქაურობას.

— აკი ვიძახი, ქვეყანაზე ზინო შენგან სული მიდგას-მეთქი! — შეეცადა
სესე ზინოს მოთაფლვას.

— შენა ჩემი სული გიდგას. ერთი მეც მკითხე, მე ვილასი სული მიდგას?
თავს ზემოთ ძალა აღარა მაქვს. რამდენად უნდა გავიქრა, რამდენ საქმეს უნდა
გავხდე ერთად — ჩემსას, შენსას, ერისას კოლმეურნეობაში? სწორედ არ ვიცი.
ხანდახან დავიბნევი, აღარ ვიცი, რომელ გასაკეთებელს ვეცე პირველად. ამნაირ
მდგომარეობაში ჩავარდნილ წვრილშვილ ქალს, მამამთილო, შენაც მოსავლელი
მყავხარ. მე რად უნდა გამეკეთებინა ეს სადილი? არა. ნამდვილად, წრფელი
გულით გირჩევ, აიჩინე სადმე ერთი ქალი. მარჯვე იყოს, ჯანიანი. შენ მოგია-
როს, ჩვენთან მეზობლობის უღელიც გასწიოს. შენი თავი მოგვაშოროს მეზო-
ბელ-ნათესაეებს. მე მაინც გამათავისუფლოს შენი ლოლიავისაგან, თორემ თუ
ერთხელ მოთმინება დამელია, გული მომივიდა, გავბრახდი, შენი კვიმატი ენის
პატრონი ამას ელოდე სულ მალე, აღარ მოგხედავ. ბუგრებს მიგცემ შესახრავად
ამ შენ ბუნავშიდა.

— სესეს ცოლი — ჩვენ, ქორწილში დროსტარება! — დასძახა ქოთანეთელ-
მა ხოსიამ.

— ბედნიერებას გისურვებთ, სესე! — აუბეს მხარი ხოსიას რედაქტორმა
და ფოტორეპორტიორმა და ჭიქები დასცალეს.

— ააანდე! — დაპკრა ლონგო მჭედელმა სესეს ბეჭებში მძლავრი ხელი. —
გეხვეწებიან ცოლი შეირთეო. მართლაც რას უცდი, ოხერო, დეაჟუკაცებასა?
ქორხოსა და წვერულვაწში შავის გამორევასა? საღლა გაქვს შავი ბეწვი! მაშ
დაეშურე, მოიყვანე ერთი შენსავით იქით მიმავალი დედაკაცი და ორივემ ერ-
თად იარეთ, ღმერთმანი კარგი იქნება, თუ ასე იზამ. მე აგერ ვარ მზად მეჯვა-
რედ გამოსაყოლად. თუ გინდა, არც შუამავლობას დაგზარდები. მოიყვანე-მეთ-



ქი დედაკაცი და ქორწილში ერთი ისეთი ქართული შემომადახებინე ჩვენშიმღერლებთან ერთადა, რომ მტკვარგალმა ხცისსა და წრომში ისმოდეს აქაური პარიპარალეს გუგუნი. ასე ჰქენი, სესე, ასე. მოიყვანე დედაკაცი. გადაუბრუნე მტერს გული მერდევნებზე აყირავებულ ურემივითა.

— აი, იცოცხლე, ლონგო! — გაიხარა სესემ. — სწორედ, ეს ათი დღეა მაგაზე დავდივარ ტყეში. მივაგენი საზედადგრე თელას. ცული შემოვკარი, შევთარჯე, შემოვკოდე, არავინ მომიჭრათ, ეს ხე ჩემია-მეთქი.

— ხა... ხა... ხა... — გადაიხარხარეს ყველამ.

თავისივე ნათქვამით გახარებული სესე ზეზე წამოიჭრა. ხელები გაშალა, თითქოს ცეკვას აპირებსო და ადგილზე შემოპროწიალდა. მამამთილის ძმის ასეთნაირად აცუნდრუქებამ ზინო შეაფიქრინა: „რა ვქნა, ამ კაცს საქმე გაჩარხული ხომ არა აქვსო. ჩვენ ვხუმრობთ და ამას კი თურმე ცოლის შერთვა გულში ნამდვილად ჰქონია და საცოლეც შერჩეული ჰყოლია“.

— მამამთილო, — მიმართა ბოლოს დაეჭვებულმა ზინომ. — გარდაცვლილი მშობლების სულს გაფიცებ, თუ მართლა ამოგირჩევია ვინმე, თუ მართლა ირთავ ცოლს, ვის ირთავ? საიდან და სადაურია ქალი?

— შენა, ჩემო რძალო, ყველაფრის წინასწარ გაგების სურვილი ნუ გწევავს, გიჯობს დინჯად იყო. ისე კი... თადარიგი დაიჭირე. ქორწილის პურის ჩასაკრავად თონისათვის ჩასაკიდებელი შეშის ნაპობები და ფიჩხის კონები ჩემი ეზოდან შენ ეზოში გადაზიდე და მშრალში შემინახე.

— თუ დაგზარდე მაგასა, მოგიკვდეს ზინო! — უთხრა ქალმა. — შენი ტანსაცმლის დაკერვისაგან და პურის გამოცხობისაგან მაინც ვავთავისუფლდები და ეს იქნება ჩემი გასახარელო.

ზინოს უქანასკნელი სიტყვები ენიშნა სესეს. ის გრძნობდა, რომ ძმისწულის ახალგაზრდა ცოლი მოვალე არ იყო მისთვის, ალალ მამამთილივით მოევლო. ზინოს თავისი საქმეც ბევრი ჰქონდა. ექვს შვილს, ქმარს, დედამთილ-მამამთილს ის ინახავდა. და სესესაც უყვარავდა, ურეცხავდა, უცხობდა. სახლსაც ის უთვალთვალეზდა, ავერ დღესაც — საღორიდან გაქცეული საახალწლო ქოსმენი ზინოს შუადღისით კალოზე შეხვედროდა, გამოერეკა, თავის საღორეში დაემწყყდია.

ამის მოგონებამ სესე დააფიქრა. მან თავი ჩაჰკიდა რამდენიმე წუთით, თვალწინ წარმოუდგა რეხაგაღმელი ქვრივი ბულიანთ თაფლო, რომელიც დღეს ქვემოთ, მეფრინველეობის ფერმაში მიატოვა და ალბათ მარტოდმარტო პუტავდა ბატებს... და უეცრად ერთი წამით თაფლო სესეს სახლში გაჩნდა. შავიდას უტრიალებს გარშემო, წითელი ვარდით ბრდღვივალა მისი სახე და ჩინიანი თვალები ცისკარივით ანათებენ. ზარის წკრიალივით ისმის მისი ხმა. დადის, დაბაჯბაჯებს თაფლო შინ. ხან რას მიუმატებს სუფრას, ხან რას. კმაყოფილი სტუმრებიც გაისტუმრა, მაგიდა აალაგა, ცეცხლი ჩაახვია, ბოლოს ლამპას დაუწია. ბუმბული კი დიდი ხანია გაშლილია... სესე ზედ გორაობს. „ბუმბული, ბუმბული“, — აკანკალებს სიამოვნებით სესეს. — რახან ყველა ამიხირდით ცოლი შეირთეო, მეც ავდგები და თაფლოს შევირთავ. უკეთესი ქალი მთელ ქვეყანაზე არ არის — სესეს შესაფერისად. და რომ სხვა არავინ ეცეს, სხვამ არავინ მოასწროს მაჰნაკლის მიგზავნა და შერთვა, ხვალ დილით დაჭედავს ლონგინოზ მკედელს შუამავლად. მადლიანი დედაკაცია თაფლო, უარს არ ეტყვის, აკი სთქვა, გამოტყდა, მარტობამ თავი მომაბეზრაო.

— ჰე, ჰეი! თავი რას ჩაჰკიდე სესე. შენ თუ მოიწყინე, სტუმარმა რაღა უნდა ქნას! — უჯიკავა მასპინძელს მჭედელმა.

— კაცი არ ვიყო, თუ ამ ახალწლამდე დედაკაცი კერასთან დაბალ სამფეხა სკამზე გვერდით არ მოვისვია! — ამბობს თავის გულში სესე და ეხმაურება მჭედელს. — ჰა, რაო, თავი ჩაჰკიდეო! ვინა, მე? არა, ძმობილო, მომე ეგ გამოცლილი ჭიქა, ერთი კიდევ დავასხა, ჩამოგირიგოთ, მეც დავლიო და მაშინ ნახე მოწყენა, პარალე... პარიარალეეე... — ჭიქა ივსება, მასპინძელი სვამს და მიმართავს სტუმრებს:

— ამით მიდღეგრძელებთ ჩემი საბედლო!

— გაუმარჯოს, აცოცხლოს, მალე შინ მოიყვანოს! — ყვიინებენ სტუმრები.

გემრიელი ძველწავით სავსე ჭიქა ხელიდან ხელში გადადის. შროშული წითელი კოკურა-ჩაფი თანდათან იცლება. ხუმრობასა, მასლაათსა და სიმღერაში დიდი დრო გასულა... ცაზე ხომლი და სასწორი საგანთიადოსაკენ ამოწყულან. ნაშუალამევის მატარებელმა ჩაუარა სოფელს. სტუმრებიც წამოიშალნენ, გარეთ გავიდნენ, ცივმა ნიავმა დაჰკრა ყველას.

— სად დავიძინებთ? — კითხულობდნენ სტუმრები.

— ჩემთან მობრძანდით, — ეპატიყება მათ ზინო.

დიდ ოთახში თუნუქის ღუმელში ცეცხლი აუნთია ზინოს ქმარს, დათიას. სტუმრები წვებიან ადრევე გაშლილ თეთრად ქათქათა ლოგინში. სესეც მათ პირობას აღებინებს: დილით წამოდგებიან თუ არა ლოგინიდან, ყველანი ისევ მხსთან გადავიდნენ.

— რაღა, იქ დილით რაღა გვინდა? — ეკითხება ფოტორეპორტიორი.

— ახალ სუფრას გაგიშლით, დილის საუზმე ცოლის მზითევს სჯობიაო. ასეა გაჩენილი ჩვენებური მასპინძელი და სტუმარი. მასპინძელო, თუ შინ ღამე გამათევინე, დილით პურუქმელს გარეთ ფეხი არ გამადგმევინო, თორემ პურ-შავს დაგიძახებ, — მიუგო სესემ და კარი გაიხურა.

თავი მეთერთმეტი

სტუმრები რომ მეზობლისას გაიყვანა დასაძინებლად, მასპინძელს მერე თითქმის მთელი ღამე არ მოუსვენია. ძალიან კი უნდოდა წამოწოლა, მთელი დღე გარეთ ჰაერზე ყოფნამ და ზომაზე მეტად გადაკრულმა ძველწავმა იმოქმედა. სესე თავს ძალას ატანდა და ფეხზლობდა. ნელა დაბორილობდა ნავთურის ღამ-შით განათებულ სახლში. ფრთხილობდა, არ წავეიქეო. ასე გაკვირვებით ხელაზლა მილაგა ბინა, გაფერთხა სუფრა და წყალში გაავლო ჭურჭელი. სხვენზეც იყო. ჩამოჭრა დვირზე ჩამოკიდებული ლორი, დაბეგვა. შემკვარტლული ხორცი ბუზარში ჩამოკიდებულ კარდალში ჩადო მოსახარშავად. გათენებამდე საყოფი შეშაც შემოზიდა შინ. გარჯით არაქათგამოლეულმა, დაღლილმა, მამლების მეორედ ყვილიზე ამოაღებინა ქარი მუხლებს. ცეცხლის პირას დაჯდა, კედელს ზურგით მიეყუდა. იქიდან უგდებდა ყურს ლონგინოზ მჭედლის ბოხი ხმით ღაღადს და მის გაბმულ, გაუთავებელ სადღეგრძელოებს. — ამით ღმერთმა გაუმარჯოს, — იძახდა მჭედელი და სასმისს სასმისზე სცილიდა. მეგობრის ასე მართო ქეიფი გულწრფელად ართობდა და ახარებდა სესეს. მჭედელმა სხვა სტუმრებს არ მიბაძა. დასაძინებლად არსად წავიდა, შინიდანაც კარგა შორს იყო და ამიტომ იქვე დარჩა, მასპინძლისას. სესეს შინ ბორიალში მან ცალკე დაიდგა ტა-



ბურტი. გადაიწყო „ახალ სუფრაზე“ პური, ხორცის ნაჭრები, მწვანილი და მარილი. მარტოდ მოილხინა. სანამ მასპინძელი საქმით იყო გართული, ნელ-ნელა ისხამდა ჩაფ-კოკურაში დარჩენილ ღვინოს. პატარა ჭიქით წრუპ-ხრუპით შეექცეოდა თავის საყვარელ სასმელს და მადიანად ღეჭავდა გემრიელ საქმელს. ასე მარტო ატარებდა დროს. ზან ღვინოს უაღერსებდა, ზან მასპინძელს ახლებდა:

— დატრიალდი, იმუშავე, სესე! ნათქვამია, მასპინძელი სტუმრის ვირიაო. სწორედ ასე მოვივიდა. აჰა, შეგჯერეთ წუხელისა და დღეს ზურგზე. თუ ძალით არ გამოგვაგდებ, ზვალაც აღარ გვინდა ძირს გადმოსვლა.

სესეს არ სწყინდა ნიშნის მოგება. ეცინებოდა, ელიმებოდა. ერთხელ სავსე ჭიქაც გამოართვა, გადაჭრა, თან გულში უთხრა:

„ილაპარაკე, მკედლო. სხვას რა ვუყო, როგორ შევწვდე, არ ვიცი, თორემ შენ ადვილად გადაგზღვევინებ სამაგიეროს. ერთხელ შენც დამიძახებ შინ. მაშინ მეც ავრე ვიქმ, როგორც შენ დღეს მიშვრები. ავითრევე ფენს, ორი დღე-ღამე ზეზე არ წამოვდგები მაგიდიდან“.

ასე გათენდა კიდევაც. რიჟრაჟზე მკედელმა ჩაფი გამოსწურა. ჩასუნა ჭურჭელს, ნავთის სუნი უდისო, თქვა და ფეხით ფრთხილად გადააგორა იატაკზე თიხის გვამი. ახლა, რაკი ღვინო აღარ ჰქონდა, წამოდგა, სესეს ძველი მაზარა გაშალა და წამოწვა. სხვას რომ ვერაფერს მიაგნო, ძირიდან წისქვილზე წასაღებად გამაზადებული ხორბლით სავსე ტომარა აიღო, სასთუმლად ამოიღო და მალე ხვრინვა ამოუშვა.

მეგობრის ძილში სესემ სახლი გამოგავა, მარანშიც შევიდა, წუხელის დაცლილი ჩაფი ღვინით აავსო და ამოიტანა. როცა ლორიც გასინჯა, ხომ მოხარულყო, გადაწყვიტა გვერდი მიედო, მაგრამ აღარ დასცალდა. გარედან ზინოს ქმრის დათიას ხმაური შეესმა. დათია კიბის ბოლოზე ქოთანეთელ მეტყვევის ბიჭს ხოსიას უძიძვილავებდა. სესე აღარ წამოწვა, კარი ფართოდ გააღო.

შვის ამოსვლისას ხელპირდაბანილი სტუმრები ისევ შევიდნენ სესესას. მათ დათიაც მოჰყვა, მაგრამ არაყიც არ გადაჭრა, მაშინვე გაბრუნდა, მეცხოველეობის ფერმაში მეჩქარებო. სტუმრები შემოსვლის უშალ გაწყობილ სუფრას შემოუსხდნენ, ხოსიამ კი მკედელი გაღვიძა ჯიკავით, წამოაყენა კიდევაც და პირის დასაბანად წყალიც დაუსხა ხელეზე. სუფრასთან დასხდომის უშალ მასპინძელმა თითო საღვინე ჭიქა ჭაჭის არაყი გადააკრევეინა სტუმრებს მადის მოსაგვრელად. სასმელს „სესესებური“ არანაკლები იშტის მომგვრელი სიტყვებიც მოაყოლა:

— აბა, არაყს ხემსი დააყოლეთ, თქვენი ჭირიმეთ. აგერა ქათმის ცივი კოდალი: ღვიძლი და საბძელა. ფეხები დაწეწეთ, ცხელი ლორიც გასინჯეთ! ვაჰ, ვაჰ, რა გემრიელია! თუ პირი მწარე გაქვთ ვისმე, კომბოსტოსი და წიწყის მწნილია მაგის წამალი, კუჭი მონახეთ, ჩაახრამუნეთ, მაშინვე გამოგაკეთებთ! აგერ ნიორწყალიცა! მიირთვით, თქვენი ჭირიმეთ. ისე ისიამოვნეთ, როგორც თქვენი გული ვთხოვთ, როგორც ხასიათი გაძლევთ ნებას.

— გეახლებით, გმადლობთ! — ამბობდნენ სტუმრები.

— ჩემ თავზე გამომიცლია, — განაგრძობდა სტუმრებისათვის მადის გასახლებლად სესე: — რა გინდ თან გადამყვეს მასპინძელი, თუნდაც ერთი თვის განმავლობაში ყოველდღე ქათმები, ინდაურები, ძროხის სუკის მწვადები მაჭამოს, ზედ ხიდისთავური, წინანდლური ჭავჭავაძის მირონი, სვირი და ზვანჭკარა მასვას, თუ შინ წასვლის წინ, დღით უსაუზმოდ გამიშვა გარეთ, პურუჭმელად დღით გზას გამიყენა, „ოლმავ“ მთელ მის პატივისცემას, ამაგს, შრომას, ჩირად არ დავუფასებ, წყალში გადავუყრი.

— ქემმარიტად, ნამდვილად აგრეა, — ჩაეშველა სიტყვაში სესეს მჭედელი. — გზად მიმავალი უსაუზმო კაცი არ ვარგა, ბრალია. კუჭკარიელას გავლილი მანძილი ღმერთმა შეარცხვინოს. უსაუზმოდ შინიდან გასულს ჯანი არა აქვს ძარღვში.

— დიახ, დიახ, — ბობლინებდა კმაყოფილი ხოსია. — უსაუზმოდ არც ჩემი და არც სხვისი სახლიდან ჯერ გარეთ ფეხი არ გამიდგამს ჩემს დღეში.

— დიდი დღისა როგორღაც ვერა ხარ! — გაჰკენწლა მჭედელმა.

ასეთი საუბრით და ჰაჰის არყით გახელებული სტუმრები წუხანდელზე მეტი მხიარულებით შეექცეოდნენ ქათმის ხორცს, ლორს, მწნილს; ამ დილით ამოდებული ღვინო უფრო ეგემრიელათ. ამის მაუწყებელი იყვნენ ნახმელარივით გამომშრალი ჭიქები, რომელთა გავსებას მერიქიფე ვერ ასწრებდა მსმელებს.

— ეს არის პურის ჭამა, თორემ წუხელის რა იყო! — გაიძახოდა წოწოლა ხოსია და თვალებს აბრიალებდა, მაგიდას ქორივით დასტრიალებდა, გრძელ ხელებს სუფრის ხან ერთი კუთხისაკენ იწვევდა, ხან მეორისაკენ. ამას ხორცის ნაჭერს აცლიდა, იმას სავსე ჭიქას გამოსტაცებდა, შეუჭმელ-შეუსმელი აღარა გაუშვა რა. ისე, რომ სესე იძულებული გახდა ფერმაში სამუშაოზე წასაღებად გადამალული ლორის ნაჭერი, ნახევარი ქათამი და კვერცხები მოემატებინა სუფრისათვის. მარტო რედაქტორს ვერ უბედავდა წინიდან კერძის ართმევას ხოსია. ბოლოს რამდენიმე დიდი ჭიქა ერთად გადაკრა ქოთანეთელმა, დათვრა და წამოიწია, მაგრამ ფეხი შეეშალა. თავი რომ შეემაგრებინა, მოსათვალას მოჰყვა, ვითომ სიმღერააო:

ნეტავი შენ, ყვავო,
 ორო ცოლიანო,
 ერთს რომ წისქვილზე გაგზავნი,
 მეორე შინ გყავო...
 ვარალაღე... ვარალალო...
 ვარი არალაღე...
 გოგო, ფეხი დაგიცდეს და
 მიუხლზე დამეხალე!...

— ახლა კი გეყოფა! — შეუტია რედაქტორმა, როცა ვერც თვალბის ბრილით და ვერც ჩუმად წაქრული მუჯღუგუნით ხოსია ვედარ გააჩუმა. ფოტორეპორტიორიც ყუნწიდან მოსავარდნ ბაყილო მსხალივით ქანაობდა.

მაღე ყველა წამოდგა. შინ წასასვლელად ეზოში გავიდნენ. თურმე საუზმეს დიდხანს მონდომოდნენ, საკმაო დრო გასულიყო. პირველ-მეორეკლასელი მოსწავლეები უკვე სკოლიდან შინ ბრუნდებოდნენ.

ჰაერზე გასვლა ყველას ძალიან ესიამოვნა. გარეთ გუშინდელივით აღარ ციოდა. ტყვისასვით მძიმე და პირქუში ღრუბლები სადღაც გამქრალიყვნენ. ხანდახან მზეც გამოიხედავდა ხოლმე მსუბუქი ნისლის წყვეტილებიდან. რედაქტორმა პალტოს ღილები შეიხსნა, დაწინაურდა და გააფრთხილა ამხანაგები, აწუნულარსად შეგჩრდებით, ერთ-საითში სამსახურში გამოვცხადდეთ, იქ არავისი მეშინია, მაგრამ ცოლი დამიწყებს ძებნასო.

სესემ გადაწყვიტა, რკინიგზის ბაქნამდე გაცილებინა სტუმრები. ყველაზე მოკლე ბილიკები შეარჩია. გულში გაიანგარიშ-გაივარაუდა: „ამათ ჩაგრეკავ რკინიგზამდე, იქ დავემშვიდობები, მოვიქნევ კუდს ნამქერზე და გავწევ მეფრინველეობის ფერმისაკენ. იმდენ გასაპუტავ ბატს მარტო ერთი თაფლო რას დააკლებდა. მივალ, მივეშველები, ყველაფერს მალე გავაყეთებინებ და იქნებ... გუ-



შინდელს აქეთ, ვინ იცის, ბედმა გამიღიმა, იღბალი მაქვს, ქალს თვალდაცრემლით ვეხუპრავს, მოუთმენლად მელოდება“. ამ ნაოცნებარმა ბილიკები დაავიწყა. სტუმრები სასოფლო და საკოლმეურნეო ბოსტნებით გადაიყვანა, სადაც გზასულ არ იყო, მაგრამ ბაქანსა და სოფელს ყველაზე მოკლე მანძილით აკავშირებდა.

— ერიპა! ეს რა დავინახე! თურმე კომბოსტო ჯერ აულებელი გქონიათ. ამდენ ხანს რად დააყოვნეთ! განა ვერ მოასწარით მოჭრა, დრო ვერ იშოვეთ თუ რაო? — გაითცა რედაქტორმა, როცა ბოსტნების თავს მიაღწიეს. წამით ყველა გაჩერდა. სესემ თავზე შემოიკრა ხელი.

— აკი გუშინაც მოგახსენეთ, — მოახსენა თუ არა, აღარ ახსოვდა, — კომბოსტოს რთვილიან დამეებში უყვარს თავის დახვევა-თქო, — სწრაფად უთხრა სესემ.

რედაქტორმა აღმაცერად გახედა. მერე ცხვირი მაღლა აიწია, გადააფურთხა, ამირიზა. თავშეკავებულად კი იკითხა:

— რამდენი პექტარია?

— სამნახევარს აჯობებს.

— ზუსტად არ იცი გამგეობის წევრმა, რამდენია ეგ ნარგავი?

— ეს არის, რაც ვიცი! — მკვახედ მოუჭრა სესემ.

არ მოეწონა კითხვა. დაცინვის მსგავსი კილო იგრძნო მასში. გაწბილებულივით ჩაღუნა თავი: არა, რატომ სამუდამოდ არ დავკარგე გონება, რომლითაც ამათი აქეთ წამოყვანა გავიფიქრეო. ამასობაში რედაქტორმა კომბოსტოს ნარგავში გადაუხვია. მას ხხეებიც თან მიჰყვნენ უსიტყვოდ. მალე ნარგავების მწკრივებს შორის კვალში ჩადგნენ. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ. ერთბაში, თანაბარი თავები მისდევდნენ ერთმანეთს თავიდან ბოლომდე. გამეჩხერება არ შეინიშნებოდა. ქვასავით მკვრივად დახვეული თავები თავიანთი თეთრი მელოტებით ერთ ხაზზე უწყვეტად მოჩანდნენ. მურკზე არ ემჩნეოდან წელიბზეკისაგან გამოზრული და დაფურჩეხული ფოთოლი, არც სადმე თავდაუხვეველი ძირი მოჩანდა.

რედაქტორმა ნაბიჯი შეანეღა. გრძელ კვლებს გაჰყვა-გამოჰყვა. ნარგავის ხან თავისაკენ გაიხედავდა, ხან ბოლოს მიაშტერდებოდა. და ბოლოს ერთ ადგილას ჩაცუცქდა. თითქოს ეფერებო, კომბოსტოს თავს ხელი გადაუსვა, სესეს მღვრიე თვალებით გადახედა და მხლებლებს უთხრა:

— აი, ვნახე მოვლილი ბოსტნეული.

— დიახ! — დაუდასტურეს ამხანაგებმა.

ისინიც ჩაცუცქდნენ, რედაქტორივით ხელები გადაუსვეს კომბოსტოს თავებს. რედაქტორმა კი სესესაკენ მოიხედა და ლაპარაკი განაგრძო:

— კომბოსტო დიახ კარგია. ოღონდ ალებული უნდა გქონდეთ ახლა. რთვილში დასასრულებლად გაგიჩერებიათ, გავციყინავსო კი არ გიფიქრიათ. იქნება ამაღამ თოვლი წამოგიშინათ მაღლიდან? მაშინ რაღას შერებთ? ჰა? ხომ წაგიხდათ მოსავალი?

— არა, თოვლი არ მოვა! — უთხრა სესემ.

— თქვენ რომელი წინასწარმეტყველი მყავხართ! ვთქვით — მოვიდა, მაშინ სად მიდინხართ! ხომ გაგაძრეთ ტყავი კვერნასავით ჩემ გაზეთში, ჰაი და... და... რა მასალა მექნება!

უეცრად წამოდგა, თითის ქნევით სესე ახლოს მოიხმო:

— დღესვე, ამ წუთში მონახე ბასა სამარლანისვილი, სადაც არ უნდა იყო. გადაეცი ჩემი განკარგულება: ახლავე გამოიყვანოს გარეთ კოლმეურნეობაში მომუშავე ყველა ქალი და კაცი, შეუსიოს კომბოსტოს, მოჭრან და საწყობებში.



დაბინაონ. რაც შეეხება თვითონ კომბოსტოს, ესე იგი მის დარგვას, მოვლასა და მოყვანას — მშვენიერია. უკეთესს კაცი ვერ ინატრებს, მტრის თვალს არ ენახვება-თქო, გესმის! ასე უთხარი ჩემ მაგივრად.

— მოყვრის თვალი არ გაქვს, თორემ ასე არ იტყოდი. — ჩაილაპარაკა ნახევრად გასაგონად სესემ.

— როგორათ, რა თქვი?!

— მტრის თვალს არ ენახვებო, აკი თქვენ ბრძანეთ! — გაბედა სიტყვის შებრუნება სესემ. — მე კი გეუბნები, რომ საქებარი არა არის რა.

— რაო! — წამოიყვირა რედაქტორმა.

— საშუალოზე დაბალი კომბოსტოა. იმათ მოყვანილ მოსავალს სჯობია, ვისაც წელს ჩვენზე ცუდი ნარგავი და მოვლილი კომბოსტო ჰქონდა. ეს არის და ეს.

სიტყვის შებრუნებისა და მისი მოსაზრების ასე ერთი ხელის მოსმით გაბი-აბრუნებისაგან ნაწყენი რედაქტორი ერთ ადგილზე გაშტერდა. ბრაზით ხან გა-წითლდებოდა, ხან ფერი წაუვიდოდა, ხან მშინარასავით აცახცახდებოდა. გული მოსდიოდა თავის თავზე, რომ პატარა თანამდებობის პირი იყო, რომ „სიბატა-რავის“ გამო იძულებული იყო ენისათვის კბილი ზოეჭირა. ამა ერთი მაშინ გა-უბედონ ვანო იორაშვილს სიტყვის შებრუნება, როცა იმ თანამდებობაზე დის-ვამენ რაიონში, რომელსაც ჰპირდებიან?! სესე თალალაშვილისთანებს ხმას არ ამოაღებინებს.


— კაცის სიკეთის დაუნახავი ვინმე ბრძანებულხარ! — მკვანედ უთხრა ბოლოს და თან ფეხი გადადგა წასასვლელად. — ზოგ კოლმეურნეობას სულ არ ეთესა წელს კომბოსტო. ბევრს ჩითილში შეუჭამა წელიბზეკიამ. მაშ იმათ რაღა ეთქმით?

— არ ვიცი, — გაბედულად წარმოთქვა სესემ. — ვისაც სულ არ აბადია წელს კომბოსტო, მათი სათქმელი თვითონ მათ თქვან. მე კი ჩემი სათქმელი ვთქვი.

— მაინც რა წუნსა სდებ ამ მშვენიერ ნაშუშვარს! — აუწია ხმას რედაქ-ტორმა. სესეც ამ კითხვას ელოდა. მოიგდო ხელსა და სიტყვაში ბასა სამარადნა-შვილის ზურგის გამმაგრებელი, უეცრად დაიხია, ხელი მოავლო კომბოსტოს თავს და უჩვენა:

— შეხედე, კარგად დააკვირდი. ამისთანაო, ეგ როგორ გეკადრება. ჩემ-ბურად კომბოსტო კი არა, კაციყურა ბალახია. ვახედე და ვაზომე თვალით. ერთი მეორეზე შიშაქის თავის ოდენები ძლივს მოყრილან. ეს მოვლილი ბოსტ-ნეული არ არის. წვრილია. თქვენ გგონიათ მარტო რთვილსა და სიცივეში გემოს მისამატებლად შევაჩერეთ ამის აღება? არა, კეთილო, თუ გინდა დამსჯე, გიტ-ყდები — ვიცრუე, ასე რომ მოგახსენე. ამით ჩოხის კალთა მკერდზე შემოვიფა-რე, დაფლეთილი პერანგი დავფარე, არ შეგვნიშნოს უცხომა-თქო. ახლა ნამდვი-ლი ინებეთ: აქამდე განგებ არ ავიდეთ. მურკზე შევინახეთ კარგა ხანს მცენა-რე, იქნება თავებმა წონაში ცოტა მაინც მოიმატონო. მაგრამ არაფერმა უშველა-თავიდან დაჩაგრულმა ჩითილმა ბოლოში ვერ გაიხარა, ასეთი წვრილი დარჩა, დიდი თავი ვერ დაიხვია.

— ამოდენა ფართობზე დარგული ასე ერთბაში კომბოსტო მე ჩემს რაიონ-ში სხვაგან არსად მინახავს. ქვემოთ, ლიხვის, ქსნის, არაგვის პირას უხვად სარ-წყავ მიწებში კი სხვაა. იქ შეიძლება მართლაც არის სადმე უკეთესი. არის კი დევაც, როგორც ამბობენ და სწერენ.



რედაქტორის ამ სიტყვებმა სესე მთლად გადარია. სახეზე აღმურავარდნილი ეცა, ხელი მაგრად დაუჭირა, გასწია:

— ძალიან ვთხოვთ გამომყევით, აგერ ათიოდე ნაბიჯს იქით მე გიჩვენებთ კარგ კომბოსტოს. ეს სამნახევარი ჰექტარი ნარგავი სულ კი არა, სამნახევროდ რომ ისეთი მოვლილი ყოფილიყო, ისეთი ნარგავი გახლდეთ, როგორსაც მე ახლა თქვენ გიჩვენებთ, მაშინ ერქმეოდა ამას კარგი. აღარც მე მექნებოდა სამდურავი არავისთან. ბალი აღა-მეთქი, ტკბილად გეტყოდით ყველას. ბასა სამარდანაშვილი ფალავანია თავმჯდომარეებს შორის-მეთქი, აქ ზემო მხარეში და ლიხტორას კალთას სულ შევძრავდი მისი ქება-დიდებათ.

— აბა, ვნახოთ, წაგვიყვანე, გვიჩვენე, სად არის უკეთესი კომბოსტო! — ყველამ ერთბაშად გამოთქვა სურვილი. სესეს დააიწყა, რომ სტუმრები ბაქნისაკენ მიჰყავდა, ტყაუტყა შემოიკალთავა. გასწია, გაუძღვა ყველას ბოსტნის ბოლოსაკენ. მალე ყორესთან შეჩერდნენ. ვადაბიჯეს თუ არა ქვებზე, თავს წაადგნენ ხუთიოდე ძირ კომბოსტოს. გაცივებული სტუმრები ერთ ადგილზე შედგნენ. მართლა ნავარგევი იყო. ერთ თავს ვაჟკაციც ვერ შეაბურთაებდა ადვილად. ყოველ ძირს გაშლილი საწვიმარი ქოლგის ოდენა ადგილი ეკავა. სესე ერთ-ერთ ძირს მივარდა, დაუჩოქა, გაშლილი ხელები შემოხვია თავს, ვერ შემოაწვდინა. და სტუმრებს გამარჯვებული-გამართლებული კაცის რიხით უთხრა:

— ბევრი არა ვთქვა, სიცრუე არ გამომივიდეს, თითო ამთვანი, ლურჯი ფოთლების გამოკლებით, ფუტს მაინც იწონის. განა არ სჯობდა ჩვენთვის — ხაზრეთლებზე გუებნებით, ქვეყნისათვის — სახელმწიფოზე მოგახსენებთ, სამნახევარი ჰექტარი ჩვენი ნარგავის ყოველი ცალკეული ძირი სულ აგეთები დაზრდილიყვნენ, როგორებიც ეს კარგად მოვლილი ხუთი ძირია?

— მაგას რაღა თქმა უნდა, აჯობებდა, — დაეთანხმნენ სტუმრები.

— მეც მანდა ვარ! — ამაყად წამოიძახა სესემ და წამოდგა. — დიახ, აჯობებდა. ეგ იქნებოდა კარგი და არა ის, რაც გვაქვს სამნახევარ ჰექტარზე.

— მაინც როგორ მოხდა, როგორ გაიზარდა ეს ხუთი ძირი ასე დიდები, ასე კარგები. ამისხენი, თუ კაცი ხარ! — გულწრფელად შეხვეწა რედაქტორი სესეს, დაიხარა. თავებს ხელები მოუთათუნა. სათითაოდ გაუსინჯა. სიმკვრივე. მერე ყოველ ძირს გარს შემოუარა. ერთ მათგანს მაჯის სიმსხო მურკზეც შეეხო. ვეებერთელა წაფისოდენა ლურჯი ფოთოლი მოტეხა, ქოლგასავით ასწია თავს ზემოთ, მოწონებით ჩაილაპარაკა: წვიმა არ ჩამოვივით ამის ქვეშ. ფოტორეპორტიორიც თურმე ამას უცდიდა. უეცრად გადახტა, გადმოხტა. ხან კომბოსტოს დაუჩოქა, ხან რედაქტორს აეტუხა. სესე თალალაშვილს უთხრა, უღვაში გადაისწორე, მკერდი წინ გამოსწიე. მხიარული სახე მიიღე, თუ შეგიძლია, გაციინო. მერე სწრაფად აპარატი თვალებთან მიიღო, ხუთჯერ თუ ექვსჯერ დააწკაპუნა-დააჩხაკუნა პრიალა ზამბარები და მოულოდნელადვე განაცხადა, ყველაფერი მზად არის, ფირი ნეგატივებით მთლად აევისეო.

— თქვენ მკითხეთ: ეგ ხუთი ძირი ასე კარგები რამ გაზარდაო?

შეეკითხა სესე რედაქტორს, როცა ფოტორეპორტიორმა სურათების გადაღება დაამთავრა და აპარატი დახურა.

— დიახ, ძალიან მინდა გავიგო.

— რამ გაზარდა? ჩვენმა ხაზრეთის მიწამ და წყალმა. ვინ გაზარდა? ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბასა სამარდანაშვილმა. მან, რომელზეც თქვენ მითხარით, აუხირდითო ან ახირებინართო. აბა, ახლა, რაკილა საქმე ხელის დადებაზე მიდგა, ყური დამიგდეთ. ხელსაც დავადებ, მის ავსაც ვიტყვი და კარგსაც არ დავუმალავ. მისი სიმართლე იყოს მისი წინამძღოლი, სიმტყუ-

ნე კი — ბეწვის ხიდი. ის ძაღლისნაცხონების შვილი, ბასა, ამ ხუთ ძირ კომბოსტოს თვითონ აყრიდა პეშვით ყოველგვარ სასუქს. წყალსაც თვითონ უსხამდა ძირებში სარწყავად. მცენარეა და კაცის ამაგი შეიშნო. აი, ასეთი თავები გაიკეთა, როგორსაც ხედავთ თქვენი ორი თვალით და მეკითხვებით საიდან და როგორაო. აბა მოჰყერით, სინჯეთ მათი ტომარაში ჩაღება. ვერა, ვერ იხამთ. იმიტომ, რომ არ ჩაეტევა შიგ. ვერც მის სარგო ქულს იშოვით სადმე, თუ საგანვებოდ არ შეაკერინეთ, თავს ხომ ქული აუცილებლად უნდა! — იხუმრა სესემ. ჩაიციანა. მოეწონა ეს სიტყვა. კარგად გამომივიდა, განათლებულ ხალხთან მიჰრის ენა, ნეტავი თაფლო მიყურებდესო.

— მერე, რატომ მთლად, სამნახევარ ჰექტარ ფართობზე ვერ გაზარდეთ ერთბაშად ეგეთი თავები? ხელები თან არა გქონდათ სამუშაოზე, თუ რამე დაგიშალათ?

— ხელებმა რომ წესრიგინაღ იმუშაონ, ამისათვის კაცს მხრებზე კომბოსტოსი კი არა, ჭკუიანი თავი უნდა ებას. ასეთი თავი ჩვენ კოლმეურნეობის ხელმძღვანელს, ჩანს, არ აბია. იქნება აბია ვისმე. არ ვიცი. ჩვენითვის სასიკეთოდ გარჯილ თავს უთუოდ შევნიშნავდით. ვერა, ვერ შევნიშნეთ მოამაგე აღამიანის საცადელი და ამიტომ მოგახსენებთ, რომ საქებარი არა გვაქვს რა. ისე შუახორცად გახლავართ. ჩვენ კოლმეურნეობაზე ცუდ კოლმეურნეობას სჯობია ხაზრეთის კოლმეურნეობა-მეთქი. თქვენზე ცუდი რომელიაო? ის გახლავთ, რომელმაც სულ ვერაფერი დათესა. დათესა და პურეული საქონელმა ამოუგდო, ვრძელცხვირამ ჩითილი მოჭრა, გაზრდილ-გადარგული კომბოსტო თავის დახვევის ალოზე წელიბზეყიამ გამოუხრა. ან ვისაც მუშტის ოდენები გაეზარდა თავები. ესე იგი სულ არაფრის მაქნისს ვჯობივართ. ჰო, ასეა. ჩვენ კიდევ რა გვიშავს! ბარაქალა ხაზრეთელებს. ვერც წელიბზეყიამ დაგვაკლო რამე, ვერც თხებმა გადაგვიკორტნეს ნარგავ-ნათესები. და როგორც დაინახეთ, ისეთი მანც გაეზარდეთ ნარგავი სამნახევარ ჰექტარზე. ამ დამსახურებისათვის რა ვქნათ? დავიპიროთ ხელში ბუკ-ნაღარა, გავიდეთ ლიხქოჩორაზე, მთელ ქვეყანას იქიდ-გან ბაქიბუქით ყურები გამოვუქელოთ, არიქა, მოდით, ნახეთ ხაზრეთში რა სასწაული მოხდაო? არა, ძმობილო, მე მართალია, მხედველობამ მიღალატა, გამჭირახობაც მაკლია ხნოვანების გამო, მაგრამ ცალი თვალი მანც მოგხუქე, გავხედე ჩვენი გამგეობის, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარის მუშაობის კორას და... ერთი მკითხე რა შევამჩნიე, რა დავინახე!

— ჰო, რა დავინახე?

— აფრენისათვის ბევრი ვერაფერი.

— გარკვევით მითხარი.

— არ გვეკუთვნის კარგი კოლმეურნეობის სახელი. ჩვენს თავმჯდომარეზე კი გუშინდელზე უფრო გულახდილად გეტყვი: არ ვიცი, რა სახელი ვუწოდოთ ისეთ კაცს, რომელსაც ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია მთელი სოფლისათვის და თითსაც არ გაანძრევს, რომ თავისი მადლი ვისმე მისცხოს. პირდაპირ ვთქვათ: რაც სათქმელია. გაყევილს ვატეხილი სჯობიაო, ნათქვამია, მიკიბ-მოკიბული ეშმაკის არის, დაე დღესევე ენა მიუტანონ ბასა სამარადნაშვილს, სესემ ასე და ასე შეგამოო, დაე კისერი გადამხერხონ კბილებმოცვეთილი ბირდაბირითა, ჩვენს კოლმეურნეობაში შრომის დაწყობილობა, ცხოვრების გასარივი არ ვარგა. აბა, ხომ გაიგონე, დაუფარავად მოისმინე რა შეხედულებისა ვარ ჩვენი კოლმეურნეობის შესახებ. ამას კიდევ დავუმატებ: კომბოსტო რა არის? არაფერი. სხვა კულტურების მოყვანაშიც ვერაფერს დავიკეხნით. კომბოსტოსი არ იყოს —



მათი ათჯერ მეტის და უკეთესის მოყვანა შეიძლებოდა და ვერ მოგვეყვან. იმ ტომ, რომ გულშემატკივარი არა გვეყავს.

— შენი ძველშავი გიზის ძარღვებში, ის გალაპარაკებს მაგ სიტყვებს, თორემ სხვას რას მივაწერო! — მოუჭრა უცებ სიტყვა სესეს რედაქტორმა და თავი იქვენულად გადააქნა. სესე შეცბა, შეჩერდა, სათქმელი გაუწყდა. თუმცა სულაც არ დაბნეულა, თითქოს საპასუხო სიტყვებს ეძებსო, შორისმხედველი თვალეები გაღმა საციციშვილო მთებს მიაპყრო და, ცოტა არ იყოს, ღვარძლიანად მანაც მოუჭრა:

— ბარაქალა ჩემი ძველშავის აღმას, იმისმა ზედაშემ აშკარად, გაბედულად თურმე ის მათქმევინა შენისთანა მოღვაწე კაცისა და რაიონის მეთაურისათვის, რასაც ფხიზელი ვფიქრობ, რისთვისაც დილით, სამუშაოზე მიმავალს, გული დამწვია. ოღონდ ძალიან გთხოვთ, მაინც ნუ დაეაბრალებთ ჩემ გულახდილობას ძველშავას — თითქოს იმან ამაცუნდრუკა. ყველაფერი ის, რაც შენ აქ გითხარი, გუშინ თუ დღეს გამგეობის კრებაზეც ბევრჯერ მითქვამს. ამიტომაც არ ვუყვარვარ თავმჯდომარეს. ცდილობს ენა მუტელში ჩამიდოს. აკი ამ ბოლო დროს ყბედის სახელითაც მომნათლა. შენ კი ძველშავი გალაპარაკებსო, ე... ე... ე... — გააგრძელა სესემ.

რედაქტორმა უკანასკნელი სიტყვები გულგრილად მოუსმინა სესეს. ოდნე მაშინ სტკვიტა ყური, როცა მოღვაწე და თავკაცი უწოდეს. მერე კი ისევ მოიწყინა, გააზმორა, დამთქნარა, ბეჭებში უწონოდ შეიშმულა. დანარჩენებსაც მოსწყინდათ. ისინი კომბოსტოებს შორის ხბოებივით დაბორიალობდნენ. უცდიდნენ, როდის მოეღებოდა ბოლო „უსარგებლო“ ლაპარაკს. თვალი გზისაკენ ეჭირათ, მატარებელმა არ გაგვასწროსო. ქარმაც წამოუბერა მთებიდან, შინისაკენ კი ფეხი ვერავის გადაედგა. გულში ნადების მთლად ამოყრის ქინზე მოსული სესე უმაღლე იქით უხვდებოდა წინ, საითაც რედაქტორი პირს იზამდა. ერთხელ ღობის ძირს გადაუდგა. მოუყვა რამდენი ძირი ჩითილი ეტევა მწკრივში და ჰეჭტარზე. ცხვრისათვისოდენა თავი თვითეული ორი კილოგრამი იანგარიშა, კარგად მოვლილი თავები კი ათ-თორმეტ კილოგრამად ჩააგდო. ასე დაპირისპირებით ბასა სამარადნაშვილს, სულ ცოტა ყოველ ძირ კომბოსტოზე ათი კილოგრამი დანაკარგი გამოუყვანა. უთავბოლობის, დაუღვერობის, დაზარალების ისეთი ჯამი და სურათი დაუხატა, რომ რედაქტორს შიშით ფერფური წაუვიდა, მუხლები მოეკვეთა და ღვინო გამოუწენელდა.

სესე კი არ ცხრებოდა და გზიდან არ ეცლებოდა.

— მოვაცდინეთ მიწა და რა მიწა! მარტო საბოსტნეს ვინ ჩივის — მთელი ხაზრეთის სახნავ-სათესი, ბაღი და ვენახი გავავერანეთ. აქეთ კოლმეურნეები ვაზარალებთ, იქით სახელმწიფოსაც ვერა ვარგეთ რა ხეირიანად და სიმართლის თქმაც გავგვირვებია, ხან ღვინოს დააბრალებენ, ხან ყბედობას მიაწერენ.

ახლა სესე ძალიან ცხარობდა. მისი ხმა შორის ისმოდა. ხელებს ფართოდ შლიდა, ჯარისკაცურ კირზის ბოყვა ჩექმებს მიწას უბრაგუნებდა. ხანდახან მუშტს გულის ფიცარზე იცემდა. „ვაი დედასა, ვაი დედასა“, — გაიძახოდა. რედაქტორი კი ატუზული ედგა წინ, ვერსაით მიუღიოდა. საბრალოს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს მძარცველს ჩავარდნია ხელში და თავის დაღწევის იმედი გასწყვეტიაო.

ამ გასაჭირიდან ფოტორეპორტიორმა იხსნა. კარგად ნაზარდ სუთიოდენ ძირ კომბოსტოს შორის სესე ჩასვა, მკლავები თავებს შემოახვევინა და ახლა ასე გადაუღო სურათი. დაბოლოს პირში სიტყვა შეაწყვეტინა სესეს, უტიფრად შემოტრიალდა, გაუღმიჭა, მეტად აღარ დამპირდებოთ, უთხრა და ჩამო-

ართვა ხელი გამოსამწვიდობებლად. მას მაშინვე მიჰბაძეს რედაქტორმა და ხოსიამ, რომლებიც ფრთხილობდნენ, სესემ ახალი სალაპარაკო არაფერი წამოიწყოსო, და გასწიეს ბაქნისაკენ. სესე გამოეკიდა, ბაქნამდე მიაცილა. მანამდე თვალი არ მოაშორა მიმავალთ, სანამ ყველანი ვაგონში არ ჩასხდნენ.

— ბიჭებო, ეს რა ვნახე, რა მოვისმინე! — მატარებლის დაძვრის უმაღლესი რედაქტორმა. — ატყდება ხაზრეთში ინტრიგა და მიწვევ-მოწვევა, მაგრამ როგორი! დედა შვილს აღარ მიეშველება. უშვი ხელი ქოჩორსო, გაიგონებთ. კაცი რომ დაშავდება, ამაში ხომ ეკვი არა მაქვს.

ხოსიამ და რეპორტიორმა ერთმანეთს გადახედეს. რედაქტორმა კი მძიმედ ამოიხვნეშა და ლაპარაკი უფრო აღტაცებით და შთაგონებული კილოთი განაგრძო:

— ნეტავი იცოდეთ, რა ღირსეული კაცია ხაზრეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბასა სამარღანაშვილი. რაზეც მიმიმართავს თხოვნით, ან ისე ცალკუბად მომისურვებია რამ, ჯერ მას ჩემთვის უარი არაფერზე უთქვამს, წარბზე ბრუნდალ არ შემოუხედავს. ასეთი კაცი და მეგობარი უნდა გამამტებინოს მაგ ყიამყრალმა სესე თალალაშვილმა? არა, ძმობილო! ჩემგან მაგას ნუ მოელიან.

— მე ერთი უბრალო ხერხით, ძირშივე, ატეხამდე მოვთხრიდი მაგ ინტრიგანს, — სიცილით უთხრა რეპორტიორმა.

— როგორ?! — სცქვიტა ყური რედაქტორმა.

— სესეც მადლიერი გეყოლება და ბასა სამარღანაშვილი ხომ სულ შენს ლოცვა-კურთხევაში იქნება.

— თქვი, როგორ, რა ვიღონო! — შეეხვეწა რედაქტორი, — მე ხომ თავისთავად მადლობელი ვიქნები, რომ საშრომ-საფიქრალს ამაცილებ. სამარღანაშვილსაც ვეტყვი და არც ის დაგტოვებს უპატივეემლოდ, იქნება შენ, რომ იცი, იმაზეც დაგვთანხმდეს. აბა ბედიც ეგ იქნება. უეცრად ქერის ორმოში ამოყოფ თავს.

ფოტორეპორტიორს სიხარულისაგან სახე გაუწათლდა და წამოიძახა:

— გაუშვით გაზეთში ნავარგებ კომბოსტოებთან გადაღებული სესეს სურათი.

— დიდებული მოგონილია! — დაჰკრა ხელი მხარზე რედაქტორმა. — მივხვდი! წარწერას მე თვითონ გაუჟკეთებ კლიშეს ქვემოთ: „ხაზრეთის კოლმეურნეობის ბოსტნეული. სესე თალალაშვილი მის მიერ მოყვანილ კომბოსტოებს შორის“. ეს ხომ აღმოჩენაა. ყოჩაღ! გდაშლის გაზეთს, დაინახავს მის სურათს, წიკითხავს ქვემოთ წარწერას და ხმას აღარ ამოიღებს. ვინ იცის, ბიჭო, კიდევ როცა მოხვალ ხაზრეთში, ძველშავი გასვას. ჰაი, ეგ სულელი!.. დმერ-თმანი, წერა რომ გეხერხებოდეს, ჩემს მოადგილედ დაგნიშნავდი რედაქციაში.

— სურათებს დადამებამდე გამოვავლენ, მაშინვე ცინკოგრაფიაში აფრინე.

— საღამო შორსაა. დაუყოვნებლივ გამოავლინე და მომიტანე რედაქციაში. — შეეხვეწა რედაქტორი.

— ხა... ხა... ხა... აი, როგორ მოხვდა კაცი გაზეთში. — გადაიხარხარა ხოსიამ და ცხრასართულიანი გინებით გაუმასპინძლდა თავის წუხანდელ მასპინძელს.



ღარო სუღაბეჩიძე

ჩვილის სიზმარი

არ ზმანებია მას თინათინი,
იმისი სახის ათინათინი.

იმისი შავი წამწამთა ჩრდილი,
იმისი შავი თვალთა ნათელი.

მულღაზანზარის ველზე გაჭრილი
ვაჟკაცი გმირი და შემმართველი,
არ ზმანებია ორბის მართვენი,
ორბი, შიგ ფრთაში ისრით დაჭრილი.

არ ზმანებია მას უცხო მოყმე,
მკერდადაკაწრული ვეფხვის ბუკალებით,
სიყვარულისგან გახელებული,
ველად გაჭრილი და ნაწვალეზი.

არ ზმანებია ქაჯეთის ციხე,
შიგ ჩამწყვდეული მზე და ქაჯეზი...
არ უტყორცნია ისარი ცისკენ
და არ მოუკლავს მას დურაჯეზი.

არ ზმანებია მას თინათინი,
იმისი სახის ათინათინი.

იმან რა იცის ჯერ სიყვარული
ჯერ მიჯნურობა რა იცის იმან:

დედის კალთაში მოედო რული,
ვინ იცის, ახლა რად გაეღიმა.
ჯერ პატარაა იმისი გული,
ჯერ სიყვარული რა იცის იმან.

ია-იას რომ ჩაეძინება,
ისე ჩასთვლიმა დედის კალთაში,
იას ძილში რომ ჩაეცინება,
ისე იცინის დედის კალთაში.

იავ-ნანაო... ვარდო-ნანაო...

ხედავს:

ვარდების წყალში ბანაობს.
 წყლისპირს ნიავეთან ია ქანაობს...
 ვარდო-ნანაო... იავ-ნანაო...
 შეხედა სავსე მთვარეს... განა ცას...
 ბაღრსა მთვარესა დაგამგვანაო, —
 ასე უგალობს იავნანაო...
 ვარდო-ნანაო... იავ-ნანაო...

გამოუშვირა ხელები დედამ,
 აიტაცა და მიეკრა ზედა,

ძუძუს ჩაავლო უკბილო ნუნა
 ნუნაზე იგრძნო ამო ქავილი.
 იქვე ატმის ხეს რტოჩამოღუნულს
 ძირს ჩამოსცვივდა თოთო ყვავილი.
 ატმის ხეს სიო არხევს, ქანაობს,
 ატმის ვარდებში დგას და ბანაობს.
 კარგო, შეგერგოს რძე მშობელისა, —
 იავ-ნანაო... ვარდო-ნანაო...

ხედავს...

და ვარდის ფურცელზე თხელი
 უთრთის ბაგენი რძეშეუმშრალი.
 დედის მკერდზე აქვს მარჯვენა ხელი,
 ახურავს დედის ნაქსოვი შალი.
 არ ზმანებია მას თინათინი,
 იმისი სახის ათინათინი.

ერთია მისი სიზმარიც, ცხადიც,
 სხვა რამეს ქვეყნად ჯერ ვერა ხედავს.
 დედა-მიწაზე ჯერ ვერც კი დადის, —
 დედის ხელიდან წასვლას ვერ ბედავს.

ჯერ პატარაა იმისი გული,
 ჯერ მან რა იცის სხვა სიყვარული.

გამოეღვიძა ისე, ვით იას
 გაეღვიძება, გაახელს თვალებს,
 წაეფათურა დედის მკერდს ღიას,
 ძუძუო, დედა, ძუძუო, მალე.

იქვე ვარდის ხე დგას და ქანაობს...
 ვარდსა და იას დაგამგვანაო.
 კარგო, შეგარგოს რძეო დედისა, —
 იავ-ნანაო... ვარდო-ნანაო...



ნოქა გვახიძე

შეხვედრის გზებზე

განთიადისას

განთიადისას ვარსკვლავები ჰქრებიან ცაზე,
და მზის სხივები რაღაც უცნობ ნექტარით გვავესებს.

უფრო გარკვევით ნაკადულის ისმის დინება,
ფრთოსნები ღზენით უგალობენ მზის გაბრწყინებას.

მზეს სხივთა შუბით ღამის ბინდი გაუფატრია
და საღღაც, ვიღაც უკანასკნელს ხვდება განთიადს.

მნათობი ცაზე გადმოდგება ვით ოქროს ვერძი,
საღღაც სნეული კი სიკვდილის მოციქულს ებრძვის.

უხვ სინათლისთვის გაიხსნება მრავალი კარი,
ცოლს ესიზმრება დასახვერეტად რომ მიჰყავთ ქმარი.

ვიღაც შორიდან ჩამოსული ნაცნობს დაეძებს,
უსახლკაროებს აღვიძებენ ბადის სკამებზე.

საყვირის ხმაზე წკრიალებენ ფანჯრის მინები,
ნაქეიფარნი ბრუნდებიან ღიმუზინებით.

მდინარე მანდილს შიაცურებს თეთრი ტივივით,
საღღაც ოჯახში გულდამჯდარი ისმის ტირილი.

გარეთ ჩიტები ჰიკჰიკებენ საამოდ ყურთა,
მე ყვრიმალს მითბობს შენი თბილი და წყნარი სუნთქვა.

და ყველაფრისგან ჯავშნადა მყავს შემოხვეული
უტკბილესი და უმკვრივესი შენი სხეული.

და ქვეყნად კარგი, შენებრ კარგი აღარ მეგულვის,
ისევ და ისევ გეწაფები დახარბებული...

განთიადისას ვარსკვლავები ჰქრებიან ცაზე
და მზის სხივები რაღაც უცნობ ნექტარით გვავესებს.

დიდი ქვეყანა

ახალგაზრდობა შეუმჩნეველად მიფრინავს ისე,
ვით მეტეორი მოწყვეტილი ზეციურ სივრცეს...

მე ახლა თავზე დამკაშკაშებს მთვარე ნათელი,
და მიხარია, და ვამაყობ რომ ვარ ქართველი.

მე ვგრძნობ სიმალღეს მაღლა აწვდილ კავკასიონის,
მე ვგრძნობ ძარღვებში როგორ მიჩქეფს ტალღა რიონის.

მე ხარბად ვსუნთქავ ნაწვიმარი ბელტების სურნელს,
ვაჟა ფშაველას აქრეოლებდა ეს განცდა თურმე...

მე მიყვარს ჩემი წმინდა მიწის ყველა მტკაველი
შირაქის სივრცე, ქართლის ზეცა, რაჭის მთა-ველი.

მე ვიცი მისი სიყვარულის შორიდან განცდაც,
მე ელბა ვნახე ცხენისწყალთან გაზრდილმა კაცმა.

ვნახე მოსკოვი, ვნახე მინსკი, ბერლინიც ვნახე,
და მულამ თვალწინ მქონდა ჩემი სამშობლოს სახე...

ახალგაზრდობა შეუმჩნეველად მიფრინავს ისე,
ვით მეტეორი მოწყვეტილი ზეციურ სივრცეს.

ვიცი, ქვეყანა ვრცელია და საოცრად დიდი,
ბევრია გზაც და ასე ბევრი საზღვარიც, ხიდიც...

ვიცი, საზღვარი ვერ აჩერებს შუქნათელ მზესა
და ვწყველი, ქვეყნად ჯებირები ვინც დააწესა.

ეს რომ არ იყოს, მე ვნახავდი ლონდონს და პარიზს,
ვიგრძნობდი სითბოს ესპანელთა ლამაზი მხარის.

ვენეციაში მოვისმენდი ზარების რეკვას,
და ტოკიოში გეიმების ვნახავდი ცეკვას,

მუშაირაში გავიწვევდი ინდოელ პოეტს
და ჰაეაიზე ვილოცებდი „ალოპა ოეს“.

მექსიკურ რანჩოს ერთ სიმღერას ვეტყოდი სწორედ,
არგენტინაში გულს ვუძღვნიდი ლოლიტა ტორესს...

თუკი სადმე შემხვდებოდა გზაზე,
იქნებ მეთქვა ასე:

ეს ბუენოს აირსი
სიმღერა და არის ლექსი,
მხოლოდ შენთვის ჩამოვსულვარ,



სიყვარულის ბანგი შევეცი,
 თუმცა თქვენი მხარეც მიყვარს,
 მზიბლავს თქვენი ელვარე მზე;
 მოგიტაცებ და წაგიყვან
 კავკასიის მწვერვალებზე...

და სანამ ქვეყნად ჯებირები არსებობს მაინც,
 პარიზს ვერ ვეტყვი ალბათ „ბონჟურს“, ლონდონს—„გუდ ბაი“,

მუდამ შევნატრებ ცაში მქროლავ ფრინველს და მზესა
 და ვწყევლი, ქვეყნად ჯებირები ვინც დააწესა...

ახალგაზრდობა შეუმჩნევლად მიფრინავს ისე,
 ვით მეტეორი მოწყვეტილი ზეციურ სივრცეს...

და შევტრფი იმ დღეს, მზე რომ მოჰფენს სხივებს
ყველგანა
 და ჯებირები არ ექნება დიდსა ქვეყანას.

უცხო კაბარე

ო, გესალმები, გესალმები, უცხო კაბარეც,
 მე ახლა მინდა, რომ ვიცესხო შენგან სიმთვრალე.
 მე ჩემს სიფხიზლეს შენ ჩაგაბარებ,
 შენგან კი მოვითხოვ ღვინოს და იმ თვალებს
 ასე ვნებიანად რომ მიყურებენ,
 და იმ ტუჩებს
 ახლა რომ ყურში ჩამჩურჩულებს —
 „ჩემო ძვირფასო“

ო, რა საოცრად როკავენ და მადლა ნტებიან,
 გადახლართულან, უცნაურად იგრიხებიან,
 ალბათ ამ ღვინოს მათი ქკუაც თან წაჰყოლია,
 ეს „ჩა-ჩა-ჩა“ თუ „როკ-ენ-როლია“...
 მომისმენია თეთრ დუქანში გეოს არღანი,
 გეოს არღანიც ასე მოშლით მგონი არ ბღავის...

ო, ფროილიან, მპატიეთ, ძვირფასო ჩემო,
 მაგრამ ვერაფრით ვერ გავიგე ამ „შნაპსის“ გემო.

მომეცით ღვინო საგანგებოდ გაღანახული,
 რაინის მოგაქვთ? არა, მე მსურს კარღანახული...

ო, გმადლობთ, დანკე,
 და მე ახლა იმ თეთრ მადონას,
 ტუჩების შეღებვას მთელი საათი რომ მოანდომა,
 მე ჩამოვაცლი წითელ საღებავს,
 დაე, ისწავლოს ჩვენებური ვნების აღებაც...

მისი კბილები მაგონებენ ბრწყინვით მინანქარს,
აჰ, ეს თვალები მე საღ მინახავს...

პოი, სადა ხარ ნეტავ ახლა, ჩემო ძმაკაცო,
რომ აქაური ლხინის რიგი შენაც გაგაცნო...
გაიცინებდი, რომ გენახე აქ, კიქით ხელში,
არა, სხვა არის მაინც ჩვენი პურ-ღვინის ეშხი,
სხვა არის ჩვენი სუფრის გემო და სიტკბოება,
ვაჟკაცობით და რაინდობით სავსე პოემა.

...და მე კი, როცა გადმოვლახე ბევრი მთაბარი,
ჩემს წინ ელვარებს, მღერის, ცეკვავს მთელი კაბარე.


და აქაც ქართულ ქეიფით ვარ ღამის მთევარი...
ო, ამ ბიფშტექსზე რა იქნება ახლა ტყემაღლ..

ბტიან, მღერიან, ეხვევიან ერთუროს მთვრალეები,
მოურიდებლად კისკისებენ ვიღაც ქალები...

ერთი მათგანი გულმოხდილი, და მთვრალი სულმთლად,
ვნების ამწლელი ტანის რხევით მოადგა სუფრას...
ო, ფროლიანი!..

მე ჩემს სიფხიზლეს მას არ ვაბარებ,
ვიხურავ ქუდს და ვეთხოვები უცხო კაბარეს.
თან ვთხოვ, სხვაგვარად არ მიიღოს ჩემი სტუმრობა,
არამედ ისე,
როგორც ხუმრობა,
როგორც იციან სამხრეთელმა ტოლუმბაშებმა,
როგორც უბრალო
პოეტური ვათამაშება.





„ფოლადის ფრთებზე“

ოთარ ჩაჩაიაშვილი

საბჭოთა კავშირის გმირი

დასაწყისი ფრთხილზე

ძოლბა და პარაშუტი

ცეცხლივით წითელი მზე ნელა ეშვება დასალიერზე. ზეცას ალაგ-ალაგ გაჰკვრია თხელი, აელვარებული ღრუბლის ფთილები. ორი მათგანი მოგრძო ზოლად ისე გაშლილა, ისე ლამაზად მოხაზულა მნათობის ორსავე მხარეს, რომ გეგონებთ — ეს მზე და ღრუბლები კი არაა, რაღაც ზღაპრული ვეებერთელა ფრინველია, რომელსაც ფრთები მთელ ცაზე გადაუბოტებია და ოდნავი რხევით მიიწვეს დაბლა, სულ დაბლა, ვრცელი ქალებისაკენ, შორეული ჰორიზონტისაკენ, რათა იქ რომელსამე გორაკზე ჩამოჯდეს და ფრენით დაღლილმა ცოტაც არის შეისვენოსო.

— ოთარ, შე კუდიანო, სად ხარ, სად დაიკარგე!.. მომინელებს ის ბიჭი!.. მიდი, კაცო, მიიარ-მოიარე ქუჩა, იქნება ნახო სადმე, თორემ რამე რომ მოუვიდეს, რაღა პირით შევხედო მამამისს!.. — არღვევს ეზოში დასადგურებულ მყუდროებას მაღალ-მაღალი მოხუცი ქალის ხმა. იგი თავსაფრის სწორებით ჩამოდის სახლის კიბეზე და შეწუხებული აქეთ-იქით იყურება.

— მოეშვი, ქალო, გაირბენს ბოვში, აბა რას იზამს, შენი ხნის ხომ არაა, — დინჯად ეპასუხება სანდომიანი სახის ჭარმაგი ბერიკაცი, რომელიც იქვე, მწვანე ეზოში გამართულ სკამლოგინზე ჩამომჯდარა და რაღაცას თლის თუ აკოპიტებს. — მარჯვე ბიჭი იზრდება, ენაცვალოს ბაბუამისი!

— ენაცვალოს, ენაცვალოს!.. — კიდევ უფრო წყრება მოხუცი ქალი. — იმდღევანდელივით რომ რიონზე იყოს წასული თეთრი ხიდიდან სახტუნაოლ, რას აპირებ, მითხარი, რას აპირებ, ა?

ეტყობა, ამ წუთას იგი თვითონაც ცხადად წარმოიდგენს, თუ როგორ ხტება ხიდიდან ბობოქარ მდინარეში მისი ცამეტი წლის შვილიშვილი, მისი სათაყვანებელი ოთარი, და კიდევ უფრო მძაფრად შეუტყვეს ბერიკაცს. მის გაკაპანებას დინჯი ბაბუა უწყინარი დიმილით ხედება. ამაზე ბებია სულ გადიარევა, აქეთ მიაწყდება, იქით, ბოლოს ღობეს ეცემა და მესობელ ეზოში გადასძახებს:

— გოგია, უ-უ, გოგია-ა! ოთარიკო ხომ არ დაგინახავს სადმე? — და რაკი გოგისგანაც ვერაფერს შეიტყობს, გამწარებული ისევ ქორივით დააცხრება თავზე თავის აუღელვებელ მეუღლეს და ხელახლა იმართება ცხარე პაექრობა.

ხოლო ის, ვის გამოც ამოდენა ალიაქოთი ატყდა ეზოში, არხეინად წამოსკუბულა ერთსართულიანი სახლის სახურავზე, მოკეცილ მუხლებზე ხელები



მკილროდ შემოუხვევია, ნიკაბი მუხლებზე ჩამოუდვია და მეოცნებე თვალბრწყინვალე გასცქერის შორეთს. ისე დანთქმულა თავის ფიქრებში, რომ არც კი პასუხობს ბებიას ძახილზე.

შორს, ძალიან შორს, იქ, სადაც ცის კაბადონი ჰორიზონტს უერთდება, ვეება, ფრთებგამოსხმული მზე უკვე ჩამომჯდარა სივრცეში გაკლავნილი მთების ერთ-ერთ ქიმზე. საცაა ამ ქიმიდანაც შეიფრთხილებს და ნელ-ნელა ჩაცურდება მთების ვადალმა. ამბობენ, იქ ზღვა არისო, შავი ზღვა (ნეტავ ანახა მაინც, როგორია ზღვა!). ცოტა მარცხნივ, სადამდისაც თვალი გასწვდება, ვაშლილია ვრცელი ჭალები, სოფლებით, ტყეებით, ყანებით და ბალ-ვენახებით ათასფრად აფერადებული და ჭადრაკის დაფასავით სწორ ნაკვეთებად დაყოფილი (ამ ვრცელ ველს კოლხეთის დაბლობი ჰქვიაო, აუხსნა სკოლაში მასწავლებელმა). კიდევ უფრო მარცხნივ ნაბღიანი კაცებივით ერთიმეორეზე მიყრილი გორაკები, გორები და დიდრონი მწვანით შემოსილი მთები ჩანს (ეს გურიისა და იმერეთის მთებიაო, უთხრეს). თუ თვალს ზემოთ ამოაყოლებ, დაინახავ ლურჯ ზოლად გადაჭიმულ აჯამეთის ტყეს, ცოტა ქვემოთ — ჭალებზე დაკლავნილ რიონს, მის ნაპირებზე გაშენებულ სოფლებს. მათ შორის ყველაზე დიდი სოფლის სახელი სახურავზე მჯდარმა ბიჭუნამ სულ ახლახან ისწავლა: იმ სოფელს გეგუთი ჰქვია. წინათ იქ ქართველი მეფეების დიდებული სასახლე მდგარა თურმე...

ყველაფერი საოცრად ლამაზია, ნაირ-ნაირად აფერადებული, ყველაფერი თავისკენ გიზიდავს — დაისის სხივებით განათებული ზეცაც, ლურჯი მთების ზოლიც, შორეული ჭალებიც, რიონიც, აგერ, სულ ახლოს, ამ სახლისა და ეზოს ქვემოთ გაშენებული ქალაქიც... გინდა ყველგან მიგიწვდეს თვალი, ყველაფერი იხილო, გინდა, რომ ფრთები გამოგესხას და შეძლო გაფრენა საითაც გული გაგიწევს...

ამ აზრის გაელვებისას ბიჭუნა შემკრთალი მიმოიხედავს: ხმამაღლა ხომ არაფერი უთქვამს, უნებურად ხომ არ გაუმქდავებია თავისი სანუკვარი ოცნება, აგერ, ერთი წლის მანძილზე ნაჩუმარი საიდუმლო!.. არა, არაფერი უთქვამს და, გინდაც ეთქვა, ირგვლივ გამგონი არავინაა. მხოლოდ მესერს ვადალმა, ვიწრო შუკაში ბებია გასულა და მას უძახის, საცურაოდ ან სათევზაოდ გაპარული თუ ჰგონია.

მაგრამ ბიჭუნას ახლა არავისთვის არა სცალია, მას თავისი განუშორებელი ფიქრი და ოცნება უხმობენ...

მაშ ასე: მართლაც კარგი რამ იქნება, ფრთები რომ გამოასხა და გააფრინა შორს, შორს... მაგრამ ფრთები და მფრინავი ხალიჩები მხოლოდ ზღაპრებშია. ეს მან კარგად იცის, ბავშვი ხომ აღარაა. არც ისე გულუბრყვილოა, რომ სერიოზულად ინატროს ფრთების გამოსხმა. არა, ის უფრო დიდ რამეზე, ბევრად უფრო საინტერესო რამეზე ოცნებობს: მისი სურვილია, უკვე ერთი წლის დაუოკებელი სურვილია, მფრინავი იყოს, თვითმფრინავში იჯდეს და ცაში დანავარდობდეს. რა კარგი იქნება, ერთ დღეს თავის სახლს რომ თავზე გადმოუქროლებს დაბლა, სულ დაბლა, იმდენად დაბლა, რომ ბებიაც და ბაბუაც კი დაინახავენ, იცნობენ, გაოცებულნი და აღტაცებულნი ხელს დაუქნევენ. თუ გოგიაც იქვე იქნა, ამას რაღა აჯობებს: გაკვირვებისაგან და შურისაგან პირი ღია დარჩება. მერე, აეროდრომიდან შინ დაბრუნებულს რომ ნახავს, თვითონვე შეეხვეწება — ჩემს ველოსიპედზე დაგსვამო; მაგრამ ნურას უკაცრავად, ზედაც აღარ შეხედავს გოგიას დანჯღრეულ ველოსიპედს, აქამდე რომ დიდი რამე ეგონა და დღემუდამ იმას ეხვეწებოდა — ცოტა ხნით დამაჯინე, ერთს მოგუხვევ ჩვენს ქუჩაზე და



მერე ისევ შენი იყოსო. დიახ, ვიღას დააინტერესებს გულხარბ გოგობას ველო...
სიბავდი! იჯდეს თვითონ და ისეირნოს ამ მტერიან ქუჩებში...

... უფრო უკეთესი კი ის იქნება, თავის სახლს თავზე რომ გადმოუფრენს, პარაშუტით გადმოხტეს, შიგ შუა ეზოში, სკამლოგინზე ჩამომსხდარ ბაბუასა და ბებუას წინ დაეშვას და, ვითომც აქ არაფერიაო, დინჯად, ბაბუამ რომ იცის, ისე დინჯად და აუჩქარებლად იკითხოს: თბილისიდან წერილი ხომ არ მოსულაო. აბა საქმე ეს იქნება! მაგრამ პარაშუტით ხტომა რომ არ იცის! იქნებ ძალიან ძნელი გამოდგეს, ჰა? რაც უნდა იყოს, თვითმფრინავი საშინელი სისწრაფით მიჰქრის და იქიდან რომ გადმოიხედავ, თვალი არ ავიჭრელდება? თუმცა რა უნდა იყოს ასეთი ძნელი? თავდაპირველად თეთრი ხიდიდან რიონში გადაშვებაც ძნელი რამე ეგონა, ცოტათი, ცოტათი კი არა, კარგა გვარიანდაც ემინოდა, მაგრამ სულ მალე შეეჩვია და ახლა ისე არხეინად ისკუბებს ხოლმე, თითქოს სკოლაში კიბის მეშვიდე საფეხურიდან გადმომხტარიყოს. ალბათ თვითმფრინავიდან გადმოხტომაც ასევე იქნება: ერთს გადმოიხედავ, ცოტათი გული შეგიკრთება, მერე კი (ვაჟაკი არა ხარ!) გადმოეშვები თავდაყირა, პარაშუტი გაიშლება და ფრრრ...

— თათარ! აი სად ყოფილა თურმე! ადექი ახლავე!

საკვირველია, აქამდე ბებუას ძახილი ისმოდა, ახლა კი ვიღაც კაცი უხმობს, თანაც ბაბუას ხმასაც არა ჰგავს... ვინ უნდა იყოს?..

— ადექი-მეთქი, საქმე გვაქვს შენთან! რას ვაგეტრებულხარ, ზვალინდელ გადმოხტომაზე ხომ არ ფიქრობ?.. აი შე მხდალო, შენა! ნუ გემინია, გაიშლება პარაშუტი!.. ხა-ხა-ხა!..



სახლის სახურავზე მჯდარი ბიჭუნა, ჩამავალი მზე, მთები, ჭალები, ძირს გაშლილი ქალაქი და ეზოც სადღაც გაჰქრა. აღარც ბებუას ხმა მოისმის. დაბნეულმა მიმოვიხედე: რკინის საწოლზე გულადმა ვწევარ, ზემოთ თეთრად შეღებილი ჭერი ჩანს, საწოლთან კი ჩემი მეგობრები — უშანგი, ვასო და შალვა მომდგარან და ხარხარებენ.

— ჰო, ჰო, გამოფხიზლდი! თვალღიას რომ დაგიძინია, კურდღელი ხომ არა ხარ? — ხარხარებს ვასო.

— ადე, კლუბში ბიჭები გველოდებიან. იაცენკოს უთქვამს — ვინაა თქვენი ჩეჩელაშვილი, თხუთმეტ წუთში ისეთ შამათს გამოვუცხოვ, დედოფალს ეტლში ვედარ არჩევდესო. ჩვენ სანაძლეო ჩამოვედით — წაგებულნი ყველას კინოში გვაბატყობს. აბა შენ იცი ესლა! — ეს შალვა მექაჩება სახელოზე.

— ძალიან მიგიქარავთ, რომ უჩემოდ დანიძლავებულხართ. — ამოვიღე ხმა უკვე სავსებით გამორკვეულმა. — სულ არა ვარ ჭადრაკის გუნებაზე, დღეს არ ვითამაშებ.

— ბიჭოს, ამან მართლა თავი არ დაიფასა?!.. — გულწრფელად გაუკვირდა უშანგის. — ადე, თორემ ფეხით წაგათრევთ კლუბამდე!

— არ ვითამაშებ-მეთქი! მომწყდით თავიდან!..

— ისე ითამაშებ, რომა!..

— არა-მეთქი!

— მოეშვი, კაცო, მოეშვი! — განაწყენდა ვასო. — ხომ ხედავ, კაცი წამხდარა: ზვალინდელ გადმოხტომაზე ფიქრობს და გული უსკდება.

— ეგ ზვალ გამოჩნდება, ვის უსკდება გული!



— გამოჩნდება და გამოჩნდეს! — რატომღაც აყვირდა ვასო. — ერთი...
ხოთ, რა ბიჭიც იქნები! წამო, წამო, თავი გაანებე! მე ვეთამაშები იაცენკოს. მე მოვიგებ იმ სანაძღვოს...

ბიჭები ოთახიდან გაიკრიფნენ. ვწუხდი, რომ ასე ვაწყენინე, მაგრამ ახლა არც მათთან ლაზღანდარობის თავი მქონდა და არც ჭადრაკის თამაშისა. გული და გონება სხვაგან მეწეოდნენ; იქ, შორს, ქუთაისში, კოხტა ერთსართულიანი სახლის სახურავზე მჯდარ ბიჭუნასთან სურდათ დაბრუნება.

თვალეები დავსტუქე და ჩემს წარმოსახვაში ისევ აღდგა წედანდელი მომჯადოებელი ლანდშაფტიც, ბებიას ძახილიცა და მეოცნებე ბიჭუნაც.

იმ ბიჭუნას სახელი და გვარიც ოთარ ჩიჩელაშვილი გახლდათ. ჩვენს შორის მხოლოდ ის განსხვავება იყო, რომ მას ცამეტი წელი ახლახან შესრულებოდა, მე კი უკვე ჩვიდმეტი წლის ჭაბუკი გახლდით, ის ქუთაისში იმყოფებოდა, მე კი ქუთაისიდან ძალიან შორს, ზღვისპირა ქალაქ ეისკში, ის მეექვსე კლასის მოსწავლე იყო, მე კიდევ ეისკის სამხედრო საზღვაო-საავიაციო სასწავლებლის კურსანტად ვირიცხებოდი.

მაგრამ მცირე ხნით ისევ იმ პატარა ოთარ ჩიჩელაშვილს და მის ოცნებას დავუბრუნდეთ.



ახლა ველარაფრით გამიხსენებია, როდის აღმეძრა მფრინავად გახდომის დაუცხრომელი სურვილი. იქნებ მაშინ, როცა ქუთაისის აეროდრომზე პირველად მოვხვდი, მფრინავმა ჩინჩალაძემ (მისი გვარი არასოდეს დამავიწყდება) თავის თვითმფრინავში ჩამისვა და ათიოდე წუთს მასეირნა ჰაერში, თანაც იმდენად კეთილი კაცი გამოდგა, რომ ამ ვეება საჰაერო მანქანის საქეც კი დამაჭერინა ხელში. ან იქნებ ჩვენი სახლის სახურავზე მჯდომარე ცაში მონავარდე თვითმფრინავებს თვალს რომ ვადევნებდი, ერთბაშად იფეთქა ჩემში ამ გრძნობამ. ყოველ შემთხვევაში, ერთი წელი იყო, ეს სურვილი მოსვენებას არ მაძლევდა. საღაც უნდა ვყოფილიყავი — შინ თუ სკოლაში, მდინარეზე თუ ქუჩაში — ყველგან, ყოველთვის თან მსდევდა ეს აუხდენელი ოცნება. ერთავად მეღანდებოდა მოგუგუნე თვითმფრინავი, სათვალისანი ბილოტი (რალა თქმა უნდა, ის ბილოტი მე თვითონ ვიყავი), „მკვდარი მარყუყები“ და ჰაერში ლამაზად აფრიალებული პარაშუტი.

ამ გატაცებას აყოლილი ჩვენი სკოლის ნორჩ ტექნიკოსთა წრის წევრი გავხდი და დიდი ხალისითაც ვმუშაობდი კაბინეტში.

... სკოლის დირექტორმა პლატონ წულუკიძემ, რომელიც მათემატიკას გვასწავლიდა, ერთხელ კიდევ გაგვიმეორა წილაღის წილაღზე გამრავლების წესი, დაფისკენ შეტრიალდა, ცარცი აიღო და მაგალითების ჩამოწერას შეუდგა. მთელი კლასი გაფაციცებული თვალს ადევნებს მის მოძრაობას. მოსწავლეები გატრუნული სხედან.

— ...ზზზ-ზზზ, — აზრილდა უეცარად რაღაც და ჰაერში შეინავარდა პატარა თვითმფრინავმა, შემდეგ კედელს შეენარცხა და „უხულოდ“ დაეცა იცტაკზე.

... მოსწავლეთა შემკრთალი, დაბნეული და შეშინებული სახეები, კლასისკენ იჩქითად შემოტრიალებული გაფითრებული მასწავლებელი. რამდენიმე მოსწავლის გულს ბაგა-ბუფი გააქვს.

— ვინ აუშვა მოდელი?

სამარისებური სიჩუმე. პასუხს არავინ იძლევა.

— ვინ აუშვა-მითქი? — დირექტორმა მრისხანედ ჩამოისვა ხელი წვერზე.
— მე ავუშვი, პატივცემულ მასწავლებლო!..

ყველანი შეტრიალდნენ იქითკენ, საიდანაც ყრუდ, მაგრამ მტკიცედ ნათქვამი ეს სიტყვები მოდიოდა. იქ ფეხზე წამომდგარიყო მაღალ-მაღალი, ცისფერთვალა ბიჭუნა.

— ქორქია, დატოვე კლასი! გაკვეთილის შემდეგ მოვილაპარაკებთ!
ოთარ ქორქია აუჩქარებლად გაემართა კარებისაკენ.

„არა, არ იქნება, ჩემი გულისთვის ოთარი რატომ უნდა დაისაჯოს?“ — ამის გაფიქრება მოვასწარი და ფეხზე წამოვიჭერი:

— ტყუის, პატივცემულ მასწავლებლო, მოდელი ჩემია, მე გავუშვი!

— შენ თვითონ ტყუი! — შემობრუნდა კარებთან მისული ოთარი და რატომღაც გაგულისდა, მწყრალად შემომხედა. — არ დაუჯეროთ, მასწავ... ჩემი მოდელია!

— პატივცემულ მასწავლებლო! — გაისმა ახლა მესამე მოსწავლის ხმა. — ორივე ძალად იბრალებს, მაგათ არ გაუშვიათ, ჩემი მოდელია ... — და მიშა ფიხხაძეც ფეხზე წამოადგა.

ეს კი მეტისმეტი იყო.

ზოგიერთ მოსწავლეს ხმაძალა გაეცინა, თვით დირექტორმაც ვერ შეიკავა ლიმილი. სხვებთან ერთად მანაც კარგად იცოდა, რომ ოთარ ქორქია, მიშა ფიხხაძე და მე განუყრელი მეგობრობით ვიყავით დაკავშირებული. ახლა ყველა მიხვდა: დამნაშავე უეჭველად ერთი ამ სამთავანი უნდა ყოფილიყო. მაგრამ რომელი? ალბათ ის, ვინც საათობით იჯდა ხოლმე ტექნიკოსთა კაბინეტში, რადაცას ჩხირკედლაობდა და კლასშიც, გაკვეთილების მსვლელობის დროსაც თვითმფრინავებსა და პარაშუტისტებს ჯღაბნიდა ქაღალდზე. ასეთი კი ამ სამთავან მხოლოდ ერთი იყო — ოთარ ჩეჩელაშვილი.

და როდესაც გაკვეთილის დამთავრების ზარი დაირეკა და სამივენი დირექტორის კაბინეტში აღმოვჩნდით, მე შეეძელი ეჭვიმუტანელი საბუთებით დამემტკიცებინა, რომ მოდელი ჩემი გაკეთებული იყო და ჩემს გარდა მის გაშვებას ვერავინ შეძლებდა.

ამ მხრივ გავიმარჯვე, ჩემს სიტყვებში ეჭვი აღარავის შეუტანია, მაგრამ, რასაკვირველია, მაღლობაც არავის გამოუტყდადებია ლამაზი მოდელის დამზადებისა და გაკვეთილის დროს კლასში გაშვებისათვის. მაღლობა არც ჩემი მეგობრებისათვის უთქვამთ. ეს კია, გაწყრომასთან ერთად გავვიმარტეს, რომ ჩვენ ამხანაგობა-მეგობრობა მთლად სწორად არ გვესმოდა და რომ ვერაფერ ვაყკაცობა იყო მეგობრის „გადარჩენის“ მიზნით სხვის მიერ ჩადენილი დანაშაულის საკუთარ თავზე გადაბრალება.

იმავე დღეს სამივენი რიონის პირას, ჩვენს საყვარელ საბანაო ადგილას, ცხელ სილაში ვიწვექით და ერთიერთმანეთზე ოდნავ „გაბუტუნლი“ ველოდით — ვინ იტყოდა პირველ სიტყვას.

ბოლოს ოთარი და მიშა თითქმის ერთდროულად აღაპარაკდნენ. ორივე მე მადანაშაულებდა — ყველაფერი შენი ბრალიაო, შენთან ამხანაგობა არ შეიძლება, გაუტანელი ხარ, მატყუარა, ჩვენზე სულ არ ფიქრობო. თუ ისეთ ლამაზ მოდელს აკეთებდი, ჩვენ რატომ არაფერს გვეუბნებოდით, რატომ გვიმაღავდიო. ვითომ რა, მაინცდამაინც უნდა გემეტჩირა და ყველასთვის მოულოდნელად გაკვეთილზე გავეშვაო!?

რაღა თქმა უნდა, მე ჩემი ვუფხარი, იმათ თავისი თქვეს, ბოლოს, როცა



ერთობ გავცხარდით და გავწიწმადით, ასეთი რამეც მომახალეს: ძალიან-ძალიან გაიპრანჭე და შენი თავი დიდი ვინმე გგონია, ერთი გვანახე მაინც — რა შვილი მფრინავი ხარ, რა შეგიძლია, თორემ მოდელების გაკეთებას რა დიდი ამბავი უნდა, რომ მოვიწოდოთ, ერთ კვირაში ჩვენ უკეთესებს გავაკეთებთო.

ამის მოთმენა კი აღარ შემიძლო. როგორ, ჩემს მფრინავობაში ეჭვი შეიტანეს? მერე ვინ — საუკეთესო მეგობრებმა. სხვები რაღას იტყვიან? მაშ იმ დაწყევლილმა მოდელმა მფრინავის სახელის ნაცვლად ბაქიას სახელი შემძინა?! არა, არა, ბიჭებო, მაგას არ გათქმევენებთ; სულ მალე, დღესვე, ამ საღამოსვე დაგიმტკიცებთ, რომ ჩემი მფრინავობა ფუჭი ტრაბახი როდია!..

რაკი ასეა, ამ საღამოს ჩემთან მოდი, ბებია და ბაბუა შინ არ იქნებიან, საინტერესო რამეს განახვებთ-მეთქი.

გადავწყვიტე იმ საღამოს მათთვის გამემხილა ჩემი საიდუმლო — ჩვენი სახლის სახურავიდან პარაშუტით ჩამოხტომის განზრახვა...

ერთ წვიმიან დღეს ელისაბედ ბებია ძალიან გაცოცდა, როდესაც ნათესავთან წასასვლელად მომზადებულმა დიდხანს ეძება, მაგრამ მაინც ვერსად მონახა თავისი ძველთაძველი ქოლგა. რას წარმოიდგენდა, რომ მისი ქალიშვილობის დროინდელი ეს ძვირფასი სამახსოვრო ტანისამოსის კარადიდან სხვენზე გადასახლებულიყო და იქ უცნაურად შეცვლილიყო: ზედ ვიღაც ხელოსანს თეთრი, ცისფერ ზოლებდაყოლილი ნაჭერი გადაეკრა, ქოლგის ტარი და სამაგრებიც ქსოვილებით, ზიზილ-პიპილებით და ფოჩებით აეჭრელებინა, ერთი სიტყვით ქოლგიდან შეექმნა რაღაც ძალიან უცნაური საფრთხობელა, რომლის დანიშნულებას ვერაფრით ვერ გამოიცნობდით.

თვით ამ უცნობი ხელოსნისათვის რომ გეკითხათ — ეს რა არისო, ერთობ განაწყენდებოდა და შეურაცხყოფილი მოგიგებდათ — რა უნდა იყოს, ვერა ხედავ, როგორი პარაშუტი გავაკეთეო!..

დიახ, ეს გახლდათ ჩემი ნახელავი „პარაშუტი“, რომლითაც, ჩემის აზრით, უახლოეს მომავალში საფრენოსნო პრაქტიკა უნდა დამეწყოს.

იმ საღამოს ბებიაჩემმა კარგა ხანს იბუზღუნა, მაგრამ ბოლოს მაინც რაღას გააწყობდა — უქოლგოდ გავიდა სახლიდან.

გავიდა ერთი კვირა. ჩემმა ქმნილებამ იმდენად დასრულებული სახე მიიღო, ისე დამშვენდა, ნამდვილ პარაშუტს ისე დაემგვანა, რომ ეთქვათ, მისი დანხარებით არამც თუ სახურავიდან, მგონი ცაში აჭრილი თვითმფრინავიდან გადმოხტომასაც კი დაეთანხმდებოდი. საქმე დაყოვნებას არ ითმენდა. სხვენზე გამართულ ხანმოკლე თათბირზე, რომლის წევრებს მხოლოდ მე და ჩვენი ხატაურა ფისუნია შევადგენდით, გადაწყდა: ამხანაგებისაგან ნამალევად დამზადებული თვითმფრინავის მოდელისა და პარაშუტად გადაკეთებული ქოლგის გამოცდა უნდა მომხდარიყო ერთსა და იმავე დღეს — 14 მაისს, შაბათს. როგორც ვნახეთ, მოდელის გამოცდა წარმატებით დაგვირგვინდა, ახლა ჯერი პარაშუტზე იყო მიმდგარი.

საღამო ხანს ბებია და ბაბუა ნათესავებთან სტუმრად გაემართნენ, ამბავი დაადგეს — ცხრა საათისთვის დაებრუნდებოთო. შინ დავრჩით მე და ჩემი მამიდაშვილი, 16 წლის ჭაბუკი გიგლა, რომელსაც, კარგად ვიცოდით, ამ მშვენიერ საღამოს სული და გული თანატოლებისაგან მიუწევდა, მაგრამ ჩემი მარტოდ დატოვება არ უნდოდა და სახლიდან ფეხს არ იცვლიდა. მამინ მე მცირე ხერხი ვიხმარე: მაგიდას მივეჯექე, სახელმძღვანელოები და რვეულები გადავშალე და „გაკვეთილების გამეორებას“ შევუდექი. ვკითხულობდი, ვწერდი, თანაც



ვბუზღუნებდი: რა არის, რამდენ მასალას გვაძლევენ გასამეორებლად, ხვალ დილაამდე მოვუნდები-მეთქი.

ჩემმა ხერხმა მალე გასკრა. გივლამ ერთხანს იბორიალა ოთახში, შემდეგ წიგნის წაკითხვა სცადა, მაგრამ გული ვერ დაუდო. ჩემთან გამოლაპარაკების ცდაც მარცხით დამთავრდა: მე ცხვირი მქონდა ჩარგული სახელმძღვანელოებში და ირგვლივ ველარაფერს ვამჩნევდი.

— ოთარ, მე ცოტა ხნით ალიოშასთან გადავალ, პატარა საქმე გვაქვს, — მომესმა ბოლოს ნანატრი სიტყვები. — ხომ არ მოგწყინდება მარტოკა?

მე თავი კარგა ხანს არ ამიღია; ხოლო როდესაც ჩემმა მამიდაშვილმა კითხვა გამიმეორა, საქმეს მოცდენილი კაცის უკმაყოფილო კილოზე წავილაპარაკე — სადაც გინდა, იქ წადი, ხომ ხედავ, არა მცალია, რა დროს მოწყენა-მეთქი.

წასასვლელად გამზადებულ გივლას თვალი ჩუმად გავადევნე და, ჭიშკარს გასცილდა თუ არა, წამოვხტი და სხვენზე ავვარდი; ხუმრობა საქმე ხომ არ იყო — სადაცაა ჩემი მეგობრები კარზე უნდა მომდგომოდნენ, მე კი ჯერ სამზადისი არც დამეწყო...

ოთარმა და მიშამ ჯერ ჭიშკართან დაიძახეს ჩემი სახელი. პასუხი რომ ვერ მიიღეს, ეზოში შემოვიდნენ და სახლის ღია ფანჯარასაც რამდენჯერმე შემოსძახეს; ირგვლივ ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ის იყო გაწბილებული ბიჭები უკან გაბრუნებას აპირებდნენ, რომ საიდანღაც ნაცნობი სტვენა მოესმათ. აქეთ-იქით მიმოიხედე, ბოლოს ზემოთაც აიხედეს და გაოცებისაგან პირი ღია დარჩათ. სახლის სახურავზე გადმომდგარიყო რაღაც უცნაური არსება, რომელსაც ფეხთვეება ჩექმები ემოსა, ჩექმებში ფოლადისფერი სამხედრო შარავლი ჰქონდა ჩატანებული, სამხედრო ტიპისავე ხალათზე ღვედები და ქამრები მხარილივ გადაეჭიმა, მკერდზე აირწინალი მოეგდო, სახეს პილოტის სათვალე, ხოლო თავის ნახევარს პილოტის ქუდი უფარავდა.

ძნელი იყო ამ არსებაში ეცნოთ თავიანთი მეგობარი ოთარ ჩეჩელაშვილი. მაგრამ ბიჭებმა მაინც უმაღვე მიცნეს და აღტაცების ფრიალული შეუდგათ; მათი ყიჟინა, სტვენა და სიცილ-ხარხარი იქაურობას აყრუებდა.

— სსს, ჩუმად, ჩუმად! — ჩამოვძახე ზემოდან და გულგახეთქილმა მიმოვიხედე — მეზობლების ყურადღება ხომ არ მივიქციეთ-მეთქი. საბედნიეროდ ირგვლივ სრული მყუდროება იყო.

— აი ახლა კი ნამდვილი მფრინავი ხარ, შენმა მზემ, მარტო თვითმფრინავი გაკლია! — სიცილით იგულებოდა ჩემი სეხნია.

— მოდი, ბიჭო, ჩამოხტი, მე დაგიჭერ! — ბანს აძლევდა მიშა.

— უნდა ჩამოვხტე, პო! პატარა გვერდზე მიდექით, თავზე არ დაგახტეთ! — ამაყად გადმოვძახე ზემოდან.

მათ, რასაკვირველია, ჩემი ნათქვამი ხუმრობად მიიღეს და კიდევე უფრო გამხიარულდნენ.

— დედას გეფიცები, უნდა ჩამოვხტე, აი ნახეთ, როგორი პარაშუტი მაქვს, — და აქამდე ზურგს უკან დამალული დაკეცილი ქოლგა გამოვაძვრინე, გავშალე და ჰაერში შევაფრიალე.

ამას კი აღარ მოელოდნენ ჩემი მეგობრები.

— არ გაგიყდე, ბიჭო, მართლა არ ჩამოხტე, დაიმტვრევი! — შეფიქრიანდა ოთარი.

მათმა შეკრთომამ გამაამაყა: დავიმტვრევი, რა, თავით კი არ მოვდივარ, პარაშუტი რაღას მიკეთებს-მეთქი!



დაბლა მყოფნი შეცბუნდნენ. ეტყობოდა თან იმისაც ეწინოდით, რომ ვიმტვრევოდი, თან კიდევ პარაშუტის გამოცდა მათაც გულით ეწადათ.

ისინი რომ ამ ყოყმანში იყვნენ, მე უკვე საბრძოლო მდგომარეობას ვიღებდი: საჭურველი კიდევ ერთხელ შევისწორე, ქოლგის მოღუნული ტარი მკერდზე გადაჭერილ ქამარს ამოვდე, თასმით დავამაგრე და სახურავის კიდეს გადმოვადექი.

გადმოვადექი და გულმა რეჩხი მიყო. საკვირველია, როდესაც სხვა დროს გადმოვიხედავდი ხოლმე ჩვენი სახლის სახურავიდან (რომლის სიმაღლე 6 — 7 მეტრი მაინც იქნებოდა), იქიდან ჩამოხტომა ძნელ საქმედ არასოდეს მომჩვენებია. ახლა კი ამოდენა საჭურველით დამსიმბუღუს, მუქი, მქიდროდ მოტმასნილი სათვალთ თვალაკრულს, არაჩვეულებრივი ამბის მოლოდინით ისედაც აღელვებულს კინაღამ თვალთ დამიბნელდა. შევჩერდი, ირგვლივ მიმოვიხედე და, ქვემოთ მყოფნი რომ ვერაფერს მიხვდარიყვნენ, ვითომ ქამრის სწორებასა და ღვედების ხელახლა მოჭერას შევუდექი.

მაგრამ ბიჭებს აბა რას გამოვპარებდი!

— არა, ჩამოხტომით კი ჩამოხტები, მაგას არ უნდა დიდი ამბავი, უპარაშუტოდაც არაა ძნელი მაქედან გადმობიჯება... მაგრამ მაგ ქოლგას დაანებე თავი, სულერთია ვერაფერს მოგეხმარება, — ეშმაკურად მითხრა მიშამ.

მისი გამჭირდავი სიტყვები შიგ გულში მომხვდა. არა, მარტო ჩემთვის რომ დაეცინა, კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ ჩემი ნალოლიავეები პარაშუტის შეღრაცხყოფასა და მისთვის „ქოლგის“ წოდებას როგორ შევარჩენდი!

„გადმობიჯებაო, თქვი, ხომ? ქოლგაო, ხომ? ვერაფერს მოგეხმარებო, ხომ? აბა ნახავ ახლავე, რაც ქოლგაა და რასაც მომეხმარება!“ — ვიმეორებდი გულში განაწყენებული და თვალთ მიწას ვზომავედი.

აი, ერთი წამიც, ერთი ნაბიჯიც, აი ქოლგის ტარი (უკაცრავად — პარაშუტი) მაგრად ჩავბღუჯე და მიწას თვალი მოვწყვიტე, პირდაპირ გავიხედე, ისე როგორც თეთრი ხიდიდან რიონში ჩანტომისას ვიცოდით, და აი... სახურავიდან გადმოვეყვი. ერთი წამით თვალი მოვატანე, როგორ წამოფრთხილდნენ და აფრინდნენ თავიანთი სადგომიდან უჩვეულო სანახაობით დაფეთებული მტრელები.

... სტუმრობიდან დაბრუნებულ ბებიას და ბაბუას შინ დახვდათ ჩემი ნაღრძობი ფეხი, დასივებული ლოყა და ძველისძველი ქოლგის დამტვრეული ნაწილები.

ქოლგას ვილა გაამთელებდა! ბებიამ ბევრი იფიქრეშა და ბოლოს მაინც იძულებული გახდა გამოთხოვებოდა თავის საყვარელ ნივთს. ლოყა მალე მომიჩჩა, ნაღრძობი ფეხი კი კარგა ხანს მტკიოდა და ცოტ-ცოტას ვკოკლობდი კიდევ. მაგრამ მაინც არ მოვიშალე რიონზე სიარული, ბიჭებთან თამაში და ზოგჯერ სალორიის ტყეში ვაპარავა, სადაც ათასი საინტერესო რამ გველოდებოდა — დაწყებული წითელ-წითელი სოკოებით და გათავებული მწყემსებთან შეხვედრით. ჩემი ცელქობით დაშინებული ბებია და ბაბუა მარტო აღარსად მიშეებდნენ, თუ უფროსი მამიდაშვილი გიგლა პაპავაც არ წამოვიდოდა ხოლმე. მაგრამ გიგლას დიდად არ ეპიტნავენებოდა ჩვენთან ყოფნა. სახლს ცოტათი რომ გავშორდებოდით, ის თავის გზას გაუდგებოდა, თან დაგვიბარებდა — არ იცელქოთ, თავს არა-



ფერი აუტეხოთო. დაბრუნებისას სადმე დათქმულ ადგილზე ერთმანეთს ისევ შევხვდებოდით და შინ ერთად ვბრუნდებოდით.

ერთი სიტყვით, მე და ჩემმა მეგობრებმა ის ზაფხული შესანიშნავად გავატარეთ. მართალია, ზოგჯერ დარდი შემომაწვებოდა, მომაგონდებოდა ათასჯერ ნაცნობარი თვითმფრინავები, პარაშუტები, პილოტები და „მკვდარი მარყუქები“, მაგრამ მარცხით დასრულებული გადმოხტომის შემდეგ ოთარისა და მიშასი მრცხვენოდა და ჩემს სადარდელს ვეღარ ვუმხელო.

ასე გავიდა ზაფხული...

— გამოიარე, გამოიარე ჩქარა, სამახარობლო, სამახარობლო! — შემომეგება სექტემბრის ერთ დღეს სკოლიდან დაბრუნებულს ბებიაჩემი, — ნახე, ნახე, შენი თვლით წაიკითხე, ბებია!

ხელში მოფრიალე ქალაღი გამოვართვი და წავიკითხე: „მალე გნახავტ, გკოცნიტ კველას“. ეს იყო მამაჩემის დეპეშა. როგორც კინომსახიობი, მამა ქართული კინოსტუდიის დასთან ერთად შუა აზიაში იყო წასული ახალი ფილმის გადაღებაზე. ჩვენ ისედაც იშვიათად ვხვდებოდით ერთიმეორეს, ახლა კი თითქმის წელიწადი იყო გასული, რაც მამა აღარ მენახა. ჩემი სიხარული ენით არ გამოითქმოდა.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში მამა მართლაც ჩამოვიდა ქუთაისში. თან ჩამოიტანა უამრავი საინტერესო მოგონება შუა აზიაზე, აღმოსავლური ყაიდის საჩუქრები ბებიასა და ბაბუასათვის, ხოლო ჩემთვის... ახალთახალი მოტოციკლი „წითელი ოქტომბერი“.

იმ შემოდგომასა და ზამთარს იმდენი ვაქრიალე ჩემი მანქანა, რომ საგაზაფხულოდ უკვე კარგ მოტოციკლისტად ჩავითვლებოდი. ახალმა გასართობმა ცოტათი გამიქარვა კიდევ მფრინავობის გამო აღძრული სევდა. მაგრამ აპრილი რომ დადგა, ხეები რომ ამწვანდა და აყვავდა, ცა რომ გადაიხსნა და ალაყვარდა — გული ისევ ძველებურად ამიჩქროლდა და შორი სივრცეებისაკენ გამიწია. უჩვეულოდ ავწრიალდი, გონება დამეფანტა, დღისით თუ ღამით, შინ თუ სკოლაში, მეგობრებთან მყოფი თუ ქუჩაში მოსიარულე ან მოტოციკლზე მოსივრნე ერთავად თვითმფრინავებზე ვფიქრობდი და ვოცნებობდი.

და ერთ დღეს ჩვენი უბნის მკვიდრნი უჩვეულო სურათის მოწმენი შეიქნენ.

ჩვენს ფართო და გრძელ ქუჩაზე გამოვუხვიე თუ არა, ისეთი გიჟური სისწრაფე ავიღე, მოტოციკლი ისე ავავრიალე და ავავყვირე, რომ ძლივსლა გასწრებდი თვალს — როგორ გამორბოდნენ ამბის გასაგებად კიშკრისაკენ დაფეთებული მობინადრენი.

— ჰაიტ, გადაგრია გამჩენმა! — მოვკარი ყური, როგორ შემეკურთხა ბრაზიანმა „კოტოშა სევასტიმ“ — ჩვენს მეზობლად მცხოვრებმა ქალარა ბუხპალტერმა, უბნის ბიჭების ზარმა და რისხვამ. იგი შეშინებული ახტა ტროტუარზე და თავისი განუშორებელი ყავარჯენი მომიღერა. მაგრამ მე მისთვის არა მცხელოდა — გაზი მოვუმატე და კიდევ უფრო საშინელი სისწრაფით გავაქროლე ჩემი მანქანა.

კიდევ კარგი, ქუჩაზე სულ ორი-სამი გამვლელი თუ მიმოდიოდა; ისინიც დროულად განერიდნენ ქვაფენილზე მოგრიალე ურჩხულს და კედლებთან დაიკავეს უხიფათო ადგილები.

მიმქროლავი მოტოციკლით ქუთაისელებს, მით უმეტეს ჩვენი ქუჩის მკვიდრთ, აბა რას გავაკვირებდი! მაგრამ საქმე ის იყო, რომ ეს ჩვეულებრივი მოტოციკლი როდი გახლდათ. რა თქმა უნდა, კორპუსიც, მოტორიცა და თვლე-



ბიც ჩვეულებრივი ჰქონდა, მაგრამ წინა თვალთან მას დაახლოებით მეტრანსკერის სივრცის ფრთები გამოსხმოდა, ხოლო უკან მოგრძო კული ჰქონდა მიმაგრებული.

კარგახანს ვიჩალიჩე ამ ორიგინალური მექანიზმის შესაკოწიწებლად. ყველასაგან ნამალევად დავამზადე საკმაოდ მკვიდრი ფრთები და კული, შემდეგ ეს ნაწილები დიდი წვალებით მივამაგრე ჩემს მანქანას და ქუჩაში გამოვავაგორე. დარწმუნებული ვიყავი — დიდ სიჩქარეს განვაკითარებ თუ არა, მოტოციკლი მიწას მოწყდება და გაფრინდება-მეთქი. რა ვუყოთ, რომ ამ „ახალი მარკის თვითმფრინავს“ პრობლემი არ გააჩნდა. ჩემი აზრით, ამ ამბავს არ უნდა ჰქონოდა დიდი მნიშვნელობა, მთავარი ის იყო, ფრთებს არ ეღალატათ...

მოტოციკლი სულ უფრო უმატებდა სიჩქარეს. აი, ჩავუქროლე ჩვენს ეზოს; ქიშკართან გაიღვეს ბებიას გაფართოებულმა თვლებმა... აგერ, გოგია თავის ველოსიპედს აპყვრია და გაშტერებული შემომყურებს... ხილის წყლების დახლი და იქ შეგროვილი ბიჭებიც უკან დარჩნენ... აგერ, საბავშვო ბაღის შენობა... პურის მაღაზია... მეჩექმის ფარდული... აგერ... ამ დროს მომეჩვენა — ჩემი მანქანა უკვე მიწას მოსწყდა-მეთქი. აი, მგონი მაღლა-მაღლა მივიწევ... არა, მოვტყუვდი, ბორბლები ისევ ქვაფენილზე მისრიალებს. მაგრამ სულ ცოტაც, რომ მოვუმატო სიჩქარე, სულ ცოტაც... აი ასე, ახლა კი უეჭველად ავფრინდები, უეჭველად, ცოტაც და...

რალა თქმა უნდა, მოტოციკლი ვერ მოსწყდა მიწას. ან კი როგორ მოსწყდებოდა! ჩვენი ქუჩიდან მეზობელ ქუჩაზე გავუხვიე, ერთხელ იქაც ვცადე ბედი და, რაკი დავრწმუნდი, არაფერი გამოდიოდა, ქროლვა შევანელე და გამოებრუნდი.

უკან მომავალი იმასლა ვფიქრობდი, თუ როგორ გადავრჩენოდი მეზობლებისა და მახლობლების იქედნურ ღიმილს, ამხანაგებისა და, განსაკუთრებით, გოგიას დაცინვას, ბებიჩემის რისხვას, ბაბუას ბუზღუნს. ამ ფიქრში ვართული კინლამ მენახშირეს არ დავეჯახე. მისმა განწირულმა ყვირილმა გამომაფხიზლა. სიჩქარეს კვლავ მოვუმატე. მაგრამ ამ დროს მილიციელმა, რომელსაც, ეტყობა, უამისოდაც თვალში არ მოსდიოდა ჩემი ორიგინალური „თვითმფრინავის“ ქუჩაში გამოჩენა, სტვენა ატეხა. მე ჩემი დარდიც მეყოფოდა, მილიციელთან კამათის თავი სადღა მქონდა! ამიტომ სრული სიჩქარით გავქროლდი სახლისაკენ. მაგრამ მილიციელს სულაც არ უნდოდა პირში ჩალაგამოვლებული დარჩენილიყო. თავის მოტოციკლს მოახტა და ამ უფროთო მანქანით მალე წამოეწია ჩემს ფრთოსანს.

ჩვენს ეზოსთან თითქმის ერთდროულად მივერიალდით. ატყდა ყაყანი, შეიკრიბნენ მეზობლები, ცნობისმოყვარენი, გამვლელგამომვლელნი. ესლა აკლდა ისედაც ძარღვებაშული ბებიჩემის!..

ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ჩემი გადასახდელი ჯარიმა ბებიას გადაახდევინეს, სხვა მხრივ მილიციელს საქმე აღარ გაურთულებია.

მაგრამ ბებიას მილიციელივით ლობიერი ხასიათი როდი ჰქონდა. მან მტკიცედ გადაწყვიტა ერთხელ და სამუდამოდ „გაერთულებინა“ ჩემი საქმე.

— არა, ძმაო, შენ რალაც უნდა მოგიხერხოთ, თორემ შენი გადაპკიდე, ხომ ხედავ, ბებიაშენი ჯავრით დალეულა და ჩამომკნარა! — მითხრა რამდენიმე დღის შემდეგ ზემოთ აღწერილი შემთხვევის გამო სასწრაფოდ თბილისიდან დაბარებულმა მამაჩემმა.

მე თავი ჩავკიდე, ნიკაბი გულზე დავიბჯინე. ხმას ვერ ვიღებდი, ან კი რა



უნდა მეთქვა — დამნაშავე ვიყავი და ყოველგვარი სასჯელი ღირსეულად და ამეტანა.

— ა, უკანასკნელ მითქვამს: თუ არ მოიშალა სიგიჟე — ან მე ამ სახლში, ან მაგი და მაგის ციკლეთია თუ რალაცა ეშმაკები! თუ არა და მივალ მილიციაში და ვეტყვი — მობრძანდით, ჩამოართვით ის დასამტვრევი-თქვა, ჩემი ხელით გადაეუვორებ ალაგზე!.. — ცხარობდა ბებია.

— არა, გრიშა, ნამეტანი არაფერი ვარგა, — კვერს უტრავდა დინჯი ბაბუა.

— რას იტყვი, თთარ?.. — შემეკითხა მამა.

— ...

— ვიცი, მფრინავობა ძალიან გინდა და დღედაღამე თვითმფრინავებზე ოცნებობ...

— კი, კი, სულ იმ შეჩვენებული ბზუალების ბრალია, ეგერ რო დაფრიალებენ, სულ იმგენმა გადარიეს! — და ბებია მწინაწარმეტყველივით ცისკენ აღაპყრო ხელები.

— ვთქვით, ავიაკლუბში რომ მოგაწყო, სწავლაში ხელი ხომ არ შეგეშლება? — განავრძობდა მამა.

ყურებს არ დავუჯერე. „რაო, რა თქვა? ავიაკლუბიო? მერე სადაა ქუთაისში ავიაკლუბი? ან მე ვინ მიმიღებს?“ სუნთქვაშეკრულმა ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხე, ესლა ამოვიგმინე:

— ავიაკლუბში?!

— ავიაკლუბში, ჰო! რაო, რას გაჩუმდი, არ გინდა?

— მინდა! მინდა! მინდა! — დავიყვირე და მამას მოვეხვიე. მან გაიღიმა:

— მხოლოდ იცოდე, პირობა უნდა მომცე, რომ ოთხსა და ხუთზე ნაკლებნიშანს არასოდეს მოიტან სახლში.

— გაძლევ, გაძლევ პირობას!..

— რაკი ასეა, შევთანხმებულვართ.

— მერე კლუბი?... — ველარ დავასრულე!

— კლუბი თბილისშია, შემოდგომიდან თბილისში გადმობრძანდები სასწავლებლად და შენს მფრინავობასაც იქ ეღირსები.

— თბილისში? შენი ჭირიმე, მამა!

მაგრამ ამ დროს ბებიაჩემმა, რომელიც გაფაციცებული უსმენდა ჩვენს დიალოგს, ხელები გაასავსავა:

— ბოშო, შენ ხუმრობ, თუ მართლა ლაპარაკობ? — შეეკითხა იგი მამას.

— მართალს ვამბობ, დედა, თბილისში უნდა გადავიყვანო ოთარი.

— რავე გადავიყვანოო, ვადირიე, თუ!.. ა-პა-პა-პა! მაგი არ იქნება, არა! — უკვე ერთად აყვირდნენ ბებია და ბაბუა. — მერე ჩვენ აღარაფერს გვეკითხები? უშობთ ამ ბაღანას?

— მეტი გზა არაა, დედა, ასე აჯობებს.

— რავე აჯობებსო, რას ამბობ შენ! თბილისში გასაგზავნი ბიჭი სად გვეყავს ჩვენ? — მოხუცი უჩვეულოდ შეშფოთებულიყო. — კი მარა, ბებია, გინდა ჩვენგან წასვლა? — ახლა მე მომმართა და თვალზე მომდგარი ცრემლი თავსაფრის ყურით მოიწმინდა. — თავი მოგაძულეთ, ბებია, ხომ? თბილისელებში უნდა გაგვევალო, ხომ? ყოფილიყავი, ბიჭო, ჩვენთან, გაგებარებინეთ, ორი დღის სიცოცხლე დაგვრჩენია... გეტარებინა შენი ციკლეთი, ვინ გიშლიდა, ბებია...

ძნელი იყო გულამომჯდარ ბებიას და აღელვებულ ბაბუას ცქერა. ლამის მეც ავტირებულებიყავი. ჩემი გრძნობები რომ დამეფარა, ეზოში გამოვვარდი და მოტოციკლს დავუწყე ჩხირკედელაობა.



ოთახში კამათი კარგა ხანს გაგრძელდა, მაგრამ მამაჩემი მტკიცედ აღმა-
ვის გადაწყვეტილებას და აღარც შეუცვლია იგი.

*
* *

კურსანტის ლოგინზე წამოწოლილი ერთი წამით გამოვერკვიე, მიმოვიხე-
დე: ოთახში არავინაა. გარედან ჩემს ყურამდე აღწევს სიცილი, გარმონის ხმა
და სიმღერა:

«Напрасно старушка ждет сына домой,
Ей скажут, она зарыдает...»

სიმღერა ტკბილია და სევდისმომგვრელი. კაცს მოგინდება მშობლიურ
სახლში ყოფნა, შინაურების მონახულება, მათთან საუბარი. მაგრამ ჩემი შინა-
ურნი ახლა ძალიან შორს არიან და ალბათ კიდევ კარგა ხანი გაივლის, ვიდრე
მათ სანახავად მოვიცლიდე. ალბათ სხედან ახლა ერთად და მიგონებენ...

ჩემს წინაშე ისევ გაკრთა ბებიას სევდიანი, აცრემლებული თვალები, ბა-
ბუას ფარული ოხვრა, მომესმა მატარებლის მონოტონური ხმაური და ისევ მო-
ვონებათა ბურანში დავინთქი.

თბილისი.

ნეტავ თუ არის სადმე მასზე უფრო თავისებური და საყვარელი ქალაქი?
„კაცს ყოველგან შეუძლია იყოს, თუნდ იაპონიაში, თუნდ შვეიცარიაში, თუნდ
ინგლისში. მაგრამ ცხოვრებით მარტო თბილისში უნდა იცხოვროს“ — უთქვამს
თურმე გრიგოლ ორბელიანს.

ეს სიტყვები წავიკითხე მთაწმინდაზე წამოწოლილმა.

აი, ახლაც იქა ვარ, ზემოდან ვადმოვცქერი სანატრელ თბილისს. მთის ფერ-
ღობებზე ნუშები აყვავილებულა, ალაგ-ალაგ მწვანესაც გამოუხეთქია. დაბლა
ქალაქს მსუბუქი ნისლი გაჰკვრია (ასეთი იყო თბილისი მასთან განშორების
დღეს). მე თვალი გამირბის ჩრდილოეთისაკენ, იქითკენ, სადაც მტკვარი შემო-
დის ქალაქში, სადაც დიდუბისა და აეჭალის სანახები იწყება. იქ ხშირად დავ-
დიოდით სათევზაოდ მე და ჩემი ახალი მეგობრები, ჩემი თანაკლასელები —
ირაკლი ცაგარელი და სოკრატ ოვანეზოვი. ცოტა ქვემოთ ჩანს საბურთალოზე
გამავალი სამხედრო გზა, აქეთ — სტადიონი, პლენარის პარკი. იქ, სად-
ღაც, სხვა შენობათა შორის ჩამალულია ჩემი ახალი სასწავლებელიც — რკინი-
გზის მეორე საშუალო სკოლა.

თბილისის საერთო ხელი მკრთალდება, არე თანდათანობით ვიწროვდება;
ჩნდება რუხი შენობა, რომელშიც შევდივართ მე და ჩვენს სკოლის კომკავში-
რის კომიტეტის მდივანი.

— მგონი კარგადაა შენი საქმე, ოთარ, — მეუბნება თანამგზავრი. — თანხ-
მობა რომ არ ყოფილიყო, ასე სასწრაფოდ არ გამოგიძახებდნენ. — მერე ხუმ-
რობით უმატებს: — აბა რა გეგონა, ქვას გახეთქავდა, ისეთი მიმართვა დავიწე-
რეთ. ოღონდ მფრინავი რომ გახდები, არ გაიპრანჭო იცოდე, არ დაგვივიწყო...

შემდეგ კიბეები, ღერეფანი, პატარა მოსაცდელ ოთახში მცირე ხნით შე-
ყვონება. და აი, კომკავშირის ლენინის რაიკომის მდივანი ხელს მაგრად მართ-



მეც და გადმომცემს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საგზურს, რომლითაც მე უნდა წარვდგე თბილისის აეროკლუბში.

სწრაფად გარბის ახალ-ახალი შთაბეჭდილებებით აღსავსე დღეები. მართალია, პირველ ხანს ცოტათი მიძინებდა აეროკლუბსა და სკოლაში ერთდროულად სწავლა, მაგრამ უკვე შეჩვეული ვარ ნებისყოფის დაძაბვას, თავაულებელ შრომას. თანაც გვერდით მყავს საყვარელი მამიდაშვილი, სიყრმის მეგობარი გიგლა, აწ უკვე საინჟინრო ინსტიტუტის სტუდენტი. გიგლა მეზმარება მათემატიკური საგნების დაძლევაში.

სწრაფად გარბის დღეები...

აეროკლუბში დაძაბული თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა, წარმატება, ინსტრუქტორი მაქვზებს, ფრთები მესხმება.

და აი, დიდი ხნის სანუკვარი ოცნება აღსრულებულია: მე თვითმფრინავში ვზივარ და მარტოდმარტო ვმართავ ამ უზარმაზარ მანქანას, მორჩილად დავაქროლებ თბილისის თავზე. თან ვეჭრადაც არ მომდის, რომ შორს აღარაა ის დრო, როდესაც ფვითმფრინავი „V-2“, რომელშიაც ახლა ასე ამაყად გამოვჭიმულვარ, თითქმის ყმაწვილთა გასართობ სათამაშოდ მომეჩვენება და სიცილად აღარ მეყოფა მისი მართვის სიძნელე...

ადამიანის ცხოვრებას მრავალი რამ განსაზღვრავს: ოჯახი, სასწავლებელი, გარემო, ტოლ-მეგობრების გავლენა, მისი საკუთარი ხასიათი, ნებისყოფა და აზროვნება. ამ ფაქტორთა ურთიერთმოქმედებით ისახება ის გზა, რომლითაც მთელი სიცოცხლის მანძილზე მოუწევს სიარული ამა თუ იმ პიროვნებას. ამ გზას ადამიანი ჩვეულებრივ ხანგრძლივი ძიების, მრავალგზისი ცდის, აწონდაწონვისა და ყოყმანის შემდგომ დაადგება ხოლმე. მაგრამ ისეც ხდება, რომ მომავალი გზის არჩევას განსაზღვრავს ერთი წამი, თავში ნებით თუ უნებლიედ გაეღვებული აზრი, რომელიც შემდგომში სულ უფრო და უფრო ხშირი სტუმარი ხდება გონებისა და ბოლოს მთლიანად მოიცავს მას. და როდესაც ამ აკვიატებული აზრის გავლენით ადამიანი მიიღებს გადაწყვეტილებას — ასეთსა და ასეთ გზას დავადგებო, ხშირად უკვე ძნელი, ძნელი კი არა, თითქმის შეუძლებელიც ხდება იმის დადგენა, თუ როდის გაუჩნდა მას ეს აზრი, ან რა იყო მისი გაჩენის მიზეზი თუ საბაბი.

ჩემი ცხოვრებაც ასე წარიმართა. ამ ცხოვრებისათვის გეზის მიმცემი იყო ორი მომენტი და ორივე ჩემთვის დღემდე ამოუცნობია. როგორც მგაგასნენთ, ახლა ვედარაფრით მომიგონებია, თუ რამ გადამაწყვეტინა ქუთაისელ მეექვსეკლასელ მოსწავლეს — უსიკვდილოდ მფრინავი გამოვსულიყავი. ეს კია, ამ გადაწყვეტილებამ იმდენი ჰქნა, აეროკლუბამდე მიმიყვანა. მაგრამ მეორე გადაწყვეტილების კონკრეტული მიზეზი და მისი მიღების დროც რომ ვერ დამიდგენია! ვერ დამიდგენია რატომ, რის გამო და როდის გავიფიქრე პირველად თბილისის აეროკლუბის წევრმა, რომ სამოქალაქო ავიაცია ჩემი საქმე არ იყო და უეჭველად სამხედრო მფრინავი უნდა გამემხდარიყავი!

ვიმეორებ, მე კონკრეტულ მიზეზზე ვლაპარაკობ, თოვემ საერთო მიზეზი ძნელი დასადგენი არაა; ეს იყო, ჩემს მისწრაფებებზე რომ აღარაფერი ვთქვა, ტოლ-ამხანაგთა გავლენა, იმდროინდელი ატმოსფერო, ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი ყოფა, ომის მოახლოების აშკარა ნიშნები.

ასე იყო თუ ისე, 1940 წლის მარტის ერთ თბილ საღამოს შინაურებმა და მახლობლებმა სადგურამდე მიმაცილეს და გზა დაგვილოცეს მე და ჩვენი კლუბის რამდენსამე წევრს.

— იფ, იფ, ეხლა კი ნამდვილი სამხედრო ვარ! — ვასომ ნაძალადევი კმაყოფილებით გადაისვა ხელი ახალგადახორტილ თავზე, შემდეგ საულვაშზე, სადაც სულ ცოტა ხნის წინ თხელი ჭაბუკური ბალანი უბიბინებდა, ერთხელ კიდევ ჩაიხედა სარკეში, ნამდვილი ოფიცერივით გაიფხვინა და სკამი უშანგის დაუთმო. — აბა, მობრძანდი, შენი ქინქლიც დაგაყრევინონ!

უშანგი გაღიმებული დაჯდა. დალაქმა საყრეკი მანქანა მოიმარჯვა, მის გრუზა თმებს სინანულით დაჰხედა და ამ ხშირსა და უსიერ ტევრს ისე გულმოდგინედ შეუტია, თითქოს საახოვე მიწა ჰქონოდა გასაკაფი. ორ წუთში რიგში მსხდომნი უკვე ვხედავდით უშანგის ალაპლაპებულ კეფას.

— ეხლა ულვაში, ულვაში! — თავს დასტრიალებდა ვასო დალაქს და რატომღაც სიამოვნებით ხელებს იფშენებდა.

— ულვაში არ მომპარსოთ, მხოლოდ შემისწორეთ, — დინჯად თქვა უშანგი.

— ულვაშის დატოვება არ იქნება, სამისოდ განსაკუთრებული ნებართვაა საჭირო, — მიუგო დალაქმა.

— ნებართვა მაქვს, — მოისმა უშანგის დინჯი ხმა.

— მართალია, — დაუმოწმა ოცმეთაურმა. — ამ სამს, თბილისელებს, კაპიტანმა ილინმა ნება დართო ულვაში ატარონ, — და მან დალაქს ჩვენზე ანიშნა.

— ა, გასაგებია, ტბილისი... ლაგიდზე... რუსთაველი... ლამაზი ბიჩი... გენაცვალე... — მხიარულად წაშოიძახა დალაქმა, მანქანის ნაცვლად მაკრატელი აიტაცა და მარჯვედ ააწკაპუნა.

ვასოს მეხი რომ დასცემოდა, ის ერჩინა.

რუსეთში რომ მოვემგზავრებოდით და მატარებელში მსხდომნი სამხედრო ცხოვრების წესებზე წინასწარ ათასგვარ აზრს რომ გამოვთქვამდით, დაუსრულებლად ვკამათობდით, უშანგი და ვასო წაიკინკლავდნენ. ვასო დასცინოდა — დაიცა, ჩავალთ იქა, მაგ შენს კოკობ ულვაშს ძირში მოგპარსავენ და ვნახოთ, რილათი იყოყოჩებო. უშანგის მართლაც მშვენიერი ულვაში უშკობდა ისედაც ლამაზ სახეს და ამ თავის საუნჯეს ისე უვლიდა და შესციცივებდა, უმაღ ხელის მოკვეთაზე დაგეთანხმებოდათ, ვიდრე ერთი ღერი ულვაშის მოჭრაზე. დათქმულიც ჰქონდა — ამ ჩემს მშვენებას ცოცხალი თავით არავის დავანებებო. ამიტომ მუდამ დინჯი და აუღლევებელი უშანგი ვასოსთან ამ საკითხზე კამაფისას უჩვეულოდ ენთებოდა და ცხარობდა. ვასოსაც ეს უნდოდა, დილიდან საღამომდე არ ცხრებოდა, ამხანაგის გამოჯავრებით არ იღლებოდა და ბოლოს ულვაშგაპარსული უშანგის მართლაც რომ სასაცილო კარიკატურა დახატა. ამაზე კარიკატურის ობიექტი ძალიან გაცეცხლდა და დაეჭაღნა — შენ თუ საქმე არ გიყავი, ბიჭი არ ვყოფილვარო.

ადგილზე ჩამოვედით და ჩვენს ოცეულში გავმწესდით თუ არა, სამი ახალგაზრდა ჯარისკაცი — უშანგი პაპუაშვილი, შალვა შელია და მე ვასოსგან ნამალევედ კაპიტან ილინს ვეახელით და მოვანხენეთ — ულვაშის ტარება ჩვენში ათადან-პაპადან ურღვევ ტრადიციადაა დანერგილი (ცოტათი ვიცრუეთ კიდევ, რას იზამ!) და ძალიან გთხოვთ, ამ ტრადიციას ნუ დავგარღვევინებთ, ნება მოგვეცით ულვაში დავიტოვოთ-თქო. მეოთხე თბილისელი — გიორგი ესაკია თან არ გვხვებია — მას ულვაში ჯერაც არ ამოსვლოდა და მოსაპარსიც არაფერი ჰქონდა. გიორგის დავავალეთ ვასოზე თვალი სჭეროდა, რათა ჩვენი მისია სავსებით საიდუმლოდ დარჩენილიყო.



კაპიტანმა ილინმა ჯერ თითქოს მწყურალად შემოგვხედა, გულები დაგვიხტა, შემდეგ კი მრისხანე სახეს ისეთი კეთილი ღიმილი შეაპარა, რომ მანამდე გაფთრებულ უშანგის სიხარულის აღმურმა გადაჰკრა. იგი ფართოდ ხელგაშლილი გაქეპანა უფროსისაკენ, უნდოდა გულითადი ხელის ჩამორთმევით თავისი მადლობა გამოეხატა. ის იყო, ჩვენც მივეყვით ატაცებულ ამხანაგს.

— სმენა-ა! — დასკექა უეცრად კაპიტანმა და ადგილზე გაგვაქვავა. — უფლება გეძლევათ უღვაშები არ მოიპარსოთ... ზურგისა-კენ!.. ნაბიჯით ია-არ! — და ხუთოდე ნაბიჯი რომ გადავდგით, ერთხელ კიდევ მოგვაძახა: — სირბილით ია-არ!

ასე გავეცანით პირველად ჯარისკაცული ყოფის მკაცრ წესებს. ცოტა არ იყოს, იმედი გავგიტრუვდა: ეს სადაურია-თქო, — ვამბობდით, როდესაც კარგა მანძილის გარბენის შემდეგ თავი „სამშვიდობოს“ დავიგულეთ, ხომ არ ვაგინებდით, ჩინს ხომ არ ჩამოვართმევდით, მადლობის თქმა გვინდოდა, კაცურად ხელს ვაუწყვდიდით და ჩვენს გზაზე წავიდოდით, დიდი უქმური და მეტიჩარა ვინმე ყოფილა ის ილინია თუ ვილაც არის-თქო.

მხოლოდ შემდეგში გავიგეთ და შევიგნეთ, რომ მხედრული ცხოვრება სწორედ ჩვენს მიერ დაწუნებული მხრივ ყოფილა ყველაზე შესანიშნავი და მიმზიდველი: არსად არ ფასდება ადამიანი ისე მკაცრად საქმის და არა სიტყვის მიხედვით, როგორც მხედრულ ყოფასა და ურთიერთობაში: ნაკლები ენის ტარტალი, ნაკლები ფამილარობა და მეტი გულისხმიერება, მეტი ზრუნვა ყოველი ადამიანის ბედზე — ასეთია დევიზი...

ტუმნოტიტვლებული, გულდაკოდილი ვასო ლასლასით გამოგვევა აბანოში. გიყვარდეს იმ დღეს გული ვიჯერეთ მისი დაცინვით.

აბანოს სადილი მოჰყვა (ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიჯექი სადილზე ამდენი ხალხის გვერდით!), სადილს — მცირე შესვენება და სამედიცინო შემოწმება, შემდეგ ახალმოსულთა დაბინავება, სასწავლებლის წესების გაცნობა და დაიწყო მანამდე უჩვეულო სამხედრო ცხოვრება, რომელიც ახლა უკვე ესოდენ საყვარელი შეიქმნა ყოველი ჩვენგანისათვის. პირველი დღეების სიხარული მხოლოდ იმან დაბინდა, რომ სამედიცინო კომისიამ გიორგი ესაკია უკან გააბრუნა: მას სუსტი გული აღმოაჩნდა და სამხედრო მფრინავად არ გამოდგებოდა. თბილისელ მეგობართაგან ოთხნი-ღა დავრჩით...

გავიდა ორი-სამი თვე. შევეჩვიეთ დაძაბულ თეორიულ მეცადინეობას, ხანგრძლივ ვარჯიშს, მკაცრ დისციპლინას. შევეჩვიეთ უფროსებს, კურსანტებს, ახალგაცნობილებს, შევეჩვიეთ ჩვენს შენობასა და ეზო-მიდამოს, ერთი სიტყვით, ყველას და ყოველივეს შევეჩვიეთ და ძალზე კმაყოფილნიც ვართ ყოველივესი...

...დღეს ნასადილევს ვასო ცოტა ხნით სადღაც გაჰკრა, შემდეგ კი დაბრუნდა ჩვენთან ატაცებული და მოცინარი. თვალეში ეშმაკური ნაპერწკლები უელავდა. დამინახა თუ არა, დოინჯი შემოიყარა, არტისტული პოზა მიიღო და დაბოხებული ხმით შემომძახა:

— სად ხარ, გამოდი, ნუ იმალები, თუ რომ გულს გერჩის, ჩეჩელაშვილო! შემდეგ მოგვიახლოვდა, ზვიადად ამხედ-დამხედა და ისევ მომახალა ციტატა „თორნიკე ერისთავიდან“.

— მხოლოდ თანაბარ იარაღითა შენი დაჩაგვრა მე მენატრება!

უფრო ახლოს მოვიდა, ავჯხედ-დავჯხედა, გაიღიმა და გვითხრა:

— ხვალ გამოჩნდება თქვენი ბიჭობა, ვნახოთ, რა ვაჟკაცები ბრძანდებით!



— რა იყო, ბიჭო, რამ გაგაგვიო?

— რა იყო და ხვალ პარაშუტით გვახტუნავენ. ამ წუთში გავიგე. მაგრამ ჯერ არვის უთხრა, საიდუმლოა. ინსტრუქტორს ეშინია — დღეს რომ გაიგონ კურსანტებმა, აღელდებიან და ღამით კარგად ვერ დაიძინებენო. რა მასხარა ვინმეა, კაცო, ვინ აღელდება, ვის შეაშინებს პარაშუტი, ჰა? ხა-ხა!..

— შენ იცინე და მაგ პარაშუტს ნუ ეხუმრები. შენისთანები არ გაფუქებულან, ზემოდან რომ გადმოუხედავთ, — ძალზე სერიოზულად უთხრა უშანგიმ.

მისმა სერიოზულმა კილომ ყველა გაგვაცინა, მაგრამ, ცოდვა გატეხილი სჯობია, გული მანაც აგვიძგერდა. თავად ვასომაც კარგად იცოდა, რომ სასუმარო საქმე არ გველოდა, ოღონდ ეს იყო, თავისი დადაქარბებული მხიარულობითა და სითამაშით ცდილობდა დაეფარა აღელვება.



ასე ვიფიქრეთ ჩვენ სამმა და მგონი არც შეგმცდარვართ. თუმცა რა ვიცი, კაცნი ვართ, იქნებ ვასოს მართლა სულაც არ აფიქრებდეს ხვალინდელი ამბავი. ეს ხვალ გამოჩნდება. ახლა კი არ მინდა ვიფიქრო ვასოზე, არც ხვალინდელ გადმოხტომაზე. ჩემს წინაშე ისევ წარსულის სურათები ელავს და ფერადობს.

რა ჩქარა გაიბრძინა ამ წლებმა, რარიგ უცბად მოხდა ყოველივე — თბილისში გადმოსვლა, აეროკლუბი, რუსეთს გამოემგზავრება. როგორ იოლად ამინდა ყველა ოცნება და საწადელი ჩვიდმეტი წლის ჰაბუკს! უკვე სამხედრო საფრენონსო სასწავლებლის კურსანტი ვარ, თვითმფრინავს კარგად ვიცნობ, მისი მართვაც შემიძლია, ხვალ კიდევ პარაშუტითაც გადმოვხტები და ბებიას დალუწილი ქოლგის შურს ვიძიებ. მაგრამ ერთი ვნახოთ და მართლა არ გაიშალოს პარაშუტი!.. არა, არ შეიძლება, ოთარ, — ვარიგებ ჩემს თავს, — ასეთი აზრიც არ გაიჰაჰანო თავში, თორემ ერთხელ თუ შემოგეპარა ეჭვი, მერე მომძლავრდება, დაგიჯაბნის და დაგაძაბუნებს!

მაგრამ თურმე არც ისე ადვილი ყოფილა ამ ტენის ამომკმელი ეჭვის თავიდან მოშორება; ისე დაყინებით მივლის გარს, ისე ეშმაკურად შემომაპარებს ხოლმე თავისთავს, რომ ზოგჯერ ვერც კი ვტყობილობ, უნებურად, გაუცნობიერებლად ვიწყებ ფიქრს პარაშუტსა და ხვალინდელ გადმოხტომაზე.

საწოლზე წამოვჯექი, ჰაერზე გავლა დავაპირე — იქნებ ეს სატიალე ფიქრი მოვიშორო-მეთქი. კარებში ჩვენები შემომეყარნენ. ვასოს ცხვირი ჩამოუშვია.

— რა ჰქენი, წააგე? — უთქმელად მივხვდი მის სადარდელს.

— წააგებდა, მა რა იქნებოდა, — აყვირა უშანგი. — როგორც კი თამაში დაიწყეს, ბრინჯივით დაიბნა ჩვენი ლომგული ვაჟკაცი. ჭადრაკზე აღარაფერი უფიქრია, იდო სკამზე გამოშტერებულივით და სვლის ჯგრი რომ მოუწევდა — ახლა ჩემი გადმოხტომააო, ამბობდა. იაცენკო სიცილით მოკვდა. მისიანებიც გაიგუდნენ. ბოლოს ისე გამოჩერებდა, ქიში უნდა ეთქვა და ამის მაგივრად იღრიალა — „პარაშუტ“... სანაძლეოს წაგებას ვინ ოხერი დაეძებს, თავი მოგვეჭრა იმ ხალხში. შენ ეს სთქვი, ხვალ რა ამბავი იქნება, როცა გაიგებენ, რომ პარაშუტით გადმოხტომაზე ფიქრს კაცი ასე გაუფუქებია, ჰა!..

ამის თქმა იყო და ვასო გიჟივით ახარხარდა.

— რა გაცინებს, შენი ქოქიცი არ იყოს! — შეუტია უშანგიმ. — სასაცილოდ გაქვს საქმე?!

— მოგატყუეთ, ბიჭებო, გაგაცურეთ. ვიარტისტე! — ხარხარებდა ვასო. —



რა პარაშუტი, რის გადმოხტომა! ექვნი გამოცდა მინდოდა და ეს იყო! იაცენ-კოსთან თამაშში კიდევ თავიდანვე შევატყვე — მოსაგები პარტია არა მაქვს-მეთქი და ისევ ჩემი როლის გათამაშება ვარჩიე. ხა-ხა-ხა!..

ერთმანეთს გადავხედეთ და ჩვენც ხარხარი აგვივარდა.

მეორე დღეს-ლა გავიგეთ, რომ ვასოს თავიდანვე კი არ გავუცურებდით, სწორედ მისი ბოლო სიტყვები იყო სიცრუე: პარაშუტით ხტომა მართლაც დანიშნული ყოფილა.

დილაადრიან სასწავლებლის კარებთან მანქანა მოგრიალდა. დაგვამწკრივეს, მანქანაში ჩავსხეს და გაშლილი ტრამალისაკენ გაგვაქროლეს. ჩვენს ფეხებთან დასტა-დასტა ელაგა დაკეცილი პარაშუტები.

— ბიჭო, შე ოხერო, აკი მოგატყუეთო, აკი ხტომა არ გვექნებაო, — თუხ-თუხებდა შალვა. — რას გვიმალავდი, წუხელის ცოტა მაინც მეფიქრა, აზრით მაინც შევჩვევდი გადმოხტომას.

— სწორედ მაგიტომ მოგატყუეთ; წუხელის რომ ხტომაზე გეფიქრა, დღეს ჩემსავით გამოლენჩებული იქნებოდი. — ვასომ თავი იქით მიიბრუნა და ადგილზე მისვლამდე ხმა აღარ გაუღია...

რიგრიგობით გვისიჯავს ექიმი. ვისაც მაჯა ზედმეტად აჩქარებული აქვს, რეცეპტს აძლევს;

— აბა ერთი მოლზე წამოკოტრიალდი, შეხედე, რა მშვენიერი ამინდია! ცოტა ხანს ასე იწეკი და გული აღარ გაგისკდება.

„ბაციენტები“ გვერდზე გადიან და დარცხვენნილი წვებიან მიწაზე. ამინდი კი მართლაც მშვენიერია: მოკრიალებული ზეცა, სიწყნარე, ქარი არა ჰქრის.

ინსტრუქტორი ერთხელ კიდევ მოგვაგონებს აღრე ნასწავლს, მისი დაჯერებული ხმა რწმენას გვინერგავს, ძალსა და მხნეობას გვმატებს.

პირველად თვითონ ინსტრუქტორი გადმოხტა, მარჯვედ დაშვების ნიმუში გვიჩვენა. შემდეგ ჩვენი ჯერიც მოდგა.

ერთიმეორეს მიჰყვებიან კურსანტები. მარჯვედ გადმოხტარს ქვემოთ მდგარი მზიარული შეძახილებით ამხნევენ თუ თავისთავს იმხნევენ. ჩვენ ოთხნი მღუმარედ ვდგავართ, რატომღაც ისეთი გრძნობა გვაქვს, თითქოს სხვა ამხანაგების მიმართ რაიმე დანაშაული ჩაგვედინოს.

რიგი ნელნელა გვიახლოვდება. მხნეობა უფრო და უფრო გვემატება. მაგრამ აი, თვითმფრინავმა უკანვე ჩამოიყვანა კურსანტი, რომელმაც გადმოხტომა ვერ გაბედა. იგი თავდახრილი გადმოდის, ეტყობა მიწა რომ გაუსკდეს, ის ურჩევნია.

— დედალი!.. — მომესმა ჩუმად, სულ ჩუმად ნათქვამი სიტყვა. ეს სიტყვა ვასოს ბავეს მოწყდა უნებურად. მაგრამ მართლა უნებურად? ვასოს რაღაც ზედმეტად მზიარული იერი აქვს, თვალეები როგორღაც ეშმაკურად უკიაფებს. ასე იცის ზოლმე, როცა ძალიან გულდასმით ცდილობს დაგვიმალოს თავისი ნამდვილი ფიქრი თუ განწყობილება.

თითქოს ბრაზით ახმაურებულმა თვითმფრინავმა კიდევ ერთი შერცხვენილი კურსანტი დააბრუნა მიწაზე...

თვითმფრინავისაკენ ვასო გაემართა. ფართოდ მიაბიჯებს, სახე უცინის, მხოლოდ ზურგიდან რომ შეხედავ, მხრებში წახრილა ოდნავ, სულ ოდნავ, ისე რომ გარეშე თვალი თითქმის ვერც კი შეამჩნევს.

— შეგვარცხვენს, ბიჭებო, — ჩვენს გულის სიღრმეში ნაფიქრალს გამოთქვამს შალვა.

— ნუ გეშინია, ნუ გეშინია, თავს მოიკლავს და არ იდებლებს. — ჩუროჩუ-ლებს უშანგი და თვითონაც არა სჯერა საკუთარი ნათქვამისა.

თვითმფრინავმა ამოდ შემოხაზა რამდენიმე წრე. მის კორპუსს პატარა წერტილი არ მოსწყდომია და შემდეგ ჰაერში თეთრი ქოლგა არ აფრიალებულა.

— კურსანტი ჩეჩელაშვილი! — ეს მე მიხმობს ინსტრუქტორი.

კაბინაში ვზივარ. მანქანა მალლა-მალლა მიიწევს. უკვე შვიდას მეტრს მივალწიეთ. ინსტრუქტორმა გაზი გამორთო და მანქანა პლანერისვით წყნარად გაცურდა. სიჩქარე კლებულობს. ასე უფრო ადვილია კაბინიდან გარეთ გამოცოცება — ჰაერის ნაკადი აღარ გადმოგაყირავებს.

ჩემი გულის ბაგაბუგში მომესმის მკვეთრი ბრძანება:

— ფრთაზე გადიო!

— არის გავიდე! — ვუპასუხებ არაბუნებრივად ხმამალა და ცალ ფეხს მანქანის ფრთაზე ვადგამ. მეორე ფეხიც გამოვაცოლე, მტკიცედ დავდექი, ხელებით კაბინას ჩავეჭიდე და გადავიხედე.

წამის რალაც მესადეს თუ მოიცავდა სურათი, რომელიც თვალწინ დამიდგა: კვლავ ქუთაისში ვარ, ბეზიაჩემის ქოლგა მომიმარჯვებია და ჩვენი სახლის სახურავიდან ვიხედები... შემდეგ ეს ჩვენება გაჰქრა და შემზარა წამიერმა აზრმა: რა ახლოა ეს ოხერი მიწა, თითქოს მართლა სახლის სახურავზე ვიდგე! პარაშუტმა გაშლა რომ ვერ მოასწროს ხომ...

— მოვეშადეთ!

— არის მოვეშადო!

რგოლი მოვსინჯე და ჩავბლუჯე. შემდეგ ერთხელ კიდევ გადავიხედე დაბლა და რატომღაც ღრმად, ძალიან ღრმად ჩავისუნთქე. ბოლოს ვუპატაკე:

— ამხანაგო ინსტრუქტორო, გადახტომისათვის მზადა ვარ. ნებას მაძლევთ გადახტე?

— მიდი!

— არის მივიდე! — და გადავეშვა უფსკრულში.

სუნთქვა შემეკრა. თავდაპირველად ცნობა დამეზინდა. ნახევრად ინსტინქტურად გამოვქაჩე რგოლი. თავდაღმა მივექანები მიწისაკენ. მაგრამ აი, რალაცამ შემანჯღრია. გადავიყირავდი, ავიხედე — ჩემს თავზე თეთრი გუმბათი დაკიდებულა.

ყველაფერი რიგზეა! სიმსუბუქისა და სიმშვიდის ნეტარი გრძნობა დამეუფლა. ასე მგონია — ვბანაობ-მეთქი ამ უნაპირო ლავჯარდში. ღვედები შევისწორე, უფრო მოხერხებულად დავჯექი და ხელახლა ზემოთ ავიხედე. ინსტრუქტორმა ერთი ირაო კიდევ შემოხაზა ჩემს თავზე და, რაკი დარწმუნდა, რომ არაფერი მიშავდა, თვითმფრინავი დასაჯდომად წაიყვანა. ირგვლივ გასაოცარი სიწყნარე დასადგურდა. აღარც ყურები მიბეჭუნს. რა კარგია!

ძალიან ნელა, თითქმის შეუძინველად მიახლოვდება მიწა. ვცდილობ ისე შევეტრიალდე, რომ ქარი ზურგში მიბერავდეს — ასე უფრო ადვილია დაშვება. უეცრად სწრაფად გავქანდი მიწისაკენ თუ მიწა გამოქანდა ჩემსკენ. ჩვენს შორის სულ უფრო მცირდება მანძილი.

წამიც და წესისამებრ ორივე ფეხით დავხტი მიწაზე და რაც შემეძლო მტკიცედ დავდექი.

(გაგრძელება იქნება)



პახანგ ძეილაძე

ჩემი დილა

დილა ქლურტულებს, როგორც მერცხალი,
მე მისი ეშხი ბევრჯერ მიქია,
გულში ლექსია თუ ნაკვერცხალი,
ვერ გამოვიღია.

ჩემს ფანჯარასთან მზე ყელს იღერებს,
სიერცე მზის ლაღი სანაევარდოა,
ძმად გაეფიცა გული სიმღერებს
განა მარტოა?!

სიტყვის მირონით მე მოვინათლე
და შთაგონებას მივდეგ ბარბაციით,
სიმღერა ჩემთვის არის სინათლე
და რაღაც — კიდევ უფრო წარმტაცი.



ზუკაბ ღოთქიჯანიძე

მესაზღვრის

ფრთხილად დარაჯობ გაყოფილ ზეცას,
 გაყოფილ მთებს და გაყოფილ ნისლებს,
 შუაგაჭრილობ წყარო შხედს, ხვეწავს
 და ჩამოვლილი თეთრ პეშვებს გივსებს.
 ჩამოვა ღამე, კუბრის ფერს გაშლის,
 მცირე რამ ჩქამი გესობა შუბად.
 და შენს სამხედრო ხალათში მაშინ
 სიკვდილის ლანდი ეხვევა ჩუმად.
 ედება მკლავებს ძალა ჩვეული,
 კაქდება გული ბნელში გამწყვრალი,
 გრძნობ, შემოგყურებს შეჭიდებული
 სიკვდილ-სიცოცხლის მძაფრი საზღვარი.
 მე იმ დროს ალბათ ქუჩით ხმობილი
 ფიქრს, სხვათაშორის, ცამდე წამოვშლი,
 ჩვეულებრივად გამოწყობილი
 სამოქალაქო ტანისამოსში,
 ვიცი, არ მელის მშობელ მთაველში,
 სულთამხუთავი ბული და ხვატი,
 და მაინც ზოგჯერ ჩემს შავ თვალებში
 შავად ჩადგება სიკვდილის ლანდი.
 იქნებ მეცა ვარ მესაზღვრე სიტყვის,
 ტკივილის,

წუთის,

სივრცის და სეტყვის.

იქნებ მეც ვიყო ქვეყნის ნაპირზე
 მესაზღვრე შენებრ ფხიზლად დამდგარი.
 და მელანდება ყოველ ნაბიჯზე
 სიკვდილ-სიცოცხლის მძაფრი საზღვარი.
 იქნებ, ძმაკაცო, კიდიდან — კიდეს
 ერთი გულით და იღბალით ვხვდებით.
 ქვეყნად ვინც ნამდვილ სიცოცხლეს მისდევს,
 უშიშრად დადის სიკვდილის გვერდით.

დღით და საათით


ვიდექი ველში განათებული
 ციციანთლების ცოცხალ სანათით.
 ვარ საუკუნოდ დავალებული
 იმ რამდენიმე დღით და საათით.
 ბევრჯერ ვყოფილვარ შენთან პირისპირ,
 ბევრჯერ პირისპირ გული მეტყინა.
 მეორდებოდეს მაინც ბინდისფერ
 მოსასხამებში ზოგიერთი რამ;
 მეორდებოდეს — თუნდაც აღმურწი
 ერთი ოცნებით რომ ვიწვევბოდი,
 სივრცეებს, ფოთლებს, შუა ზაფხულში
 მიწებებული ფიჭვის წებოთი.
 თუნდაც ის წუთი მეორდებოდეს,
 ზუსტად ის ციხე, ქართა მობერვა,
 ყურთა ამკლები ახლო ბუდობდეს
 ის — მაშინდელი ჭრიჭინობელა.
 ის — ჩია ჭია თეთრი მუხლუნა
 ჩითის კაბაზე აცოცებული,
 კვლავ მომაყურა ის ხმა შუშხუნა,
 კვლავ ის — თვალეტი გაოცებული.
 კვლავ ის ნიაფი შემოტმასნული
 მწვდებოდეს... ის ხომ წაღებოდა შენს თმებს.
 კარგი იყო, რომ ჰქონდეს დასტური,
 ზოგიერთი რამ მეორდებოდეს.
 თუნდაც ხავსიან ნააჩრდილარში
 დანახვა წყვილად ვარდნილ ჩანჩქერის,
 შენი სულის და სივრცის წიაღში
 სურვილი ჩემი — ლანდად გარჩენის.
 ვყოფილვართ ველში განათებული
 ციციანთლების ცოცხალ სანათით.
 ვარ საუკუნოდ დავალებული
 იმ რამდენიმე დღით და საათით.

საზუის ხევში ღიმილით მწვდება

ფიქალის მთებში მოჰქრის ინწობა,
 ზოგან ტოტები ხვდება ფარცხებად,
 მარტოდენ მაშინ გაეცინება,
 როცა სიბ კლდეებს მიენარცხება.
 ასეთი მოჰქრის მთაში ინწობა,
 საბუის მთებში ღიმილით მწვდება
 და რად მიკვირდეს თუკი იწყება
 ჩემი მისადმი თაყვანისცემა.
 ტანზე მოისხა ფოთლების ფარჩა,
 მოჰქრის და შოაქეს რაღაც სათქმელი,

განსაშორებლად დამწვავს თუ დამრჩა
 დღეები თითზე ჩამოსათვლელი.
 გააღილავა სივრცე საღამომ,
 და შეღამების მოწამე გავხდო,
 ბუნების წილს რომ შემახამონ,
 შემომახეიეს ტყეებმა ლანდი.
 ნისლეები ჩაწვენენ სხლტეების ვაღმა,
 და ვარსკვლავების ტრფიალი ვცადე.
 ვარ გამჭვირვალე ოცნება ახლა,
 გაკიდებული ლილისფერ ცამდე.
 ვარ გარინდება და ჩემი უფოთვა,
 კავკასიონის მაღალ ჭიშკართან,
 და ჩემი თავი (და ისიც ოღნავ)
 დღეს მომეწონა და შემეიყვარდა.





პირობა ყოვნიანი

კ. ჯ. ლ.

რედაქციის ლიტმუშაკი ვანო ურთმელიძე ჟურნალის მორიგი ნომრის კორექტურას კითხულობდა, როდესაც ტელეფონმა დარეკა. ვანოს თავიც არ აუღია, ხელი გვერდზე გადასწია, მაგიდაზე მოაფათურა და ბრმასავით წააწყდა ყურმილს.

— გისმენთ!

გამომცემლობის ბუხჰალტერი ურეკავდა, — რატომ არ მოდიხარ, შენი ჰონორარი რატომ არ მიგაქვსო.

— რის ჰონორარი?! — განცვიფრდა ვანო, სკამი უფრო ახლოს მისწია მაგიდასთან, თითქოსდა ბუხჰალტერსაც მიუახლოვდებოდა სალაპარაკოდ.

— შენ სწერ და მე მეკითხები? — ვითომ იხუმრა ბუხჰალტერმა, — მოდი, წაილე, კვარტალი თავდება და ანგარიშები უნდა დავხუროთ.

ბუხჰალტერმა ყურმილი დაკიდა.

— საოცარია, არაფერი მახსოვს, — ხმამაღლა თქვა ვანომ და ხელები გაშალა, თუმცა ოთახში არავინ იყო, — რაღაც შეცდომაა, წავალ, გავარკვევ, — ვანომ ქული დაიხურა და რედაქციიდან გავიდა.

მიაბიჯებდა ვანო ურთმელიძე გამომცემლობის შენობისაკენ და ფიქრობდა: „კარგი კი იქნება, მართლა რომ მეკუთვნოდეს, ვალს გაგისტუმრებდი...“

ბუხჰალტერიაში რიგი იდგა. იცადა, იცადა ვანომ და როცა რიგი დაილია, სარკმელში შეჰყო თავი.

— მოვედი, ბატონო დიმიტრი! — თქვა მან.

— აბა, რას იზამდი, — გაუღიმა ბუხჰალტერმა, თითქოს ამბობდა, რა ძალა აქვს ფულს, რა უცბად მოგიყვანაო.

— ბატონო დიმიტრი, აბა, ნახეთ, ალბათ, ვინმე ჩემს მოგვარეს ერგება ფული.



— ხომ ივანე ხარ, ურთმელიძე, — დიმიტრიმ წითელი ფანქრით ბული გაზეთი ვანოსკენ მიაბრუნა, — ა, ნახე, იქნებ მართლა სხვაა ვინმე.

სალამოს გაზეთი იყო, ორი თვის წინანდელი ნომერი. ვანომ ერთდროულად ამოიკითხა თავისი გვარი და წერილის სათაური: „ლევან მინდელის პოეტური მემკვიდრეობა“.

ვანო გაწითლდა. ლევან მინდელი, ლევანი... ლეო... ვანოს მეგობარი, სკოლისა და უნივერსიტეტის მეგობარი, უსაყვარლესი ადამიანი, რომლის სიკვდილმა ბავშვობის შემდეგ პირველად აატირა ვანო... და აი, წელს, მისი გარდაცვალებიდან ხუთი წლის თავზე, ვანო ურთმელიძემ გულთბალი წერილი მიუძღვნა ლევან მინდელის შემოქმედებას, დიდხანს ყოყმანობდა და ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა დაბეჭდვა. ეს წერილი ახსოვდა ვანოს, როგორ არ ახსოვდა. ისიც იცოდა, რომ ამ მასალაში ჩვეულებრივ, ჰონორარს გამოუწერდნენ, მაგრამ მერე დაავიწყდა, არ იცის როგორ და რატომ, მაგრამ დაავიწყდა. წერილი გულწრფელ საუბარს ჰგავდა, ზეპირსა და სახელდასხლოს, აი, ვინმეს რომ ქუჩაში ეკითხნა ვანოსთვის, როგორი იყო ლევან მინდელი, და ვანოსაც სინანულით და სიყვარულით მოეგონებინა.

— სხვისია? — ფიქრებიდან გამოარკვია ბუხპალტერმა.

— ჩემია, — თქვა ვანომ, თითქოს იძულებულია აღიაროს, ხელახლა განცდილმა მწუხარებამ მას შუბლი დაუნაოჭა, ხმა აუკანკალა, — თქვენ იცნობდით, ბატონო დიმიტრა, ლევან მინდელს?

— როგორ არა, შემოდიოდა ხოლმე აქ, კარგი ახალგაზრდა იყო.

— ერთად ვიზრდებოდით, — თქვა ვანომ.

— მართლა? რამ მოკლა საწყალი?

— ჭლექი ჰქონდა.

— მერე ხომ არჩენენ ახლა...

— თავს არ უგლიდა, ბატონო დიმიტრი, არც ახლობლები ვეხმარებოდით მაინცდამაინც.

— რამდენი წლისა იყო?

— ოცდაოთხის გარდაიცვალა.

— უჰ, უჰ, საწყალი, — ბუხპალტერი სანაგარიშოსკენ გადაიხარა და ქვები ჩამოჰყარა, — მართლა რა ახალგაზრდა ყოფილა!

— იცით რა, პატივცემულო დიმიტრი, — ხელიც სარკმელში შეჰყო ვანომ და წინასწარ კნევა დაიწყო, სანამ იტყოდა: — მოდი და... არ წავიდებ მაგ ფულს. რა მოხდება?

ბუხპალტერმა გაკვირვებით ახედა.

— არ წაიღებ? აბა, მე ხომ არ ჩავიდებ ჯიბეში!

— გული არ მაძლევეს ნებას, პატივცემულო დიმიტრი, თითქოს არ მეკუთვნის მე ეგ ფული.

— გამოწერილია უკვე და რაღა ეშველება, ბუხპალტერიის ამბავი არ იცი? კაპიქს ვერ გავაჩერებთ სალაროში.

— ბატონო დიმიტრი...

ბუხპალტერს გაელიმა.

— ჯერ ჩემთვის არავის უთქვამს, ფულს ნუ მაძლევო.

ცოტახნის შემდეგ ვანო ურთმელიძე ისევ რედაქციისკენ ბრუნდებოდა და ყოველ ნაბიჯზე გრძნობდა, თუ როგორ ტკაცუნობდა შარვლის ჯიბეში ჩაკეცილი ახალთახალი ფული. „ამის გაგება რომ შეეძლოს ახლა ლევანს, — ფიქ-

რობდა ვანო, — მისი სიყვარულისა და ხსოვნისათვის რომ გასამრჯელო ავიღე, რას იფიქრებდა?“

ვანომ გვიან იგრძნო, რომ რედაქციის შენობას დიდ მანძილზე გასცილებოდა. ასე შეუმჩნევლად ჩაივლიდა ხოლმე იგი რუსთაველის პროსპექტს ლევანთან ერთად.

რა ქნას ვანომ, სად წაიღოს ეს ფული? თავისი ვალი გაისტუმროს? არასოდეს. ტუფლები საყიდლად ისესხა და ახლა... ჰმ, ამ ფულით გადაიხადოს?

ვანოს ლევან მინდელის ლამაზი, სევდიანი სახე დაუდგა თვალწინ, იღიმებოდა, თითქოს ამბობდა, „რა სისულელეა, ვანო, აიღე და ეგ ფული როგორც გინდა, ისე მოიხმარე“.

არა, ვანო ვერაფერში დახარჯავს ამ ფულს, ვერც ოჯახისთვის მოიხმარს, ვერც სხვა რამეში გამოიყენებს. არადა, სად წაიღოს, რა უქნას.

„ყვავილებს ვიყიდი! — გაუელვა ვანოს, — სულ ცოცხალ-ცოცხალ ვარდებს, და ლევანის საფლავზე მივიტან, მესაფლავებებსაც მივცემ ფულს, ყური უგდონ...“

მაგრამ ვანოს ერთბაშად ჩაუქრა აღფრთოვანება, მწარედ გაეღიმა. განა აქამდე არ უნდა ენახულა ლევანის საფლავი, არ უნდა მიეტანა ყვავილები?

იქნებ ლევანის დედას წაუღოს? ზედმეტი არ იქნება მოხუცისათვის. მოატყუებს, ვითომ ლევანს ერგებოდა ძველად დაბეჭდილი ლექსებისათვის... მაგრამ რატომ თვითონ არ მოაგონდა აქამდე ლევანის დედა? არც გაუგია, როგორ ცხოვრობს, რა უჭირს და ულხინს, იქნებ უპატრონოდაა საწყალი ქალი. უნდა გაეგო ეს ვანოს და თვითონ დახმარებოდა მოხუცებულს, თავისი ფულით და არა...

რა დიდი ვალი ჰქონია ვანოს, და რა პატარაზე ფიქრობდა ამ დილით.

უეცრად ვილაცამ გვერდი გაჰკრა, კინაღამ წააქცია. გაბრაზებით მოიხედა ვანომ, ტროტუარზე ერთი აყლაყუდა ბიჭი გარბოდა, უკან ორნი მისდევდნენ. „უნდა მოკიდო ახლა ამას ხელი და სიგრძე სიგანედ უქციო, ბოდიშის მოხდასაც არ კადრულობს“, — გაიფიქრა ვანომ.

ის ბიჭი რძისფრად შეღებილ შუშის კარებთან დაესო, ის ორიც უკან ამოუდგა, როგორც ჯარისკაცები სამწყობრო ვარჯიშისას. ახალგაზრდებს ყვითლად თმებშეღებილი შუახნის ქალი მიუახლოვდა, რაღაც ჰკითხა და ისიც სასწრაფოდ მათ უკან დადგა. გაჩნდა რიგი.

„რა არის, ნეტა?“ — დაინტერესდა ვანო და ზღაზვნით მიუახლოვდა რძისფრად შეღებილ კარებს.

— აქ რიგია, თუ... — ჰკითხა მან ქალს.

— ამბობენ, დიუმაზე იქნება ხელისმოწერაო!

— დიუმაზე?! — გამოცოცხლდა ვანო და უნებურად ქალს უკან ამოუდგა, „რა ბედზე ვიკითხე, — გაიფიქრა მან, — თუ მართლა იქნა ხელმოწერა, აუცილებლად მერგება, მეხუთე კაცი ვარ“, — და შესამოწმებლად წინ მდგომნი გადათვალა.

ვანოს შემდეგ ღიბიანი კაცი დადგა რიგში, ხელში ახალნაყიდი სამთვლიანი კელოსიპედი ეჭირა, ისეთი ლამაზი, რომ ვანომ ბავშვივით შესცინა სათამაშოს. ავტობუსიდან მგზავრები ჩამოვიდნენ, შეჯგუფული ხალხი შეამჩნიეს და ზოცა გაიგეს, რაშიც იყო საქმე, ერთბაშად წააგრძელეს რიგი.

— ნეტავ მალე გააღებენ? — ჰკითხა ღიბიანმა ვანოს.

— არ ვიცი, — უპასუხა ვანომ, თვითონ კი თმაშეღებილ ქალს ჰკითხა, ხომ არ იცით, რამდენ ტომად იქნება დიუმას გამოცემაო.

— ვერ გეტყვით, ალბათ, თხუთმეტამდე...

ერთი საათის შემდეგ ვანოს უკვე ხელში ეჭირა ხელმოწერის ქვითარი და წიგნების მალაზიიდან მასთან ერთად გამოსულ ღიბიან კაცს ეკითხებოდა:

— ეს ის ველოსიპედი ხომ არ არის, ორთვლიანად რომ კეთდება?

— სწორედ ის არის, — კმაყოფილი ღიმილით უპასუხა კაცმა.

— სად იყიდეთ?

— აქვე, „ბავშვთა სამყაროში“.

— ხალხი ბევრი იყო? — ჰკითხა ვანომ და გაიფიქრა: „ჩემს ბიჭს რომ მივუტანო, გაგიყდება სისხარულისაგან, რამდენი ხანია უნდა და ვერ ვუშოვნე“.

— არც ისე, — თქვა ღიბიანმა, — თუ წახვალთ, შეიძლება მიუსწროთ.

იმ საღამოს ვანოს ბიჭი ველოსიპედიდან აღარ ჩამოსულა; აივანზე დააქროლებდა და ყველას ეუბნებოდა: „როცა გავიზრდები, მერე ორთვლიანად გადააკეთებს მამაო“.

— რისი ფული აიღე? — სადილობის წინ ჰკითხა ცოლმა ვანოს.

— აი... იმისი... იქ რომ დავბეჭდე...

— დაგრჩა რამე? — დაზუსტება აღარ მოითხოვა ცოლმა.

— კი, — ვანომ ჯიბისაკენ წაიღო ხელი.

— პელაგიას ვალს გაისტუმრებს?

— კი.

— მაშინ მომეცი, თორემ დღესაც მთხოვა და უხერხულია.

სადილობის შემდეგ ვანო წასასვლელად მოემზადა.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა ცოლმა.

— ლევანის დედის ნახვა მინდა, რამდენი ხანია არ ვყოფილვარ...

ლევანის დედამ, სახეღამჭკნარმა და შავებში მოსილმა ქალმა, ჯერ ვერ იცნო შვილის მეგობარი, მერე „უიმეო“ წამოიძახა, უხმოდ გადაეხვია ვანოს და ატირდა.

— სად დაიკარგე, ბიჭო, აღარავინ მოდის, აღარავის უნდა მგლოვიარეს ნახვა, ვიფიქრე, ყველამ გადაივიწყა ჩემი ლევანი-მეთქი.

— არა, დეიდა კატო, მე ლევანი არასოდეს დამავიწყდება.

— ვიცე, რომ გახსოვს, შენი წერილი წამაკითხეს მეზობლებმა. მადლობელი ვარ. შვილო, მადლობელი, კარგად იხსენიებ ლევანიკოს.

— რისი მადლობა, დეიდა კატო, — ვანომ თავი ჩაღუნა.

— დაჯექი, აგერ, აქ დაჯექი, ცოლი ხომ არ შეგირთავს?

— შევირთე, — თითქოს შერცხვა ვანოს.

— შვილიც გყავს?

— მყავს.

— ღმერთმა კარგად გიმყოფოს მათი თავი... იმ გოგოს ხომ არ ნახულობ?

— ვის, დეიდა კატო?

— ჩემი ლევანის საცოლეზე გეუბნები.

— აღარ მხვდება.

— ალბათ, ვათხოვდა. — ცივად თქვა მოხუცმა.

— არა მგონია, — გამხნევება სცადა ვანომ.

კიდევ დიდხანს ილაპარაკეს. ბოლოს ვანომ ჰკითხა:


— იქვენ ზომ არაფერი გიჭირთ, დეიდა კატო, ხომ არ...

— იმან იკითხოს, შვილო, იმ უბედურმა ჩემმა ბიჭმა, თორემ მე რა მიჭირს.

ძალით თავი ვერ მოვიკალი, ტკბილი ყოფილა ეს სული, ეს ოხერა!

დასტურის ნიშნად ვანომ თავი დაუქნია მოხუცს.





ქუთაისი

მანქანა ქუთაისის უახლოვდებოდა. საჭესთან იხეინერი დავით ბაციკაძე იჯდა და მგზავრობით მოქანცული თავისუფლად მინდობოდა საზურგეს. ოცნებაში წასული ადამიანივით მიაქროლებდა იგი ავტომობილს. საოცნებო კი მართლაც ჰქონდა. ამ დილით თბილისში დეპეშა მიიღო ქუთაისის საავტომობილო ქარხნიდან, სასწრაფო საქმეზე იწვევდნენ. ეს „სასწრაფო საქმე“ დავითის მიერ შექმნილი ახალი მანქანის გამოცდა იყო. „ამ საღამოს ყველაფერი გამოირკვევა. — ფიქრობდა დავითი, — გავიმარჯვებ ან დავმარცხდები“.

ხარავოლში არც იყვნენ ჩასულნი, როცა ქეთევანი, დავითის ცოლი, უკან გადაჯდა, იქნებ ჩამეძინოსო, მაგრამ ვერ მოახერხა; იმერეთის გორაკებმა, ჩქარმა, დაკლავნილმა მდინარეებმა მოხიბლა ქართლელი ქალი.

ქეთევანი პირველად მიდიოდა ქუთაისში, ქმრის სამშობლო ქალაქში. დავითი შიშობდა, ვაი, თუ დიდხანს შევრჩე ქარხნის საქმეებს და ქეთევანს ვერ გავაცნო ქუთაისიო. ქეთევანს კი სწორედ ქალაქის ნახვა აინტერესებდა, გასეირნება და გართობა. მას ერთი სიტყვაც არ დაუძრავს დავითის მანქანის შესახებ, თითქოს არც გახსენებოდეს. „ბედნიერი ქალია, არაფერი აღაძრებს“, ფიქრობდა დავითი.

- მალე გამოჩნდება? — ჰკითხა ქეთევანმა და სარკმელში გაიხედა.
- ჯერჯერობით, საპარაშუტო კოშკის წვერი ჩანს.
- აბა, სად?
- მარცხნივ, მალა.
- ჰო, ვხედავ.
- მოიცა ცოტა, — თქვა დავითმა და მანქანა ააჩქარა, აღმართზე შეაგდო. —

- ახლა თვალი გამოაყოლე ჩემს ხელს, ეკლესიას ხედავ?
- მერე?
- უფრო მარჯვნივ და დაბლა ბაგრატის ციხის ნანგრევებია.
- ეტყობა დიდი ტაძარია, დღეს მოვასწრებთ ნახვას?



— მე რომ შენს ადგილზე ვიყო, — შემოხედა ცოლს დავეითმა, — არც გავამხელდი, რომ ქუთაისში აქამდე არ ყოფილხარ.

— არც გავამხელ ხვალ დილამდე. ხვალ კი ყველაფერი ნახული მექნება.

— ვეძვობ, — თითქოს თავისთვის დასკვნა დავეითმა, — ახლა პირდაპირ ქარხანაში უნდა მივიდე, მერე ვნახოთ.

ისინი დადუმდნენ. მანქანა ქალაქის გარეუბანში შეიჭრა, დაირწა და ავარი-აღდა უსწორმასწორო ქვაფენილზე. ქეთევანი თვალებს აცეცებდა, ცდილობდა არაფერი გამორჩენოდა საინტერესო. ახალი ხილით ქარხნისაკენ გზის მოკლედ მოჰკრა შეიძლებოდა, მაგრამ დავეითმა ცოლის ხათრით მანქანა ქალაქის ცენტრში შეიყვანა, თეატრის წინ გაატარა, ძველი ბაღისა და ახალი სასტუმროს გვერდით ჩააქროლა და თეთრ ხიდს მიაღვა.

— ამ ხილქვეშ ვისწავლე ცურვა, — უთხრა დავეითმა ცოლს და მანქანის სვლა შეანელა, — მოაჯირიდან ვხტებოდი მდინარეში.

— ამ სიმაღლიდან? — წელში ლარივით გაიმართა ქეთევანი, რომ მდინარის კალაპოტი დაენახა.

— ჰო, ტიტლიკანა ამოვირბენდი შუაქალაქში და... ერთი, ორი და სამი... ისევ წყალში ვხტებოდი.

— მერე? — ჰკითხა ქეთევანმა მცირე დუმილის შემდეგ.

— რა მერე?

— მერე რას აკეთებდი, როცა გაიზარდე, ისევ ტიტლიკანა დარბოდი?

მანქანა ხიდს გასცდა და ფართო პროსპექტზე გასრიალდა.

— რიონქვსზე ვმუშაობდი. როცა არხში წყალი გადავადგეთ, მდინარე დაიწროტა, საბანაო ადგილები საძებარი გავვიხდა.

ქეთევანს გაეცინა.

— რატომ იცინი?

— ისე. წარმოვიდგინე, როგორ ეძებდი საცურაო ადგილებს, ალბათ, სასაცილო ბიჭი იქნებოდი.

— ჰო, ვეძებდი და აზრადაც არ მომდიოდა, რომ მდინარე მე თვითონ დავაშრე.

დავეითმა მანქანის საათს შეხედა.

— ქეთევან!

— გისმენ!

— იცი, რა, ქეთო, გინდა ის სახლი ვნახოთ, სადაც შე დავიბადე?

— მიაგნებ?

— თუ გაინტერესებს, კი.

„თვითონ აინტერესებს თავისი სახლის ნახვა“, — გაიფიქრა ქეთევანმა.

მანქანამ მთავარი ქუჩიდან მარცხნივ გადაუხვია, ისევ ავრიალდა, რწვევად იწყო უსწორ-მასწორო ქვაფენილზე.

— ქვის სახლია, — თქვა დავეითმა, — უკარო სადარბაზო შესასვლელი აქვს, კარი კიბის თავზეა. ასეთი სახლი ბევრია ქუთაისში, მაგრამ მე ჩემსას ვიცნობ, — მერე ქეთევანს მიუბრუნდა, — მე შენთვის არასოდეს მიაგმნია ოტია მესარკის ამბავი?

— არა, ვინ იყო?

— გატყვი.

— შენ, საერთოდ, არაფერი ვიამბნია შენი ბავშვობის შესახებ, — უსაყვედურა ქეთევანმა.



— არც შენ შეგიწუხებია შეკითხვებით. — დავითმა ავტომობილის ტარა სარკე ისე შეაბრუნა, რომ ცოლისათვის შეეხედნა.

— მართალს ამბობ, — თქვა ქეთევანმა სარკეში.

— აი, ეს სახლია! — წამოიძახა დავითმა და მანქანა შეაჩერა, ქეთევანმა სახელური დაატრიალა და ავტოს სარკმელი ჩამოუშვა — აი, ის ფანჯარა ჩვენი ოთახისაა, — თითი გაიშვირა დავითმა, — წითელა რომ მჭირდა, იმ ფანჯარასთან მიმიყვანა მამამ და თოფი გამასროლინა.

— რამდენი წლის იყავი?

— შვიდის თუ რვის.

— შენ თვითონ გაისროლე?

— ალბათ მამამ გამოჰკრა ჩახმახს, მაგრამ მაშინ მეგონა, რომ მე თვითონ გავისროლე. ჩავიდეთ, ქეთევან!

— სირცხვილია, ვინ არიანო, არ იტყვიან?

— წამო, მე ჩემს ვედროს წამოვიღებ, ვითომ წყალი მინდა მანქანისათვის.

— მე? მე კი ვითომ წყალი მომწყურდა?

— ჰო, ალბათ, მართლაც მოგწყურდა.

დავითმა მანქანის საბარგულიდან პატარა ვედრო ამოიღო და ცოლს წინ გაუძღვა. ქეთევანი ისე შეჰყურებდა სახლს, თითქოს რაღაც ღირსშესანიშნავ ძეგლს ეცნობაო. მას დაამახსოვრდა ჩაქანგული თუნუქის ორნამენტებით თავდამშვენებული, გვერდებშეკმული საწვიმარი მილი და გამველთა ნაბიჯებით გაცვეთილი, ამოღრმავებული ქვის ფილები ტროტუარზე. დავითმა ჭიშკარი შეაღო და შეჩერდა.

— შედი! — თქვა ქეთევანმა.

— არა, ჯერ პატარაძალმა უნდა შეაბიჯოს, — გაიღიმა დავითმა.

ეზოში სარეცხი ედინა, სველი ზეწრის უკან ჩანდა ქალის შიშველი, მსხვილი წვივები, თოკს ზემოთ — რეცხვისგან დაწითლებული ხელები. უეცრად ეს ხელები გაქრა, ფეხები ამოძრავდა, ზეწრის კიდე აიკეცა და გამოჩნდა მსუქანი, შუახნის ქალის ცნობისმოყვარეობისაგან შეწუხებული სახე.

— წყალი უნდა გვასესხოთ, — გაუღიმა ქალს დავითმა და ვედრო ოდნავ გააქანა.

— მიირთვით, ბატონო! — ხელით ანიშნა ონკანისაკენ მსუქანმა ქალმა და მერე ქეთევანს შეხედა, — ჭიქას მოგართმევთ, თუ ინებებთ.

— ნუ წუხდებით, ბატონო! — მასპინძლის კილოს მიემსგავსა ქეთევანის ხმა.

— რავა გეკადრებათ, ამ წუთში. ნანულია, გოგო! — გასძახა ქალმა, მაგრამ პასუხს არ დაუცადა, თვითონ გაემართა სახლისაკენ.

დავითი შეთქმულივით აჩურჩულდა:

— აი, ქეთო, ის უშუაბანდი ჩვენი იყო, ზაფხულობით იქ გვეძინა ხოლმე. აქ აუზი იდგა, შუა ეზოში. ერთხელ ქათმები დაგვეხრჩო შივ, თეთრი ქათმები იყო, მახსოვს. დაფნის ბუჩქებს ხომ ხედავ? პირველად იქ ვნახე ციცინათელა. შემეშინდა. მაშინ ძალიან პატარა ვიყავი...

დავითის თვალები უხილავ სხივებს გაებრწყინებინა. ისე გულუბრყვილო სიზუსტით უამბობდა ცოლს ყველაფერს, თითქოს ბავშვობის მოგონებებს ისიც გაეზაგებებინა, თითქოს ენაც ეჩლიქებოდა ბავშვივით. ქეთევანი კი თვალს არ ამორებდა დავითს, რომელსაც ტურჩებზე შეჰპარვოდა უმიზეზო სევდა.

მსუქანმა ქალმა ლამბაქი და ჩაის ჭიქა გამოიტანა, საგულდაგულოდ გარეცხა, პირთამდე გაავსო, გადააჩხრიალა და ქეთევანს გაუწოდა.



როცა დავითმაც მოიკლა წყურვილი და ჭიქა ბატონის დაუბრუნა, ძელმა გაბედა და ჰკითხა:

— თბილისიდან ხომ არ მობრძანდებით, ბატონო? — თან თვალი ქუჩაში მდგარ ავტომანქანისაკენ გააპარა.

— დიას, თბილისიდან.

— ამბობენ, წელს ძალიან ბევრი ახალგაზრდა იჭრება მისაღებ გამოცდებზეო.

— ბევრი, — თქვა დავითმა და გაიფიქრა, „აღბათ, მისი შვილი აბარებს უმაღლესში“.

— ახლა წყალტუბოში მიბრძანდებით?

— არა, ქარხანაში.

— საავტომობილოში?! — თითქოს გაეხარა ქალს.

— დიას.

— დიდი ბოდიში, ბატონო, მაგრამ რა გვარი ბრძანდებით?

„თუ ჩაიჭრება, ჩაიჭრეს, — გაიფიქრა ქალმა, — ჩამოვა და ავერ მოეწყობა ქარხანაში“.

— ბაციკაძე დავითი, დავით ბაციკაძე, — თქვა დავითმა.

— მეცნობა, ბატონო, თქვენი სახელი, — ზრდილობის გულისათვის წარმოსთქვა ქალმა, ცოლქმარს კეთილი მგზავრობა უსურვა და სახლისაკენ შეტრიალდა. დაფიქრებული მიაბიჯებდა, აღბათ, თავისი ბიჭის ბედზე ფიქრობდა.

— კარგად ბრძანდებოდეთ, — გააყოლა დავითმა და როცა ქალი თვალს მიეფარა, თავისუფლად ამოისუნთქა, ქეთევანს მკლავში ხელი ჩაავლო და ქვეთვირის გალავნისკენ მიაბრუნა.

— იქ მიწური სახლი იდგა, ქეთევან, დაუნგრევიათ. ოტია მესარკე ცხოვრობდა, მე რომ გეუბნებოდი. ო, რა საინტერესო კაცი იყო! ახლა ვხვდები ამას, თორემ მაშინ რა მესმოდა. ქუთაისში ჭიათურისა და ჩამოვიდა, იქ მარგანცის საბადოებზე მუშაობდა თურმე, რაღაც მანქანას იგონებდა, მადნის მრეცხავს. ყვირილა აღარ გაშავდებო, აღარ გაჰყვება მარგანციო, უთქვამს. სულელად მოუნათლავთ და მერე აქეთ წამოსულა ბედის საქმებრად. კაცი ინჟინრად იყო დაბადებული, რას არ იგონებდა. ქუთაისის მეეტლეებს ოტიამ დაუდგა ეტლებზე გზისამთვლელი ავტომატები, თვითონ კი საკუთარი ხელით გაკეთებულ ველოსიპედით დადიოდა. გაზის ფარანი პირველად ოტიამ გაავერცელა ქალაქში... ჰო, რას გეუბნებოდი? მაგრამ ბოლოს მესარკის სახელი შერჩა ოტიას. აიხირა საწყალმა, ვერცხლისა და ოქროს მაგივრად უბრალო ლითონისაგან უნდა შეეძლო მინის მოსარკვაო. აქედან დაიწყო მისი ტანჯვა-წვალება. დღე-ღამეს ასწორებდა, ათასნაირ ქიმიურ ხსნარს ამზადებდა. იღეჭებოდა ეს ხსნარები მინის დბდსა და პატარა ფურცლებზე, მაგრამ მეორე დღეს ოსტატისავე ხელით იმტვრეოდა სარკეები, რომლებშიც დამახინჯებულად ჩანდა ყველაფერი. აი, იმ ქვეთვირის გალავნის ძირში ეყარა სარკის ნამტვრევები. მიწა რომ ამოიჩქნო, აღბათ, ახლაც ამოვარდება ნატეხი. დილით, როცა ეზოში ჩამოვიდოდი, თვალები ამიჭრელდებოდა, ათასი მხრიდან ისროდნენ სხივებს, ლაპლაპებდნენ და თანდათან იზრდებოდა სარკის ზღვა. ქუჩის ბიჭები საგანგებოდ შემოდიდოდნენ ჩვენს ეზოში, რომ სარკის ნატეხები წაეღოთ და მერე მწესთან ეთამაშნათ.

— ასე რომ, დამარცხდა ოტია, — თქვა თავისთვის ქეთევანმა. იგი თვალს არ აშორებდა ქვეთვირის გალავანს და ცდილობდა წარმოედგინა ოდესღაც ზედ მიყრილი, ათასნაირად აბრჭყვიალებული სარკის ნამტვრევები.

— მომითმინე, ქეთევან, გეტყვი... ოტიამ ცოლი შეირთო...

ამ დროს ეზოში ისევ გამოჩნდა მასპინძელი ქალი და როცა ცოლ-ქმარი შე-
ამჩნია, გაკვირვებული შედგა, აღარ ელოდა მათ დანახვას.

— სკამს მოვართმევთ, ბატონო! — კვლავ აწრილდა იგი.

— არა, გმადლობთ, ჩვენ უკვე მივდივართ, — თითქოს მოიბოდიშა და-
ვითმა და ჩურჩულით განაგრძო, — ოტიამ ცოლი შეირთო. პატარა, ლამაზი,
მორცხვი ქალი. ოთხი თუ ხუთი სტუმარი ჰყავდა ამ ბედნიერების დღეს. სუფრა
ეზოში გაშალეს. რომ იცოდე, რა ამბავში იყვნენ იმ დღეს სარკის ნატეხები;
ისინიც მხიარულობდნენ თითქოს, ისინიც ღრეობდნენ. და ოთხი და ხუთი კი არა,
ამ სარკის ნამტვრევებში ოტიას ასი და ასზე მეტი სტუმარი ქეიფობდა, ილოცე-
ბოდა, თვრებოდა. გაიარა ერთმა წელმა და ოტია მესარკეს უბედურება ეწია.
მშობიარობას გადაჰყვა ცოლი. და ახლა იმ სარკეებში ათასი კუბო გამოჩნდა,
როცა მიცვალებული გამოიტანეს ეზოში... იცი რა, ქეთევან, მე რომ ბავშვობაში
ოტია არ მენახა, ასე მგონია, მაშინ კაცი აღარ გამოვიდოდი, ვერც ინჟინრობას
და ვერც სხვა საქმეს შევისწავლიდი. ოტიამ მიზანს ვერ მიაღწია, ვერ განდევნა
ვერცხლი და ოქრო, მაგრამ ჩემს ბავშვურ გონებაში თავისთავად შემუშავდა
ჯიუტი შრომის თითქოს თანდაყოლილი თვისება.

ქეთევანი სიყვარულით უღიმოდა დავითს, თვითონაც ვერ გარკვეულიყო,
რამ მოხიბლა, ოტია მესარკის ამბავმა, თუ ქმრის წუთიერმა თავდაფიწყებამ და
გატაცებამ. იგი დავითის შეჭადარავებულ საფეთქელს შესცქეროდა, თმებში
მოზრდილი შავი ხალი მოუჩანდა, ქეთევანს არასოდეს შეუძმინევია ეს ხალი.


— შენი მანქანის გამოცდა დღესვე დამთავრდება?

— უნდა დამთავრდეს, თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, — უეცრად აღელ-
და დავითი და ცოლს ჭიშკრისკენ მიუთითა, წავიდეთო.

— ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, — თქვა ქეთევანმა.

დავითმა ცოლს შეხედა. ასეთი თბილი ხმა, ასეთი თანაგრძნობის გამოძხატ-
ველი კილო ქეთევანისგან ჯერ არ სმენოდა.





სოსო კოჩინთაიძე

სიყვარული

ბიძინა რკინის უბრალო საწოლზე წამოწოლილიყო და კითხულობდა. ფეხები სკამზე ელაგა. იქვე მეორე სკამზე ედინა მისი პიჯაკი. ჯანსული და ნიკო მაგიდასთან ისხდნენ და წერდნენ. მიხო საწოლზე იჯდა და ხალათზე ფოლაქს იკერებდა.

იყო საღამო. ოთახში ენთო ელექტრონათურა, იდგა რკინის ექვსი უბრალო საწოლი, საწოლების გვერდით თითო ტუმბური, შუაში მოგრძო მაგიდა, ერთ კუთხეში — ტანსაცმელის კარადა... იგრძნობოდა საერთო საცხოვრებლის დამახასიათებელი სუნი.

ბიძინას კითხვისაგან თვალეები დაეღალა, წიგნი საწოლზე დადო და ფანჯარას შეაცქერდა. ფანჯარასთან ახლოს მოჩანდა სიბნელე, ხოლო შორს მეზობელი კორპუსების განათებული ოთახები და მათ წინ დარგული მოშრიალე ხეები. ამ კორპუსის წინ დარგული ხეები არ ჩანდა. სკამიდან ფეხები ჩამოიღო და წამოჯდა. მერე საათს დახედა. რვის ნახევარი იყო. წამოდგა და გაიარ-გამოიარა. ეგონა წაკითხულზე ფიქრობდა, მაგრამ თურმე არაფერზე ფიქრობს. მოწყვნილია და რაღაც უნდა. სიამოვნებით გაეხუმრებოდა ამხანაგებს, მაგრამ ამხანაგები თავისი საქმით იყვნენ გართულნი.

სიჩუმე იყო ოთახში. მხოლოდ წერის ხმა ისმოდა. ბიძინა თავის საწოლთან მივიდა და წიგნი აიღო. წაიკითხავს. კითხვა უკეთესია.

— დეპეშა, კორძაძე, დეპეშა! — გაისმა დეჩეფანში.

ბიძინა კარებისაკენ წავიდა, მაგრამ ვიდრე მიალწევდა, კარი გაიღო და მეზობელი ოთახის მცხოვრებნი, მეოთხეკურსელი სტუდენტი ზურაბი შემოვიდა.

— შინა ხარ, ბიძინა? დეპეშა მოგივიდა. — თქვა ზურაბმა.

— დეპეშა! — ბიძინა შეშფოთდა. რატომღაც ყოველთვის ეშინოდა დეპეშისა. სანამ წაიკითხავდა, ყოველთვის ეშინოდა. დეპეშით სასიხარულო ამბებსაც ატყობინებენ, მაგრამ ბიძინას ყოველთვის უსიამოვნო გრძნობა ეუფლებოდა.

ზურაბის უკან კარებთან ფოსტალიონი იდგა. მან ბიძინას დეპეშა მიაწვდინა და მერე პატარა ქალაქში მავიდაზე გაშალა და თქვა:

— აი აქ მომიწერე, ბიძიკო, ხელი.

ბიძინას ფოსტალიონის სიტყვები არ გაუგონია, დეპეშა სასწრაფოდ გახსნა და ჩაიკითხა. კიდევ გადაიკითხა, ახლა ნელა, დაკვირვებით.

— მომიწერე ხელი, ბიძიკო, აი აქ მომიწერე. — გაიმეორა ფოსტალიონმა და პატარა ქალაქი ახლოს მიუწვია ბიძინას.

— ჰო, ახლავე. — თვალი მოაცილა ბიძინამ დეპეშას. — სად მოვაწერო?

— აი აქ.

ბიძინამ მოაწერა ხელი, ფოსტალიონი წავიდა. კვლავ გადაიკითხა დეპეშა. ზურაბი, მიხო, ჯანსუღი და ნიკო ბიძინას შესცქეროდნენ.

— ხომ კარგი ამბავია? — იკითხა ზურაბმა.

— ჰა? არა... ჰო, კარგი ამბავია. — დაბნეულად უპასუხა ბიძინამ. მერე თავის საწოლთან მივიდა, ჩამოჯდა და კვლავ გადაიკითხა დეპეშა.

— ბიჭებმა ჯერ ერთმანეთს გადახედეს, მერე ბიძინას.

— რა არის, ბიძინა, მოხდა რამე? — ფრთხილად ჰკითხა ჯანსუღმა.

— არა, არა. — გაღიმება სცადა ბიძინამ და დეპეშა ჯიბეში ჩაიღო.

— აბა? — იკითხა ნიკომ.

— არაფერი... მეზობელი თხოვდება და ქორწილში მუშაობებიან. — თქვა ბიძინამ.

— ერთი შენც! გული არ გადაგვიტრიალე! ისე დალონდი, თითქოს უბედურება მომხდარიყოს. — თქვა მიხომ და ბიძინას მხარზე ხელი დაჰკრა.

— პინგვინია, მართლაც, როგორ მოიწყინა. — გაიცინა ზურაბმა.

— მაშ, გიქეიფია, არა? — იკითხა ჯანსუღმა.

— რა ვიცი... — დაბნეულად თქვა ბიძინამ.

— რა არ იცი, არ წახვალ?

— ჰო, წავალ... თუმცა შეიძლება არც წავიდე, — კვლავ დაბნეულად თქვა ბიძინამ.

— ეს ბიჭი დღეს ნამდვილად გამოშტერდა. რა მიცვალეზულივით გვპასუხობს? — გაიცინა ნიკომ, მერე მავიდას მიუჯდა და წერა განაგრძო. წერა განაგრძო ჯანსუღმაც, ხოლო მიხომ ხალათზე მიკერებულ ფოლაქს ძაფიანი ნემსი მოაწყვიტა და ძაფის კოჭში გაურჭო. ზურაბი გავიდა.

ბიძინა საწოლზე წამოწვა და დეპეშა ამოიღო. კვლავ გადაიკითხა. — ორ დღეში ქორწილი ექნებათ, ორ დღეში, ესე იგი კვირას. — საქორწინო კაბაში გამოწყობილი ქეთინო წარმოუდგა, მერე ბონდო: — თავი მაღლა უჭირავს, ბედნიერია. თვალი დახუჭვა. ბონდო გაქრა, ქეთინო დარჩა, ახლა საქორწინო კაბა კი არა, ჩითის კაბა ეცვა. — წავიდე? რა მინდა, რატომ უნდა წავიდე? ჰმ, ორ დღეში... — კვლავ დაუდგა თვალწინ საქორწინოდ გამოწყობილი ქეთინო.

აქამდე კიდევ სჯეროდა, რომ რაიმე მოხდებოდა. ორი კვირის წინ წერილი მიიღო. ქეთინო ბონდოს მიჰყვებოდა, წერდა ამხანაგი. გაოცდა, ვერ დაიჯერა. მერე ეწყინა, ძალიან ეწყინა. თავი დამცირებულად იგრძნო. ბოლოს იმ აზრმა, რომ ქეთინო სხვას გაჰყვა, რომ ქეთინომ შესძლო სხვას გაჰყოლოდა, ტანჯვა დაუწყო. ვერ წარმოედგინა ქეთინო სხვასთან. ქეთინო, რომელიც სხვას ეტყოდა — მიყვარხარო, სხვას აყოცებდა. ძლიერ დამცირებულად იგრძნო თავი, დამცირებულად და უძლურად. რა ტყუილად ეგონა, რომ ქეთინოს სამუდამოდ ეყვარებოდა, რომ მის დავიწყებას ვერ შესძლებდა. რა ტყუილად ამაყობდა ამით.



აი შესძლო და ბოლოს მიჰყვება. რალაცის იმედი მაინც დარჩა, რალაცას კიდევ მოელოდა, მაგრამ ეს დეპეშა... ორ დღეში, კვირას... ჩავალ, ვნახოთ, რა იქნება. თუმცა რა უნდა იყოს? არ წავალ, არც მილოცვის დეპეშას გავუგზავნი, თითქოს ყურადღებასაც არ ვაქცევ. არა, დეპეშას გავუგზავნი, მივულოცავ, ვითომც არაფერი...

წამოდგა, ოთახიდან გამოვიდა, დერეფანში გაიარა და აივანზე გავიდა. აივანზე ციოდა. ქროდა ქარი და ხეები ირწვოდნენ. აივნის მოაჯირს მიეყრდნო, ხელები ჩასჭიდა. ცივი იყო რკინა. ქარი ტანსაცმელში აღწევდა. ქვემოთ არავინ დადიოდა. ხეები იხრებოდნენ და ხმაურობდნენ. ზემოთ, გაჭიმულ მავთულებზე ჩამოკიდებული ლამპიონები დახტოდნენ. ციოდა, მაგრამ აქ ჯობდა. აქ მარტო იყო. უკვე აღარ ფიქრობდა, არც ქეთინო უდგა თვალწინ, მხოლოდ რალაც ძლიერ აწუხებდა, გულთან სტკიოდა, სწვავდა, ღრღნიდა. ქვემოთ, გზაზე, გოგო და ბიჭი გამოჩნდნენ. მკლავგაყრილი მიდიოდნენ, იცინოდნენ. ქარი აწევბოდათ ზურგში და გოგოს პალტოს უფრიალებდა. გოგო იცინოდა. ამ კორპუსს რომ გაუსწორდნენ, გაიქცნენ. ბიძინამ გააყოლა თვალი, მეშვიდე კორპუსთან შეუხვია. გული დაწყდა. შეშურდა. კარგია გოგოსთან მკლავგაყრილი სიარული.

— არა, წავალ, სჯობს, რომ წავიდე, — თქვა და შემობრუნდა. ოთახში შევიდა, საწოლის ქვემოდან ჩემოდანი გამოათრია და გახსნა. უაზროდ იყურებოდა გახსნილ ჩემოდანში. ასე იდგა კარგა ხანს. შემდეგ ჯიბეები მოისინჯა. მხოლოდ ოცი მანეთი ჰქონდა. მის სოფლამდე კი ბილეთი ას მანეთამდე ღირდა.

— ნიკო, ფული გაქვს? ასი მანეთი მჭირდება.

ნიკოს ამდენი არ ჰქონდა, მიხომ და ჯანსუღმაც დაუმატეს და შეგროვდა ასი მანეთი.

— მამ მიდიხარ, უნდა იქეიფო, არა? — ჰკითხა ნიკომ.

— ჰო, წავალ. უპასუხა ბიძინამ და ჩემოდანში საჭირო ნივთების ჩალაგება დაიწყო.

მერე ჩაცმას შეუდგა.

— ნიკო, ჰალსტუხი მათხოვე. — თქვა ბიძინამ.

— ჰალსტუხი? ჰალსტუხს თბილისში არ იკეთებ და სოფელში რად გინდა? — გაუკვირდა ნიკოს.

„როგორ არ მინდა, პირიქით სოფელში მინდა“. — გაიფიქრა ბიძინამ. ხმა-მალლა კი თქვა: — მოიტა, ჰო.

ნიკომ მიაწოდა ჰალსტუხი და უთხრა:

— შავი კოსტუმი, თეთრი ხალათი და შავი ჰალსტუხი! პირდაპირ დენდი ხარ.

ბიძინამ ჰალსტუხის გასკვნა არ იცოდა, ნიკოს გაანასკვინა.

— როცა მოხსნა მოგინდეს, ეს წვერი არ გამოაძრო და ყოველთვის გამზადებული გექნება. ვაკეთებისას ჩამოიცმევ კისერზე, მოჰქაჩავ ამ წვერს და მორჩა, მეტი არაფერი უნდა. — ჰალსტუხს უკეთებდა და თან უხსნიდა ნიკო. ჯანსუღი და მიხო იცინოდნენ. ბიძინას აბრაზებდა ამხანაგების უღარდელი სიცილი, ხუმრობა, მაგრამ ხმას არ იღებდა. როცა ჩაცმას მორჩა, ჩემოდანი აიღო და წასვლა დააპირა.

— ბიძინა, პალტოს არ ჩაიცმევ? ცივი ქარია, გაცივდები. — მიმართა მიხომ.

— არ მინდა პალტო. — უპასუხა ბიძინამ და ამხანაგებს გამოეთხოვა. ნე-

ლი ნაბიჯით გამოუარა სტუდქალაქის კორბუსებს. ქარი სახეში სცემდა. იყო გვიანი შემოდგომა და ციოდა. — ნეტავი ჩამეცვა პალტო, — გაიფიქრა, — მაგრამ არა, იმ ძველი პალტოთი სოფელში როგორ ჩავალ, ვინ იცის გზაში ქეთინოსაც შევხვდე...

სტუდქალაქის ეზოდან გამოვიდა და ტრამვაიში ჩაჯდა. იჯდა ბიძინა და ფიქრობდა, როგორ ჩავიდოდა სოფელში, სად და როგორ შეხვდებოდა ქეთინოს. თუმცა ქორწილამდე შეიძლება ვერც შეხვდეს. ცხადია, ვერ შეხვდება. რომ შეხვდეს კიდევ, მასთან ბონდო იქნება. ქეთინოს დაინახავს და ვერ მივა, რადგან მასთან ბონდო იქნება! ვერასდროს წარმოიდგენდა ასეთ რამეს.

სადგურთან ჩამოვიდა, ბილეთი აიღო, თავისი ვაგონი მონახა და კუბეს კარი გააღო. კუბეში იყვნენ მსუქანი ხანშიშესული კაცი და ორი მანდილოსანი, ისინიც ხანშიშესულები. ბიძინამ ჩემოდანი სკამსაწოლის უჯრაში ჩადო და ჩამოჯდა. კაცი მანდილოსნებს რაღაცას უყვებოდა.

ბიძინამ თვალი მოავლო კუბეს. კარებში დიდი სარკეა ჩასმული, ფანჯრებზე ფარდები, პატარა მაგიდაზე ელექტროლამპა... სიამოვნებით იმგზავრებდა ამ კუბეთი შორს, ძალიან შორს. მოივლიდა მთელ საბჭოთა კავშირს, ევროპას, ამერიკას... და ამ კუბეში იყოს ქეთინოც... ქეთინო და ბიძინა და მეტი არავინ, და იმოგზაურონ დიდხანს და ნახონ თითქმის მთელი ქვეყანა. კარგია მოგზაურობა. რა კარგი იქნებოდა ქეთინოსთან მოგზაურობა!..

ელექტრომაგალმა მოკლედ შეჰყვირა და დაიძრა. მატარებელი ნელა გასცდა განათებულ ბაქანს. მერე სიჩქარეს მოუმატა... კარგი იქნებოდა ქეთინოსთან მოგზაურობა, მასთან მარტო ყოფნა და ქვეყნების ნახვა. კარგია საყვარელ ადამიანთან მარტო ყოფნა და კარგია, როცა გიყვარს. ბიძინას არასდროს ჰყვარებია. არც ქეთინო ჰყვარებია, ალბათ არ ჰყვარებია, მხოლოდ გატაცებული იყო და ახლა ამ გატაცებასაც ჰკარგავს... სიცარიელე იგრძნო, სიცარიელე და ტკივილი.

— აიღეთ თეთრეული. — შეაწყვეტინა ფიქრი გამყალბმა.

კაცი და მანდილოსნები დაწვნენ. დაწვა ბიძინაც. მერე კაცმა ჩვეულებრივი სინათლე ჩააქრო და ღია ლურჯი, საძილე აანთო.

კუბეში სიჩუმე იყო. ვაგონშიც არავინ ხმაურობდა. ისმოდა მხოლოდ ბორბლების დაგადღუგი და დროდადრო ფანჯარაში სინათლე შემოიჭრებოდა გზაზე ჩარიგებული ელექტრობოძებიდან.

ბიძინა დაწვა, მაგრამ ვერ დაიძინა. მოუსვენრად ტრიალებდა ლოჯინში. კუბეში ცხელოდა. ბოლოს საბანი გადაიძრო, მხოლოდ ზეწარი დატოვა. ბალიში შეისწორა. ბალიში იყო პატარა და რბილი. თავი დაბლა ეღო — ასე არ უყვარდა. იტრიალა. ხან ერთ მხარეს დაწვა, ხან მეორეს, მაგრამ მაინც ვერ დაიძინა. მატარებელი გაჩერდა და ბაქნიდან კუბეში სინათლე შემოიჭრა. მცხეთა იყო. კედლისაკენ გადაბრუნდა. ესმოდა მეზობლების სუნთქვა. განსაკუთრებით ხმამალლა სუნთქავდა კაცი. მერე მატარებელი დაიძრა. ესიამოვნა. დარდი მაშინ უფრო ადვილი ასატანია, როცა ადგილზე არ დგებიარ.

— არ უნდა წამოსულიყო. ახლა ხვდება, რომ არ უნდა წამოსულიყო. უკვე ყველაფერი გათავებულია და აზრი აღარა აქვს ჩასვლას. ორ დღეში ქორწილი იქნება და ყველაფერი მორჩა. რატომ მიდის, რას მოელის? — ცხადია არაფერს. ვითომ მართლაც არაფერს? აჰ, ეს ბალიში ძალიან დაბლაა. ერთად რომ ყოფილიყვნენ, ასე არ მოხდებოდა. ბიძინა სხვანაირი რომ ყოფილიყო, არც მაშინ მოხდებოდა ასე. ახლა ხვდება, რომ ისეთი არ უნდა ყოფილიყო. ქეთინოს უყ-



ვარდა, ქეთინო მისი იყო და ცხადია, ასე არ მოხდებოდა. სხვანაირი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რას იფიქრებდა, თუ ქეთინო ასე გაუგებდა. მას არ უნდოდა, ქეთინოს ასე გაეგო. თბილისზე, თბილისელ ქალიშვილებზე და თავის მიზნებზე რომ უყვებოდა, ქეთინომ სხვანაირად გაუგო. ისე გაუგო, როგორც ბიძინას არ უნდოდა. რატომ მაინცდამაინც ისე ვიგებენ ხოლმე, როგორც არ გინდა!

... ბნელი ღამე იყო. რაც ჩასაწყობი იყო, ჩააწყობა ჩემოდანში. თითქმის ყველა ნათესავი მოგროვდა. დრო იშოვდა, გარეთ გამოვიდა და ქეთინოს სახლს უყნიდან მიადგა. მალე ქეთინოც გაჩნდა.

— მიდიხარ? — შეეკითხა ქეთინო.

— მივდივარ. — უპასუხა ბიძინამ და მკლავში ხელი მოჰკიდა.

ქეთინო შეინძრა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ბნელი ღამე იყო და ბიძინამ ვერ შეამჩნია, თორემ ქეთინოს ალბათ ცრემლები გადმოსცვივდა.

— უკვე გადაწყვეტილია? — დიდი ხნის დუმისის შემდეგ შეცვლილი ხმით იკითხა ქეთინომ.

— რა ბავშვით ლაპარაკობ, ქეთინო, აბა უმალღესში არ უნდა მოვეწყო?

— მე რომ არ ვეწყო?

ბიძინამ ჩააბარა მისაღები გამოცდები, ეკონომიურ ფაკულტეტზე მოეწყო. ქეთინოს უმალღესში შესვლა არც უცდია. ბიძინას თანაჯგუფელი ბონდოც სოფელში დარჩა. ბიძინა თბილისში გამოემგზავრა. გამოცილებლები, ნათესავები, მეზობლები, ქეთინო...

— წერილებს ხშირად მოგწერ, — დაპირდა ბიძინა.

ხშირად წერდა, ქეთინოსგანაც ხშირად ღებულობდა. ქეთინომ კოლმეტურნობაში დაიწყო მუშაობა, ბონდომაც... მერე ყოველ არდადეგებზე სოფელში ჩასვლა, ქეთინოსთან შეხვედრები და დიდი სიხარული. ბიძინა ბევრს უყვებოდა თბილისზე, უნივერსიტეტზე, სტუდენტურ ცხოვრებაზე, დროს ტარებაზე და ქალიშვილებზე, ყველაზე მეტს ქალიშვილებზე. ქეთინოს არ სიამოვნებდა ქალიშვილებზე მონაყოლი. ბიძინა მაინც ყვებოდა. ყველაზე თავგადასავლებზე თბილისელ ქალიშვილებთან, რომლებიც ქალიშვილები და კულტურულები არიან და ძალიან მოსწონთ ბიძინა. ყველაფერი ეს ტყუილი იყო: ბიძინას არ ჰქონდა თავგადასავლები თბილისელ ქალიშვილებთან. იგი არც ისე დარდიმანდულად ატარებდა დროს, როგორც ქეთინოს უყვებოდა. იგი დიდ დროს მეცადინეობაში ატარებდა და ქალიშვილებთან ძალიან მოკრძალებული იყო, მაგრამ ქეთინოს მაინც უყვებოდა თავის თავგადასავლებზე და დროსტარებაზე. ახლაც არ ესმის, რატომ უყვებოდა, რისთვის ჰქირდებოდა ტყუილები! ქეთინო მოიწყენდა, აღარც იცინოდა.

უნივერსიტეტს რომ დაამთავრებ, ხომ სოფელში დაბრუნდები! — ჰკითხა ერთხელ ქეთინომ.

— სოფელში რა მინდა, ქეთინო, თბილისში ვიცხოვრებ, იქ დავიწყებ მუშაობას, დავწინაურდები, კაბინეტს მექნება, მანქანა, დიდი ჯამაგირი. — უპასუხა ბიძინამ.

ქეთინო გაიჟმდა, ხმა აღარ ამოუღია. ბიძინა კვლავ უყვებოდა, ქეთინოს ერთხელაც არ გაუტინია, მერე დალილობა მოიმიზეზა და შინ ადრე წავიდა.

ამ ზაფხულს ბიძინა კვლავ ჩავიდა სოფელში.

— ყველა ჩემი ამხანაგი ზღვაზე წავიდა, მეც უნდა წავსულიყავი, ერთი ნანა ლალიძეა, იმასთან ერთად. — უთხრა ქეთინოს.

— მერე რატომ არ წახვედი! — ჰკითხა ქეთინომ.



— რა ვიცი, ცოტა ხანს სოფელში დავრჩები და შეიძლება შემდეგ წავიდე მისიერობიდან. ქეთინო მოიღრუბლა და ხმა აღარ ამოიღო.

— ეს ბონდოს ეზო არ არის? — შეჩერდა ერთ ეზოსთან ბიძინა.

— ჰო, ბონდოს ეზოა.

— როდის წამოჰქიმა ამოდენა სახლი? ზამთარში, აქ რომ ვიყავი, ისევ ძველი ოდა ედგა.

— გაზაფხულზე დაიწყო აშენება და უკვე დაამთავრა თითქმის.

— ყოჩაღ, ბონდო, რა სახლი აუშენებია, ხელავ?

— ძალიან ყოჩაღია, გამრჯე და შრომისმოყვარე. ოთხასორმოცდაათი შრომადღე აქვს გამოიმუშავებული. ყველას ძალიან უყვარს, ძალიან კარგი ბიჭია.

— უსწავლელი კი დარჩა. — თქვა ბიძინამ.

— არ დარჩება. ბონდო ისეთი ბიჭია, უსწავლელი არ დარჩება. ჯერ ოჯახი მოაწყო, ფეხზე დააყენა, უმამო ოჯახში კაცობა იკისრა და აწი სწავლაზეც იფიქრებს.

— შენ რას შვრები, უმადლესში არც წელს აპირებ მოწყობას?

— არა, არც წელს. ჯერ არ შემიძლია სოფლის დატოვება.

— დაუსწრებელზე მაინც შესულიყავი.

— წელს დრო არა მაქვს, კოლმეურნეობაში ბევრი საქმეებია და გაისად ვნახოთ.

ბიძინა არ წასულა ზღვაზე ამ ზაფხულს, სულ სოფელში იყო. არც უნდა წასულიყო. ნანა ლალიძეზე ტყუილი უთხრა ქეთინოს. რატომ, ახლაც არ მესმის.

კვლავ ყოველ საღამოს ხვდებოდნენ ერთმანეთს და რატომღაც ყოველ საღამოს უხსენებდა ნანა ლალიძეს.

— იცი რა გოგოა ნანა ლალიძე? ისეთი ლამაზი, ისეთი კარგი, თბილისის თვალია. ისე იცმევს, ყველა მისგან იღებს მოდებს. რამდენი მეხვეწა, ჩემთან ერთად წამოდი ზღვაზეო, ვგონებ ვუყვარვარ.

კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა ნანაზე. ბიძინა ხვდებოდა, რომ ქეთინო ეჭვიანობდა და ეს სიამოვნებდა, სიამაყეს გრძნობდა.

— ხელებს კარგად არ უვლი. რა ხელები აქვთ თბილისელ ქალიშვილებს?

— მე ვმუშაობ. ბიძინა...

— მერე რა. თავს მეტი ყურადღება უნდა მიაქციო, ჩაცმა-დახურვასაც ქეთინო ატირდა და გაიქცა. თბილისში წამოსვლის წინ ძლივს შეირიგა, მაგრამ წინანდელი ქეთინო აღარ იყო. აღარ იყო მოსიყვარულე და ხალისიანი ქეთინო, უბრალო ხუმრობაზეც გულიანად რომ იცინოდა. მთლიანად შეცვლილი ეჩვენა, მთლიანად შეცვლილი და საოცრად ლამაზი. უბრალო ჩითის კაბა ეცვა. მკლავები, წვივები, კისერი და სახე სოფლის მზეზე გარუჯული. დიდი თვალები დიდი და ღრმა თვალები ჰქონდა. თვალებში ორი დაპატარავებული ბიძინა მოჩანდა.

— აჰ, — ამოიოხრა ბიძინამ და გადატრიალდა, ბალოში შესიწორა. თანამგზავრი კაცი ბირდაბირის ხმაზე ხვრინავდა. — უპატრონო, რა ხმამაღლა ხვრინავს!

ხომ კარგები არიან თბილისელი ქალიშვილები, აი თუნდაც ნანა ლალიძე, ულამაზესი გოგოა, როგორი გაზრდილი, კულტურული, მაგრამ ქეთინო სულ სხვაა. მერე რა, ნანას უკეთესი მოვლილი ხელები აქვს, მერე რა, რომ უკეთესად იცმევს, ქეთინო მაინც სულ სხვაა. სულ სხვაა მისი დიდი, ღრმა თვალები, ოდნავ გახუნებული ჩითის კაბა და სოფლის მზეზე დამწვარი მკლავები, წვივები, კისერი...

მატარებელი დაიძრა. ხვრინვა ისე ხმამაღლა აღარ ისმოდა, მხოლოდ მატარებელი ხმაურობდა: დაგ-დუგ, დაგ-დუგ...

— ჩემი ბრალია, მე ვარ დამნაშავე. — ქეთინო წარმოუდგა საქორწინო კაბაში, გვერდით ბონდო ედგა. ბონდოსაც შავი კოსტუმი აცვია, თეთრი ხალათი და ჰალსტუხი უკეთია. ბონდოსაც ჰალსტუხი უკეთია. ახლა ყველა იკეთებს ჰალსტუხს. ქეთინოსთვის მკლავი გაუყრია და ილიმება...

— ჯანდაბას, მეტს აღარ ვიფიქრებ, თორემ გავვიქედები. — თქვა და კვლავ გადატრიალდა.

— ჰხ, ჰხუ-უ... — ხვრინავდა თანამგზავრი კაცი.

— ჯანდაბას! — ჩაილაპარაკა ბიძინამ. — ამ ხვრინვაში რა დაგაძინებს! — თავის პიჯაკს მისწვდა და გულისხვიბიდან ბლოკნოტი ამოიღო. შიგ ქეთინოს სურათი იდო. დახედა. ილიმებოდა ქეთინო. დია ლურჯ შუქზე სურათი ბნელად მოჩანდა. ნაღვლიანად ილიმებოდა ქეთინო. აქამდე რატომ ვერ შეამჩნია, რომ ნაღვლიანად ილიმებოდა?!

მანაც როგორ მოხდა: სოფლიდან რომ წამოვიდა და ქეთინომ არ გამოაცილა, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, წერილიც კი არ გაუგზავნა. მერე მეზობელმა ამბავი ჩამოიტანა, ქეთინო და ბონდო ხშირად ერთად არიანო. მალე ამხანავისგან მიიღო წერილი, ქეთინო ბონდოს მიჰყვებოდა და... ყველაფერი შეიცვალა. მაშინ მიხვდა, თუ რას ნიშნავდა მისთვის ქეთინო. მანამდე დარწმუნებული იყო ქეთინოს სიყვარულში და არ ღელავდა. არ ფიქრობდა, თუ რას ნიშნავდა მისთვის ქეთინო.

არ ეგონა ქეთინო თუ შესძლებდა ამას... ვერ წარმოიდგინა, თუ მის დავიწყებას შესძლებდა. აკი შესძლო და უსწავლელ სოფელს ბიჭს მითხოვდა! მაგრამ ამ უსწავლელმა სოფელმა ბიჭმა ორსართულიანი აგურის სახლი წამოჭიმა. მამა ომში დაეკარგა და მარტომ შესძლო იმოდენა სახლის აგება. თავისი ინიციალები ამოაქრევინა ფასადის ქვაზე, რკინის კიშკარი ჩამოჰკიდა, ალბათ უმაღლესშიც მოეწყობა. უძახე უსწავლელი სოფლელი ბიჭი, ქეთინო კი იმას გაჰყვა და...

დია ლურჯი სინათლე გაუფერულდა. ფანჯარაში გაიხედა, თენდებოდა, უძილობისაგან და ფიქრებისაგან თავი სტკიოდა, თვალები დაწითლებოდა, მატარებელი ხიდზე გადადიოდა. დგაფ-დგუფ, დგაფ-დგუფ, — ისმოდა ხმაური. ხიდს გასცდნენ და ელექტრომაგალია შეჰკივლა. ქეთინოს სურათი ძირს დაეარდა, ასაღებლად დაიხარა.

გათენდა. ახლა უფრო ნათელი გაუხდა აზროვნება. — რატომ მიდის? იმიტომ რომ სხვის ქეთინოს უყუროს? ან როგორ გაძლებს ქორწილში? როგორ შეხედება ქეთინოს, ბონდოს? როგორ შეხედება ამხანაგებს, ნაცნობებს, რომლებმაც იცოდნენ მისი და ქეთინოს დამოკიდებულება? იქნებ რაიმე მოხდეს? რა უნდა მოხდეს? რაც მოსახდენი იყო, მოხდა. ფუჭი იმედებია!

წამოდგა, ჩაიკვა. პირისაბანში გავიდა, დაიბანა. — ფუჭი იმედებია, რაც მოსახდენი იყო, მოხდა! — კუბეში დაბრუნდა. სკამსაწოლიდან ჩემოდანი ამოიღო. ვაგონი გამოიარა, ტამბურში დადგა.

მატარებელმა სვლას უკლო, მერე რომელიღაც სადგურზე გაჩერდა. ჩამოხტა. ფეხებს ქვეშ წვრილი კენჭები ახრიალდნენ. კენჭები იყო სველი, ციოდა. ესიამოვნა, რომ ციოდა. გამოცოცხლდა. — არაფერიც არ მოხდებოდა... არაფერიც. — სადგურის კედელზე მიკრულ მატარებლის მოძრაობის განრიგთან მივიდა. — ნამდვილად არაფერი...





ქაქე წყევნიან

მატარებელი ქვიშხეთს გაცვილდა. საღამოს წაღვერში ვიქნები. წაღვერში ალბათ გრილა, თბილისი კი სიცხით იწვის. ჩემს წინ სხედან ქალი და კაცი. კაცს გერონტი ჰქვია, იგი იქნება ორმოცი წლის, თავი სამართებლით აქვს გადაპარსული, მსუქანია, ქალი კი გამხდარია, ოცდაათი წლის თუ იქნება. რად ვაჰყვა ცოლად ასეთი ლამაზი ქალი ამ უმნო კაცს? — ალბათ გერონტი ჰქვიანია, ძალიან ჰქვიანი. ეს პატარა ბიჭიკო, რომელსაც ყველაფერი აინტერესებს და მუდამ შეკითხვებს იძლევა, მათი შვილია. კარგია, რომ დედას დამსგავსებია. ისინიც წაღვერში მოდიან. წაღვერში მოდის ეს ქალიშვილიც, ფანჯარასთან რომ დგას.

ქალიშვილი ჩემკენ ზურგშემოქცეული დგას, თავი ფანჯარაში გაუყვია, ქარი უწეწავს მოკლედ შეკრეპილ თმას: მას აქვს კარგი ტანი, მოღვრებული ყელე და ძალიან წითელი, ძალიან სველი ტუჩები. იგი იქნება მეტეერთმეტე კლასში, შეიძლება სტუდენტიც იყოს.

— ბორჯომ-პარკი, ბორჯომ-პარკი! — გვაფრთხილებს გამყოლი.

მოვიმზადე ზურგჩანთა და ქალიშვილს გადავხედე. მას დიდი ჩემოდანი უჭირავს.

— მომეცით, ჩავიტანთ ჩემოდანს.

— არა უშავს, მე თვითონ...

— არ ვანებებ, ზურგჩანთას მხარზე ვიკიდებ, ქალიშვილის ჩემოდანს სახელურში ვწვდები. ჩამოვდივართ.

ბაქანზე უამრავი ხალხი ირევა. ვამჩნევ ნაცნობ სახეებს — თბილისელები არიან.

— გავივით რომელ საათზე გადის მატარებელი წაღვერისკენ. — ვეუბნები ქალიშვილს.

მოგნახეთ მატარებლების მოძრაობის განრიგი. მატარებელი წაღვერისაკენ

გადის ოცდაოთხ საათზე, ესე იგი პირველ საათზე ჩვენი დროით. დავხედე საათს... შვილი იყო.

— ექვსი საათი მოგვიხდება ცდა. — ვთქვი მე.

— რა ცუდია, წაღვერში დღისით მინდოდა ჩასვლა. — შეწუხდა ქალი-შვილი.

— რატომ?

— ჩვენი აგარაკის მხოლოდ მისამართი ვიცი, ღამით გამიძნელდება პოვნა.

— თუ ეგერა, მანქანით წავიდეთ, ერთ საათში წაღვერში ვიქნებით.

— მანქანით? — არა, მატარებელს დავუტყვი.

— როგორც გინდათ.

გავედით ქალაქში. საღვურთან სხვადასხვა მარკის ბევრი მსუბუქი ავტომანქანა იდგა. ერთ „პობედასთან“ გერონტი დავინახე ცოლშვილით. იგი შოფერს ელაპარაკებოდა წაღვერში წასვლაზე.

— კაცზე თხუთმეტი მანეთი...

გერონტი თანახმაა.

— ორი სხვა მგზავრიც იშოვეთ, მარტო თქვენთვის ვერ წამოვალ. — ამბობს შოფერი.

ქალიშვილს გადავხედე და ვკითხე: — წავიდეთ?

— რა ვიცი, მატარებლით ჯობდა.

— წავიდეთ, დღისით ჩახვალთ წაღვერში. — კუთხარი და მანქანის საბარგო გავხსენი. ქალიშვილის ჩემოდანი და გერონტის ბარგი შევალაგეთ და ჩავსხედით „პობედაში“.

გერონტი დაჯდა შოფერის გვერდით და პატარა ბიჭიკო მუხლებზე დაისვა. ჩვენ უკან დავსხედით, ფანჯრებთან ქალიშვილი და გერონტის მეუღლე, შუაში — მე.

— წავედით. — დაიძახა შოფერმა და მანქანა დაიძრა. ღია ფანჯრებიდან შემოჭრილი ნიაჟი თმას გვიწეწავდა. ჩამავალი მზის ირიბი სხივები ხან ერთი მხრადან შემოგვატყუებდა თვალებში, ხან მეორედან.

არ ვიღებდით ხმას, მხოლოდ შოფერი ღიღინებდა თავისთვის. ხანდახან გადავხედავდი ქალიშვილს. იგი გასცქეროდა გზას და ჩანდა ძალიან ლამაზი. ნიაჟი მის თმას ჩემსკენ აფრიალებდა. თმას ჰქონდა სასიამოვნო სუნი და მიღიზიანებდა ცხვირის ნესტოებს.

მანქანა მიჭროდა სწრაფად და უკან ტოებდა სახლებს, ტელეგრაფის ბოძებს და მტერის კორიანტელს. მიყვარს, როცა მანქანა სწრაფად გარბის. ამ დროს ერთგვარ აღტყინებას ვგრძნობ და მინდა ვიყვირო, ვიკიჟინო. მიხაროდა, რომ სულ მალე ვიქნებოდი წაღვერში, ვნახავდი დედას, ჩემს პატარა დაიკოს და რომ „პობედა“ მიჭროდა სწრაფად.

— ვაი! — შეჰყვირა ქალიშვილმა და ხელი ჩამჭიდა მკლავში.

— გივი! — და გერონტის მეუღლემ ხელები გაიშვირა ბიჭიკოსაკენ. მანქანა გახიზილდა და გაჩერდა. ალბათ კამერა გასკდა. შოფერი ვინებით გადმოვიდა მანქანიდან. გადმოვედით ჩვენც. დიახ, გამსკდარა უკანა თვლის კამერა. მანქანა მარცხნივ დაიხნიჭა.

— ვინ დამთარსა... — ბუზღუნებს შოფერი და საბარგოდან სათადარიგო თვალს იღებს.

— ნახევარ საათში ყველაფერი რიგზე იქნება. — ამბობს იგი.

მე და გერონტი ვეხმარებით შოფერს და მანქანას მარჯვნივ ვაყენებთ.

ბინდდება, ჩრდილები ეფინება ყველაფერს. ძალიან მიყვარს საღამო, სა-

ლამოს ფერები და თვით სიტყვა „სალამო“, მაგრამ ახლა სულ არა ვარ მოწონებული, რადგან ძალიან მინდოდა მალე მივსულიყავი წადვერში, მენახა დედა, დაიყო...

ავხედე ცას. მხოლოდ ერთი ვარსკვლავი შევამჩნიე. იგი იყო ძალიან პატარა და უსინათლო. შემდეგ დავინახე მეორეც და მალე ზეცა დაიჭორფლა უამრავი პატარა ვარსკვლავებით.

შოფერმა ამწე შეუყენა მანქანას, დაჩუტული თვალი მოხსნა და იქვე დააგდო. პატარა გივი ხელს უშლის მას, დედა ტუქსავს. მესმის ბავშვის ანკარა სიცილი. ალბათ დედას ძალიან უყვარს გივი.

უკვე დაღამდა. ღამე იყო ბნელი, უბერავდა ნიავი და აშრილებდა ხეების ჩაშვებულ ტოტებს. ნიავი იყო გრილი, საერთოდ გრილოდა. შევიკარი ხალათის ზედა ღილი და აკაბიწებულ სახელოები ჩამოვუშვი. შოფერმა აანთო მანქანის ფარები. მათს შუქზე ვხედავ ქალიშვილის თვალებს. კარგია, ყველას რომ ჰქონდეს ასეთი თვალები.

შოფერი ჩაცუცქდა მანქანის ფართან და სათადარიგო თვალს აწვალავს. მერე დგუშით ბერავს კამერას. მივდივარ მასთან და იქვე ვცუცქდები.

— ჰაერი ეპარება კამერას. — შემომჩივლა შოფერმა.

— რა იცი?

— ვბერავ, მაგრამ უშვებს.

— რა ვქნათ?

— ნაცნობი შოფერი გამოივლის და მოვახერხებ რაიმეს.

ამ ამბავს ვატყობინებ თანამგზავრებს.

— ბედი არ გინდა! — ამბობს გერონტი.

ქალიშვილი კი მე შემომცქერის.

— ვინ იცის, როდის ჩამოივლის ნაცნობი შოფერი. — ამბობს იგი.

მე თავს დამნაშავედ ვგრძნობ.

შოფერი წრიალებს მანქანასთან. ფარები კვლავ ანთია. ამწეზე შეყენებული, გადაზნექილი მანქანა, რომლის მოხსნილი და დაჩუტული თვალი იქვე გდია, ცალფეხსა ჰგავს და შერცხვენილად და დამცირებულად გამოიყურება.

გზის მარჯვენე ბუჩქებია ჩარიგებული, ბუჩქების იქით ხეები.

— ალბათ დაიღალეთ, დავსხდეთ. — ვუთხარი ქალიშვილს.

ერთ-ერთი ხის ქვეშ ხელით მოვსინჯე მიწა. მიწა იყო მშრალი. მოვასუფთავე და ქალიშვილი დაჯდა. დავჯექი მეც.

— ცუდია, რომ მანქანა გაფუჭდა. — თქვა ქალიშვილმა.

— არა უშავს, ჩავალთ წადვერში და ერთად მოვნახავთ თქვენს აგარაკს.

ქალიშვილმა არაფერი თქვა. — ალბათ ნაწყენია, მანქანით რომ წამოვიყვანე, მაგრამ რა ვიცი, გზაში თუ გაგვიფუჭდებოდა. — ვფიქრობ მე. ვსხედვართ და არ ვიღებთ ხმას. სიჩუმეა.

ქალიშვილმა გვონებ ამოიოხრა.

— ძალიან გთხოვთ, ნუ დარდობთ. თავს ისედაც დამნაშავედ ვგრძნობ.

— არ ვდარდობ. — გაიცინა ქალიშვილმა.

— ალბათ ნაწყენი ხართ ჩემზე, მაგრამ დაივიწყეთ. არ მინდა, რომ ნაწყენი იყოთ...

— რას ამბობთ, სულ არა ვარ ნაწყენი.

ჩვენკენ ვილატეები მოაბოჯებდნენ. გერონტი, მისი მეუღლე და ბავშვი გვიახლოვდებიან.

— თქვენ აქა ხართ? — იკითხა გერონტიმ.



— მანქანის საქმე ცუდად არის. ვგონებ მთელი ღამე აქ მოგვიწევს დარჩენა. — შენიშნა გერონტის მეუღლემ.

— რას ამბობ? მანქანა ჩამოვიღოს, — იმედიანად ამბობს გერონტი.

არაფერს ვამბობ, ქალიშვილიც გაჩუმებულია. ჩამოუბერა გრილმა ნიავმა და ხეები ააშრიალა. შემცივდა. ქალიშვილს აბრეშუმის მარმაშა კაბა აცვია.

— არა გცივათ? — შევეკითხე.

— არა. თქვენ?

არ ვუპასუხე, გამეღიმა.

— ზურგჩანთაში თბილები მაქვს, მოვიტან — ვთქვი მე.

მოვიტანე პიჯაკი და შალის ჯემპრი. ჯემპრი ქალიშვილს მივაწოდე.

— გმადლობთ. — მითხრა მან და ჯემპრი სასწრაფოდ გადაიცვა.

— აცივდა, ბავშვი მანქანაში ჩავსვით და დავიძინით. — თქვა გერონტის მეუღლემ.

— ჩვენც მანქანაში ჩავსხდეთ. თქვენ არ წამოხვალთ? მოგვიბრუნდა გერონტი.

ქალიშვილს დაველოდე. იგი ხმას არ იღებდა.

— ჩვენ აქ დავრჩებით, — ვთქვი მე.

წავიდნენ. დავრჩით მე და ქალიშვილი. დავიწყეთ ლაპარაკი. ქალიშვილი თურმე თბილისელი ყოფილა, უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები ჩაუბარებია, მოწყობილა, მაგრამ ბევრი მეცადინეობისაგან გამხდარა, დასუსტებულა და ახლა დეიდასთან მიდის წალვეტში მოსაკეთებლად. მას თურმე ძალიან მოსწონს სახელი ხათუნა, მაგრამ თვითონ თინა ჰქვია.

— თინა, უნივერსიტეტში ალბათ დიდი კონკურსი იყო, არა?

— ძალიან დიდი. არ მჯეროდა, თუ მოვეწყობოდი, მაგრამ დღე და ღამე ვმეცადინებოდი... თანაც თბილისში ისეთი სიცხეები იყო.

ვუსმენ თინას და ვფიქრობ: — ძალიან კარგი ხმა აქვს, სასიამოვნო, თანაც ბავშვივით ტიტინებს. — მერე ვამბობ:

— თბილისში გუშინაც ცხელოდა.

— ძალიან ცხელოდა, აქ კი როგორ ცივა!

— თინა, თქვენ გცივათ, მოიხურეთ პიჯაკიც. — მე პიჯაკის გახდა დავიწყე.

— რას ამბობთ, მერე თქვენ?

— მე არ მცივა.

— ეგ არ ჰქნათ, თორემ ჯემპრსაც გავიძრობ.

დავმორჩილდი. ვიჯექი და ვუსმენდი სიჩუმეს. ცა იყო ძალიან ბნელი, ვარსკვლავები მიჩხერი. მანქანის ფარები აღარ ენთო. ხეებისა და ბუჩქების სილუეტები შავ ლაქებად მოჩანდნენ სიბნელეში. ძალიან ციოდა. თბილისის თაკარა სიციხით გატანჯული გუშინ ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ შეიძლებოდა საღმრთო ასე ციებულოყო.

— სისულელე ჩავიდინე, რომ მანქანით წამოსვლა ვთხოვეთ. შეიძლება გაცივდეთ კიდევ. — ვუბნები თინას.

— ნუ ამბობთ, აქ ძალიან მშვენიერია.

— ალბათ არასდროს მპაპტიებთ, რომ ამ დღეში ჩავგდეთ. — პირიქით, ეს თითქმის თავგადასავალია.

მომესმა გერონტის ხმა, შოფერს ებუზღუნებოდა. ეს უცნაურად მომეჩვენა. რატომ უნდა იყოს უემყოფილო, რომ მანქანა გაფუჭდა და აქა ვართ? მე ვიყავი კმაყოფილი, სულ არ ვბრანდებოდი შოფერზე და აღარ მეჩქარებოდა წალვეტში.



— ზურგანთაში ხილი და ნამცხვარი მაქვს, მოვიტან. — ვთქვი და წამოვდექი.

- კარგი. — თქვა თინამ.
- თქვენ არ შეგეშინდებათ აქ მარტო?
- არა.

მივედი მანქანასთან. გერონტის მეუღლე და პატარა გივი უკან ისხდნენ. გივის დედის კალთაში ეძინა. შოფერი იჯდა საჭესთან, მარცხენა კარი გაეღო და პაპიროსს ეწეოდა. საცოდავი შოფერი, ვინ იცის როგორ სწყინს, რომ კამერა გასკდა. გერონტი ზის შოფრის გვერდით და ალბათ უკმაყოფილო სახე აქვს.

ამოვიღე ზურგანთიდან ხილი და ნამცხვარი, დავალაგე გაზეთზე, მერე შოფერთან მივიტანე და ვუთხარი: — აიღეთ.

- ნუ წუხდებით.
- აიღეთ, აიღეთ.

შოფერმა აიღო ხილი, შინ გამომცხვარი ქადა და თქვა: — საღოლ! შემდეგ შევთავაზე გერონტისა და მის მეუღლეს, მაგრამ მათ მადლობა მითხრეს და არაფერი აიღეს.

- დავბრუნდი თინასთან.
- თქვენა ხართ? — მომესმა თინას ოდნავ აკანკალებული ხმა.

- მე ვარ, ხომ არ შეგეშინდათ?
- არა, მაგრამ, რაღაც ფაჩუნობდა და...

დავჯექი და გაზეთი გავშალე. თინამ ნამცხვარი აიღო, მე ხილი. ხმას არ ვიღებთ. — რა კარგი და თავისუფალი გოგოა თინა. — ვიფიქრე მე. მინდა კიდევ ავიღო ვაშლი და თინას ხელს წავაწყდი. ხელი იყო ცივი.

- თინა, თქვენ გცივათ.

ამოცურდა გულადმა მწოლარე ახალი მთვარე და ნიავიც მოიყოლია. მთვარე სუნთქავდა. უფრო აცივდა. ახლა შეიძლებოდა თინას სახის გარჩევა. იგი იყო გაფითრებული და კბილები უკაწყაწყებდა.

უხმოდ გავიძრე პიჯაკი და მოვახურე. თინას არ უთქვამს უარი. მართლაც ძალიან ციოდა, შემცივდა მეც და თავს ძალას ვატანდი, კბილების ცემინება არ დამეწყო.

- თინამ გაშალა პიჯაკის ერთი კალთა და მითხრა:
- მოხუტრეთ თქვენც, თორემ გაიყინებით.

მე მოვიხურე პიჯაკის ერთი კალთა. ვისხედით ერთად და ჩვენი მხრები ეხებოდნენ ერთმანეთს. თინას მხარი იყო თბილი. მე მსიამოვნებდა მისი სითბო და მიხაროდა, რომ ვისხედით ერთად. უკვე აღარ ვგრძნობდი სიცივეს და მინდოდა ასე ვმსხდარიყავით დიდხანს.

ვისხედით და არ ვიღებდით ხმას. ასე ვიყავით კარგა ხანს. კვლავ არ ვიღებდით ხმას, მაგრამ ამის გამო სულ არ ვგრძნობდი უხერხულობას. ძალიან მიხაროდა, რომ სულ არ ვგრძნობდი უხერხულობას, რადგან მყავს ისეთი ამხანაგები, რომლებთან შეხვედრისასაც განუწყვეტლივ უნდა ვლაპარაკობდე, რომ თავი კარგად ვიგრძნო. ასეთ ამხანაგებთან ძნელია ყოფნა. მე და თინა არ ვიღებდით ხმას, მაგრამ თავს კარგად ვგრძნობდით და ეს მიხაროდა.

ახლა ერთმანეთს ვეხებით არა მარტო მხრებით. თინა ზურგით მომეყრდნო მკერდზე. ჩვენ ვთბობთ ერთმანეთს. თინას თავი ჩემს ნიკაბამდე აღწევს, ცუნოსავ მისი ტანის სურნელს. ალბათ არასდროს დამავიწყდება ეს სურნელი, ალბათ მარტო ამ სურნელით გამოვარჩევ თინას უამრავ ქალიშვილში.

- თინა, ასე დაიღლებით, დამადეთ თავი მხარზე.

თინამ დამაღო თავი მხარზე. გავიტრუნე. ასე ვოჯექით დიდხანს. მე ვიყავი ბედნიერი და მინდოდა, არასდროს შეწყვეტილიყო ეს ბედნიერება. ძალიან მინდოდა მომეხვია ხელი თინასთვის და უფრო ძლიერ მიმეკრა მკერდზე, მაგრამ არ ვაკეთებდი ამას. არ მინდოდა მყუდროების დარღვევა. დამიბრუქდა ხელები და ფეხები, მინდოდა განძრევა, მაგრამ მეშინოდა. მეშინოდა, რომ ამით შევაკრთობდი თინას და, რომ მერე თინა აღარ მომეყრდნობოდა.

ოღნავ შევინძერი. თინამ თავი აიღო.

— დაიღალეთ?

— არა, სულ არ დავდლილვარ. — ვთქვი და თინას კვლავ ჩემს მხარზე დავადებინე თავი.

შემდეგ დავიწყეთ ლაპარაკი მშობლებზე, ამხანაგებზე, იმაზე თუ როგორ ეჩქარებოდა თინას უნივერსიტეტში მისვლა, ლექციების მოსმენა. მე ვყვებოდი, როგორი ცელქი ვიყავი ბავშვობაში, როგორ მეჯავრებოდა კატები, რომ ვსწავლობდი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ორი თვე ვიყავი პრაქტიკაზე ხარკოვში და მხოლოდ გუშინ დავბრუნდი თბილისში. ვლაპარაკობდით და ვფიქრობდი, რომ შეიძლება წლობით იცნობდნენ ადამიანს, მაგრამ ვერ გაიცნო ისე, როგორც ერთ დღეში ჩვენ გავიცანით ერთმანეთი.

მე ახლა ვიჯექი მოხერხებულად და ვფიქრობდი, რომ არ არის საჭირო გამოიაროს წაღვერში მიმავალმა მანქანამ, მიხაროდა, რომ გავვიფუქდა მანქანა და, რომ ძალიან ციოდა.

ვლაპარაკობ, თინას თვალები ქვემოდან შემომცქერიან. მისი თმები ეხება ჩემს ყურებს, მისი ტუჩები სულ ახლოა ჩემს ტუჩებთან. როგორ მინდა მოვეხვიო, ჩავიკრა და ვაკოცო, მაგრამ ეს არ შეიძლება, ეს არ იქნება!

მოისმა მანქანის ხმაური. არ მესიამოვნა, თინა გატრუნულია და არ ინძრევა. ნუთუ თინასაც არ ესიამოვნა?

— ახალგაზრდებო, წაღვერისკენ მიმავალი მანქანა, ახალგაზრდებო! — გვეძახის გერონტი.

არ გავნძრეულვარ, არც თინა ინძრევა. გამეხარდა. არც თინას სურს ჩემი მხრიდან თავის აღება. მაგრამ თინა მე წამოვიყვანე მანქანით, აქ სიცივია, შეიძლება გაცივდეს კიდევც...

— წავიდეთ. — ვთქვი მე.

თინამ თავი აიღო ჩემი მხრიდან, წამოდგომა ვუშველე. გერონტის ცოლ-შვილი უკვე ჩაესხა წაღვერისკენ მიმავალ მანქანაში. ჩაჯდა თინაც. ჩვენს ძველ შოფერთან მივედი. მინდოდა მადლობა მეთქვა, გადავხვეოდი. მხოლოდ ხელი ჩამოვართვი.

— კარგად იყავი, შევხვდებით.

მანქანაში თბილოდა, მე და თინა ვისხედით ერთად.



გრიგოლ იბედაძე

ომგადახდილი

ვისიც ტრფიალი მქონია,
ვისიც მეკიდა ალი,
მისთვის ვედარე გოლიათს,
მისთვის ვაგეღვე ხმალი.
ბერლინის კარი ჩამოვხსენ,
შევსვი ოდერის წყალიც.
რატომ არ უნდა მწყალობდეს
მე ის პატარა ქალი.

იქნება ფიქრობს, ბრძოლაში
გაცუღდა მკლავი ჩემი.
როგორც ვალია მოლაშქრის —
გმირი გმირადვე ვრჩები.
ვინ გამეტოლოს შრომაშიც,
ძნებს დავახვავებ მთებად.
რა ვქნა, ამ ცისფერ ოდაში
ეს გული რად არ დგება?!

თმაა თუ ნისლი აბოლდა,
თუ შენ აშაღე, ქარო?!

ოდიდან მთვარე გადმოდგა,
თუ მისი სახე მთვარობს!
ძილისპირულს თვით ამბობდა,
თუ ნიავქარი ვალობს!
ნავახშმევს მთვარე ამოვა,
ძილი აღრეა, ქალო!

გამოდი, გამოანათე,
ვიდრე ამოვა მთვარე,
ნეშოზე დავწერ ბარათებს,
ნიშნობის კვირა თვალე.
ამ მთიდან, ე მაგ ბარამდე
არ მოვაშორებ თვალებს.

და შენი ოდის კარამდე
ავაგებ პურის თაველს.

კევრზე შენ დაგვამ, ქედანო,
თავთუხი ვლეწოთ მშვიდად,
არ მინდა ვინმე გედაროს
ბაკურციხეს და შილდას.
მკლავით გამართე ნაწნავი,
კვლავ მომელანდოს შვილდად.
ნისლია თუ მზის ნამწვავი —
წედან ქარი რომ შლიდა!

ერთი ალალი ბიჭი ვარ,
ომგადახდილი ვაეი.
ბრძოლაში ხმალი მიჭრიდა,
დამაქროლებდა რაში.
ახლა ნამგალი მიჭირავს,
ელავს, ვით გარიყრაყი,
მალვით გიცქერი ჭიშკრიდან,
როგორ ირჯები ბაღში.

ტკბილმა ფიქრებმა წამილო,
ტრფიალის ქარი მარხევს.
ირემიც ცალად რად ვიყო,
ტოლს ვეძებდი და გნახე...
სულ ასე გაემისოს
შენს მოკაშკაშე თვალებს.
ისე ვიშრომით, აივსოს
უხვი მოსავლით მხარე.

სხვა ძეგლს ვერავინ აიგებს,
ამაზე უფრო საქებს, —
ცამ და ქვეყანამ გაიგოს
ჩვენი გმირობის საქმე.

ლოდინი

ჩამოანათა მზის ბრწყინვალეობამ
ნაძვთა რტოების სილავვარდეში.
შემომართული ზვირთი გაება
ოქროს ძნასავით სხივთა ბადეში.

და გაგვეღიმა მაშინ ორთავეს,
ზღვაში ვედების გუნდი ცურავდა.
შენთვის ვიყავი შფოთის მოთავე,
ხან კი მკლავს ვხვევედი რაყიფს ძმურადა.

ვინმე ჩვენს ტრფიალს ეგებ ზვერავდა,
გაანხლებული და აბეზარი.
შენ მიაშობდი შეპერეზადას,
დამთავრებას კი ვერ მოვესწარი.

ისე გაფრინდი, როგორც პეპელა
ვარდის ნექტარით გაბრუნებული.
ვინ არ მოვიდა, შენ კი ერთხელაც
ველარ გიხილე დაბრუნებული.

რა საუბროა თავის მართლება,
აჲ, ყოფილიყავ, განა არ სჯობდა?
წავა, ვაზივით გაიძარცვება
წამოფრენილი ახალგაზრდობა;

დღეებს გაჰყვება, რითაც ამყობ
ეშხი, — და მერე რაირი მწყურია, —
დავეხეტები, ბინა სად ვნანო,
გულის კარები დაგიხურია.

რალა ვიღონო, ეთიმ გურჯივით
ხომ ვერ გიჩივლებ შოთას წინაშე.
მომღერალი ვარ ერთი გულჩვილი,
რატომ არ მისმენ, რატომ ილაშქრებ!

ჩემი ბალღობა და სიჭაბუკე
დაშნებს მოგავდა ფხადანასრულებს.
ხან ვარდი გიქე, ხან კი საყურე,
შენზე ოცნებას რა დაასრულებს!

ყველასთვის ტრფობის დგას თაიგული,
მე სიმძიმილი რატომ მღარავდეს.
რა ვქნა, არ იქნა, არ დამიბრუნდი,
ლამის ლოდინში გავექალარავდე.



ჯემალ ინჯია
(გორი)


სალამო ლენინის ქუჩაზე

მზე ცეცხლოვანი ხვალ დილამდე
გვემშვიდობება,
ნელა ნიკურავს, იძირება
და თვალებს ხუჭავს.
მისი სხივები ჩაიხლართენ
ბეში ტოტებად;
დაისი წყნარი თავს ევლება
ლენინის ქუჩას.
ღღი ნელა დნება,
ვით ყინული წყალში გამსკდარი,
ხენი ლამაზნი
ჰგეანან ყალმით მოხატულ ვაზებს...
გორის ციხეზე აინთება
დიდი ვარსკვლავი,
მიესალმება
მოკიადე მოძმეებს ცაზე;
სადაც მზე იდგა — იქ დადგება
მთვარე ნათელი,
აჰყვება ზევით
უსასრულო სამყაროს აღმართს,
მერე, როდესაც დაიღლება
ლაშენათევი
დილის ცისკარზე მიიძინებს
თრიალეთს გაღმა.

მითხარ, სურამო!

მაღლობიაო —
ასე მითხრეს სურამელებმა,
სადაც ლესიამ დასვენება
მოისურვაო.
იყოს მაღლობი!
დადლილობა სულ არ მერევა...

— პოი, სურამო!..
 ეს ნაძვის სუნი
 ყველა სუნზე უტკბილესია —
 ფილტვებს უხარის...
 პაერს უხარის...
 აქ თუნდაც ერთხელ თუ წამოგცდა,
 თუ თქვი — ლესია! —
 შრიალს დაიწყებს ეს ნაძვნარი
 და ეს მუნნარი.
 უთქვამთ — სურამში მზე არასდროს
 არ ჩასულაო.
 სწორედ აქ უნდა დაისვენოს
 კაცმა ნებისად.
 მითხარ, სურამო!
 ეს ლესიას დარჩა სუნამო,
 თუ მარტოოდენ სურნელია
 ნაძვნარებისა?!



ჯანსუღ ნიქაბაძე

დიდი ოცნება

უსაზღვრო ვითარცა ეს ცა,
ნათელი ვითარცა ეს მზე,
მიხმობს და მეძახის მეცა,
მამულის იისფერ გზებზე.

იჩქარე, ვიდრემდე დროა,
მიხმობენ მზისფერი მთები,
ხედავ, ქარს ატმის რტო მოაქვს, —
ლამაზი სიმღერის ფრთები.

აჰანდე, ოცნებავ ჩემო,
შენც ფრთები გაშალე ბარემ,
იისფერ ლაქვარდებს ზემოთ
გვეძახის ზღაპრული მხარე.

იქ, ცაში დავიდგამთ მთვარის
სხივებით მოლობილ კარავს,
რეკს დიდი ოცნების ზარი:
ამდენი დუმილი კმარა!

მაშ, ერთად გავსწიოთ ბარემ,
ოცნებავ, ლამაზო ჩემო,
ფიხილოთ ზღაპრული მხარე,
იისფერ ლაქვარდებს ზემოთ.

საუბარი მნათობთან

გახედეთ, ზაფხულის ცხელი მზე
თანდათან მალღდება ზენიტზე
სინათლე ედება ცას, —
მადლი შენ, ლამაზო მნათობო,

დე, შენმა სხივებმა დამთოვოს,
დამდაგოს, —

კურთხეულ არს!

მზეო, მწევ ოქროპირ მგოსანთა,
მეც შენთან ქარივით მოსვლა და
სიმღერის წყურვილი მკლავს,
ოღონდ შენ უბრალოდ მანიშნე,
გამოვედევნები ქარიშხლებს,
გზა შენსკენ, —

კურთხეულ არს.

შენს სხივებს შევკონავ რითმებად
და მყინვარს ნისლში რომ ინთქება,
ვთხოვ, დავესესხები ხმას,
მწამს, ცაში გაჩენილ სიმღერას,
სიმძლავრე ექნება იმხელა,
სქელ ფაფარს აუშლის ზღვას.

ხარ ქვეყნად სინათლის მომცემი,
საუნჯე უთვალავ ოცნების,
სიმღერით გველები გარს, —
მადლი შენ, ლამაზო მნათობო,
დე, შენმა სხივებმა დამთოვოს,
დამდაგოს, —

კურთხეულ არს.



ჩინური კლასიკური პოეზია

VII-X

ღუ შუ

სნეული კვიპაროსი

ტრიალ მინდორზე
 კვიპაროსთ იდგა მალალი,
 ჩრდილმშვენიერი ამშვენებდა
 ამ არემარეს,
 და არასოდეს
 არ უხრიდა ქედს ტოტმაგარი
 სასტიკ ჭალიკონს,
 ბორიოს და სამხრეთის ქარებს.
 მის ლამაზ ტანთან —
 სისწორით რომ იყო განთქმული
 ბერიკაცები თავს იყრიდნენ
 რიდით და კრძალვით.
 და არ იცოდნენ,
 რომ ფესვებით მიწას დანთქმული
 კვდებოდა იგი
 იღუმალი განგების ძალით.
 ათასი წელი
 გასცქეროდა ველს თავმომწონედ,
 არ აშინებდა
 ცის ბორბალი მბრუნავი მიწყვი,

მაგრამ უეცრად-სადღაც შიგნით
 ჩაუწყდა ღონე
 და ხის ტოტებმა
 გახმოზა და დაცვენა იწყეს.
 ველის ფასკუნჯი,
 ცხრა უმწეო ბარტყის პატრონი,
 ტირის, არ უნდა ამ დაღუპვას
 მუნჯად უყუროს.
 მხოლოდ ბუ არის კმაყოფილი —
 ღამის ბატონი:
 ტოტების ძირში
 საბუდარი ნახა ფულდურო.
 ხოლო იმ ყარიბს —
 მომქანცველი გზის საზღაურად
 ჯერაც მშვენიერ კვიპაროსის
 ჩრდილი რომ ფარავს,
 აფიქრებს მეტად
 წუთისოფლის ზნე უცნაური,
 ცისა და ქვეყნის
 იღუმალი განგების ძალა.

პრიჰინა

პატარა არის ძლივმესამჩნევი,
 თითქმის უჩინო პრიჰინობელი,
 მაგრამ გულამდე აღწევს მისი ხმა
 იღუმალი და გულთამყოფელი.

პრიჰინებს იგი ტრიალ მინდორზე
 და როს სადამო აპკრეფს ნათელსა,
 მოიკალათებს სადმე ოთახში,
 რომ უგალობოს კაცთა ნათესავს.

და მე, სამშობლოს მოწოდებული
 ვედარ ვიკავებ ცრემლებს მდუღარეს:
 თვალწინ დამიდგა შვილები, ცოლი —
 ვიცი, არ სძინავს ზედგაუხარელს.

არასდროს ისე გულს არ შეგიძრავს
 სალამურის და სიმღერის განცდა,
 ვით ეს პაწია, უჩინო მწერი
 გვიან ღამით რომ უგალობს კაცთა.

ჰან ჰეი

ირმის საჩიხეში

უსიერ ტყეში გაიფნა
 მზე მიწურვილი.
 ხავსიან ტოტზე დაეკიდა
 სხივი კანკალით.

უკაცრიელი მთები სთვლემენ...
 სუფევს ღუმილი,
 და მინც შორით
 ყრულ მოისმის ხმა კაცთაგანის.

ლი ბო

ფიჭვი სამხრეთის აივანთან

სახლში, სამხრეთის აივანთან
 იზრდება ფიჭვი.
 ტოტმაგარი და
 ზედ ეკლებად ასხმული წიწვით.
 უსტვენს ის ფიჭვი
 როს შეხვდება ქარიან ამინდს,
 უსტვენს და გალობს საგალობელს
 დღისით და ღამით.

წიწვების ფერი
 თითქო მუქი ლურჯი კვამლია.
 ჩრდილში, ფესვებზე
 თმახუჭუჭა ხავსი ავლია.
 იზარდოს ბრგემ და მშვენიერმა
 ათას წელს კიდევ,
 ვიდრე არ გაჰხვეს კენწეროთი
 ღრუბელთა კიდეს!

მთვარიანში მარტოდ ვსვამ ღვინოს

ყვავილთა შორის დოქი ჩაედგი,
 ღამეში, ახლა,
 დაეჯექ და მარტო ღვინოსა ვსვამ,
 არავინ მახლავს.
 მაგრამ მე მთვარე მოვიწვიე
 და მყუდრო ღამით
 ჩემს ლანდს ვუხმე და
 შევიყარეთ ამრიგად სამნი.

ინ ლანდმა — თუმც კი სულ თანამდევს
 გემო ლხინისა?
 ლანდსა და მთვარეს კი ვერ გაჰყრი
 და მყუდრო ღამით —
 მთოვარე, მე და ჩემი ლანდი
 ვწეიფობთ სამნი.
 სიმღერას ვამბობ და მთოვარე
 ჰქრის წინაუკმო,

მაგრამ მითხარით —
 განა მთვარემ იცის ღვინის სმა,

ვროკავ და როკავს ჩემი ლანდი
 გრძელი და უხმო.

გათენებამდე ვსვამდით ღვინოს,
ვილხენდით ასე,

დილით წავიდნენ,
წაბარბაცდნენ თავიანთ გზაზე.

აწ, ისევ მარტომ უნდა ვჭვრიტო
ღღეთა წარხდომა,

ვიდრე შევხვდები მას, — შემომდგარს
ირმის ნახტომთან.

იუან ჩჰენი

მივიწყებული სასახლე

აწ გაუქმებულ სამეფო გზაზე
ხავსი მოედო სასახლის ლოდებს.

იქ, უფლისწულის მყუდრო ქალაში
არ იცის ქარმა, რისათვის ქროდეს.

და მოწყენილი შიმუნვარები
დაბერებულნი ხელმწიფის კარზე —

ემ სვებედნიერ დროს იგონებენ
სიუან-ცზუნი მეფობდა ოდეს.

ხე ჯი ჯან

შინ ღაბრუნებისას

ყრმა ვიყავ, როცა დავაგდე სახლი
და ჰა, ბებერი დავბრუნდი ახლა.

ისევ ისე ჟღერს მშობლური სიტყვა,
მე კი, ბერიკაცს, ჭილარა მახლავს.

და ჩემი უბნის გოგობიკები —
ვერა, ვერ იცნეს სტუმარი მსხემი —

მთხოვენ აეუხსნა — საიდან მოველ
ან საით არის სამშობლო ჩემი.

თარგმნა თამაზ ჩხენკელმა





უილიამ შექსპირი

ჭენრი მეთოუ

სურათი II. ლონდონი. სასახლე.

შემოდან მეფე ჰენრი, პრინცი ჰენრი და ლორდები.

მეფე ჰენრი, მარტო დაგვტოვით, ბატონებო, მინდა, რომ ცალკე მოვეაუბრო უელსის პრინცს. შორს არ წახვიდეთ, აქვე იყავით ახლომასლო; მალე მოგინმობთ.

ლორდები გადიან.

არ ვიცი ღმერთმა რად დამსაჯა, რით განვარისხე, რომ იღუმალი ბედისწერით, ჩენივ სისხლიდან მან მომივლინა ეს ჭირი და შურისძიება. შენ მაძულე მთელი შენი ქცევით, ცხოვრებით, დაგსახო მწარე შურისგებად, უბედურებად, რითაც ვისჯები ჩემი ძველი ცოდვებისათვის. მაშ რაღას უნდა მივაწერო ეს თავაშუება, ეს უწმინდური, უტიფარი და მდაბიური მოქცევა შენი, დროსტარება თავაწყვეტილი, ასეთი ტლანქი მეგობრები, რომელთაც, თითქოს, თანშეზრდინარო, ვერ შორდები ერთის წუთითაც!.. თუ ჩემს სასჯელად არ შობილხარ, ეს ყველაფერი შენს კეთილშობილ სისხლსა და სულს ვით უთავსდება?!

პრინცი ჰენრი. ნეტა შემეძლოს ყველაფერში ვიმართლო თავი, წმიდა ვარ-მეთქი, ხელმწიფეო, სულით ხორცამდე! მაგრამ ბევრ რამეს, რასაც ახლა ჩირქადა მცხებენ, ექვი არ არის, უსათუოდ ჩამოვირეცხდი...

დასასრული. ვხ. „ცისკარი“, № 6.

და მაინც ვარჩევ პატიება გამოვითხოვო,
მიუხედავად ცოდვებისა, რომელსაც უხვად
თხზავენ ჭყანია მლიქნელები და მეჭორენი,
რათა ხელმწიფე აიძულონ — ყური მიუპყარს;
ჩემი გულწრფელი მორჩილებით და სინანულით
შენდობასა გთხოვთ ყმაწვილური თავაშვებისთვის.
შევე ჰენრი. ღმერთმა შეგინდოს!.. მაგრამ, პარი, მე მაინც მიცვირს,
შენმა ხუსტურმა ამ უცხო გზით სად გაგაფრინა,
როცა წინაპრებს აღმაფრენა სხვაგვარი ჰქონდათ!
სამეფო ბჭობას არ ესწრები დაუდევრობით,
და იქ შენს ადგილს უმცროსი ძმა დაეპატრონა;
მთელი სასახლის კარისათვის უცხო შეიქენ,
უცხო შექმნილხარ ყველა ჩვენი აბლობელისთვის,
იმედები და მოლოდინი სულ დაგვიმსხვრეი
და გულთმისნურად შენს დაცემას ჰვრეტენ ყველანი.
მეტ ხალხში ასე გათქვეფილი რომ გყოფილიყავ,
ასე ჰქონოდა შეჩვეული ბრბოს ჩემზე თვალი,
ასე იაფად გამხედათ თავი ყველასთვის,
მაშინ აცოდე, ქვეყნის აზრი, რამაც მამველა
სამეფო ტახტის და გვირგვინის ხელში ჩაგდება,
ისევ და ისევ ძველს ხელმწიფეს უერთგულებდა;
მე კი ვით უღირსს, მეფობისთვის შეუფერებელს,
კვლავ მამყოფებდა განდევნილსა და დამცირებულს.
ხალხს დაუფიქრე ჩემი თავი და თუ მნახავდნენ,
თვალს მომაპყრობდნენ გაშტერებით, როგორც კომეტას.
მორთავდნენ ჩურჩულს ერთმანეთში — „აბა სად არის?
რომელიაო ბოლინგბროკი, გვაჩვენეთ, ერთი!“
ბავშვებსაც ჩემზე უთითებდნენ — „აგერ, მოდისო“.
ცის ნიაგივით შევიქენი აღერსიანი,
გარშევიმოსე თავმდაბლობის შესამოსელით...
ასე მოვწყვიტე ერთგულება მე ხალხის გულებს,
ხოლო ბავებებს — მისალმების შეძახილები;
და ეს ხდებოდა გვირგვინოსან ხელმწიფის თვალწინ.
ამგვარად მივსწვდი ჩემს საწაღელს — ქვეშევრდომთათვის
ბოლომდე დავრჩი სასურველი და სანატრელი.
ჩემს გამოჩენას, ისე როგორც პაპის სამოსელს,
მთელი ქვეყანა აღტაცებით ეგებებოდა;
მხედავდნენ მეტად იშვიათად, მაგრამ ყოველთვის
ღირსეული და საზვიამო იერი მქონდა,
მელოდნენ ისე, ვით იშვიათ ზეიმს ელიან.
ცუნცრუთა მეფე აღმა-დაღმა დაკუნტრუშობდა
და გათქვეფილი ქარაფშუტა მასხარა ხალხში,
რომელთ ხუმრობა გამოფიტულს ფიჩხსა ჰგავს ხოლმე, —
აბრიალდება და ერთბაშად ჩაიფშუტება, —
იგი კარგავდა დღე-ღღეობით მეფურს ღირსებას;
ბრწყავთა ფერხულში ჩათრეული, იმავე ბრწყევს
აბილწინებდა უმოწყალოდ თავის დიდ სახელს,
მეფურ ღირსებას სამასხაროდ აგდებინებდა
ცინგლიან ბიჭებს, და სამიწენს წარმოადგენდა
ყველა უსაქმურ, მოქილიკე ქოსებისათვის.
ხალხის გულებში დამციდრებას ლამობდა ხოლმე
ის ქუჩა-ქუჩა მოყაყანა ბრბოში გარეგით;
ეჩხირებოდა ყველას თვალში და თაფლის მსგავსად,
რაც გულს გვიყირჭებს, თუნდ ვიგემოთ ოდნავ ზედმეტი,
მუდამდღე მზერით — მოცლილ ხალხსაც თავს აბეზრებდა.
მისი გამოსვლა გუგულს ჰგავდა ოცნისის თვეში —



ხმა გესმის, მაგრამ ვერა ხედავ. მას შუკყურბდნენ არა იხეთის ალტაცებით, ვით მზის დარ მეფეს, — რომელიც ხალხში იშვიათად გამოაშუქებს, — არამედ ზანტად, მოთენთილად, გულმოყირჭებით, წამწამდაშვებულთ თვალზე რული ეკიდებოდათ, ეძინათ თითქოს, და უბღვერდნენ ისე ამრეზით, ვით მტერს უბღვერი, რომელთანაც ყოფნას ვერ იტან და გულს გიწვირებებს, ილაჯს გიწვირებს მისი დანახვა. ახლა კი, პარი, შენც იმ მეფის გზას დასდგომიხარ, ამ სამარცხვინო მეგობრობით მთლად დაგიკარგავს შენი მეფური წარჩინება; ჩემს გარდა ყველას მოჰყირჭებია შენი ნახვა და მე ერთს მხოლოდ მონატრებია, შვილო, შენთვის თვალის შევლება; თავს ეებრძვი, მაგრამ არ გამომდის, ვეღარ ვერევი; ამ სულელურმა გულჩვილობამ მთლად დამაბრმაგა.

პრინცი ჰენრი. სამგზის ნეტარო ხელმწიფეო, ამერიიდან დავემსგავსები უფრო მეტად საკუთარ თავსა.

მეფე ჰენრი. რაც შენ ხარ ახლა, ქვეყნის თვალში ის იყო რიჩარდ, რევენსპერგში რომ გადმოვედი საფრანგეთიდან; ჩემს იმდროინდელს ჭაბუკობას პერის მაგონებს, და ამ სამეფო კერის მადლმა, ჩემმა სიცოცხლემ, სამეფო ტახტიც მისთვის უფრო ღპრინია, ვიდრემდე შენთვის — ქეშმარიტი მემკვიდრის ჩრდილო; სულ უუფლებომ ველ-მინდვრები ჩვენი ქვეყნისა ღამის გაავსოს ძლეული მტრის აბჯარ-საჭურვლით, არ ებუება, თვალს უსწორებს ღმრთს — პირდაპინილს და, შენი ტოლი, წინ მიუძღვის სისხლისმღვრელ ომში უძველეს ღორებს და ღირსეულ ეპისკოპოსებს. მარტო ის რად ღირს. რომ სახელი, მარად უკვდავი, მან მოიხვეჭა დიდებასრულ დუგლასის ძლევით, რომელსაც ფიქნელ შეტევაში, შემართებაში, ჯარის მართვაში ქვეყანაზე ბადალი არ ჰყავს, და ჯარისკაცნიც უპირველეს მეომრად თვლიან! სამეფრ ამ ჩურებში გახვეულმა მარსმა — პოტსპერმა, რქმეუმშრალმა მეოპრამა, ღირსეულ დუგლასს სულერთიანად აუწეწა ომის გეგმები; ჯერ ტყვედ შეიპყრო, მერე მისცა თავისუფლება და საბოლოოდ მეგობრადაც შეიკავშირა, რათა ძველ მტრობას საფუძველი მოშლოდა ამით და ჩვენი ტახტის სიმშვიდე კი შერყეულიყო. ნეტა ამაზე რაღას იტყვი? — პერსის, მორტიმერს, დუგლასს, იორკის ეპისკოპოსს და ნორთამერლანდს პირი შეუყრავთ, აღჭურვილან ჩვენს წინააღმდეგ!... მეც აემდგარვარ და მტრების ამბავს შენ გიმხელ ახლა, შენ — ჩემს პირველ მტერს — უახლოესს და უძვირფასესს! შენგან ხომ კაცი სუვეელაფერს უნდა ელოდეს — მონური შიშით ანდა ბილწი ზრახვით შეპყრობილს, ანუ შვე ნაღველ მოწოლილსა, შენ სულ ადვილად დაგიჭირავენს ჩემი მტერი ჩემს წინააღმდეგ, პერსის წინაშე შენ დაიწყებ ძაღლივით ლაქუსს, განრისხებულის საამებლად ჭყანვას მოჰყვები, რომ დაამტკიცო შენი სრული გადაგვარება...

პრინცი ჰენრი. ეს არ მოხდება, ნურც იფიქრებთ, ხელმწიფეო, ასე; დმერთმა შეუნდოს, ვისაც თქვენი გულმოწყალება ამა ზომამდე აღუგზინა ჩემს წინააღმდეგ! მაგრამ ყველაფერს პერსის თავით გამოვისყიდი და ერთ ბრწყინვალე ღღის დასასრულს გაგბედავ გითხრა —

რომ მე ვარ შენი ქეშმარიტი ძე და მეგვიდრე;
სისხლით მექნება შეღებილი აბჯარი მაშინ,
სისხლი დაჰფარავს, რაც კი დღემდე მე შემაციოდავს,
და სისხლთან ერთად ჩამოვირეცხ ჩემს შერცხვენასაც.
ამ დღეს, — იცოდე, გათენდება ეს დღეც სულ მალე, —
ქება-დიდების ნიბიური შეილი — ჰოტსპერი,
ეს ყველასათვის საყვარელი მარჯვე რაინდი,
თქვენს ყველასაგან დავიწყებულს ჰარის შეხედება.
დე, მის მუზარადს უფრო მეტი ქება ამკობდეს,
მე კი შერცხვენა ორჯერ მეტად თავს მიმიმებდეს!
დადგება ჟამი, ვაიძულებ ჩრდილოელ ჭაბუკს —
თვისი პატრივი შერცხვენაზე მე ვამიცვალოს;
პერსი, ხელმწიფვე, თითქოს იყოს მსახური ჩემი —
ის ჩემთვის იხვეჭს სახელსა და ქება-დიდებას;
და ანგარიშსაც ისე მკაცრად წარვუდგენ ბოლოს,
რომ მთელს დიდებას სათითოდ ჩამომიყაპავს,
ღიას, სულ მცირე პატრისაც კი, ახლა რომ იხვეჭს;
ან თვითონ დათმობს, ან გულიდან ძალით ამოგვლეჯ,
მითქვამს და კიდევ შევასრულებ, ღმერთს გეფიცები.
თუ ზეციერმა ინება და ეს ვამიმართლდა,
მაშინ შენს გულსაც, ღრმად დასერილს ჩემი წყალობით,
ეს წარმატება, ხელმწიფეო, მალამოს მოსცხებს.
თუ არ ინება — ფაცს დაარღვევს ჩემი საიკვდილი;
რადგან ის მიჯობს — ასი ათას სიკვდილით მოკვდე,
ვიდრე ოდნავად დეარღვიო ეს ჩემი აღთქმა.

მეფე პენრი. ასი ათასჯერ მოკვდებიან აჯანყებულნი!
დღეს შენ უმაღლეს უფლებას და ნდობას განიჭებ.

შემოდის სერ უოლტერ ბლენტი.

აბა რას გვეტყვი, ძვირფასო ბლენტი? თვალეში გატყობ,
სასწრაფო საქმე უნდა გქონდეს!

ბლენტი. ღიახ, ხელმწიფე.

შოტლანდიელმა მორტიმერმა შემოგიტვალათ,
რომ დუგლასი და ინგლისელი აჯანყებულნი
თერთმეტს ამა თვის შრუსბერიში შეხვდნენ ერთმანეთს:
მეტად მძლავრი და საშიშა მხედრობა მტრისა
და თუ ამგვარი ურღვევი აქვთ მათ შეთანხმებაც,
ასე მრისხანე მტერი მაშინ ჯერ არც გვეყოლია.

მეფე პენრი. ჩვენ ეს ამბავი ხუთი დღის წინ შეგვატყობინეს;
დღეს გაემგზავრა ბრძოლის ველზე უესტმორლენდი
და მასთან ერთად ჩემი შეილი ლორდ ლანკასტერიც.
იმ ოთხშაბათს კი შენი ჯერიც დადგება, პარი,
ხოლო ხუთშაბათს ჩვენ თვითონვე გამოვსწევთ თქვენკენ.
ერთურთს ბრიჯნორთში უნდა შეხვებდეთ; შენ, შეილო პარი,
გაემართები შენის ლაშქრით გლოსტერშირისკენ...
ვფიქრობ, მოვასწრებთ თორმეტ დღეში ბრიჯნორთში შეყრას;
ქვეყნის საქმე გვაქვს დაგროვილი, ვაგსწოთ ბარემ,
რადგან ზედმეტი დაყოვნებით მტერს გავახარებთ.

გადიან.

სურათი III. ისტჩიპი. „ტახის თავის“ ფუნდუკი.

შემოდის ფოლსტაფი და ბარდოლფი.

ფოლსტაფი. ბარდოლფე, ერთი მითხარი, იმ ბოლო ამბების შემდეგ ძალიან არ შევიფერებ? გერა
ხედავ, როგორ ჩამოვხმნი?! როგორ დავილიე! ლამის დედბარის ფარფოშა კაბასავით ჩამომე-
კიდოს კანი. შემწვარი ცაშლივით ჩამოვქვნი. არა, უსათუოდ უნდა მოვიანაო, ანლავე, მანამ
სულ არ დამიკარგავს კაცის იერი, თორემ სულთ არ დავეციმი, გვიანდა იქნება, მონანიების
ღონეც აღარ შემჩნება. წიწაკის გული ვიყო, ლუღსახდელის ჯაგლაგი ვიყო, ის თუ მასსო-



დეს, ეკლესია შიგნით როგორ არის მოხატული? ეჰ, სულ ჩემი ამფონების საქმეტი ცულს ხალხში ვტრიალებ და იმან მომიღო ბოლო.

ბარდოლფი. სერ ჯონ, ისე ვატყობი გული, რომ დიდხანს ველარ იცოცხლებ.

ფოლსტაფი. მეც ეგ არა მკლავს?! მოდი, უწმინდესი რამე მაინც მიმღერე, გული გამიმხიარულე. იყო დრო, სათიოებაში არც ერთ აზნაურიშვილს ტოლს არ დაგულებდი. თავზე გადამდიოდა პატროსნება; ათასში ერთხელ თუ ვილოცებდი, კვირაში შვიდჯერ მეტად კამათულს არ გავაგორებდი; საროსკიპოში შევირბენდი ხოლმე ყოველ თხუთმეტ... წუთში, მეტად არა; ნასესხები ფული სულ სამჯერ-ოთხჯერ თუ ჩამისესხებია; კარგად ცხვობროდდი, წრეს არ გადავდიოდი... ახლა კი ყოველგვარ წრესა და საზღვარს გადავედი.

ბარდოლფი. ნურც გიკვირს, სერ ჯონ, ამოდენა ღიბი რა წრეში უნდა ჩასტიო?! ვინ შემოხაზავს მაგოდენა წრეს?!

ფოლსტაფი. ჯერ შენს სიფათს შეხედე და მერე მელაპარაკე; შენ ხომ საადმირალო ხომალდი ხარ: ფანარი ზედ ხომალდის ჭეინტზე გაქვს გამოკიდებული და ეს ფანარი შენი საკუთარი ცხვირი გახლავს. ანთებული ლამპრის რაინდი ბრძანდები.

ბარდოლფი. ნეტა ვიცოდე, სერ ჯონ, ჩემი სახე რას გიშვებებს!

ფოლსტაფი. რას ამბობ, პირიქით! მართალი თუ ვინდა, ისეიგივე სარგებლობა მოაქვს ჩემთვის, როგორც სხვებისთვის თავის ქალის ან „memento mri“-ის დანახავს: რამდენს შემოვხედავ, იმდენი ჯოჯობეთის გენია გამასენდება, ანდა ის მდიდარი, რომელიც მუდამ წითლად ირთვებოდა ხოლმე. აგერ, მოუსხამს თავისი მოსახსამი და იწვის, იწვის!.. ერთი ბეწუ სათიოება მაინც რომ გქონდეს, მუდამ შენს სახელს დავიფიცავდი; ასე ვიტყვი: ამ აღმოღებულ ანგელოზს ფიცავ-მეთქი. მაგრამ შენ ხომ ხელიდან წასული ხარ! კიდევ ეს ანთებული ცხვირი გშველის, თორემ წყვდიადის ნაშიერი იქნებოდი. ჩემს დღეში სულ ქისაგახვრეტილი ვიარო, თუ „ignis fatuus“-ი, ანდა ცეცხლის ბურთი არ მგონებოდი, როცა ჩემს ცხენს დასდევდი იმ დამეს გედს-პილზე. რას ამბობ, შენ ხომ ჩაუქრობელი კოცონი ხარ, ჩვენი მუდმივი ზეიმ-ზარი! ვინ იცის, რამდენი მარტის ჩირალდანი და ფანარი დამიზოგავს, როცა შენთან ერთად ფუნდუქუნდრი დავიყოლობდი ხოლმე ღამით. მაგრამ რა გამოვიდა, სამაგიეროდ იმდენი ღვინო ჩავიხეთქავს ჩემს ხარჯზე, რომ იმ ფულით, რაც ყველაზე ძვირი სანთლებია ევროპაში, ერთბაშად შევიძენდი, აგერ ოცდაათობეტი წელი გადის, ამ სალამანდრაში ცეცხლს ვინახავ. ღმერთმა წყალობა ნუ მომაკლოს სამაგიეროდ.

ბარდოლფი. ეშმაკმა დალაზეროს, ნეტა ჩემი სახე შენს მუცელში ჩამადებინა!

ფოლსტაფი. ღმერთმა დაიფაროს! ხომ მომკლა გულის წვამ!

შემოდის დ ი ა ს ა ხ ლ ი ს ი.

ახალს რას იტყვი, ჩემო დედალო! ვერ გამიგე, ვინ გამისუფთავა ვიბე?

დიასახლისი. როგორ გვეკადრებათ, სერ ჯონ, ნეტა რას ამბობთ! სახლში ქურდებს გვაჩერებ?! მეცა და ჩემმა ქმარმაც იმდენი ვეძიეთ, გამოვიკითხეთ, სათითაოდ ყველა გავსინჯეთ — კაცი არ დავეტიოვებია, ბიჭი არ დავეტიოვებია, მსახური არ დავეტიოვებია... ბეწვი რა არი, ბეწვი არ დაკარგულა ჩემს სახლში.

ფოლსტაფი. სტყუი, დიასახლისო! ბარდოლფი იპარსებოდა აქა და კარგა ბლომად ბეწვი დაჰკარგა; თუ გინდა, დავიფიცებ, რომ პირწმინდად გაწმინდეთ ჩემი ვიბე. წადი ერთი, რა უნდა გელაპარაკო, დედაკაცი ხარ!

დიასახლისი. ვინა, მე? არაფერიც. ვერ მოგართევს. ღვთის მადლმა, ჯერ არავის უკადრებია ამითანა სიტყუები ჩემს საკუთარ სახლში.

ფოლსტაფი. წადი, წადი, გიცნობ, რა შეილიცა ბრძანდები!

დიასახლისი. ტყუილია, სერ ჯონ, ვერა მცნობ, კარგად ვერ გიცნვიარ, სერ ჯონ, მე კი ძალიან კარგად გიცნობ, შენ ჩემი ფული გმართებს, სერ ჯონ, და ახლა გამოღმა მედავები, რომ ცალი შეგრჩეს. ერთი დუქინი პურანგი მიყიდინა შენთვის.

ფოლსტაფი. პურანგი კი არა და, ჯვალოს ტომარა იყო, ჯვალოს ტომარა; ვანა ჩამიცვამს! ხაბა-ზების ცოლებს ვაჩუქე და შვეინიერი საცრები გააკეთეს.

დიასახლისი. რას ამბობ! პატროსნებას ვეფიცები, ნამდვილი პოლანდური ტილოსი იყო, თითო წყრათაში რვა შილინგი მიმოცია. ახლა ჭამა-სმისა რომ გმართებს, სერ ჯონ! ოცდაოთხი გირვანქაც ფულად!

ფოლსტაფი. (ბარდოლფზე მიუთითებს) ამასაც წილი უდევს, აჰან გადაიხადოს.

დიასახლისი. ეგ რის ვადამხდელია — ლატაკია, არაფერი აბადია.

ფოლსტაფი. ლატაკიო? ერთი სახეზე შეხედე! ეგ თუ ღარიბია, მამ მდიდარი ვინდა? მაგის ლაქლაცა ცხვირიდან და ლოყებიდან სულ ოქრო-ვერცხლი გამოიჭრება. გროშაც არ გადავიხდი. არიფი



მნახე? კაცს რვიან-პირიანად ვერ გამოვიძინია ამ ფუნდუკში, მაშინვე ჯიბებს გაგოსტყვი
 ვებნი! პაპის სახსოვარი ბეჭედი აწაპანეს, ორმოცი მარკა მაინც ღირდა.
 დიასახლისი. იესო მაცხოვარო! პრინცივან რამდენჯერ გამიგონია, სპილენძის ბეჭედილიო.
 ფოლსტაფი. ის თქვენი პრინცი კაი ჩერჩეტი და გაიძვერა ყოფილა! ერთი ჩემთვის ეთქვა, ძალღვივთ
 მივბეგავდი!

შემოდინა პ რ ი ნ ც ი და პ ო ი ნ ს ი, ჯარისკაცებით გამოჰიმულნი; ფ ო ლ ს ტ ა ფ ი
 შესაგებებლად გაემართება, თან ჯოხს მიიდებს პირზე სალამურავით.

რაო, ბიჭუნე, ჩვენსკენაც დაჰქროლა ქარმა? უნდა წამოვიდეთ?
 ბარდოლფი. მაშა, წყვილ-წყვილად, თითქოს ნიუგეტის ცინისკენ მიდიოდეთ.
 დიასახლისი. მომისმინეთ, მილორდ, გემუდარებით.
 პრინცი პენრი. აბა რას გვეტყვი, მისის კუიკლი! ქმარი როგორა გყავს? ძალიან მიყვარს, პატიოსანი
 კაციო.

დიასახლისი. მომისმინეთ, კეთილო პრინციო.
 ფოლსტაფი. მაგას თავი დანებე, თუ ღმერთი გწამს, და მე მომისმინე.
 პრინცი პენრი. რას გვიბრძანებ, ჯეკ?
 ფოლსტაფი. წუხელ აქ ჩამეძინა, ხალიჩის უკან, და ჯიბეები სულ გამომისუფთავებს. საროსკიპოდ
 იქცა ეს ფუნდუკი, კაცს ჯიბიდან ფულს გაცლიან.

პრინცი პენრი. მაინც რა დაკარგე, ჯეკ?
 ფოლსტაფი. არც კი დაიჯერებ, პალ; სამი თუ ოთხი ორმოც გორვანქიანი ბილეთი და პაპის სახ-
 სოვარი ბეჭედი.

პრინცი პენრი. სათქმელადაც არა ღირს, რვა პენსიც არ ეღირებოდა.
 დიასახლისი. მეც ეგ ვუთხარი, მილორდ! თქვენი მოწყალების ნათქვამიც მოვავსე. ეგ ყიამყარალ
 კი თქვენს ვინჯებს მოჰყავს. ერთს მაგრად მივბეგავო, ესეცა თქვა.

პრინცი პენრი. რას ამბობ? მაგას როგორ იტყოდა!
 დიასახლისი. თუ ცტყუოდ, პატიოსნებაც შემარცხვებს, ნამუსიც და ქალობაც.

ფოლსტაფი. რაღა შენი პატიოსნება და რაღა მოხარული ქლიაივისა; რაღა შენი ნამუსი და რაღა
 სიროდნად გამოთრეული მელასი; ხოლო ქალობაზე თუ მიდგა საქმე, ქალწული მარიანა
 შენთან შედარებით ბოჭაულის ცოლია. წადი, წადი, ციცი, რა საქონელიცა ხარ!

დიასახლისი. რა საქონელი ვარ? არა, სთქვი, რა საქონელი ვარ?
 ფოლსტაფი. რა საქონელი? ღმერთმა დაგვიფაროს შენისთანა საქონლისაგან!

დიასახლისი. არაფერიც, მე პატიოსანი კაცის ცოლი ვარ. შენი რანდლობისთვის კი მიმიფურთხე-
 ბია, არამზადა ყოფილხარ და მეტი არაფერი!

ფოლსტაფი. მე კიდევ შენი ქალობისთვის მიმიფურთხებია, პირუტყვი ხარ და მეტი არაფერი!
 დიასახლისი. მაინც რა პირუტყვი ვარ, არამზადავ?
 ფოლსტაფი. რა პირუტყვი ხარ? რა და წავი.

პრინცი პენრი. წავიო, სერ ჯონ! რატომ მაინცაღამაინც წავი?
 ფოლსტაფი. მა რა იქნება, არც თვეზია და არც ხორცი; აღარც კი იცი კაცმა, საიდან უნდა მიუდგე.

დიასახლისი. მიჰქარავ არამზადავ, ყველამ კარგად იცით, საიდან უნდა მომიდგეთ!
 პრინცი პენრი. შენ მართალი ხარ, დიასახლისო; ესა სტყუის, უღმერთოდ გწამებს ცილს.

დიასახლისი. შენცა გწამებს ცილს, მილორდ! ამას წინათ იძახნია, ათასი გირვანქა მართესსო.
 პრინცი პენრი. ბრძიეო, როდის მმართებს შენი ათასი გირვანქა?!

ფოლსტაფი. ათასი გირვანქაო! მილიონი გამართებს, პალ; შენი სიყვარული ხომ მილიონი ეღირება,
 შენ კიდევ ჩემი სიყვარული გამართებს.

დიასახლისი. არ დაუჯეროთ, მილორდ! ჩერჩეტს გეძახით, ერთს მაგრად მივბეგავო...
 ფოლსტაფი. აბა როდისა ვთქვი, ბარდოლფე?
 ბარდოლფი. როგორ არა, სერ ჯონ, ნამდვილად ასე ბრძანე.

ფოლსტაფი. მა რა უნდა მექნა: სპილენძის ბეჭედილიო, უთქვამს.
 პრინცი პენრი. მითქვამს და გამზობ კიდევ — ნამდვილად სპილენძისაა. აბა ერთი სცადე შენი მუქა-
 რის შესრულება!

ფოლსტაფი. იცი რა ვითხრა, პალ, უბრალო ადამიანი რომ იყო, იცოცხლებ, ეცდიდი; მაგრამ პრინცი
 ხარ და რა გქნა, მეშინია, როგორც ლომის ბოკვერისა.

პრინცი პენრი. რაღა ბოკვერი? რატომ ლომი არა?
 ფოლსტაფი. ლომივით — მფეუ გვაშინებს ხოლმე. როგორ გგონია, მამაშენისა და შენი ერთნაირად
 მეშინია?! ქმარი გამიწყდეს, ერთნაირად თუ მეშინოდეს!

პრინცი პენრი. კარგი სანახავი კი იქნები, მართლა რომ გაგიწყდეს ქმარი — ღიბი მუხლებამდე
 დაგეშვება. მაინც რა კაცი ხარ, შე არამზადავ, რომ სხეულში ადგილი არ დაგჩრენია არც



პატიოსნებისათვის, არც სიმართლისა და ნამუსისათვის — სულ ფაშვითა და ნაწლავებითა ჩაბრუნდა. პატიოსან ქალს ქურდობას სწამებ! შე ნაბუშარო, ბრიყვო, გაბერილო არამზადე, ნეტა რა გქონდა იმ ჯიბეში, ფუნდუკის ანგარიშების, საროსკობის მისამართებისა და უზადრუკ გრომად ღირებულ შაქარ-ყინულს გარდა, აი სულის შეხუთვის დროს რომ ხმარობ ხოლმე; მართლა არამზადა ვიყვ, ამ სიბინძურის გარდა თუ რამე გქონოდა ჯიბეში. მაგრამ მაინც არ იტყვ იხტიბარს, მაინც შენს სიტყვაზე დგებარ. როგორ არა გცხვენია?!

ფოლსტაფი. მე აღარ მომისმენ, პალ? შე კაი კაცო, თუკი ადამი იმ უბიწო დროში დაცა, სწყალმა ჯექ ფოლსტაფმა რაღა ქნას ამ გაფუჭებულ დროში? ეერა ხედავ, სხვეზე მეტი ფერხობრიკანი ვარ! ამიტომ სისუსტეც მეტი მაქვს. გამოდის, რომ შენ გამოგიფხვია ჩემი ჯიბე!

პრინცი ჰენრი. ასე გამოდის.

ფოლსტაფი. მაშ შენთვის მიპატიებია, დიასახლისო. წადი, საუზმე მოამზადე. ქმარი გიკვარდეს, მსახურებს მიხედვ, სტუმრებს პატივი ეცი. ხომ ხედავ, სიმართლე თუ შეგატყე, ხელად დაფშვილდები... აპ, არა, წადი, გეთაყვა.

დიასახლისი გადის.

აბა, პალ, სასახლეში ახალი რა ისმის? იმ გაძარცვავზე... ხომ არ მოგვხვდება?

პრინცი ჰენრი. ო, ჩემო გემრიელო მწეალო, მე კვლავაც შენი მცველ-ანგელოზი ვარ. ფული პატრონებს დაუბრუნდა.

ფოლსტაფი. ნეტა იცოდე, როგორ მეჯავრება ფულის დაბრუნება! ორმაგი შრომა გამოდის.

პრინცი ჰენრი. მამას შეეუროგდი და რასაც მინდა, გააკეთებ.

ფოლსტაფი. თუ ასეა, რაღას უდგებარ, ხაზინა გაქურდე.

ბარდოლფი. მართლაც კარგს იზამთ, მილორდ!

პრინცი ჰენრი. შენთვის ადგილი გამოვანახე, ჯექ, ქვეით ჯარში.

ფოლსტაფი. ცხენოსანმა მერჩივნა. ნეტა ერთი მარჯვე ქურდი მაშოვნინა; ასე ოცდაორი წლის ტაბუკი სულ გამოვიფხიკე. ღმერთმა აცოცხლოს ეს აჯანყებულები — პატიოსან ხალხს გარდა, არავის ახლებენ ხელს. ბარაქალა მაგათ კაცობას!

პრინცი ჰენრი. ბარდოლფ!

ბარდოლფი. რას მიბრძანებთ, მილორდ?

პრინცი ჰენრი. ეს წერილი ლორდ ჯონ ლანკასტერს გადაეცი, ჩემს ძმა ჯონს. ეს კიდევ — ლორდ უესტმორლენდს.

ბარდოლფი გადის.

პიონს, ცხენები, ცხენები ჩქარა. სამხრობამდე ოცდაათი მილი გვაქვს გასავლელი მე და შენ,

პიონისი გადის.

ჯექ, ხვალ ნაშუადღევს, ორი საათი რომ გახდება, ტემპლ-პოლში დამელოდე და იქ გაიგებ, მომავალში რა გვეალება. ფულსაც მიიღებ ჯარისკაცების დასაბეგებლად.

წაჰკიდებია მიწას ცეცხლი. ქედმაღლობს პერსი.

ან მე მოგვკლები, ან მას უნდა აფუგო წესი!

გადის.

ფოლსტაფი. მშენიერად უზნობს! ჰე, საუზმე, დიასახლისო!

ნეტავი დოლად გადაიქცეს შენი ფუნდუკი!

გადის.

მოქმედება მეოთხე

სურათი I. აჯანყებულთა ბანაკი შრუსბერიში

შემოდინ პოტსპერი, ვუსტერი და დუგლასი

პოტსპერი. კარგადა ბრძანებთ, ბარაქალა, შოტლანდიელო!

ქეშმარიტებას ჩვენს მშენიერ საუკუნეში

პირმოთნობად არა სთვლიდნენ, მაშინ ციტყლი,

რომ ისეთ ქებას იმსახურებს გმირი დუგლასი,

როგორც არც ერთი ჯარისკაცი მთელს ქვეყანაზე.
ღმერთს გეფიცები, პირფერობას ვერ ვეგუები,
მშულს ლაქუცი და მოფერება, მაგრამ ჩემს გულში
თქვენებრ პატივით ჯერ არავინ არ შემოჭრილა.
ამას საქმიოთაც დაგიმტყიცებთ და თქვენვე ნახათ.

დუგლასი. პატიოსნების მეფე ხარ შენი..
არ შეგულება კაცი ისე ძალგულოვანი,
რომ მასთან შებმა ვერ გაგზედო!
პოტსპერი. ასედაც უნდა!

შ ი კ რ ი კ ს წერილი შემოაქვს.

რა წერილია? (დუგლასს) რაღა შეთქმის, მადლობის მეტი.
შიკრიკი. ეს წერილები მამათქვენმა გამოგიგზავნათ.

პოტსპერი. მამაჩემმაო! მერე თვითონ რატომ არ მოდის?
შიკრიკი. ვერ გეხალებათ მამათქვენი, ავად შეიქნა.

პოტსპერი. მაგისტვის როგორ მოიცალა? მერე ასეთ დროს!
ღმერთმა დალახვროს! იმის ლაშქარს ვინ სარდლობს, ნეტა?

შიკრიკი. ჩემთვის არ უთქვამს. ამას ალბათ წერილით გამცნობთ.

ვუსტერი. ერთი მითხარი, თუ ღმერთი გწამს, ლოგინად ჩაწეა?

შიკრიკი. ჩემს წამოსვლამდე ოთხი დღის წინ ჩაწეა ლოგინად,
ხოლო როდესაც მოვდიოდი აქეთკენ, მილორდ,
მისი მკურნალი მე დავტოვე შემოფოთებული.

ვუსტერი. ნეტა ეცლია დროისათვის გამომრთელება
და ავად მერე გამხდარიყო. როგორც არასდროს,
ისე გეჭირდება ახლა მისი ჯანის სიმართლე.

პოტსპერი. ავადმყოფობა! ამ მძიმე დროს ლოგინაში წოლა!

ამ სენმა ლამის ჩვენი საქმის სისხლიც მოწამლოს
და ავადობამ ჩვენს ბანაკშიც შემოაღწიოს,
ასე მწერს — რაღაც შინაგანმა სნეულებამო...
ლაშქრის დროულად შეგროვებაც ვერ მოუსწრია,
რადგან ვერ შესძლო გაფრთხილება მეგობრებისა,
ხოლო ასეთი მძიმე საქმე სხვას ვერ მინადო.
მაგრამ გვამხნევეს და ამ ჩვენი მცირე მხედრობით
შეტევას გვიჩვენებს მამაცურად, რადგან, ასე გეწერს,
ჯერ გამოვცადოთ, ნამდვილად თუ გეწყალობსო ბედი.
არ ეგებოსო ახლა თქვენი სულით დაცემა,
რადგანაც მეფემ საიდუმლო განზრახვა ჩვენი
ალბათ იცისო ყველაფერი. თქვენ რაღას იტყვიო?

ვუსტერი. თავზარი დაგვცა მამათქვენის ავადმყოფობამ.

პოტსპერი. თითქოს მარჯვენა მხეკეთით! მიძიმე ელდაა!..
თუმცე, კაცმა რომ თქვას, არც ისეთი დამლუბებელია,
რადგან წინასწარ ვაზვიადებთ იმის დანაკლისს,
თორემ ნამდვილად უმისოდაც იოლას გავალთ.
გონიერულია მთელი ლაშქრით მივუსტეთ მტერსა
და ბრძოლის ბედი გავიხადოთ საალაღებდოდ?
ერთ კვიმაც საათს როგორ ვანდოთ მთელი ძალები?!
არა, არ არის გონიერული, ამით ხომ სულმთლად
ამოვხაპავდით იმედების წყაროს, სათავეს,
ბედის ფსკერსა და ბედის საზღვარს მიჰადგებოდით.

დუგლასი. სწორედ ამ დღეში ჩავცვიოდით, მართალსა ბრძანებთ;
ახლა კი ძალგვიძს, თუ დავტყირდა, უკან დახევაც;
ჩვენ შეგვიძლია თავგანწირვით ვეკვეთოთ მტერსა,
იმის იმედით, რომ მამეული ძალები გვრჩება.

პოტსპერი. თუკი ეშმაკმა გაგვთვალა და დასაწყისშივე
მარცხი გვაგემა, მაშინ თავის შესაფარებლად
და ახალ ძალთა შესაკრებლად ადგილი გვრჩება.



გუსტერი. და მაინც, ნეტა მამაშენი აქ იყოს ეხლა!
ჩვენი გეგმა ხომ იმაზეა დამყარებული
სულ ერთად ვიყოთ, გამოკლებას საქმე ვერ ითმენს.
ვინ იცის, ხალხი რას იფიქრებს, იქნებ თქვას ზოგმა —
ბრძნულად მოიქცა, რომ ხელმწიფეს უერთგულო,
იქნებ ესეც თქვან — ჩვენ თვითონვე გადაგვიდგაო.
ეს კი დააფრთხობს შეთქმულების მონაწილეებს
და ეჭვს დასთესავს, საყოყმანოდ გაგვიხდის საქმეს.
რალა თქმა უნდა, ყველას კარგად მოგეხსენებათ,
რომ შეტყვისას ხალხს ფიქრის დროც არ უნდა მივცეთ.
უნდა დაიხსნას ყველა ხერხი და ჭუჭყრუტანა,
რომ გონების თვალს არ შეექმლოს ჩვენი თვალთვალი.
ახლა კი, აგერ, მამაშენის მოუსვლელიობა
თითქოს ფარდას გვხდის და საქმეში ჩაუხედავებს
მძიმე განსაცდელს მოაჩვენებს, შიშა შეიპყრობთ,
თუნდ თავის დღეში შიში არც კი დასიზმრებოდეთ.

პოტსპერი. შორს ნუ შესტოპავთ: მამაჩემის მოუსვლელიობა
ხელსაყრელადაც მიმაჩნია — ჩვენს დიდ საქმეში
ძალას შეგვმატებს, ომის წინით აღაგზნებს ყველას,
მისი არ ყოფნა კიდევ უფრო გაამამაცვბთ.
ასე იტყვიან: უიმისოდ ვარყვეთ ქვეყანას, —
ისიც რომ იყოს, ხომ დაემახეთ მთელი სამეფო!..
არა, ნუ შიშობთ, ჩვენი საქმე აღჩუხე ვახლავთ.

დუგლასი. უკეთესს ვერც კი ვინატრებდით; შოტლანდიაში
შიში რა არის არც იციან, არც კი სმენიათ.

შემოდის სერ რიჩარდ ვერნონი.

პოტსპერი. ო, ძმავ ვერნონ, შენი მოსვლა დიდად მახარებს.

ვერნონი. ნეტა იმნაც გაგახაროთ, რაც უნდა ვითხრათ!
შვილი ათასი ჯარისკაცით უესტმორლენდი
აქეთკენ მოდის, და თან პრინცი ჯონიც, მოჰყვება.

პოტსპერი. ეგ არაფერი. სხვას რას მეტყვი?

ვერნონი. ისიც გავიგე,

რომ თვით ხელმწიფეც საბრძოლველად გამოეშურა
სულ დარჩეული ჯარითა და აღჭურვილობით.

პოტსპერი. კეთილი იყოს მისი მოსვლაც. შვილი სადღა ჰყავს,
ის ფეხმარდი და დამთხვეული უელსის პრინცი,
რომელმაც თავის ამფსონებთან შეხმატკბილებით,
ლამის ფეხებზე დაიკიდოს მთელი ქვეყანა?

ვერნონი. ყველა მზად ვახლავთ, აღჭურვილი თავით ფეხამდე,
შეპუმპლულები — ქორებივით დანავარდობენ;
ატლასუნებენ გახელებით თავიანთ ფრთებსა,
ვით არწივებმა ბანაობის შემდეგ იციან.
ოქროს აბჯრები უბრჭყვიალებთ მათ ხატებივით;
სიმხნით, ხალისით — მაისის თვეს დამსგავსებით;
შუა ზაფხულის მცხუნვარებას — დიდებულებით;
სიმკვირცხლით ჰგეანან პაწაწინა კუნტრუშა თიკენებს,
ხოლო ველური გამშაგებით — უხედავ მოზვრებს.
მე ვნახე პარი — მუზარადით დამშვენებული,
ჯაჭვის პერანგით შემოსილი, დედამიწიდან
თვითონ მერკურის სიმსუბუქით აფრინდა ცაში
და ვით ღრუბლიდან დაეშვება ცის ანგელოზი,
რომ დააფრინდეს გასახედნად მძვინვარე პეგასს
და მიხდენილი ცხენოსნობით ხალხი მოხიბლოს —
ისიც მოახტა თავის მერანს ელვის სისწრაფით.

პოტსპერი. კმარა, შეჩერდი. ეს შექება ციებ-ცხელებას მარტის მზეზედაც უფრო აღძრავს. დაე მობრძანდნენ! მივლენ მსხვერპლივით მორთულები, მოკაზმულენი, ჩვენ კი ამოვთხვრიეთ ცხელ სისხლში და მსხვერპლად მივართმევთ კვამლშემოხვეულ, ცეცხლისთვალა ომების ღმერთსა. საკურთხეველზე იჯდეს მარსი, აზჯარასხმული, და ნიკაპზე კი დაე სცემდეს სისხლის მორვეი! ცეცხლი მედება, როცა ვისმენ, რომ ეს მდიდრული ნადავლი აქვე ახლოს არის, და ჯერ არა ვფლობთ. მომგვარეთ ცხენი, ელვასავით რომ გამაქროლოს და შემახვედროს უელსის პრინცს გამძვინვარებით. დე პარი — პარის შეეჭიდოს, ცხენი კი — ცხენსა, ვიდრე ერთ-ერთი არ მოკვდება, დაე იბრძოლონ. გლენდაუერი მოსულიყო ნეტავი, მაინც.

ვერნონი. ვუსტერიში მითხრეს, აქეთკენ რომ ვეშურებოდი, ორ კვირას მაინც ჯარს სალაშქროდ ვერ გამართავსო.

დუგლასი. ეს კი ყველაზე ცუდი არის, რაც აქ გავიგე.

ვუსტერი. ლამის იმედი გავგიყინოს, ღმერთს გეფიცებით.

პოტსპერი. მთელი ლაშქარი ხელმწიფისა რამდენი არის?

ვერნონი. სულ ოცდაათი ათასი ჰყავს.

პოტსპერი. ორმოცი იყოს!

თუმცა არ გვახლავს თან მამა და გლენდაუერი, მრისხანების ქამს ჩვენი ჯარით გავუშკლავდებით.

ახლა გავსწიოთ, ჩვენს მხედრობას ჩამოუფაროთ.

დუგლასი. ნურც კი მიხსენებთ შავსა სიკვდილს, რადგან არ მჯერა — ამ ექვს თვეს მაინც მიღალატოს მე ბედისწერამ.

გაღიან.

სურათი II. უარა კომენტარის მახლობლად.

შემოდიან ფოლსტაფი და ბარდოლფი.

ფოლსტაფი. ბარდოლფ, დაწინაურდი და კოვენტრის ჩადი, ერთი ბოთლი ღვინო მიშოვე; ჩვენი ჯარი ქალაქიდან მოუვლის, ჩვენ კი დაღამებამდე სეტონ კოლდფილდს უნდა ჩავიდეთ.

ბარდოლფი. ფულს არ გამაბიანო, კაპიტანო?

ფოლსტაფი. შენი ფულით იყიდე, შენი ფულით.

ბარდოლფი. მთელი ანგლოზი დამიჯდება.

ფოლსტაფი. ჰოდა, თუ მართლა დაგიჯდება, მოჰკიდე ხელი და წამოიყვანე, გასამრჯელოში გიანგარიშებ. ოცი ანგლოზიც რომ დაგიჯდეს, ოცივე წამოასხი. ჩემს ლეიტენანტს პეტოს უთხარი, ქალაქის ბოლოს დამხვდეს.

ბარდოლფი. მესმის, კაპიტანო. მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

გაღიან.

ფოლსტაფი. დამარილებული ქაშაყი ვიყო, თუ ჩემი ჯარისკაცების გამო მე თვითონვე არა მრცხვენოდეს. ძალიან ბოროტად გამოვიყენე მეფის ბრძანება — ჯარი შემიკრიბეთ. ასორმოცდაათი ჯარისკაცის ნაცვლად სამას გირვანქა შილინგზე მეტი შევგაროვე; მდიდარ-მდიდარ ხალხს ვარჩევდი, ფერმერების შვილებს; სულ დანიშნულ ხალხს, ეკლესიისაგან ორ-ორჯერ შეჩვენებულებს; ანდა ისეთ გააზიზებულ ლაშქრებს, დოლის ხმისაც რომ ეშინიათ; თოფის ხმაზე ხომ სულ თავგზას კარგავენ, დაკლული ქათამივით ფართხალებენ, გარეული იხვივით ფეთღებინან. სულ აზიზად აღზრდილი შვილიკოები შევგაროვე, ნამცევა გულები აქვთ, როგორც ქინძის პაწაწინა თავები. ახლა ჩემი ლაშქარი კაპარალებსა, ლეიტენანტებისა და ფახისიტრებისაგან შესდგება, და ამ მონებს, ლაზარესი არ იყოს, სულ ჩამოგლეჯილ-ჩამოფხრწილი ტანსაცმელი აცვიათ, მშვიერი ძაღლები ფუფუნებს ულოკავენ. თავის დღეში ჯარში არ უმსახურნათ, ქურდობის გამო დათხოვნილი მსახურები არიან, უმცროსი ძმების უმცროსი მემკვიდრეები, ვაკატრებული მეფუნდუკები, უშფოთველი ცხოვრებით განგმიკიდებული ხალხი; ძველისძველ დროსაზე ათჯერაც უფრო დაგლეჯილ-დაფუთილი. აი რა ხალხითა ვცვლი უკვე ვალმოხდილ ჯარისკაცებს! კაცი იფიქრებს, ასორმოცდაათი ძე შეცდომილი შეუფროვებია ღმერთების სამწყისურში, რომლებიც აქამდე ნაქურჩალითა და ქურჭლის ნარცხით იკვებებოდნენ. იმ დღეს ვიღაც დამთხვეული მეთებნება, რაც ინგლისში სახარობელებია, სულ დაგიუქმებია



და ჩამოსახრჩობი ხალხი შევიგროვებოაო. ძე-ხორციელს არ უნახავს ჯერ ამისთანა საფრთხობელა. იმიტომაც ვერიდები მაგათთან ერთად კოვენტრში გამოჩენას. ისე დაბაჯბაჯებენ, გეგონება ფეხზე ხუნდები ადევთო; თუმცა რა გასაკვირია, ბევრი მართლაც დილეგებიდან გამოვრეკე. მთელს ჩემს ლაშქარზე სულ ერთნაგვიანი პერანგი მოდის; ის ნახევარიც განა ნამდვილი პერანგია — ორი ხელსახოცისგანაა შეკოწიწებული და მქადაგებელივით აქვს ჯარისკაცს მხრებზე მოვდებულს; მთელი პერანგი კი, მართალი თუ ვინდათ, აღარ მახსოვს სად მოიპარეს — სანტ-ალბანის ფუნდუკის დიასახლისს აწაანეს, თუ დენტრის ცხვირწაით-ლებულ მეფუნდუკეს. თუმცა სულერთი არ არის?! საცვლები ყველა ღობეზე იშოვება.

შემოდიან პ რ ი ნ ც ი ჰ ე ნ რ ი და უ ე ს ტ მ ო რ ლ ე ნ დ ი.

პრინცი ჰენრი. რასა იქმ, გაბერილო ჯექ? ახალს რას იტყვი, ცუთთუკო!
 ფოლსტაფი. შენა ხარ, პალ? თავს როგორა გრძნობ, დამთხვეულო? რა ქარმა გადმოგადო უორკ-შირში? მომიტყევთ, უღირსეულესო ღორდ უესტმორლენდ, მე მეგონა თქვენი ბრწყინვალევა უკვე შრუსპერიში იყო!

უესტმორლენდი. მართალი ხარ, სერ ჯონ, უკვე დიდი ხნიდან უნდა ვიყოთ იქა, მეცა და თქვენც...
 თუმცა ჩემი ჯარი იქ არის. მეფე დიდი ხანია იქ გველოდება. მთელი ღამე უნდა ვიართო, ფოლსტაფი. ჩემი ფიქრი ნუ გექნებათ, ნაღების მპარავ კატასავით ფხიზელი ვარ.

პრინცი ჰენრი. იცოცხლებ, ნაღების მოსაპარად კი ფხიზლომ! ამ საქმიანობამ უკვე კარაქად გაქცია. ერთი ეს მითხარი, ჯექ, ეგ რა ხალხი ავადვენებია?

ფოლსტაფი. ჩემი ჯარისკაცები არიან, პალ.
 პრინცი ჰენრი. პირველად ცხედავ ამისთანა მაწანწალებს.

ფოლსტაფი. ფიქრი ნუ გაქცს, შუბზე წამოსაგებად გამოდებთან. საზარბაზნე ხორცია, საზარბაზნე ხორცი! ორმოსაც სხეებზე ნაკლებად როდი გაავსებენ. მოკვდავი ხალხია, ძმობილო, უბრალო მოკვდავი ხალხი.

უესტმორლენდი. პო, მაგრამ მეთისმეტად დაბეჩავებულები და ჩამომხმარი ჩანან, სერ ჯონ, მათხოვრებს გვანან.

ფოლსტაფი. მართალი ვითხრათ, მეც ვერ მივმხვდარვარ, ასე რამ დაასაწყლათ. სიგამხდრეს რომ ბრძანებთ, რა ვიცი, მე კი არ მიმიცია მაგალითი.

პრინცი ჰენრი. ეგლა გვაკლია, სამეცად დადებული ქონი სიგამხდრედ ჩაგვითვალონ. ვიჩქაროთ. პერსი უკვე გამოვიდა ბრძოლის ველზე.

გადის.

ფოლსტაფი. როგორ, მეფემაც დასცა კარავი?
 უესტმორლენდი. პო, სერ ჯონ. ეშიშობ, რომ ძალიან დავიგვიანეთ.

გადის.

ფოლსტაფი. კეთილი და პატიოსანი, ბრძოლის დასასრულს და დასაწყისს კარგის ღვინისა ცუდი მებრძოლი მიუსწრებს და კარგი სტუმარი.

გადის.

სურათი III. აჯანყებულთა ბანაკი შრუსბერის მახლობლად.

შემოდიან ჰ ო ტ ს პ ე რ ი, ვ უ ს ტ ე რ ი, დ უ გ ლ ა ს ი და ვ ე რ ნ ო ნ ი.

ჰოტსპერი. ამაღამევე შევეუტიოთ.
 ვუსტერი. არ შეიძლება.
 დუგლასი. მტერს ხელს შევეუწყობთ დაყოვნებით.
 ვერნონი. ტყუილად შიშობთ!
 ჰოტსპერი. ასე რათ ამბობ? მაშველ ძალებს არ ეღის განა?
 ვერნონი. აკი ჩვენც ველით!
 ჰოტსპერი. ის მიიღებს დანამდვილებით,

ჩვენი საქმე კი ჯერჯერობით საჭოჭმანია.

ვუსტერი. მისმინე, ძმაო, ნუ დავიწყებთ ამაღამ ბრძოლას.
 ვერნონი. მილორდ, მეც გირჩევთ.
 დუგლასი. თქვენი რჩევა უსაფუძვლოა,

მხოლოდ შიში და გულგრილობა გალაპარაკებთ.

ვერნონი. ცილს რატომ მწამებთ, გეფიცებით სიცოცხლეს, დუგლას, —

და მზად ვარ, ფიცი სიცოცხლითვე დაგიდასტუროთ, — როცა ბრძოლის დროს მრჩეველად მყავს პატიოსნება, ძაბუნე შიში იმგვარადვე მოქმედებს ჩემზე, ვით თქვენზე, მილორდ, და ვით ყველა შოტლანდიელზე. პა, ბრძოლის ველიც, ხვალინდელმა დღემ დაგვანახოს, ჩვენში ვინ უფრო მშვიდარაა.

დღუგლასი. ხვალ თუ ამაღამ?

ვერნონი. ამაღამ იყოს.

პოტსპერი. ამაღამვე, პო, ამაღამვე.

ვერნონი. არ შეიძლება, შეისმინეთ! მიკვირს, პირდაპირ, მრავალ ბრძოლებში გამოცდილი მხედართმთავრები ვეღარც კი ხედავთ, რომ შეტევა დაგვიბრკოლდებოდა. ჯერ ბიძაშვილის ცხენოსნები არც კი მოსულან; ვუსტერის ჯარი დღეს მოვიდა და დალილია; მათი გზნება და სიამყვე მიძინებულა, ზედმეტმა დალლამ დაუჩლუნვათ ძალგულოვნება, ცხენებსაც ღონე სანახევროდ არ შერჩენიათ.

პოტსპერი. ამ დღეშივეა მტრის მხედრობაც, გრძელი მგზავრობით გამოცდილი აქვთ არაქათი ჩვენზე მეტად, ჩვენთავან ბევრმა დასვენება მაინც მოასწრო.

ვუსტერი. ჩვენზე დიდაა გაცილებით მეფის ლაშქარი,

ცოტა დაეყოფნით, ვიდრე ჩვენც შეიგებოდეს.

საყვირის ხმა პარლამენტარის მოახლოებას იუწყება.

შემოდის სერ უოლტერ ბლენტი.

ბლენტი. მსურს, რომ ხელმწიფის გულმომწყალე ბრძანება ვამცნოთ, თუკი მოისმენთ პატივითა და ყურადღებით.

პოტსპერი. კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, სერ უოლტერ ბლენტი, ნეტა თქვენც იყოთ ახლა ჩვენი თანამზრახველი! აქ ბევრს უყვარხართ, მაგრამ მაინც გძრახავთ ყველანი, რომ ამ ბრძოლაში ჩვენს მხარდამხარ არ იბრძვით თქვენცა, და როგორც მტერი, გამოდინხართ ჩვენს წინააღმდეგ.

ბლენტი. ღმერთმა დამიხსნას, რომ სხვაგვარად გამოვდიოდე, ვიდრე თქვენი თვითონ სახელმწიფო კანონებისა და გვირგვინის წინააღმდეგ ამხედრებულხართ!.. დიახ, ხელმწიფემ გამომგზავნა, რათა გავიგო — თქვენი ასეთი გულისწყრომის ნამდვილი არსი; მშვიდობიან ხალხს მყუდროება რად დაურღვიეთ, მორჩილ ქვეყანას რად ასწავლეთ ეს გულქვაობა?! თუკი ხელმწიფემ ოდნავ მაინც გადაივიწყა ტახტის წინაშე თქვენი დიდი დამსახურება, — ის აღიარებს თქვენს მრავალგვარ დამსახურებას, — ახლა გიბრძანებთ, ეს ჩივილი დაუსახელოთ და რასაც იტყვით, ყველაფერი შეგისრულდებათ დაუყოვნებლოვ, თქვენს ჩივილზე ვადამეტებით, თანაც ხელმწიფე პატივებას გაბრძნობათ ყველას — თქვენც და იმათაც, ვინც ამ ჯანყში გადაიბირეთ.

პოტსპერი. გულკეთილია ჩვენი მეფე და კარგად უწყის, როდის შეპირდეს, შემდეგ როდის გადაუხადოს... მაგრამ გვირგვინი, ხელმწიფეს რომ ამშვენებს ახლა, ჩვენ მიუძღვენი — მე, ბიძამა და მამაჩემმა; მაშინ ხომ თითქმის აღარავინ მხარს არ უჭერდა, სულ ოცდაექვსი ქვიშვარდომი შემორჩენოდა ხალხის თვალშიაც უზადრუკი იყო სრულიად, საწყალობელი, დაჩაგრული და განდევნილი მიიპარვოდა შინისაკენ წელში მოხრილი, როცა ნაპირზე მამა შეხვდა და მიესალმა.



მაშინ უბიწო ცრემლებით და მხსურვალე ფიცით
 იგი შესთხოვდა სასოებით მამაზეციერს —
 სხვას არ დავეძებ, სამეგვიდრო მერგოსო ოღონდ
 და ლანკასტერის პერცოვობას მივაღწიოთ.
 მამასაც მაშინ შეებრაღა, შევლას შეპაირდა
 და შეუსრულა კიდევ თვისი დანაპირები,
 ხოლო როდესაც მილორდებმა და ბარონებმა
 გაიგეს — მეფეს მხარს უჭერდა ნორთამბერლანდი,
 გამოეშურა ყველა მხრიდან დიდი, პატარა
 და მის წინაშე მოწიწებით მუხლი მოხარა;
 ხვდებოდნენ ყველგან — სოფლებშიაც, ქალაქებშიაც,
 გზებზე, ხიდეზე მოელოდნენ მის გამოჩენას,
 ძღვენს მიუძღვნიდნენ, ერთგულებას ეფიცებოდნენ
 და პაქებადაც სთავაზობდნენ ნორჩ მემკვიდრეებს,
 დიდებულები ბრბოდ და ღუნდგოდ დასდევდნენ ყველგან.
 როცა შეიგრძნო განდიდება, ცხვირი აბზიკა,
 გატეხა ფიცი, რომელიც მან მამაჩემს მისცა
 უსახლკარომ და უბადრუკმა იქ, რვეენსპერგში.
 ახლა კი მოსდგა სახელმწიფო კანონმდებლობას,
 სცვლის, როგორც ნებავს, მრისხანე და სასტიკ კანონებს,
 რაც მძიმე ტვირთად აწვა დღემდე მოსახლეობას;
 ხალხს სტანჯავდნენო, ასე ყვირის, და თვალთმაქცურად
 ტირის — ქვეყანას უკუღმართად განაგებდნენო,
 ასე, ამგვარად, წამოაგო ანკესზე ბევრი,
 ყალბი სამართლით ქვეშეკრძომთა გული მოიგო.
 მერე შესტოპა უფრო ღრმადაც და გერაგულად
 წააგდებინა ყველას თავი, ხელმწიფის ერთგულთ,
 რომელთაც მეფემ, ისლანდიის ომში ყოფნისას,
 ამ ქვეყნის მართვა-გამგეობა თვით დააკისრა.

ბლენტი. კმარა, მე ამის მოსასმენად როდი მოვსულვარ!

პოტსპერი. მაშ უმთავრესი მოისმინეთ: არ დაყოვნა,
 ჯერ ჩამოაგდო ვერაგულად ტახტიდან მეფე,
 ხოლო მას უკან სიცოცხლესაც გამოასალმა,
 და ხალხს ბეგარით ამოართვა მთავარი სული;
 არც ეგ იკმარა, ბიძაშვილი თვისივე მარჩი, —
 რომელიც მეფე იქნებოდა უცილობელი,
 თუ სამართალი იყოს ქვეყნად, — მწარედ გასწირა,
 ტყვედ დაუტოვა უელსელებს და ერთი გროშიც
 არ გაიმეტა ბიძაშვილის გამოსასყიდად.
 ჩემს გამარჯვებას დასცინის და აბუზად იგდებს,
 ჯაშუშებიც კი მომიჩინა, რომ დავეჭირე;
 ბიძა საბჭოდან გამოდევნა და მამაჩემსაც
 ქუსად უბრძანა — კარზე აღარ დაშენახვოთ;
 ფიცს ფიცზე სტეხდა, ავს კი კვლავაც ავს უმატებდა,
 ხოლოს და ბოლოს გვაიძულა, რომ აუჯანყებით
 გვეძებნა ჩვენი ხსნა და დაცვა. ტახტი იმისი
 მერყევია და დიდხანს კიდევ ვეღარ გაუძლებს.

ბლენტი. როგორ იხნებებთ, ეს პასუხი გადავსცე მეფეს?

პოტსპერი. არა, სერ ვოლტიერ, საქმეს კარგად აუწონ-დავწონით,
 თქვენ კი დაბრუნდით ხელმწიფესთან. პირობა მოგვეცეს,
 რომ ჩვენს მოციქულს დაგვიბრუნებს მშვიდობიანად, —
 დილით კი ბიძა მოახსენებს ჩვენს მოსაზრებას.
 ახლა მშვიდობით.

ბლენტი. ნუმც მოგაკლდეთ მეფის წყალობა.

პოტსპერი. ვინ იცის, იქნებ არც მოვიკლოთ.

ბლენტი. ღმერთმა იხნებოს.

გადაიან.



სურათი IV. იორკი. მთავარეპისკოპოსის სასახლე.

შემოდან იორკის მთავარეპისკოპოსი და სერ მაიკლი.

მთავარეპისკოპოსი, ჩქარა, სერ მაიკლ, ფრთა შეისხით და ეს ბარათი დაუყოვნებლივ გადაეცით ჩვენს ლორდსა მარშალს; ეს ჩემს ბიძაშვილს სკრუპს მიეცით; დანარჩენებიც თავთავის პატრონს ჩააბარეთ; რომ ვაცოლინათ, რა მნიშვნელოვან საქმესა ვწერთ ამ ბარათებში, აჩქარდებოდით თქვენ თვითონვე, წაუტყუებლად.

სერ მაიკლი, ძვირფასო მილორდ, შინაარსს ვხვდებით.

მთავარეპისკოპოსი. გამოცნობა არ არის ძნელი. ჩემს სერ მაიკლ, ათასობით მეომრის ბედი ხვალ გადაწყდება შრუსბერიში, რადგან მაუწყებს, მეფე იქითკენ დიდი ლაშქრით გამგზავრებულა პარი პერსისთან საბრძოლველად; რა ვენა, სერ მაიკლ, ნორთამბერლანდის ავადობა ძლიერ მაფიქრებს; მთავარ იმედებს ამყარებდნენ იმის ლაშქარზე! ახლა კი ავერ გამოაკლდათ გლენდაუერიც, მეტად მძლავრი და ძარღვიანი მაშველი ძალა, რომელიც ავმა წინათგრძნობამ თუ დააფეთა, — მაფიქრებს-მეთქი, პერსი ისე არ დაძაბუნდეს, რომ მეფეს ვეღარ გაუმკლავდეს მცირე ლაშქარით.

სერ მაიკლი, ძვირფასო მილორდ, ნუ გაწუხებთ მაგისი ფიქრი. მხარს უმაგრებენ დუგლასი და ლორდ მორტიმერი.

მთავარეპისკოპოსი, არა, გეშლებათ, მორტიმერი მასთან არ არის. სერ მაიკლი, სამაგიეროდ მორდეიკი, ლორდი ვუსტერი, ლორდ პარი პერსი და ვერნონი... მთელი ლაშქარი, სულ დარჩეული მეომრები მასთან არიან.

მთავარეპისკოპოსი, ეს მართალია. მაგრამ მეფემ თან გაიყოლა სახელგანთქმული რაინდები მთელი ქვეყნისა: უელსის პრინცი და მისი ძმა ჯონ ლანკასტერი, მამაცი ბლენტი და ცნობილი უესტმორლენდი, სხვებიც მრავალი — ღირსეულნი, წარჩინებულნი, ათას ბრძოლებში გამოცდილი გმირი სარდლები.

სერ მაიკლ, ნურც დაეჭვებით, რომ საკადრის პასუხს გასცემენ.

მთავარეპისკოპოსი, მეც მაქვს იმედი, მაგრამ მაინც სიფრთხილე გემართებს; და რომ თავიდან ავიცილოთ უბედურება, საჭირო არის გაეშუროთ. თუ ლორდმა პერსიმ ვერ გაიმარჯვა ამ ბრძოლაში, მაშინ ხელმწიფე ჩვენკენ გამოსწევს მთელის ლაშქრით, რადგან ვაიგო, რომ საიდუმლო შეთქმულების ვარ მონაწილე; ამიტომაც სჯობს შევეგებოთ გამაგრებული. თქვენ გაეშურეთ. მე კი წავალ, ბარათებს დაგწერ და სხვა მეგობრებს დაეუგზავნი. მშვიდობით, მაიკლ. გადიან.

მოქმედება მეხუთე

სურათი I. მეფის ბანაკი შრუსბერის მახლობლად.

შემოდან მეფე, უელსის პრინცი, ლორდი ჯონ ლანკასტერი, სერ უოლტერ ბლენტი და ფოლსტაფი.

მეფე პენრი, აბა ვახედეთ ტყიან გორაკს — მზე სისხლში სცურავს და დღეც ფითრდება ავადმყოფურს მის ნათებაზე. პრინცი პენრი, სამხრეთის ქარი უბერავს და როგორც საცვირთ

მკაცრი სისინით ჩვენ გვაუწყებს მოახლოებულ ქარიშხლიან და მოუსვენარ დღის გათენებას.

მეფე პენრი. დაე, ბრძოლაში დამარცხებულთ მიუსამძიმროს, გამარჯვებულებს არაფრისაც არ ეშინიათ.

ისმის საყვირის ხმა. შემოდიან ვუსტერი და ვერონი.

ლორდ ვუსტერი, შენა? გენდობოდი და მიღალატე; აბა რასა ჰგავს აქ, ამგვარი შეხვედრა ჩვენი! მშვიდობიანი სამკაული დამაყრვენიეთ და ბერიკაცი გამახვიეთ რკინის აბჯარში! ვერ მოგიწონებ, ვერა, მილორდ, ვერ მოგიწონებ! მაგრამ რას იტყვი — არ გსურს გავხსნათ წყვეული კვანძი ამ ყოვლის მომსპობ ომისა და არეულობის, რომ ძველებურად მორჩილების წრეში მოექცეთ და ადრინდელის ელვარებით კვლავ იელვართო? რომ აღარ ჰგადეთ უანდომხეველ მეტეორს ცისას, რომელიც მხოლოდ შიშსა თესავს გამძვინვარებით და ავს აუწყებს ჩვენს მომავალ შთამომავლობას?!

ვუსტერი. მისმინეთ, მეფე, მე თუ მკითხავთ, აბა რა მიჯობს მშვიდობიანად გავატარო შთენილი დღენი!

და არცა ვცდილვარ, დამერწმუნეთ, ჩემო ხელმწიფე, ასეთი შუღლის გაჩაღებას მოძმეთა შორის.

მეფე პენრი. არცა ვცდილვარო! მაშ როგორღა გაჩაღდა ისე? ფოლსტაფი. ნახა — ქუჩაში მოგორავდა, და ხელი სტაცა.

მეფე პენრი. ჩუმაღ, კაპუკაჟო, ნუ ჭარტალებ!

ვუსტერი. ჩემო ხელმწიფე, მეც პირადად და ჩემს ოჯახსაც მოგაკვლდა თქვენი მოწყალება და მზრუნველობა; მსურს მოგაგონოთ, რომ თქვენი და თქვენი ოჯახის უპირველესი მეგობარი ვიყავი მუდამ. თქვენი გულისთვის სამსახურის კვერთხი გავტეხე და გადაეტყორცნე რიჩარდის დროს. დღისით თუ ღამით მოვისწრაფოდი შესახვედრად, ხელზე სამთხვევად, თუმცა ვიყავი თქვენზე უფრო სვებედნიერი. აკი მე თვითონ, ჩემი ძმა და ჩემი ძმისწული არ შეეეპუეთ არავითარ სამიშროებას და დაგაბრუნეთ სამშობლოში მშვიდობიანად.

თქვენ კი აღვეითქვით, — დონკასტერში შეგვეფიცეთ მაშინ, — რომ არც კი სცდიდით სამეფო ტახტს დაუფლებოდით,

მხოლოდ ამასღა მოითხოვდით — დაგბრუნებოდით მემკვიდრეობა ჯონ გონტისგან გამომცემული — თქვენივე კუთვნილი საჰერცოგო ლანკასტერისა, რაიც იმ ხანად ჩამოგართვეს და წაგაგლიჯეს.

მიტომაც იყო, უყოყმანოდ აღვითქვით შველა.

გამოხდა ხანი, ბედის წვიმამ უხვად გაწვიმათ და ნიაღვარი დიდებისა მოგასკდათ უცებ, —

ეს ზოგი ჩვენი, ზოგიც მეფის აქ არ მყოფობით, ზოგიც იმ დროში ქვეშევრდომთა გულნაკლულობით,

იმ გაჭირვებით, რაიც ვითომ თქვენ გამოსცადეთ,

ბოროტი ქარით, რამაც მეფე ირლანდიაში

დააყონდა და დამარცხება აგემა მწარე,

ისე, რომ მკედარიც კი ეგონათ ინგლისში იგი...

თქვენც, ერთი სიტყვით, ეგ ბედის სკა გამოიყენეთ,

მარჯვე შემთხვევა არ გაუშვით და დახარბებით

მთელი სამეფოს გამგებლობა ხელში ჩაიგდეთ;

ხოლო ის ფიცი — დონკასტერის — გადავიწყეთ...

ჩვენი საზრდოთი გამოზრდილი, გამოკვებილი,

ისე ტლანქად და უსამართლოდ მოგვედევით ჩვენვე, როგორც გუგულის უმადური ბარტყი ბელურას — ჩვენივე ბუდეში მიგვეყლიტეთ და შეგვევიწროვეთ. ისე გასუქდით, გაზულუქდით ჩვენი საზრდოთი, რომ ახლო მოსვლას და ალერსსაც ვერიდებოდით — გაი თუ უცებ მოუაროს და ჩაგველაპოსო. სხვა რაღა დაგვრჩა, გავისწორეთ სასწრაფოდ ფრთები, თვალს მოგვეფარეთ, რათა თავი გადაგვერჩინა, და ახლა აგერ, როგორც ხედავთ, ჯანყი მოგიწყვეთ. თქვენს შესაბეღერად ავირჩიეთ ისეთი ხერხი, რაიც თვითონვე გამოსჭედეთ თქვენს წინააღმდეგ ამგვარი ტლანქი მოპყრობითა და უწმინო ბღვერით, ყველა იმ წმიდა ფიცისა და აღთქმის გატეხით, რაც საზეიმოდ შემოგვფიცეთ ჭაბუკობისას.

მეფე პენრი. ეს ყველაფერი ცნობილია, აკი თქვენ თვითონ ბაზრებშიც ამას ქადაგებდით, ეკლესიებშიც, რომ თქვენნი ჯანყის სამოსელი მით შეგვღებთ და მოგეხიზლათ გულნაკლულნი, ყოყმანა ხალხი, რომელთაც პირი დაუღიათ ვაბოროტებით, ნიდაყვებს კრავენ ერთმანეთსა და მოუთმენლად ელოდებიან ყოველ ახალს არეგ-დარეგს. ჯანყს ხომ არასდროს ფერადები არ დაჰკლებია, რათა ლამაზად შეეღება თვისი მიზანი; არ დაჰკლებია ქარაფშუტა მათხოვარებიც, რომელთაც მუდამ სისხლისღვრა და ჯანყი სწყურიათ.

პრინცი პენრი. თუკი მივიდა, საბოლოოდ, ბრძოლამდე საქმე, თქვენს ლაშქარშიაც, ჩვენს ლაშქარშიც მრავალ მეომარს სიცოცხლის ფასად დაუჯდებია ეს აჯანყება. უთხარ თქვენს ძმისწულს, რომ ქვეყნის ხმას უელსის პრინცი თვის ხმას უერთებს პენრი პერსის სადიდებელად. იმედებს ვფიცავ, — დავივიწყოთ ცოტა ხნით ბრძოლა, — არ მეგულება სხვა თავადი ასე მამაცი, ასე ყმაწვილი და ამგვარად თავგანწირული, ასეთი მხნე და გამბედავი, — თავის სიქველით ამ საუკუნის სამკაულად გამოდგებოდეს. მე კი რა მეოქმის — სამარცხენოდ უნდა გამოვტყდე, წმინდა რაინდულ საქმეებში ზარმაცი ვიყავ, და როგორც ვიცი, თქვენს ძმისწულსაც ასე ვგონივარ. მაგრამ ვაცხადებ მამაჩემის წინაშე, აგერ, რომ მიხარია აღზევება პარი პერსისა, მისი სახელის განდიდება გულს შვებით მიცეხს, და რომ დავზოგო მეზრძოლთ სისხლი ორივე მხარეს, მსურს ბედი ვცადო მე პერსისთან ორთაბრძოლაში.

მეფე პენრი. ჩვენ კი მხარს ვუჭერთ, შვილო პარი, შენს თავგანწირვას, თუმცა მიზეზი უარისა ცოტა როდი გვაქვს. არა, ლორდ ვუსტერ, გულით გვიყვარს ჩვენ ჩვენი ხალხი, გვიყვარს ისინიც, ვინაც პერსიმ მოტყუილებით სიმართლის გზაკვალს ააცდინა და გაღიბირა. ჩვენ შევთავაზეთ მათ წყალობა და მიიღებენ, შენც, სხვასაც, ყველას, ყველა მეზრძოლს, ყველა მეომარს. ისე შეგიტკობთ, მეგობარს რომ შეეფერება. ასე უთხარა შენს ძმისწულსაც და რასაც გეტყვის, დანაბარები მომიტანე; თუ კვლავ იურჩებს, ჩვენ უხვდაა გვაქვს გაკიცხვა და მკაცრი სასჯელი, რასაც მიიღებთ ურჩობისთვის დაუყოვნებლივ. ახლა კი გასწი. ლაპარაკით ნუ შეგვაწუხებ.



ბრძნულად მიიღეთ ის სიყვითე, რასაც ვთავაზობთ.

გადიან ვუსტერი და ვერნონი.

პრინცი ჰენრი. არ მიიღებენ ჩვენს ბირობას, თავს გეფიცებთ;

პარი პოტსპერი და დუგლასი საერთო ძალით

არ შედრეკებიან თუნდა მთელი ქვეყნის წინაშეც.

მეფე ჰენრი. სწორედ ამიტომ მოემზადოს ყველა სარდალი,

ჩვენც იმათ პასუხს ვუპასუხოთ მძაფრი შეტევით;

მაღალი ღმერთი არ გაგვეწირავს სიმართლის მცველებს!

გადიან მეფე, ბლენტი და პრინცი ჯონი.

ფოლსტაფი. პალ, დაცემული თუ მნახო ბრძოლის ველზე, გადამეფარე; ეს იქნება ნამდვილი მე-
გობრული სამსახური.

პრინცი ჰენრი. გოლიათი უნდა იყოს კაცი, მაგისტანა მეგობრული სამსახური რომ გავიწიოს. ილლ-
ცე და მშვიდობით იყვ.

ფოლსტაფი. ეჰ, ნეტა კი იყოს მშვიდობიანი მოსვენების დრო, პალ!

პრინცი ჰენრი. რას იზამ, ღმერთს თავისი ვალი უნდა გადაუხადო, სული უნდა მისცე.

პრინცი გადის.

ფოლსტაფი. ჯერ ხომ არ გასულა ვადა! ვადაზე ადრე ვალის დაბრუნება ჭირივითა მძულს. თუკი არავინ მაჩქარებს, რა ძალა მადგას ვიჩქარო! მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ სინდისი მეწევა. მერე, სულაც რომ წამოვიჩიროს მარყუჭი? მაშინ რაღა ვენა? მე შენ გეტყვი და, სინდისი მომაშველებს ხელს! რა სათქმელია ფეხზე დამაყენებს? არც ფეხზე დამაყენებს. ტკივილებს თუ დამიყუჩებს მაინც? არა და არა. მაშ ვერაფერი შვილი დოსტაქარი ბრძანებულა ეგ თქვენი სინდისი. რაღა თქმა უნდა. მაშ რა არის სინდისი? სიტყვა. მერე და რა იგულისხმება მაგ სიტყვაში? ჰაერი. კაი ანგარიში გცოდნია, შენ არ მომიკვდე! ვის ატყვ სინდისი? ვინც ოთხშაბათს მოკვდა. თუ გრძნობს მაინც, მაქვსო? არა. ესმის მისი? არა. მაშ შეუძლებელი ყოფილა მისი შეგრძნობა? მაშა, მკვდრებისთვის შეუგრძნობელია. ცოცხლებთან ვერა-ნაირად ვერ გასძლებს? ვერა. რატომ? ჭორები არ გააჩერებს, თუ ასეა, არც მინდა. სინდისი იმ ფარზე გამოკვეთილ ღერბსა ჰგავს, რითაც მკვდარს მიაცილებენ. ამით თავდება ჩემი მძღვრებაც.

გადის.

სურათი II. აჯანყებულთა ბანაკი.

შემოდიან ვუსტერი და ვერნონი.

ვუსტერი. არა, სერ რიჩარდ, მეფის სათნო დანაპარები

რა საჭიროა რომ გაიგოს ჩემმა ძმისწულმა!

ვერნონი. უმჯობესია რომ გაიგოს.

ვუსტერი. დავიღუბებით!

არ შეიძლება, არ მოხდება, ვერ დავიჯერებ, რომ მეფემ სიტყვა შეასრულოს და ჩვენ შეგვიტყოს.

ვერ დავგვენდობა, იხელთებს და სულ სხვა საბაბით,

როცა იქნება, მკაცრად დავგვჯის ამ წყენისათვის.

მთელი სიცოცხლე აღმაცერად უნდა გვიყუროს;

მოღალატეებს ენდობიან ისე, ვით მელას:

მაგრად ჩაკეტე, მიუფერე, გაწირე თუნდა —

მამააბათა ცბიერება მაინც შერჩება.

ვინდ დავიბღვიროთ, ვინდ ვიჭყანოთ, სულერთი არის —

კარგად არასდროს არ მიიღებს ჩვენს გამოხედვას.

ჩვენი ცხოვრება ემგვანება იმ საქონლისას,

გასასუქებლად ზაგაზე რომ უბიათ სოლმი:

რაც უფრო კარგად მოუვლიან, მით უარესი —

აღსასრულის დღე უფრო სწრაფად უახლოვდებათ.

მძისწულის ცოდვებს დაივიწყებს უფრო ადვილად,
 ახალგაზრდა კაცს სისხლი უღუღს და შეუნდობენ,
 აკი სახელიც ამგვარივე შეარქვენ იმას —
 გიჟი პოტსპერი, დამთხვეული, თავქარიანი;
 მისი ცოდვები სულმთლიანად ჩვენ დაგვაწება —
 მე და მამამისს; იგი ჩვენი აღზრდილი განსაღვთ,
 ხოლო რაკილა გავაფუჭეთ — ჩვენვე უნდა გვღაოთ,
 როგორც ყოველი ბოროტების წყარომ, სათავემ
 ამიტომ, მოდი, დამიჯერე, ჩემო ძმობილო,
 ხელმწიფის სიტყვას პარის ნულარ შევატყობინებთ.

ვერნონი. რაცა გნებავდეთ, ის უთხარით, მე დავიმოწმებთ.
 აჰა, მძისწულიც, ხსენებაზე!

შემოდიან პოტსპერი და დუგლასი.

პოტსპერი. ბიძაჩემი დაბრუნებულა.

უესტმორლენდი გამოუშვიო!..

რა ამბავს გვეტყვი, ბიძაჩემო?

ვუსტერი. საცაა, მეფე ომს დაიწყებს.

დუგლასი. მაშ გამოწვევა დავაბაროთ უესტმორლენდსა.

პოტსპერი. წადით, დუგლას, და თქვენ თვითონვე უთხარით ასე.

დუგლასი. კარგი, გადაეცემ ხალისიოა და სიხარულით.

გადის.

ვუსტერი. შეწყალებისა არაფერი ეტყობა მეფეს.

პოტსპერი. სთხოვეთ კი განა შეწყალება? ღმერთმა დაგვიხსნას!

ვუსტერი. გაკვრით ვუხსენე ჩვენი წყენა და მოვავთნე

ფიცის გატება; მაგრამ მოჰყვა ისევ ცრუ ფიცსა,

რომ ძველი აღთქმა თითქოს სულაც არ გაეტეხოს.

ჯანყისთავსა და მოლაღატეს გვეძახის ყველას

და გვემუქრება საშინელი განადგურებით.

შემოდის დუგლასი.

დუგლასი. იარაღს ხელი, ბატონებო, იარაღს ხელი!

მეფეს ცხვირპირში მივახალე მე გამოწვევა,

თვით უესტმორლენდს დავაბარე, მძევლად რომ გვყავდა.

სხვა გზა არა აქვს — აქ გაჩნდება ხელმწიფე მალე.

ვუსტერი. უელისს პარინცმა მამამისის ლოცვა-კურთხევით

ორთაბრძოლაში გავიწვია, ჩემო ძმისწულიო.

პოტსპერი. ნეტა ამ დავას ჩვენი ბრძოლით მოეღოს ბოლო;

ნეტა ჩემსა და პარის მონმუოს გარდა არავის

დღეს ბრძოლის ველზე არ ამოსდეს სული მთავარი.

მაგრამ მითხარი, ბიძაჩემო, როგორ შეატყვე,

როცა მიწვევდა, ხმამაში ზიზღი არ ეტყობოდა?

ვერნონი. არა, სულს ვფიცავ, ჩემს დღეშიაც არ მოვსწრებოვარ,

ბრძოლაში ვინმე გაეწვიოთ ასეთი რიღით,

ასე ძმები თუ გაიწვივენ ერთმანეთს ხმალში,

რათა საწერთნელად გამოსცადონ მახვილის ძალა;

ისე ვახსენა, როგორც გაყკაცს შეეფერება,

გაქო, გადიდა და მეფური ხოტბით შეგამკო,

ჟამთაღმწერლისებრ ჩამოთვალა შენი ამაგი

და ყველანაირ შექებაზე მალა დაგსახა,

რადგანაც ქებას, შენს საკადრისს, ველარ მიაგნო.

მერე გაწითლდა და მეფური უბრალოებით

საკუთაროვე თავის ტუქსევა-გაკიცხვას მოჰყვა;

ისე ძრახავდა თვისივე თავს უქნარობისთვის,

თითქოს შეგირდიც და ოსტატიც თვითონვე იყო.

მერე გაჩუმიდა... მაგრამ მინდა ქვეყანას ვამცნო, რომ თუ დღევანდელს მოშურნე ბედს გადურჩა იგი, მაშინ ჩვენს ინგლისს არ ჰქონია ჯერაც არასდროს ასე ბრწყინვალე იმედები მომავალისა, რასაც ფარავდა ჭაბუკური დაუდგრომლობა.

პოტსპერი. შეგკვარებო, ვეზღვე, მისი ქარაფშუტობა; პირველად მესმის, ქვეყანაზე ტახტის შემკვიდრე მასავით გივი ყოფილიყოს და შუსტრუქანა. თუმცე რას დავეძებ, როგორც სურს, ისეთი იყოს, ვულში ჩავიკრავ საღამომდე ჯარისკაცურად და ამ მოხვედრით ძვლებს სულ ჭახჭახს დავაწყებინებ. ხელო ხმაღს იკართ, მეგობრებო, ამხანაგებო და მეომრებო; თავგანწირულ შეტაკებისთვის, მოვალეობა უფრო მძაფრად სისხლს ავიდუღებთ, ვიდრე მე — ვისაც ლაპარაკის არ დამყვა ნიჭი!

შემოდის შ ი კ რ ი კ ი.

შვირიკი. მილორდ, მე თქვენთან ბართები გამომატანეს.

პოტსპერი. ახლა არა მაქვს წაკითხვის დრო.

ო, მეგობრებო, ხომ მოკლეა წუთისოფელი, მაგრამ ნახევარ საათზედაც მოკლე რომ იყოს, გვიჩვენებოდა მეტისმეტად გაგრძელებული, თუკი ბილწად და სამარცხვინოდ გაგატარებდით. თუ შეგვჩრა სული, მეფეები ფეხით გავთელოთ, თუ მოკვდით, — მოკვდეთ მამაცურად — პრინცებთან ერთად! ერთი წუთითაც სინიღისი ნუ დაგვაფიქრებს: წმიდაა ხმალი — სიმართლისთვის თუკი ვიშიშვლებთ!

შემოდის მეორე შ ი კ რ ი კ ი.

მეორე შვირიკი. მოემზადენით, მოახლოვდა მეფის ლაშქარი.

პოტსპერი. ათას მადღს ვუძღვნი, სიტყვა დროზე შემაწყვტინა, არ ვარ ჩვეული ზედმეტ ლაქლახს, მაგრამ გახსოვდეთ, უნდა იბრძოლოთ თავგანწირვით! — აბა, ხმაღს ვიძრობ, რათა დღევანდელ ყოვლისმომსპობ შეტაკებაში ყველაზე უფრო კეთილშობილ სისხლით შევლებო. აბა, esperance! — გასწი, პერსი! მედგრად ეკვეთეთ! დაჰკარით ბუკს და ნალარასა! მუსიკის ხმებში, გადავებვიოთ, მეგობრებო, ერთმანეთს ძმურად. რადგან ცისა და მიწის მადღმა, ბეგრი ჩვენგანი, ველარასოდეს ეღირსება ასეთ მოხვედრას.

ისმის ბუკის ხმა. ერთმანეთს ეხვევიან და გადიან.

სწრატი III. მიწღორი ორ ბანაქს უშაბ.

გაიგლის მეფის ლაშქარი. ბრძოლის ხმაური. მერე შემოდინა დ უ გ ლ ა ს ი და ს ე რ უ ო ლ ტ ე რ ბ ლ ე ნ ტ ი.

ბლენტი. ნეტა ვიცოდე, ვინ გდისარ, რომ ბრძოლაში ყველგან წინ მეჩხირები? ან რა პატივს მოელო, ნეტა, ჩემი თავის წილ?

დუგლასი. გამიცანი, დუგლასი მჭვია,

შენზე ამობენ, მეფეაო, და მიტომ დაგდევ.

ბლენტი. მართალიც უთქვამთ.

დუგლასი. შენი მსგავსება სტაფორდის ლორდს ძვირად დაუჯდა, რადგანაც, მეფევ, შენს მაგივრად, დღეს ბრძოლის ველზე აი ამ ხმაღმა სტაფორდის ლორდს აუგო წესი.

შენც ეს დღე გელის, თუ ახლავე ტყვედ არ დამნებდი.

ბლენტი. განა არ იცი, თავგასული შოტლანდიელი,



რომ ტყვედ არა ვარ გაქნილი; ახლა მიყურე, როგორ იძიოს მეფე პარიმ სტაფორდის შური. იბრძვიან. დუ გლასი ჰკლავს ბლენტი. შემოდის პოტსპერი.

პოტსპერი. პოლმდონშიაც რომ ასე ფიცხლად გებრძოლა, დუგლას, მაშინ ვედარც ერთ შოტლანდიელს ვერ შევბაყრობდი.

დუგლასი. ომი მოვიგეთ, მეფე აგერ უსულოდ გდია.

პოტსპერი. აბა მარვენე!

დუგლასი. აგერ გდია.

პოტსპერი. ეგ არის მეფე?

ო, არა, დუგლას. კარვად ვიცნობ მავას სახეზე, ეს იყო ბლენტი, მამაცი და გმირი რაინდი. მაგასაც მეფის საომარი პერანგი ეცვა.

დუგლასი. მამ თანამგზავრად შენს სულს ჰყავდეს ტაქი მასხარა! სხვისი სახელი ხედავ როგორ ძვირი დაგიჯდა! რას მატყუებდი, უბედურო, ხელმწიფე ვარო!

პოტსპერი. სხვასაც აცვია აქ ხელმწიფის ჯაჭვის პერანგი.

დუგლასი. მამ ხმაღლა ვფიცავ, ყველა პერანგს გაგმირავ ასე, სულ ნაკუწ-ნაკუწ გადავაქცევ მთელს მის ტანსაცმელს, ვიდრე თვით მეფეს არ შეეხვებები.

პოტსპერი. აბა, წინ შედგრა!

ჩვენი ლაშქარი დღეს მართლაც და გმირულად იბრძვის. გადიან.

ბრძოლის ხმაური. შემოდის ფოლსტაფი.

ფოლსტაფი. ღონღონში როგორც იქნა დაეუძვერი ვალებს, მაგრამ ეტყობა, აქ ამომადრობენ სულს. აქ თამაშულებს წერას კი არ გაცლიან — ბირდაბირ თავს წაგაცლიან... დაცია! ეს ვინდა? სერ უოლტერ ბლენტი! ესეც შენი პათიონება! ამაზე დიდი ამაოება გავიწილა! ისე დამცხა, რომ ვაღამდნარ ტყვიასავით მოვიქცე! ტყვიასავით მიძიმე ხომ ვარ და ეს არის! ღმერთო, შენ დამხსენი ტყვიასავან! კიდევ სიმძიმე შეჭირვება?! ფაშვიც ვერ მითრევია. ჩემი მაწანწალები ცხნარ-ცხარე წიწაკების საშოვარზე გავეზავნე; ასორმოცდაათიდან სამილა დარჩა ცოცხალი, და იმათაც თავიანთი დღე და მოსწრება უნდა იმათხოვრონ ქალაქის ბოლოს... ეს ვინ მოდის?

შემოდის პრინცი პენრი.

პრინცი პენრი. აქ რას უდგენარ უსაქმურად? ხმალი მათხოვე:

ბებრი დაცა ბრძოლის ველზე კეთილშობილი, რომელთაც ახლა ფენით თელავს ყოყონა მტერი. უნდა ვიძიო მათზე შური. მომეცი ხმალი.

ფოლსტაფი. დამაცა, ჰალ, სული მომათქმევიანე. სულთან გრიგორისაც კი არ დასიზმრებია თავის დღეში იმდენი გმირობა, რაც მე დღეს ჩემი ხმლით გამოვიჩინე. იცოცხლე, ვაგუსწორდი პერსის, მოვასვენე.

პრინცი პენრი. მართლაც რომ მოსვენებულია, და ახლა შენ დაგეძებს მოსაკლავად. მათხოვე ჰმალი. ფოლსტაფი. რას ამბობ, ჰალ, ღმერთი არა გყავს? პერსი ცოცხალი იყოს და მე ხმალი ვათხოვო?! დამზაია წაილე.

პრინცი პენრი. კარგი, მომეცი. ბოხნაში ვაქვს?

ფოლსტაფი. მამა, ჰალ. ცხელია, ისეთი ცხელი, რომ მთელს ქალაქს გადაბუცავს.

პრინცი ბოხნას გახსნის და იქიდან ბოთლით ღვინოს ამოიღებს.

პრინცი პენრი. კაი სახუმარო დრო შეგირჩევია!

ბოთლს ესვრის და ვადან.

ფოლსტაფი. თუ კიდევ ცოცხალია პერსი და სადმე წეშეგება, მე მკითხოს როგორ უნდა ხმლით აჩეხვა და აკუწვა! მაგრამ მე თუ გამოვიჩენ იმდენ სისულელეს, რომ თვითონ შევეჩეხები, აბი იქნება ჩემზე, დაკეპილი ხორცივით მომამციოს. შევარცხვინე ამისთანა დაღმეჭილი სინდისი, აგერ სერ უოლტერის სახე რომ დაუწყანაფს. ვერ მოვართვით! მე მინდა სიცოცხლე. თუ კარვად მორიდებთან ერთმანეთში სინდისიცა და სიცოცხლაც, რაღა შეიქმის, ყაბულსა ვარ. არა და ფიქრი ნუ გაქვს, პატივსადები აღსასრული თავისით მოგვეძინის და ამით ვათავლება ყველაფერი.

გადან.



სურათი IV. ბრძოლის ველი სხვა ადგილას.

ბრძოლის ხმაური. შემოდინან მეფე, პრინცი, ლორდ ჯონ ლანკასტერი და უესტმორლენდი.

მეფე ჰენრი. გთხოვ. შვილო პარი,

აქაურობას განერიდღე: სისხლში მოთხერილხარ...

ლორდ ჯონ ლანკასტერ, შენც გაჰყვევი და გააცილე.

პრინცი ჯონი. მე არა, მილორდ, მანამ სისხლში არ მოვითხვრები.

პრინცი ჰენრი. თქვენ კი დაბრუნდით, გევედრებით; რომ ვერ ვნახავენ, შემოფთვებთან შეგობრები.

მეფე ჰენრი. ახლავე წავალ,

ეს კი კარავში შეიყვანე, ლორდ უესტმორლენდ.

ლორდ უესტმორლენდი. წაგიდეთ, მილორდ, თქვენს კარვამდე მე მიგაცილებთ

პრინცი ჰენრი. მიგაცილებთ? შენგან შევლას არ ვსაჭიროებ;

ღმერთმა დამისხნას! სადა თქმულა, უელსის პრინცი

ამ ვანაკაწრმა გააქციოს ბრძოლის ველიდან,

სად სისხლით მოთხერილ წარჩინებულთ ფეხით თელავენ

და სისხლიანი აჯანყება დღესასწაულობს!

პრინცი ჯონი. ძალიან გრძელი შესვენება გამოგვივიდა:

წამო, წაგიდეთ, უესტმორლენდ, საქმე არ ითმენს.

თუ ღმერთი გწამდეს, გამოწყვევი, ჩემო ძმობილო.

გადიან პრინცი ჯონი და უესტმორლენდი.

პრინცი ჰენრი. ღმერთს გეფიცები, მომატყუე, ძმავ ლანკასტერ,

რას ვიფიქრებდი, ასე მძლავრი თუ იყავ სულით,

აქამდე მხოლოდ, ვით ჩემი ძმა, ისე მიყვარდი,

ახლა მიყვარხარ თვით საკუთარ სულზედაც მეტად.

მეფე ჰენრი. შე თვითონ ვნახე. გმირი პერსის თავდასხმა მაგან

მოიგერია ისე მარჯვედ, რომ სახტად დაერჩი.

არ მოველოდი ასე ყმაწვილ მეომრისაგან.

პრინცი ჰენრი. ო, ჩვენ ეს ბიჭი ომის ცეცხლით აგვანთებს ყველას.

გადის.

შემოდის დუგლასი.

დუგლასი. კიდევ ხელმწიფე! მრავლდებიან ჰიდრას თავივით!

მე დუგლასი ვარ, შიშის ზარს ვცემ უკლებლივ ყველას,

ასეთი ფერის ტანსაცმელი ვისაც ჩაუტყამს.

ნეტავ ვინა ხარ, მეფობას რომ იჩემებ ახლა?

მეფე ჰენრი. მეფე ვარ თვითონ, და დიდად მწყინს, მერწმუნე, დუგლას

რომ აქამომდე ჩემს აჩრდილებს ხედებოდი თურმე

და არა ღვთისგან მირონცხებულს. ორი ვაჭი მყავს

და ბრძოლის ველზე დაგეძებენ შენა და პერსის,

მაგრამ რაკილა ბედმა შენი თავი მაჩუქა,

მე თვითონვე ვცდი: მოემზადე თავდასაცავად.

დუგლასი. ვაი თუ ისევ აჩრდილი ხარ ნამდვილი მეფის.

თუმც, გამოგტყდები, მეფესავით გიჭირავს თავი.

იყავ—ვინც გინდა, ეს კი ვიცი—ჩემი მსხვერპლი ხარ,

გავაფრთხოვინებ სულს ახლავე!

იბრძვიან. მეფე განსაცდელშია. ამ დროს შემოვარდება პრინცი ჰენრი.

პრინცი ჰენრი. თავი ასწიე, გარეწარო შოტლანდიელო,

თორემ იცოდე, სამუდამოდ წაგაცილი მაგ თავს!

შირლის, სტაფორდის, ბლენტის ძალა ჩამიღვა მკლავში.

თავზარსა გცემს და გემუქრება უელსის პრინცი,

რომელსაც ფუჭი დაპირება არა სჩვევია.



იბრძვიან, დ უ გ ლ ა ს ი გაიქცევა.

თავს როგორა გრძნობ, ხელმწიფეო? სულით გამხნევი!
ნიკლას გოუზი შევლასა მთხვას, კლიფტონსაც უჭირს,
გავეშურები ჯერ კლიფტონის დასახმარებლად.

მეფე პენრი. სული მითითე, შეიცადე.

გამოისყიდე, ჰარი, უკვე, ცუდი სახელი,
და ჩემს სახსნელად მამაცური თავისგანწირვით
დამტკიცე, რომ ძვირად გიღირს მამის სიცოცხლე.

პრინცი პენრი. ო, ღმერთო, როგორ მამცირებდნენ, როცა საქვეყნოდ
გაიძახდნენ — თითქოს შენი მოკვლა მდომოდეს!
ასე რომ იყო, დუგლასსაც არ მოგაცილებდი,
რომლის ბინძური ხელი ისე სწრაფად მოგსაბობდა,
როგორც ყველაზე საშინელი შხამი ამტვეყნად.

მეფე პენრი. შენ კლიფტონისკენ, მე გოუზის მივეშველები.

გადის.

შემოდის **პოტსპერი**.

პოტსპერი. ჰარი მონმუთი უნდა იყო, თუ არ მეშლება!
პრინცი პენრი. თითქოს ჩემს სახელს ცმალაგდეთ, შენ ისე ამბობ.

პოტსპერი. მე კი გახლავარ ჰარი პერსი.

პრინცი პენრი. მამის გამოდის,

რომ უმამაცეს აჯანყებულს შეგპყრებ ახლა;
პრინცი გახლავარ უელსისა და ეს იცოდე —
ამირიდან ჰარი პერსი ნურც იოცნებებს
ჩემი სახელი და ღიღება გაიზიაროს.
ორი ვარსკვლავი ერთ სფერაში ვერ იმთრავებს,
ერთი ინგლისიც ვერ მითმენს, რომ ერთდროულად
მბრძანებლად ჰყავდეს პერსიცა და უელსის პრინციც.

პოტსპერი. ეს არც მოხდება, რადგან, ჰარი, დაჰკრა საათმა,
როცა ჩვენ ორში — ერთ-ერთს უნდა ბოლო მიეღოს!
ნეტა ბრძოლაში იყო ჩემებრ სახელოვანი!

პრინცი პენრი. შენზე ათასწილ შეგიქნები სახელოვანი,
ვიდრე ერთმანეთს გაეშორდებით; მუზარადიდან
შენი ღიღების ნაზარდ კვირტებს სულმთლად ავაცლი
და საკუთარი თავისათვის დავიწნად გვირგვინს.

პოტსპერი. გამოდი, თორემ ველარ ვიტან ამ ფუჭე ყბელობას.

იბრძვიან. შემოდის **ფოლსტაფი**.

ფოლსტაფი. კარგია, ჰალ! მიდი, მიდი, ჰალ! — აბა რა? ომობანა ხომ არ გეგონა!

შემოდის დ უ გ ლ ა ს ი. ბრძოლას დაუწყებს **ფოლსტაფს**, რომელიც მაშინვე დაეცემა
და თავს მოიკვდარუნებს. დ უ გ ლ ა ს ი გადის. **პრინცი პერსის**.

პოტსპერი. ო მოკვდი, ჰარი, შენ წარმტაცე მე სიჭაბუკე!
ფუჭე სიკვდილი როდი მიმძიხს, სულს ის მიმფოთებს,
ჩემი ზვიადი სახელი რომ შენზე გადმოვა;

ამისმა ფიქრმა უფრო მწარედ დამიჭრა სული,
ვიდრე ჩემს სხეულს შენი ბასრი ხმალი დასჭრიდა.

მაგრამ სიცოცხლეს მონადა ჰყავს ჩვენი ფიქრები,
დროის მასხარად თვით სიცოცხლე გადაქცეულა,
და დროც, თავის მხრივ, — მთელს ქვეყანას გუშავად რომ ჰყავს,

როცა იქნება, უნდა შედგეს. ახლა შემძლო
წინასწარ შემცნო ქვეყნისათვის ბედრი რაიმე,

მაგრამ სიკვდილი მიწისა და ყინულის ხელით
ენას აწვება... არა, პერსი, შენ მტვერილა ხარ,
საზრდო, საკვები...

კვდება.



პრინცი ჰენრი. მატლებსა... მამაცი პერსი!

მშვიდობით გმირო და სულიდო ადამიანო!..
 ცუდად ნაქსოვო ზვიადობაჲ, ვით დაეწროვდი!..
 როცა ამ სხეულს სული ედგა, მაშინ საზღვრები
 მთელის ქვეყნისა მეტად ვიწრო ეჩვენებოდა,
 აწ ორი ადლი ბილწი მიწაც საკმარისია.
 და ამ მიწაზე, უსიცოცხლოდ რომ გაშთილხარ,
 შენებრ მამაცი არვინ დადის ძე-ხორციელი.
 ალერსისათვის დაზშული რომ არ გქონდეს ყური,
 ჩემს გულისპასუხს მაშინ როდი გავამჟღავნებდი.
 მოდი, ზელსახოცს წაგაფარებ დაჩეხილ სახეს...
 და ამ ნაზსა და ალერსიან მზრუნველობისთვის
 შენს მაგიერად მეცე ვეტყვი ჩემს თავს მადლობას.
 მშვიდობით, ცაში თან წაილე შენი ღიღება,
 ხოლო შერცხვენამ სამარეში იძინოს შენთან,
 საფლავის ქვაზე დამარცხებას ნუ ამოკვეთენ.

შენიშნავს მიწაზე გართხმულ ფოლსტაფს.

შენა ხარ, ძველო მეგობარო? ამდენმა ხორცმა
 ნუთუ ნამცეცი სულიც ველარ შეინარჩუნა?!
 მშვიდობით, ფოლსტაფ, საცოდავო ასე ძალიან
 არ ვინაღვლებდი ალბათ შენზე უკეთეს ხალხსაც,
 ხოლო ნამდვილად რომ მიყვარდეს ამაოება,
 შენი დაკარგვა კიდევ უფრო დამალონებდა!
 ბევრი იგემა დღეს სიკვდილმა ძვირფასი მსხვერპლი,
 მაგრამ შენსაგით მსუქან ნადირს სად შეხვდებოდა!
 კეთილშობილი პერსის გვერდით იცურე სისხლში,
 ფიდრე საფლავეში, გამოშვიგნულს, არ დაგმარხავენ.

გადის.

ფოლსტაფი წამოღება.

ფოლსტაფი. გამოშვიგნულსო! თუ მართლა მოახერხებ ჩემს გამოშვიგნას, ნებას მოგცემ დამამარილო
 და ზგალ შემახრამუნო კიდევ. ეშმაკმა დალაზეროს! კიდევ კარგი, ვითვალთმაქცე და დროზე
 მოვიმკვდარუნე თავი, თორემ ეს ფიცხი შოტლანდიელი კარგა შემავფნს-შემასურებდა.
 ვითვალთმაქცე კი? სულ ტყუილია. ეს რა თვალთმაქცობაა! მართლაც რომ მოგმკვდარიყვი,
 თვალთმაქცობა მაშინ იქნებოდა: მკვდარს და უსიცოცხლო კაცს სჭირდება თვალთმაქცობა,
 რომ მოგვაჩვენოს, ცოცხალი ვარო; ცოცხალი კაცი, რომ სულის შესანარჩუნებლად თავს
 იმკვდარუნებდეს, ეგ სადაური თვალთმაქცობაა? ბირიქით, ეს არის ქეშპირიტი გულწრფე-
 ლობა. სიმამაცის ყველაზე კარგი თვისება სიფრთხილეა; მეც სწორედ მაგიჟი მიღვას სული.
 ეშმაკმა დალაზეროს, ხომ მკვდარია ეგ თოფის წამალი პერსი, მაგრამ მაინც მეშინია: ერთიც
 ვნახოთ, თავს იმკვდარუნებდეს ჩემსაგით და უცებ წამოხტეს! იქნებ ჩემზე ეშმაკურადაც
 იმკვდარუნებს თავს მაშინ რაღა ვქნა! მოდი და ნუ შეგეშინდება! არა, სიფრთხილეს თავი
 არა სტიკავ, სჯობს მეც ვატაკო ერთი-ორჯერ ჩემი ხმალი. ჰო, მერე კი ფიცით ქვეყანას შევა-
 ჯერებ—მე თვითონ მოვკალ-მეთქი. რა მოხდა! ხომ შეიძლება იმეც ჩემსაგით წამომგზ-
 რიყო? თვალბის მტეი ხომ ვერაფერი მამხელს; ჰოდა ასეა არავე მიყურებს. აბა, ინებოთ,
 ძმობილო, ახალი ჭრილობა ზარბაყში (ჩასცემს ხმალს) და მე გამომყევი.

ზურგზე მოიკიდებს ჰოტსპერს.

შემოდიან უელსის პრინცი და ლორდ ჯონ ლანკასტერი.

პრინცი ჰენრი. მომილოცნია, ჩემო ძმაო, შენს უხმარ მახვილს
 მიაღებინე დღეს ნათლობა მართლაც გმირული.

ჯონ ლანკასტერი. ამას რას ვხედავ, შეიცაღე. შენ არ მითხარი,
 ჩასუქებული ბერიკაცი ჯონი მოპკლესო?!

პრინცი ჰენრი. ჰო, მე ვითხარი, თვითონ ვნახე, აქ ეგლო მკვდარი
 და სისხლისაგან იცლებოდა... მართლა გაცოცხლდი,
 თუ უცნაური მოჩვენება ატყუებს თვალბს?



ხმა ამოიღე, გვედრები, რადგან მარტოდენ
თვალს ვერ ვენდობი, თუ ყურმაც არ დამიდასტურა,
მართლა ისა ხარ, რაცა ჩანხარ?

ფოლსტაფი. ისა ვარ, აბა ორეული ხომ არ ვიქნები?! რაც გინდოდეს, ის დამიძახე, თუ გეკ ფოლს-
ტაფი არ ვიყო. აბა, თქენი პერსიკ (მიწაზე დააგდებს). თუ დამაჯილდოებს ამისთვის მამა-
შენი, ხომ კარგი, არა და მეორე პერსი თვითონვე მოჰკლას. ან გრადუობა უნდა მიბოძოს, ან
პერცოგობა. მორჩა და გათავდა.

პრინცი ჰენრი, რას მივლ-მოვლდები, პერსი მე თვითონ მოჰკალ და შენც აქ მკედარი განახე.

ფოლსტაფი. ნეტა ვულოთ თუ ამბობ?.. ღმერთო, ღმერთო! როგორ ვაკუდლუშტდა ხალხი!.. მიწაზე
მართლაც ვეგდეთ უსულოდ — მეც და ეგეც. მაგრამ ერთბაშად წამოვხტით ორივენი
და მთელი გრძელი საათი ვიბრძოლეთ. ასეა, თუ დამიჯერებ, თუ არა და ცოდვა იმას მოე-
კითხოს, ვისაც გმირობისათვის ხალხის დაჯილდოება ევალება. ცოცხალი აღარ მნახო, თუ
ბარძაყნი მე თვითონ არ დამეკოდოს. ნეტა არ მინდა, უცებ გაცოცხლდეს და ჩემი სიტყვები
უარპყოს, ავიღებ და ამ ხმალს ჩაგაკენუტინებ.

ჯონ ლანკასტერი. მსგავსი უღაპარი ჩემს დღეში არ მომიხმენია.

პრინცი ჰენრი. მსგავს ყალთაბანდასაც, ჩემო ძმაო, ვერსად შეხვდები.

გასწი, ეგ ტვირთი მორიდებით ატარე ზურგით.
სხვა რაღა ვითხრა, თუ გიშველის ჩემი ტყუილიც,
მოგაოქროვებ, როგორც ძალმიძს, და მოგაშველებ.

ისმის უკანდახვევის საყვირი.

აბა, საყვირი ვგამცნობს მტრების უკანდახვევას,
ავიღებ, ძმაო, იმ გორაკზე და გადავხედოთ —
მეგობართაგან ვინ მოკვდა და ვინ გადავივრჩა.

ორივე პრინცი გადის.

ფოლსტაფი. ეპ, მეც მავთ გაგვყე, იქნებ ჯილდო შემგდეს, ღმერთმა ჯილდო ნუ მოაკლოს ჩემს
დამჯილდოებელს! განდიდებას თუ ვეღირსე, სიდიდეში ცოტას მოვიკლებ. საფალარათოს
დავლევ, ლეონის სმას თავს დახანებებ, წესიერ ცხოვრებას დაგიწყებ, როგორც ნამდილი დიდ-
ბულს შეეფერება.

გადის და გვამი მიაქვს.

სწრატი V. მიქოხი მხარე ბრძოლის მილისა.

ისმის საყვირის ხმა. შემოდინ მე ფე, უე ლს ის პრინცი, ლორდ ჯონ ლან-
კასტერი, უესტმორლენდი და სხვები, თან შემოპყავთ ტყვეღრაგდებულ
გუსტერი და ვერნონი.

მეფე ჰენრი. ასეთი არის მწარე ხვედრი აჯანყებულთა...

ო, გულღრძო ფუსტერი! მე თვითონ არ შემოგთავაზე —
შეგიწყალე-თქო, შეგიტეხე-თქო, გაბატე-თქო?!
შენ ჩვენი სიტყვა უკუღმართად გადააბრუნე
და საკუთარი ბიძაშვილის ნდობაც გასწირე.

ჩვენი ლაშქრიდან დღეს მოგვიკლეს სამი რაინდი;
გადარჩებოდა თვითონ გრაფიც, ბევრი მებრძოლიც,
და ჩვენთან ერთად იქნებოდა ცოცხალი ყველა,
რომ პატიოსნად, ვით ქრისტიანს შეეფერება,
მართალი სიტყვა მიგეტანა ორივე ბანაკში.

ვუსტერი. მე კი მეგონა, თავს ვიცავდი ასეთი ქცევით,
მაგრამ რაკილა ვერ ავიცდენ ბედს, თავზე დამტყდარს,
სხვა რაღა დამჩჩა, მთმინებით შეეგებებოდა.

მეფე ჰენრი. ვუსტერს და ვერნონს მყის თავები დააგდებინეთ,
სხვა დამნაშავეთ საკადრისი შემდეგ მიფუშდათ.

გუსტერი და ვერნონი გაჰყავთ.

რა ამბავია ბრძოლის ველზე?

პრინცი ჰენრი. კეთილშობილმა

შოტლანდიელმა ლორდ დუგლასმა როცა იხილა,
რომ ომის ბედი დატრიალდა მისთვის უკუღმა,
უმაშიაყესი პერსიკ მოჰკლეს და მისი ჯარი

შიშის კანკალმა აიტანა, — იშვირა ფეხი
და სხვა გაქცეულ მებრძოლებთან მანაც მოჰკურცხლა,
მაგრამ როდესაც ეშვებოდნენ ბორციდან დაბლა,
მძიმედ დაშავდა და მღვდრებმაც მყისვე შეიპყრეს.
ამჟამად იგი ჩემს კარავში გახალავთ, ხელმწიფევე,
და გვედრებით, მე დამითმით დუგლასის თავი.

შეფე პენრი, სულით და გულით.


პრინცი პენრი. ჯონ ლანკასტერი, ძვირფასო ძმაო,
ამ საბატო საქმეს მაშინ შენ დაგაკისრებ:
წადი და დუგლასს მიანიჭე თავისუფლება,
ისე რომ გროშსაც ნუ ავიღებთ გამოსასყიდად.
ჩვენს მუხარადზე მამაცური მახვილის ცემით
მან დღეს გვასწავლა, რომ გმირობას, თუნდ მტრის ჩაღენილა,
მულამ ეკუთვნის პატივი და თავყვანისცემა.

ჯონ ლანკასტერი. მაღლობელი ვარ ამ ღირსეულ დაჯალბისთვის,
და ხალისითაც შეგასრულებ დაუყოვნებლივ.

მეფე პენრი. მაშ რაღა დავგრჩა, — ორად გავყოთ ჩვენი ლაშქარი,
შენ, შვილი ჯონ, და ბიძაშვილი უესტმორლენდი
მთელი სისწრაფით იორკისკენ გაეშურებით,
და იქ შეხვდებით პრელატ სკრუპსა და ნორთამბერლანდს,
რომლებიც თურმე საბრძოლველად გამზადებულან:
მე და ჰარი კი უელსისკენ გავსწევთ ახლავე,
რათა ავლაგმით გრაფ მარჩი და გლენდაუერი.
მორჩა, შფოთისგან დაისვენოს ჩვენმა ქვეყანამ,
ეს ხომ მოვიგეთ, სხვა ბრძოლებშიც ჩვენ გავიმარჯვებთ;
და რაკი ბედმა გაგვიღიმა დღეს ბრძოლის ველზე,
ნუ დავაყოვნებთ საბოლოო გამარჯვებასაც.

გაღიან.

ინგლისურიდან თარგმნა
ვახტანგ ზედიძე



შვიკია ქაჩიძე

უწნობა მკმკ

ასე ყოფილა...

ზოგიერთ ადამიანს გულის ნაცვლად ქვა უდევს საგულეში, ცივი, როგორც ყანული, მიუკარები და უღარდელი.

მე ვიზრდებოდი დედასთან და მოველოდი მამის ნახვას...

დედაჩემი ზშირად მიმიყვანდა კედელზე დაკიდებულ დიდ ჩარჩოსთან, რომელშიც უცნობი კაცის სურათი იყო. დიდხანს ვუყურებდი და წინ გაწვდილი ფუნჩულა თითებით ვეხებოდი მინას, და მინა იყო ცივი, როგორც მამის გული ჩემთვის.

მამის სურათი მიცქეროდა თითქოს სინანულით, თითქოს დაცინვით, თითქოს სიყვარულითაც; მის გვერდით დედის სურათი იყო ჩარჩოში ჩასმული. დედა ტკბილად მიღიმოდა, მათ შორის ჩემი სურათიც იყო ჩამოკიდებული, მე უღარდელად ვიცინოდი...

ზშირად ვნატრობდი მამის ნახვას, ბევრჯერ მიტირია კიდეც, მაგრამ დედა ტკბილი სიტყვებით დამაწყნარებდა, თავზე ხელს გადამისვამდა, გულში ჩამიხუტებდა და ასე მეტყოდა:

— ჩემო პატარავ, გაიზარდე და ყველაფერს გაიგებ...

მე ძალზე პატარა ვიყავი და არ მესმოდა... ვგრძნობდი კი. ვგრძნობდი, რომ რაღაც დიდი მაკლდა; ის დიდი — სიყვარული იყო, სიყვარული მეორე ადამიანისა, რომელიც მე სადღაც მყავდა კიდეც და არც მყავდა, ის აკლდა დედაჩემს, ის მაკლდა მეც...

მე არ ვიცო, ყველაფერი ის, რაც უნდა გაიბოთ, რაც მახსოვს, მართლა ჩემს თვალწინ მოხდა, ჩემი თვალთ ვნახე თუ დედის ნაამბობიდან დამკვიდრდა ჩემს ხსოვნაში...

ჰო, არ ვიცო, მაგრამ უნდა გაიბოთ...

გვიან გავიგე, რომ ბედნიერება მხოლოდ იქ არის, სადაც სიყვარულს ურთიერთგაგება ერთვის.

ამ გაგების გარეშე წარმოუდგენელია სიყვარულიც. სიყვარული მარტო



მგზნებარე გულის მეორე გულზე მინდობა არ არის. ასეთი გული როცა გაცივდება, პირს იბრუნებს და სიყვარულიც გაქრება.

...დედას შვილი უნდოდა... შვილი საყვარელი ადამიანისაგან, ქმრისაგან, რომელმაც მისი ოჯახის სამუდამო უღელი გაიზიარა...

ო, როგორ ეხატებოდა მას თავისი ხუჭუჭთმიანი ბიჭის ადზრდა, მისი მომავალი.

მამას კი...

მაგრამ შორს, ძალიან შორს წავედი, ჯერ ხომ ისიც არ მითქვამს, რაც უფრო აღრე უნდა მეთქვა.

უცნობ მამას ჩემი საყვარელი დედა საშუალო სკოლიდანვე შეუყვარდა, შეუყვარდა და გაუმყვანა. დედამ სიყვარულითვე უპასუხა... და შეუღლდნენ, ტბილად ცხოვრობდნენ. ინსტიტუტში ერთად დადიოდნენ და ოცნებობდნენ... თუმცა, არა, როგორც ცხოვრებამ დაანახვა, თურმე მხოლოდ დედაჩემი ოცნებობდა...

ერთხელ სასწავლო პრაქტიკიდან დაბრუნებული მამა სოფელში წავიდა, დედა კი თბილისში დატოვა ჩემს უცნობ პაპასთან ერთად...

ჩემს პაპას დედაჩემი მეტად ყვარებია და პატივსაც სცემდა თურმე; დედა მზრუნველობას არ აკლებდა ქმრის მშობელს და ყოველთვის ცდილობდა, რაც შეეძლო ყურადღებით და სიყვარულით მოაყრობოდა...

დედა მოუთმენლად ელოდა მამაჩემის დაბრუნებას სოფლიდან. სევდითა და სიხარულით გაჰყურებდა გზას.

სიხარულით იმიტომ, რომ მან იმ დღეებში იგრძნო პირველი დედური სიყვარული უხილავი შვილისადმი, რომელიც მის არსებაში ჩასახულიყო, სევდით იმიტომ, რომ გული ცუდს უქადა.

ჰოდა, დედა გზას გასცქეროდა, სოფლიდან ჩამოსული მამა კი ამ დროს შინ ბრუნდებოდა.

ჯერ ისევ ბინდი იყო, ეზოს კარი შეაღო. პატარა ფინიამ ერთხელ შეჰყვება და კუდის ქიციანით უკან გაჰყვა. მამამ ოთახში სინათლე შენიშნა. ვიღაც მამაკაცი სწრაფად იცვამდა. მამა ხეს ამოეფარა და მზერად გადაიქცა. დიდხანს არ გაუვლია, ოთახში სინათლე ჩაქრა და კიბეზე ფეხის ხმა მოისმა; უცნობმა აჩქარებული ნაბიჯით გაუარა ხეს, რომლის უკან მამა იმალებოდა და ქუჩაში გავიდა...

— დასწყევლოს ღმერთმა, საკუთარი მამაც კი ვეღარ ვიცანი, ლამის თავი გამისკდეს ამდენი ეჭვებით, — ჩაიქნია ხელი მამამ და ოთახში გიჟივით შევარდა... შეშინებული დედა სწრაფად წამოხტა ლოგინიდან და ხმამაღლა შესძახა:

— ვინა ხარ, რა გინდა?!

— ვინცა ვარ, მალე გაიგებ! — მუქარით უპასუხა მამამ და სინათლე აანთო.

— ომარ, შენა? — გაოცებულმა დედამ წინ წაიწია და ქმრის კისერზედ მოხვევნა სცადა, მაგრამ მოულოდნელი ხელისკვრით უკან გადაეფარა საწოლზე.

— რა მოხდა, ომარ, ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვა, — დაიკვნესა დედამ.

— ცუდი რა უნდა მომხდარიყო? შე ქმრის მოღალატე, — და გააფთრებულმა ჩაველო ხელი, საწოლზედ გადააგდო და ჩასისხლიანებული თვალებით დაუწყო მზერა...

— მითხარი, მითხარი რამე, გაიმართლე თავი, უნდა მოგკლა, გესმის?..

— ომარ, რადგან ჩემი სიკვდილი გადაგიწყვეტია, მომკალი. ოღონდ გჯე-

როდეს, რომ მე შენი ერთგული ვიყავი... ველი შენს განაჩენს, ოღონდ უკანასკნელად, სიკვდილის წინ, დამრთე ნება დაგემშვიდობო. — დედამ აკანკალებული, ტიტველი მკლავები მამას კისერზე მოხვია, მის მკერდს თავი მიაყრდნო, აწითლებულ ლოყის თავებზე ცრემლები დაგორდნენ და მამის ხელებზე დაეცნენ.

მამა თითქოს ახლა გამოფხიზლდა, შეტოკდა, თავი გააქნია, დედას თვალებში მიაშტერდა, ხელები წელზე შემოხვია. ცრემლმორეული დედა უცოდველი შვლის ნუკრივით წესცქეროდა. ვედარ გაუძლო მათ სილამაზეს, დაუწყუო კოცნა, თან ღრიალებდა, თან ეფერებოდა, ვერ ბოულობდა გამოსავალს; როგორც იქნა დაწყნარდა... ვედარ ბედავდა ცოლისათვის თვალებში შეხედვას.

გათენდა... დედა უფუნებოდ იყო, მაგრამ მინც იღიმებოდა. ჩაი გააწყუო... მამამ მუხლებზე დაისვა დედა და ისე ასმევდა ჩაის, თითქოს ამით სურდა დანაშაულის გამოსყიდვა.

დედას თავისი საიდუმლო გაახსენდა და ნაზად ჩასჩურჩულა:

— იცი, ომარ, ჩვენ შვილი გვეყოლება...

მამა გაფითრდა, სკამიდან წამოხტა, დედა გვერდით მიაგდო და ოთახში აჩქარებით დაიწყუო სიარული, პაპიროსი გააბოლა, მერე შეჩერდა, ფეხი სკამზე შემოდგა, იდაყვით ზედ დაეყრდნო და კვამლის გროვა პირიდან გაუშვა...

— შენ გიხარია ბავშვის გაჩენა, მე კი სიცოცხლე მომეშხამა! ეგემის?! — კვლავ აყვირდა და სკამი ფეხის კვრით გადააგდო...

— რატომ, ომარ, რატომ არ გინდა გვეყავდეს საყვარელი შვილი, ჩვენი მონავალი და იმედი? — მინც ტკბილად შეეკითხა გაფითრებული დედა.

— რატომ და, არ მინდა, არ მინდა და იმიტომ... არ მინდა, ეგ ჩემი შვილი არ არის!

დედას თავზარი დაეცა, მიძიმედ წამოდგა ფეხზე, პურის ლუქმა გადააგდო, სახეგაფითრებულმა უთხრა: — უსინდისოვ, არ მეგონა, თუ ამას მეტყოდი, — და მწარედ ატირდა. დედის ტირილი და წამება უფრო საწამლავად მოხვდა მამას და ჩემოდნიდან სწრაფად ამოყარა ტანსაცმელი, ჩვარში გახვეულ რევოლვერს ხელი დასტაცა და დედას გულზე დაადო. დედამ ამაყად გადაუშალა მკერდი. მაგრამ რევოლვერის მაგიერ სახეში მამის ძლიერი ხელი მოხვდა, დედა გულშეღონებული დაეცა იატაკზე...

*

და ასე, ჩემი ნაწამები საყვარელი დედა ქუჩაში აღმოჩნდა; მისი ნუგეში მხოლოდ ცრემლები და ჯერ არშობილი შვილი იყო.

*

ეს იყო იენისის ოცდაათს...

სამორიგეო ოთახში სიჩუმე იყო, მხოლოდ ზოგჯერ ტკივილებისაგან შეწუხებული დედის სუსტი ზმა ისმოდა...

სალამის ხუთი საათი იყო. საშინლად დაიგრილა ცამ, გაიელვა, შესაზარად იჰქეა კვლავ და სადღაც მეხი ჩამოვარდა...

მე უკვე ხარბად ვწოვდი დედის ტკბილსა და თბილ რძეს, უდარდელად ვუცაცუნებდი პატარა ხელებს დედის ლამაზ მკერდს. დედა კი აკანკალებული ხელით ჩემს მაგიერ წერილს სწერდა მამას:

„ჩემო უცნობო, მაგრამ საყვარელო მამიკო, უკვე ოთხი დღეა, რაც ეს ქვეყანა თვალით ვიხილე, დავიბადე და აცრემლებულმა დედამ ყურში ქვითინით



ჩამჩურჩულა — ჩემო პაწია ბიჭუნავ, უმამოდ უნდა გაგზარდო, მამამ ქუჩაში დაგვტოვა, მამის ალერსიან ხმას ვერასოდეს მოისმენ, — დედის ქეთინუნდ მეც ავტირდი, კი არ ავტირდი — ავჩხავლდი, თითქოს გეძახდი — მამაუ... მაგრამ არ ჩანდი, არ მოხვედი, იქნებ არც ახლა მოხვიდე, მაგრამ, ჩემო მამიკო, მე ხომ შენთვის არაფერი დამიშავებია, მე ხომ შენი ბიჭუნა ვარ, შენი შვილი, მოდი, მნახე. იქნებ ჩემი დაბადებაც არ გესიამოვნა?..

ხომ?.. თუ ასეა, გთხოვ, ჩემო მამიკო, მაგას ნუ იზამ, შენი შვილი გელის, მოდი, წაგვიყვანე... ერთხელ მაინც დამენახე, რომ მახსოვდეს მარად... პაწია ხელეები ულვაშებზე შეგახო... ნუ გაგვწირავ, მოდი...

გკოცნი, შენი უცნობი ვაჟიშვილი“.

მამა...

ღიახ, მამა ქალიშვილებთან დასეირნობდა და ერთხელაც არ გახსენებია უპატრონოდ დარჩენილი, სავადმყოფოს კედლებში ჩაკეტილი ცოლ-შვილი. ფოსტალიონმა მამას ჩემი ბარათი გადასცა. მან უდარდელად ჩაიღო ჯიბეში და გზა განაგრძო.

ნაშუალამევს სახლში დაბრუნდა. მარტოდ იყო, ჩემი ბარათი ახლა მოაგონდა და კითხვა დაიწყო. თვლებში ცრემლები აუკიაფდა, მშობლიურმა გრძობამ ჟრუნტელად დაუარა, წამოვარდა ფეხზე და როცა კარი გააღო, მის წინ ღვინის ბოთლებით ხელში, სამი ამხანაგი იდგა...

— ვახ, სად მიდიხარ ასე გაჩქარებული?

მამამ ყურადღება არ მიაქცია და ნაბიჯრ გადადგა. ერთმა მათგანმა ხელი სტაცა და კვლავ ოთახში შეაგდო.

— ჩვენზე კარგს ვისა ნახავ, მოდი დავლიოთ და ჩვენი დარდი თან გავატანოთ, რაღა...

— მე საქმე მაქვს, თქვენ დალიეთ, — კვლავ გაიწია გასასვლელად, მაგრამ შესამეშ ჩაავლო ხელი.

— სად მიდიხარ შენცა, რა შვილი, რის შვილი, აკი არ გინდოდა? დალიე და ყველაფერი დაგავიწყდება, — და სიმღერა წამოიწყო... აღრიალდნენ სხვებიც და ღვინით შეხურებულ მამაჩემს მაგიდაზე ჩამოეძინა...

არ მოვიდა...

არ მნახა...

ჩემს ახალგაზრდა დედას ჭაღარა ერეოდა თმაში. თავს მეველებოდა, მზრდიდა. მე მამას არ ვიცნობდი. ვიცნობდი მხოლოდ მის სურათს, კედელზე ჩამოკიდებულ ჩარჩოიან სურათს, საიდანაც იმზირებოდა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ცივი გული ჰქონდა.

დედა იმ სურათს აღარ უყურებდა, მაგრამ კედლიდან მაინც არ ხსნიდა, ალბათ ჩემი ერიდებოდა. მე ხომ მას ისევე მამად ვთვლიდი. მე პატარა ვიყავი და მწამდა, რომ მამა კარგი უნდა იყოს, მე მწამდა, რომ ის მოვიდოდა...

და აი ერთხელ, მე გავიცანი უცნობი მამა.

დედიკო ტკბილ ნანას მიმღეროდა. ქოჩორზე ხელს მისვამდა და მე მის ძუძუს ვეთამაშებოდი.

კარზე კაკუნს მოისმა... ოთახში უცნობი ძია შემოვიდა, მაშინვე ჩემკენ

წამოვიდა, მე თითქოს გულმა მიგრძნო, რომ ის მამაჩემი იყო და გაუგებარებდა ზე დაეწყე ტიტინი, — მამა, მამა... — და პატარა ხელები მის უღვავებზე ავათამაშე.

დედამ ხელში ამიყვანა, მომეფერა და აცრემლებულმა მითხრა: — არა, ჩემო ბიჭუნავ, ის მამა კი არა, ძიაა, უცნობი ძია, მან ჩვენ ქუჩაში გამოგვაგდო, უპატრონოდ, უსახლკაროდ...

ატირდა დედა, ატირდა მამა და ავჩხავლდი მეც...

მამა დიდხანს მეფერებოდა, მკოცნიდა და „ჩემო ბიჭოს“ მეძახდა... სთხოვდა დედას, ეპატიებინა დანაშაული, მაგრამ დედას მტკიცე ნებისყოფა ჰქონდა.

— შენ დაგიბრუნდე?.. როგორ?.. შენ არ დამინდე, საშინელი დამცირება მომაყენე, ჩემი სიყვარული ფეხქვეშ გასთელე, სასაცილოდ ამიგდე, დამაბერე... ქუჩის ქალებზედ გამცვალე... განა მართო მე?.. შენი პატარა ვაჟიშვილიც... ხომ ხედავ, არ დავეცი სულით, გასაჭირს შეუპოვრად შევებრძოლე, მართოს მაწევს ცხოვრების უღელი, მაგრამ გამეზრდება შვილი, ვაჟიშვილი, ის დამიბრუნებს ახალგაზრდობას... — და დედამ გულში ჩამიკრა.

...მამა წავიდა. წავიდა და მას შემდეგ აღარც მოსულა...

მას შემდეგ ბევრმა წელმა განვლო. მე დღესაც მახსოვს უცნობი მამა. მაღალი, შვეგვრემანი, დიდი უღვავებითა და ხვეული ქოჩოკით, მისი შავი თვალები და დიდი წარბები... ცივი გამოხედვა, ცივი გული.

მე გავიზარდე ასე უმამოდ: მაგრამ ჩემს ტოლებში მე ყოველთვის ამაყი ვიყავი, დედამ უმამობა არ მაგრძნობინა.

საშუალო სასწავლებელი დავამთავრე და უმადლესშიც შევედი...

ჩვენ ბედნიერად ვცხოვრობდით. დედას თმები მთლად გაუთეთრდა, სახის კანი აქა-იქ დაუნაოჭდა, მაგრამ ისევ მოხდენილად გამოიყურებოდა, რაც დიდად მახარებდა.

გავიდა წლები...

მე ხანდახან თუ გამახსენდებოდა მამა.

დედას?

არ ვიცი. იგი ჩემთან არ ახსენებდა მის სახელს. მისი სურათიც კარგა ხანია აღარ ეკიდა კედელზე ჩვენს სურათებს შორის. კედლიდან აღარ მიმზერდა ღამაში კაცი, რომელსაც ცივი გული ჰქონდა!

ერთხელ, დილით, დედა გაზეთს ათვალიერებდა. უცებ შეჰკივლა და გაზეთი გვერდით გადადო.

— არაფერია, — მითხრა მან, როცა მივუახლოვდი. გულში ჰვალმა გამკრა.

მთელ დღეს მოუსვენრად იყო. ხელიდან ხელსაქმე უვარდებოდა, კედლის საათს შეჰყურებდა და ფიქრობდა, ფიქრობდა. თითქოს რაღაცას წყვეტდა და ვერ გადაეწყვიტა.

ბოლოს სახე რაღაც უცნაურმა გრძნობამ გაუშუქა, წამოდგა და ხელი მომკიდა.

ჩვენ გარეთ, ქუჩაში გავედით. კვირადღე იყო. მიცვალეზულს მოასვენებდნენ. ჩემი ყურადღება უცებ გვირგვინის წარწერამ მიიპყრო. ათიოდე ადამიანი მიჰყვებოდა. ვიცანი, ვიცანი იმ კაცის სახე, წლების განმავლობაში კედლიდან

რომ მიმზერდა ცივად; ახლაც იგი ცივად შეჰყურებდა ცას, — დახუჭული თვალებით შეჰყურებდა.

ყვავილებში მოჩანდა მისი გაყინული სახე და ჭალარა თმა.

დედას მკლავი უთრთოდა, მხარზე მეყრდნობოდა.

ჩვენ მოშორებით მიეყვებოდით, სანამ ხალხი არ დაიშალა.

ბინდდებოდა. უკვე აღარავინ ჩანდა ამ სევდისმომგვრელ ადგილას. ყველა ვალმოხდილი ეშურებოდა შინისაკენ.

დედამ საფლავთან მიმიყვანა და მხოლოდ ახლა დავინახე მის თვალებში ცრემლი. ის უხმოდ ქვითინებდა.

რას ტიროდა დედა? ვის ტიროდა?..

არა... არავის. იგი თავის დაღუპულ სიყვარულს დასტიროდა... უკანასკნელად.





ქვემოთ მოთავსებული მასალები წარმოადგენს მოსკოვში დეკადის დღეებში ქართული პროზისა და პოეზიის განხილვისას წარმოთქმული სიტყვების სტენოგრაფებს.

უზღირესი საბანძური

მესამე დღეა, რაც ქართულ პოეზიას ვიხილავთ. მე თითქმის სულ უკანასკნელს მომიწია გამოხატვა. რამდენი საინტერესო და კვიანური რამ ითქვა! დასამატებელი ცოტა-ლა დარჩა. მე ვილოპარაკებ მხოლოდ იმის შესახებ, თუ როგორია პირადად ჩემი დამოკიდებულება ქართულ პოეზიასთან, რა მომწონს ამ პოეზიასა და რით არის ის ჩემთვის მახლობელი. დიდი ხანია ვიცნობ ქართულ პოეზიას. მართებულად თქვა მიხეილ ლეოვამ და მეც დავეუბნებ, რომ ამ პოეზიაში, საერთოდ, ქართველმა პოეტებმა, ბევრი რამ შექმინეს.

ქართული პოეზიის ძირითადი ნიშანთვისება შეიძლება ასე განისაზღვროს: სახეთა შინაშემეტყობა, სიყვარული ამაღლებულისა და მშვენიერისა, ისეთი სიმალღებებისა, როგორცეც ლაპარაკობდა პუშკინი. ეს სიდიადე და სახეთა გრანდიოზულობა არის სწორედ ქართული პოეზიის ძირითადი ნიშანთვისება. ჩემთვის მახლობელია ქართველ პოეტთა ლექსები. ამ ლექსებს ვკითხულობდი, ვკითხულობ და ჩემთვის ვიმეორებ ხოლმე. ეს ისეთი ლექსები გახლავთ, რომლებიც რუსულ ლექსებზე გადაიტყენენ, რუსული პოეზიის შემადგენელ ნაწილად მიგვევლინენ. აიღეთ ტ. ტამბის „მე არ ვწერ ლექსებს...“ მე ვფიქრობ, რომ ეს ლექსი ტოლს არ დაუდებს რუსული პოეზიის რომელიც გნებავთ ლექსს. რა რიგ ამაღლებულია ეს ლექსი, რა რიგ დიადი და პათეტიკური. ჩემთვის ერთობ ძვირფასია ეს ამაღლებული პოეზია. ის არწივისდამგვარად მაძლია ფრთავს, მაგრამ ყველაფერს ამჩნევს, რაც კი მიწაზე ხდება.

მე ძალიან მომწონს მინიატურათა სიმდიდრე და სახეთა ჰიპერბოლურობა, რაც უამრავია ქართულ პოეზიაში. ქართული ლექსების კითხვისას მე მაოცებს ამგვარი ფუფუნება, ფიგურალობის თემლი სახადღებები. ჩემის აზრით, ჩვენს რუსულ პოეზიაში დავივიწყებ მეტაფორებში, ქართული კი ასერიგად მდიდარია მეტაფორებით, შედარებებით. ამ მხრივ ჩვენ ერთობ მკაცრნი და ოდნავ ასკეტურნიც ვართ. ეს ჩემი პირადი აზრია და ამ საყვედურს ჩემს თავსაც ვუბნებები. ჩემის

ფიქრით, მეტაფორა რაიმე სამკაული კი არ არის, ძალიან მნიშვნელოვანი რამაა; მეტაფორა შინა-არსი განლაგებ და ამას პოეზიისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, ეს თვით ქსოვილია პოეზიისა, მისი არსია. ჩვენში კი ხშირად ასე ჰგონიათ — მეტაფორა რაღაც გარეგნული სამკაულია, ვინების მავგარი რამ არისო.

აქ მრავალი პოეტი დაასახელეს. მე შემწეობა ჩემთვის საყვარელი ყველა პოეტის ჩამოთვლა — დიდი სია გამომივა. მე იმ თანმიმდევრობას არ ვიკავებ, როგორც „ლიტერატურნია გაზეტაში“ იყო. იქ ქართველი პოეტები დაყოფილნი იყვნენ კატეგორიებად, ასაკის მიხედვით. მე მომხრე ვარ იმისა, რომ პატივი ვცემ ხანდაზმულს, სახელოვან პოეტებს, მაგრამ პატივისცემაცა და პატივისცემაც. მთავარია ლექსი იყოს კარგი. შესაძლოა ხანდაზმულმა პოეტმა ახალგაზრდული ლექსი დაწეროს, ხოლო ახალგაზრდამ მომწიფებული გრძნობა-გონების ნაყოფი გვიძინოს. აქ ამისულაშვილს ახალგაზრდა პოეტი უწოდეს, როცა ის უკვე 35 — 40 წლისა უნდა იყოს. შ. ამისულაშვილი მრავალი წიგნის ავტორია და კარგა ხანია აღარ უნდა ვთვლიდეთ ახალგაზრდა პოეტად. ოთარ ჭელიძემ 15 წელსა ფეხი შემოღვა ლიტერატურაში, ახლაც ბევრსა წერს. რათ, ისიც ახალგაზრდა პოეტად უნდა მივიჩნიოთ? ასეთ პოეტად მიიჩნიათ იგი გამოცემლობა „მოლოდათა გვარდიამი“ — ახალგაზრდა პოეტთა კრებულში შეუტრანიათ. რაღაცნაირად უნდა დავადგინოთ, თუ ვინ მივიჩნით ხოლმე ახალგაზრდა პოეტად.

უკანასკნელ ხანს გამოცემულ წიგნებს რომ გავეცანი, მათ შორის ოთარ ჭელიძისა ძალიან მომეწონა. ის არა მარტო კარგი ეპიკოსია, კარგი ლირიკოსიცაა. ერთი მისი სიკაბუჯისდროინდელი ლექსი ჯერ კიდევ ამ 5 — 6 წლის წინათ მომეწონა და ეს გრძნობა დღემდე შემომარჩა. ამ ლექსს ჰქვია „ჯაჟვის ხიდი“. ოთარ ჭელიძეს მე მეტწილად უბიკოს პოეტად ვიცნობდი. აქ ინტერესს არ ჰქმნის სიუჟეტი, რომელიც განხვევბულია ნაწარმოების პოეტურ პლანში. ეს არის



მთლიანი, ორიგინალური ნაწარმოებია. უნდა გვახსოვდეს, რომ თ. ჭელიძემ თარგმნა „ვასილ ტროკინი“, ეს კი დიდი, კოლოსალური შრომის გაწევას მოითხოვდა. ამ საქმეს მან 5 წელიწადი მოანდომა.

მინდოდა შევჩერებულიყავი გიორგი ლეონიძის პოეზიაზე, რომელიც დიდად მიყვარს. მინდოდა წამეკითხა ტიხონოვის მიერ თარგმნილი მისი ლექსები, მაგრამ აქ ციტატები ისედაც მრავლად მოიტანეს და მე აღარ გავაგრძელებ.

მინდოდა აგრეთვე დაწვრილებით მელაპარაკა ვარიგოლ აბაშიძეზე, ამ საინტერესო პოეტის

თავისებურებებზე; აგრეთვე სხვა თაობის პოეტებზე — ხუტა ბერულავაზე. მისი პოეზიასერგეი ლევამა დაწვრილებით მიმოიხილა.

მართალი იყო ეგვენი ევტუშენკო, როდესაც თქვა — ქართული პოეზია უმდიდრესი საგანძურია, რომელსაც რუსი მკითხველი ჯერ კიდევ კარგად არ ვიცნობთო. მის ნათქვამს მინდა დავუმატო, თუ რატომ არის ჩემი აზრით ჩვენთვის მახლობელი ქართული პოეზია: ქართულ პოეზიას ძალზე ამშვენებს ეპიური საწყისი, მასში მძლავრად იგრძნობა აგრეთვე მაღალი ზნეობრივი საწყისი.

მეზამინი მინოკუროზი

გაუღმგებელი საკითხები

კირსანოვის გამოხვლის შემდეგ განსაკუთრებით საინტერესოა შეიქნა, რომ უმჯობესია ორატორებმა ილაპარაკონ არა ცალკეულ მწერლებზე, არამედ ლიტერატურის ზოგად, პრობლემატურ საკითხებზე, რადგან სწორედ ეს საკითხები გახლავთ საერთო ყველა ნაციონალური ლიტერატურისათვის და ისინი ყველას აღუვებენ. ქართული დეკადით რომ ესარგებლათ და აღნიშნული საკითხები წამოეჭრათ, ეს ამბავი დიდ ინტერესს აღძრავდა და მას ყველა გამოეხმებოდა. რადგანაც ეს არის ყველა ჩვენი ლიტერატურისათვის საერთო საკითხები (ნაციონალური ფორმები, სიხარული, ტრადიცია). ჩვენთვის საინტერესო და საარგუმენტო მომტანი იქნებოდა ამ საკითხთა გადაჭრა.

აქ მშვენიერად გამოვიდა ორლოვი, მაგრამ როდესაც მან თქვა — ახალგაზრდა ქართველი პოეტები ნაციონალურ ფორმას ჰკარგავენო, მე მოკრძალებით გადავიწოდე ბარათი, რომელშიც ეწერდა: კარგი იქნებოდა მოგეტანათ მაგალითი იმისა, თუ რა არის ნაციონალური ფორმა და როგორ ჰკარგავენ მას ახალგაზრდა პოეტები-მეთქი. უნდა ითქვას, რომ კრიტიკოსები და ლიტერატურისმცოდნენი ამ საქმეში ნაკლებად გვეხმარებიან. ეს არის ყველა ლიტერატურისათვის საერთო საკითხი, ყველა ლიტერატურის განვითარების საკითხი. ავიღოთ თუნდაც დაღესტნური ლიტერატურა, რომელიც უპირატესად ზეპირი გახლავთ. ია, ამ ლიტერატურაში მუშაობს ახალგაზრდა, ძალზე ჭკუადამჯდარი პოეტი რასულ გამბათოვი, რომელსაც სურს ავარულ ენაზე წეროს. ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს. ეს იქნება არა ახალი ტრადიციებიდან გადახვევა, არამედ მათი განვითარება. ეს საკითხი ჯერაც ძალზე ბუნდოვანია და მს. იშვეტს ამდენ გაუგებრობას.

მე არაფერს ვიტყვი იმის შესახებ, თუ როგორ ვართიანდა ფაშინოვის წინააღმდეგ ბრძოლის წლებში მრავალი სხვადასხვა ხალხი. ჩვენი ხალ-

ხების ბედობაში მრავალი რამ არის საერთო. დავიწყებ ასეთი ამბი: ლექსებს მე ბავშობიდანვე გვითხულობდი, მაგრამ 16 წლისაღა შევიტყე, რომ ზაქისი საქართველოში ყფილია და არა სომხეთში: იმდენი სომეხი პოეტი წერდა ზაქისზე, რომ მე შეგონა — ეს ელექტროსადგური სომხეთის რომელიღაც ჩემთვის დღემდე უცნობ რაიონში არის-მეთქი მოთავსებული.

ძალზე ბევრი ფაქტი არსებობს ჩვენი მეგობრული ურთიერთობისა. მე მხოლოდ პოეტი მათგანს მოვიხსენიებ. ოვანეს თუმანიანის სიკვდილი ჯერ იოსებ გრამაშვილმა დაიტირა ლექსით და შემდეგ სომეხმა პოეტმა. ჩვენს შორის პოემა აქვს დაწერილი რუსთაველზე. ძალიან კარგად თარგმნა რევაზ მარგიანისა და სხვათა ლექსები პოეტმა ასატურმა. აღარაფერს ვამბობ ტიციან ტაბიძესა და სახელოვან სომეხ პოეტ ჩარენცზე, რომლებიც დიდი მეგობრები იყვნენ და მრავალი ლექსიც მიუძღვნიათ ერთმანეთისთვის. სევანის ტბაზე ქართველ პოეტებს უფრო მეტი ლექსი აქვთ დაწერილი, ვიდრე სომეხ პოეტებს. ჩვენს ენაზე თარგმნილია მრავალი ქართული ნაწარმოები. ჩვენთვის ძალზე ახლობელია ლეონიძის პოეზია, ჩვენ გვიყვარს ტაბიძის ლირიკა. თქვენს მსგავსად ჩვენთვისაც მახლობელი არიან ძველი და ახალი თბილისელი. აღარაფერს ვამბობ ჩვენს თანამედროვე მშვენიერ ლირიკოსებზე, ჩვენს მეგობრებზე — ჩიქოვანზე, აბაშიძეზე და სხვ. აგრეთვე ახალგაზრდა ქართველ პოეტებზე, რომლებთანაც ასეთივე წრფელი მეგობრობა გვაკავშირებს.

როდესაც გავიფიქრებ ხოლმე, თუ რაოდენ მდიდარია ქართული პოეზია, ასეთი აზრი მეზადდება: ახალგაზრდა ქართველ პოეტებს დიდი სიამაყე მართებთ იმისთვის, რომ ლექსები წერონ. ხუმრობა სიქმე ხომ არაა ასეთ დიდ შევიძირებაში ჩაბმა... და ახლა, როდესაც ახალგაზრდათა წინგებიც გადავიკითხე, გულწრფელად გამოხარ-

და, რომ, თურმე ნუ იტყვი, ახალგაზრდობა ღირსი ყოფილა ამ შეჯიბრებისა.

აქ ბევრი რამ ითქვა ახალგაზრდობის შესახებ. ვუშინ საგულისხმო ამბის მოწმე გავხდი: ახალგაზრდებს რომ აქებდნენ, მე ხანდაზმულთ ვაკვირდებოდი და მათს სახეებზე დიდი სიხარული ამოვიკითხე. ჩემთვის გასაგებია ეს გრძობა. საქმე ხომ ახალგაზრდა ქართველ პოეტებს, მათს შვილებს შეეხებოდა. პოედა, საღ გინახავთ მამა, რომელსაც ვაფიშვილის ქება არ გახარებოდეს? თუკი დღევანდელ საქართველოში ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტები გაბონდნენ, ცხადია, ისინი ცარიელ ადგილას არ აღმოცენებულან. მათს გამოჩენას წინ უსწრებდა მდიდარი პოეტური მემკვიდრეობა.

მე მინდა გავესაუბროთ ჩიქოვანზე, ქველიძეზე, ჰელდიქსა და მაჭავარიანზე, მიუხედავად იმისა, რომ მათ შესახებ ჩემამდე უკეთესი აღაზრდები. ეს იქნება სწორედ მაგალითი მამათა და შვილთა ურთიერთობისა. თავდაპირველად რამდენიმე სიტყვა ს. ჩიქოვანზე, როგორც გამოკვეთილსა და დასარულულ პოეტზე. რა შეიძლება ისწავლოდეს მისგან შვილებმა?

ს. ჩიქოვანი ჩვენთვის ცნობილია ბუნების შესანიშნავ მომღერლად. იგი ქვეიანი პოეტი. ყველაზე მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ს. ჩიქოვანის პატრიოტიზმს, რადგან სწორედ ამით იწყება ყოველივე კარგი. ს. ჩიქოვანის პატრიოტიზმი ჭეშმარიტი პატრიოტიზმია, რომელიც ეროვნული ჩარჩოებით არ იზღუდება. მას აქვს ძალზე კარგი ლექსები, რომლებიც მე სომხურად ვთარგმნი. და უნდა მოგახსენოთ, რომ სომხურად ვთარგმნი მისი ლექსები აღიქმება, როგორც სიმბოლო დაწერილი ლექსები. ეს ამბავი ცუდი როლია; მხოლოდ ის ადამიანი შეძლებს გასალოს ეს თემა, იპოვნოს დამახასიათებელი, უმთავრესი საქართველოსთვის, ვისაც ფართო პირობონტი და ღრმა აზროვნება აქვს და ვინც საქართველოს მრავალ ქვეყანას შეადარებს. სიმონ ჩიქოვანი თავის ქვეყანას რომ არ გაცნობდა, მას რომ არ ჰქონოდა გერმანიის, პოლონეთისა და სომხეთზე დაწერილი ლექსები, ის ასერიანად ვერ დააფასებდა და ესოდენ მშვენივრად ვერ აღწერდა თავის საქართველოს.

ს. ჩიქოვანის პატრიოტიზმი მე კიდევ ომითაც მზიხლავს, რომ მას, როგორც ჭეშმარიტ პოეტს, ძალუბს არა მარტო თავამებდროვე ადამიანის თვალებით უტყვიროს თავისი ქვეყნის წარსულს, ის შესანიშნავად ახერხებს აგრეთვე წარსულში მცხოვრებ ადამიანთა თვალებით გამოხედვასაც. თქვენ იცნობთ თეიმურაზზე დაწერილ მის ლექსს. ეს ლექსი ძალზე საინტერესოა ამგვარი ორმხრივი მხერის თვალსაზრისით. შესაძლოა აგრეთვე გავხსენოთ მისი „მიძღვნა ვარძიის ოსტატისადმი“.

მე არ მცოდნია სიმონ ჩიქოვანის ერთი ძა-

ლიან საგულისხმო ლექსი, რომელიც მასობრივი იქნება ყველა პოეტისათვის, ვისაც კი ამ თემაზე რაიმე დაუწერია:

„დიდი პოეტის თვისება არი გრძობის სიფრთხილით გაულოს კარი, თუ გაცდენილი არ არის ქანარი, არ შეამფთოთს მთველმარე ლარი“.

არ ვიცი, დამეთანხმებით თუ არა, მაგრამ, ჩემის აზრით, ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო აღწერა პოეტის შემოქმედებითი მუშაობისა.

მე დიდად ვაფასებ ს. ჩიქოვანის პატრიოტიზმს, რომელიც საერთოდ დამახასიათებელია მისი თაობის ქართველ პოეტთათვის. ეს იმგვარია პატრიოტიზმია, რომლის წყალობით პოეტი მიშინავს კი, როდესაც უშორეს წარსულზე ლაპარაკობს, აწმყოსკენაა მომართული.

ჭეშმარიტი პატრიოტიზმის ამგვარ ტრადიციანე აღზარდნენ სწორედ ქართველ პოეტთა „შვილები“, ისეთნი, როგორიც არიან ქველიძე და სხვები, რომლებიც დიდად არიან დაავლებულნი უფროსი თაობისაგან.

მიხეილ ქველიძე მრავალმხრივ არის დაკავშირებული სიმონ ჩიქოვანთან. ეს ცალკე საუბრის თემა გახლავთ და ამ საკითხზე მრავალი რამის თქმა შეიძლება. ქველიძე მშვენივრად იყენებს იმას, რაც მისთვის უფროს მეგობრებს უსწავლებიათ. ბუნებისა და პეიზაჟის მისეული აღქმაც, ამ პეიზაჟებიდან ძალზე დახვეწილი ეტიუდების შექმნაც — ყოველივე ეს მიგვანიშნებს ქართველ პოეტთა უფროსი თაობის შემოქმედებითს მეთოდზე.

მე არ მოვიტან ციტატებს მისი პირველი წიგნიდან. ამ წიგნის შემდეგ პოეტი დიდად გაიზარდა და ეს უმთავრესია. მას ძალზე მოეწიფებულა, დახვეწილი მზერა აქვს, მრავალ რამეს შენიშნავს ხოლმე ისეთს, რაც ჩვეულებრივი მხერისთვის ძნელად შესამჩნევია. ყველა ქართველი, ყველა აღმოსავლელი პოეტის მსგავსად, მას მრავალი კარგი ლექსი დაუწერია დედამე, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ამბავი დიდ დამსახურებად არ ჩათვლება, რადგან დედობა თემა ჩვენს ლიტერატურებში საკმაოა და მუშავებული.

აქ ქება-დიდება შეასხეს „უშას“. მეც ვეთანხმები ამგვარ შეფასებას. სიყვარულის აღწერაში მან გაუსწრო კიდევ თავის მისწავლებლებს, გარდა გრიშაშვილისა და ლეონიძისა. ჩემამდე უკვე ილაპარაკეს ლექსზე — „ახირებული ფიქრი იმჩემდა“. ამ მხრივ კიდევ მრავალი ლექსის მოხსენიება შეიძლება.

მიხეილ ქველიძის პოეზიაში არ მომწონს ევრეთლოდებული კამერულობა, აკვარელით ზედმეტად გატაცება. ქველიძე ნიჭიერი პოეტი, მისი ფერები მომწონს, რომ შეუძლია ფერწერას მიჰყოს ხელი, ის კი მხოლოდ აკვარელს ხმარობს. ეს კარგია, მაგრამ საკმარისი სულაც არ არის.



მე წავიციოთ ნაწყვეტები მისი ახალი პოემისა. ჩემის აზრით, მას შეუძლია ძალზე კარგად იმუშაოს. მაგრამ ზოგჯერ ხელს უშლის ის გარემოება, რომ კარგ ლექსს დაწერს და ცივად კი დაამთავრებს ხოლმე. მშვენიერი ლექსია დედისადმი მიძღვნილი, მაგრამ აბა ნახეთ, როგორ მთავრდება:

„მე ხომ ამ ქვეყნად ამდენი შევქმელ — ხალხმა მიწოდა ბუნების მხსნელი...
ამაყი ვოლგა დონს შევასვედრე,
ვაკვდი სტიქიის ძალთა მაყარი,
წამოდექ, დედა, მიწას გახედე,
იხილე ჩემი ნაამბავარი!...“

ამას მოსდევს გულცივი სტრიქონები, თითქოს ქვლივიძის კი არა — სხვას დაწეროს.
„წამოდექ, სიკვდილს ვინ მისცა ნება,
ნათელი სული შევანმოს დილუგს,
დედებს ჩაეჭიროთ სიცოცხლის გზება
და მორჩილება მოკვთხოვოს შეილებს?!“
საიტირია, რომ კარგ ლექსებში ზოგჯერ ამგვარი ადგილებიც გამოერევა ხოლმე.

(**მ მ ა ა დ გ ი ლ ი დ ა ნ :** — მშვენივრადია ნათქვამი).

არა, როგორღაც ცივადია დაწერილი.

(**მ მ ა ა დ გ ი ლ ი დ ა ნ :** — არა, ვერ დავგონებებით, კარგად და მართებულადაა ნათქვამი).
უნდა თქვას, რომ მრავალი კარგი ლექსი, კირსანოვისა და ჩემს მიერ აქ დასახელებული, ჩვენს დედებზე დაწერილი, მაგრამ ქვლივიძემ მიინც ვერ შეძლო დაწერა არადეკლარაციული, პირდაპირი ლექსები თანადროულბაზე.

(**მ მ ა ა დ გ ი ლ ი დ ა ნ :** — თქვენს მიერ ციტირებული ლექსები არის სწორედ თანადროულბაზე დაწერილი ლექსები!).

არაპირდაპირი.

(**მ მ ა ა დ გ ი ლ ი დ ა ნ :** — აიღეთ აგრონომზე დაწერილი ოთხი სტრიქონი. განა ეს თანადროულბის ამსახველი პირდაპირი ლექსი არაა?).

ამ ოთხ სტრიქონს პირობით შესაძლოა ვუწოდოთ პირდაპირი ლექსი. მაგრამ როგორ იძუდრება ეს ლექსი ასი წლის შემდეგ?

(**მ მ ა ა დ გ ი ლ ი დ ა ნ :** — შევხვედეთ ერთიმეორეს ასი წლის შემდეგ და მაშინ ვნახავთ!).

მაშ ეს კამათი ასი წლის შემდეგ ვაგავრძელოთ!..

მე დიდი სიამოვნებით ვილაპარაკებ ოთარ ქვიციანი. პ. ანტოლისკიმ გულში თქვა — ქართულ პოეზიაში პოემები ცოტააო. რატომ? უფროსი თაობის ყველა ქართველი პოეტი ცნობილია კარგი პოემებით, ახალგაზრდათაგან კი, თუ ქულისძის აგვდობთ, ამ მხრივ ისიც პროდუქტიულია. ეს ხომ უძნელესი გზაა. ჩვეულებრივ, პოეტები 40-50 წლის ასაკამდე ლირიკულ ნაწარმოებებს წერენ და მხოლოდ შემდეგ დავეჭვრდები ხოლმე — შეგვიძლია თუ არა პოემის დაწერაო.

მე არ ვეთანხმები იმ აზრს, თითქმის „მშვენიერად“ ჯაოს ჯარისკაცი“ ცუდი პოემა იყოს. მე მომწონს ეს პოემა. რა მშვენიერი ჩანადირია: გიპირბრველად გემით მიემგზავრება, მეორედ კოსაქართველოდან ყირიმში წერგები მიავტეს.

მაგრამ, რასაკვირველია, პოემებს ბალადები სკარბობს. ბალადებს ხშირად წერენ, მაგრამ ხშირად ბალადები სიუჟეტურად მეორდება, ამასთან რალენიერი სენტიმენტალურ-მორალიზებული დაბლოკებით გვეკვლინება ხოლმე. საგულისხმოა კია, რომ თვით ნაწარმოები ბრძნულია ქვიციანური.

რას შეეხება ბალადა „ხვამლის საიდუმლო“? გამოკვებულეში ინახება საქართველოს განძეულია. იქვე ახლოს ცხოვრობენ ბაბუა და შვილიშვილი. ერთხელ დამით ბაბუას ვაგვდივა და შვილიშვილი ვეღარსად ნახა. რალაც მოხდაო, ფექრობს ბერიკათი. თურმე შვილიშვილს სოფელი გოგო შეჰყვარებია, მასთან წასულა დათან შევეკარებულსთვის სანქტად მარგალიტის ძაფი ვაუკულებია. აქ წარმოქმნება მშვენიერი თება სამშობლოს წინაშე მოვალეობისა და სიყვარულია. მკითხველს ამ ბალადის წაკითხვის შემდეგაც დიდხანს ფიქრობს მასზე.

ან ავიღოთ მეორე, კემშარიტად საოცარი ბალადა, რომელიც მე ძალიან მომწონს. ამ ბალადას „ორი მარაბელი“ ჰქვია. დიდებულა, პოეტი რომ გზად ხვდება ყაჩაღებს და შემდეგ ყაჩაღი ხურჯინს გასნის; ისინი ზედან, სვამენ, საუბრობენ და აღმოჩნდება, რომ პოეტს ყაჩაღის სახით მახლობელი ადამიანი უბოვია, ხოლო ყაჩაღი ზალხთან ახლოს მდგარა; ე. ი. აღმოჩნდება, რომ ორივე გაქციეია ძალადობას და სამშობლოს სამახურისთვის უხურთ გული.

ძალიან ნიჭიერადაა დაწერილი „მკედლის სიკვდილი“. მკედელს სიკვდილი ცელავს მის მიერვე გამოქვდილი ცელით, მისი ხელით გაკეთებული ნიხით ვაუთხრიან მკედელს საფლავს, კუბოს ფიცრებსაც ამავე მკედლის მიერ დაკვდილებული ხერხით ხერხავენ. მკედლის სიკვდილის შემდეგ რჩება მრავალი სვანია, რომლებიც მას ხალხისთვის დაუტოვებია, ე. ი. სამშობლოს მისი ვალი დარჩენია.

საქორა ან ბალადებზე (რომლებიც, სხვათაშორის, ძალიან კარგად უთარგმნიათ ელენა ნიკოლავესკაიასა და ირინა სნეგოვას) აქ, მოსკოვში, სპეციალური წერილები დაიბეჭდოს.

მუხრან მაჰავარიანზე გულში ისე კარგად ილაპარაკა პოტაპოვამ, რომ აღარ ვიცი მის ნათქვამს რა დავუშვარო. მე ძალიან მომწონს მისი ნიჭიერი ლექსების შემართება. შემართება საერთოდ დამახასიათებელია მუხრან მაჰავარიანისთვის, მაგრამ ვემიშობ, ეს პოზად არ ვადაექვს... თუ ამის ვარემე შეინარჩუნა შემართება, ძალიან კარგი იქნება. თუ ვაიხსენებთ, ახალგაზრდა მათ-

აკოვსკიმაც და ჩარენცკაც კარგი შემართებით დაიწყეს.

მე არ შემძლია არ წაგიკითხოთ მ. მაჭავარიანის ერთი შესანიშნავი ლექსი, რომელშიც ის ლაპარაკობს დედაზე, ბავშვობაზე... ამგვარი ლექსი ჩვენს პოეზიაში უამრავია. მაგრამ ბავშვობაზე ასე დაწერილი ლექსი ჩემთვის ნამდვილი აღმოჩნა იყო. მე მინდა დაგანახოთ, თუ რამდენად ნიჭიერადაა ის დაწერილი. ამ ლექსს ეწოდება „უხმო ძახილი“:

„ხბოს აბალახებს პატარა ბავშვი;
უხმოდ ვეძახი: — მუხრან!,
ესმის...“

ყოველმხრივ აცეცებს თვალებს;
ირგვლივ არავინ არ ჩანს.

— მომეჩვენაო! —

იტყვის...

მშვიდდება...

კვლავ დავეუძახებ: — მუხრან!..
თვალებს კვლავ ირგვლივ მიმოატარებს;
ირგვლივ კვლავ არავინ არ ჩანს
და...

საიდანაც ხმა მიეყურა —
გამოიქცევა იქით...

მორბის...

გზადაგზა დიდდება ბავშვი...

მიახლოვდება...

მორბის...

წვერი ამოდის...

ტანი ეზრდება...

თანდათან ახლოს მოდის...

თოვს...

მორბის მიინც...

წვიმს...

მაინც მორბის...

ყინვაა...

მორბის მაინც...

და დიადდება უფრო და უფრო,
რაც უფრო ახლოს მოდის...

გადიან დღენი...

გადიან თვენი...

სწრაფად გადიან წლები...

(სულ თხუთმეტ წუთში,
სულ თხუთმეტ წუთში, —
წელი გავიდა ოცი)

აი, კიდევაც მომიახლოვდა...

აი, სულ ახლოს არი...

და...

თითქოს შიშინარს გამომეღვიძა, —
ჩემს გარდა არავინ არი“.

დიდებული ლექსია. აღარ განვგარძობ მ. მაჭავარიანის ლექსთა ციტირებას. პოეტი მშვენივრად უმღერის ადამიანებს და, როგორც ნიჭიერ კაცს შეჰყურის, მრავალ ისეთ რამეს შენიშნავს ხოლმე, რასაც ჩვეულებრივი ადამიანი, არაპოეტი, ღრმა მოხუცებულობამდე ვერ შეამჩნევდა, მ. მაჭავარიანს გამჭრიახი მზერა აქვს.

მე ვამთავრებ ჩემს სიტყვას. უნდა განვაცხადო, რომ ქართული პოეზია სანაქებოა. მ. მაჭავარიანის, როგორც ახალგაზრდა პოეტის, მაგალითი კიდევ ერთხელ ამტკიცებს ამ აზრის სისწორეს...

სახელი და დიდება ამ პოეზიას და არა მარტო პოეზიას, არამედ ქართული ლიტერატურის ყველა დარგს, რომელსაც ასეთი ნიჭიერი მემკვიდრეები გამოუჩნდნენ.

გვგორკ მინი

ხალხის საყვარელი ჰომეზი

შეუძლებელია კაცმა დაწერილებით ილაპარაკოს ქართველ პოეტებზე. და ამ აშბავში თვით ქართველსავე პოეტებს მიუძღვით ბრალი: მათ ერთობ მძლავრი პოეზია ჩამოგვიტანეს. სხვათა შორის, მაღლობა უნდა მოვახსენოთ აგრეთვე გამომცემლობა „ზარია ვოსტოკასაც“, რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა თავისი ამოცანა და ამ მხრივ დეკადაც შესანიშნავად მოაწადა. ჩემის აზრით, ქართველ საყვარელ მართებულად მოიქცა, როდესაც გაგზავნილი შეიდი წიგნიდან შეარჩია მისთვის ყველაზე მეტად მახლობელი წიგნები და მხოლოდ მათ შესახებ გვესაუბრა.

პირადად მე, ჩემს სამუშაო მაგიდას რომ მივიუჯდებო ხოლმე, ქართულ პოეზიას განვიციდი ამ დღეებში მომუშავე ერთი დიდ, გოლიათური ძალის მქონე, გენიის რუს პოეტად, რომელიც

გავლენას ახდენს ჩემზე. მაგრამ ეს იმიტომ კი არ ხდება, თითქოს მე გიორგი ლენინძეს ზიზონ ჩიქოვანისაგან ვერ ვარჩევდე, ირაკლის — გრიგოლ აბაშიძისაგან, ხოლო გლაკტონ ტაბიძეს — დანარჩენთაგან; ან კიდევ არ მესმოდეს ალიო მირცხულავას, ალექო შენგელიას, ალექსანდრე გომიამვილის, კარლო კალაძის თავისებურებანი, არ განავსხვავებდე იოსებ ნონეშვილისა და რევაზ მარგინის, ღრიდონ ხალვაშის, ოთარ ჭეღლიძის, მუხრან მაჭავარიანის, ხუტა ბერულავას თუ მურმან ლებანიძისა და სხვათა მშობლიურ ჰანგებს. არა, ყოველივე ეს ჩემთვის გასაგებია, მაგრამ შემოქმედებითად ჩემთვის ყველაზე რადიანარი ერთიანობაში წარმოსდგებიან. რა არის ეს ერთიანობა? მშვენივრად თქვა კირსანოვმა — ეს ახლის გრძობა გახლავთო. აი, ეს აერთი-



ნებს ქართველ პოეტებს. მოდი და კონკრეტული იყავი ასეთი მდიდარი პოეზიის განხილვისას! რომ აღარაფერი ვთქვა რ. მარგინის წიგნებზე, რომელთა რედაქტორობაც მომიხდა, და ი. ნონევილზე, რომლის წიგნი სულ უკანასკნელ ხანს გადმოცემა, მე ვიცნობ ქართველ პოეტთა ყველა წიგნს, თუმცა ეს წიგნები განსახილველად ჩემთვის არ გამოვუგზავნიათ.

მე წავიკითხე მ. მაკავარიანის წიგნი, თარგმნილი ეგვიპტე ეპტუშენკოს მიერ. კოვალენკოვისაგან განსხვავებით შთაბეჭდილება არ გამწვანებია. მე ველავადი. ეს არის მკაფიო, თვითმყოფადი პოეზია.

წავიკითხე აგრეთვე გოლუბკოვას მიერ თარგმნილი ფრიდონ ხალავის წიგნი — „აქარულე-ბა“, ს. ჩიქოვანის, ი. აბაშიძის ლექსთა თარგმანები. რა ვაძნობა გამომინდა? წვრილმანებზე რომ არაფერი ვთქვათ და სათარგმნი დროის სიმძირეც რომ გაითვალისწინოთ, შეიძლება დავასკვნათ: მაღლობს მოვასხენებთ მთარგმნელებს! (შეგეძინა ადგილი დან: მართალია! ტაშ).
 თანადროული პოეზიის მთარგმნელი ნამდვილი შემოქმედია. ქართული პოეზიის შესწავლისას შეუძლებელია მთარგმნელია მაღლივი არ დარჩეთ. მე მხოლოდ ისეთ მთარგმნელებზე კი არ ვლაპარაკობ, როგორც არიან პასტერნაკი ან ზაბოლოცი, არამედ ოკუნევეც, ნიკოლაევსკაინზე, გოლუბკოვასა და კრონპაულსზეც, რომელნიც სულსა და გულს სდებენ თავიანთ თარგმანებში.

ამასთან დაკავშირებით ვიტყვი: ჩვენ იმ ამბავს კი არ უნდა ვებრძოლოთ, რომ ნათარგმნ ლექსში მთარგმნელის მანერა შეინიშნება ზოლმე, არამედ იმას, რომ ჩვენში დამკვიდრდა თავისებური „სათარგმანეული“, „საშუალო სტატისტიკური“ ლექსი. ამ ლექსს უნდა ეებრძოლოთ. როგორ იქნება პოეტმა საკუთარ თავზე აიღოს ხელი? ჯერ ერთი, ის მუდამ თავისთან ახლოს მდგომ პოეტს არჩევს სათარგმნად და, როგორც ვიცით, დიდ წარმატებებზე ჩვეულებრივ ასეთ მდგომას მოჰყვება ზოლმე. ამის ნიმუშია პასტერნაკისა და ზაბოლოცის თარგმანები. რა გამოვიდოდა, მ. მაკავარიანი რომ ნეიტრალური ლექსით ეთარგმნათ? ჩემის აზრით, ეგვიპტე ეპტუშენკოს მიერ გაწეული შრომა დიკსია ყოველმხრივ შექმნილია.

აქ ბევრი რომ ითქვას იმის თაობაზე, თუ რა ძალუმი რამ არის ქართული პოეზია. ამის შესახებ ძალზე ცოცხლად, ლაზათიანად, საქმის ცოდნითა და სიყვარულით ილაპარაკა პ. ანტოკოლსკი. სხვებმაც მრავალი რამ ვეითხრეს. მე თავს უფლებას მივცემ ჩვენს სტუდენტს რამდენიმე წუთი კიდევ წავაბრუნო, მათთვის კი არა, ისევ ჩემთვის, რუსულ პოეზიისთვის. მე ვფიქრობ, ხანა უნდა გავსვას ქართული პოეზიის ერთ თვისებას, რომელსაც დიდი ყურადღება უნდა

მიაციონ რუსმა პოეტებმა — ამით ისინი ბევრ რამეს შეიძენენ. ეს გახლავთ მაღალმატრატულია, მაღალპოეტურობა ქართული ლექსებისა. ჩვენ ვიცით — გ. ლეონიძის ცნობილი ლექსებით დაწყებული და ს. ჩიქოვანის უკანასკნელი ლექსებით დამთავრებული — ქართველ პოეტებს არ უღალატნიათ პოეზიის გამომსახველობითი საშუალებებისათვის. ეს პოეტური ძალა ერთობ ყურადსაღებია და ნიშანდობლივი მოვლენაა.

მე მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ, მხოლოდ წელს გავცანი კარგად ერთ ქართველ პოეტს, რომელიც, სამწუხაროდ, ნაკლებადია ცნობილი; ეს გახლავთ გ. ქუჩიშვილი. იგი რეველუციური ტრადიციების მქონე პოეტია. იგი შესანიშნავი პოეტია და თავის ლექსებში ერთი წუთითაც არ დალატობს პოეზიის გამომსახველობითს საშუალებებს, შემოქმედების ძალას არაეისაგან არ სესხულობს. იგი მთლიანად ლექსის, პოეზიის ფარგლებშია მოქცეული.

იოსებ ნონევილის წიგნზე მუშაობისას მე გული გამიხარა იმ ამბავმა, რომ ქართველი პოეტები დიდ სიძნელეებს სძლევენ პოეზიის გამომსახველობით საშუალებათა მეოხებით. ეს შესანიშნავი თვისებაა, ხელისხელ საგულმანებთვისება ქართული პოეზიისა. ჩვენს რუსულ პოეტებში ზოგჯერ (განსაკუთრებით ამ ბოლო ხანს, როცა გვიდობობ თანადროულობის საკითხებით გავმსჯელოთ ჩვენი შემოქმედება) თავს იჩენს ხოლმე ძალზე გაშიშვლებული, სქემატური, პოეტური საშუალებებით ვერადამუშეული, დეკლარაციული პოეზია. ზოგჯერ კითხულობ და გიკვირს — რაღა საჭიროა რითმიანი ლექსით წერა, როდესაც არსებობს აზრთა გადმოცემის ნორმალური საშუალება — პროზა? რაღა საჭიროა ლექსებითა — ფიქრებ ზოგჯერ აღამიანი.

რით მიიპოვა ბლოკმა მკითხველთა სიყვარული და პატივისცემა? უწინარეს ყოვლისა — აზრითა და გრძნობით. ახლა ჩვენში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით პოემებს, რომლებიც გალექსილი მოთხრობას წარმოადგენენ და მეტს არაფერს და ეს ამბავი ნორმალურადაც კი გვეჩვენება ზოლმე. ამ პოეტის დამკვიდრებას ჩვენ დიდად გვიშველიდა ქართული პოეზიის სხენებულ მხრივ გაღწობა.

მე მზიბლავს ის გარემოება, რომ ქართველი პოეტები მუდამ ერთგულნი არიან პოეზიისა, ჩვენი ხელოვნებისა, ამაყობენ ამ პოეზიითა და ხელოვნებით. იქნებ ამიტომაცაა, რომ ზოგჯერ საუკუპანოც კი ხდება — არის თუ არა ქართულ პოეზიაში თანადროულობა? გარეგნულად, ერთი შეხედვით თითქმის არც უნდა იყოს. მაგრამ კირასანოვმა მართებულად შენიშნა, თუ რა ძალუმი ექნის ამ ლექსებში შემხარბი პოეტურობა. ეს დასაფასებელი ამბავია, ამის წყალობითაა ქართულ პოეზიაში ასერიგად დამკვიდრებული პოე-

ტურობის გამომსახველობითი საშუალებანი და ხერხები.

ჩემი თვისების დამთავრებისას ერთხელ კიდევ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ქართული პოეზია განამტკიცებს რწმენას პოეზიისას.

ერთხელ, ამ წლისსავე წინათ, „ლიტერატურნაია გაზეტაში“ ამგვარი რამ ამოვიკითხე: მომხსენებელმა აღნიშნა, თუ როგორ ქვეითდება პოეზია. ჩემის აზრით, ის მომხსენებელი სა-

ქართველში უნდა გაგვეზავნა და ბევრ რამეს საულისსმოს შეიტყობდა. ჩვენ პატივს უნდა ვცემოდეთ ჩვენს თანამომევეს, ქართველ პოეტებს იმის გამო, რომ მათი პოეზია ესოდენ უყვართ საქართველოში. ეს სიყვარული სწორედ ქართველ პოეტთა შრომის შედეგადაა მოპოვებული. მე ისღა დამარჩენია, ქართველ პოეტებს მივულოცო, რომ მათ დაუმსახურებიათ ასეთი სიყვარული.

მიხილ ლუკონინი

პარტიული პოპულარული ღილი წვლილი

სადეკადოდ მე წავიკითხე ერთი პოეტური კრებული და სამი პროზაული წიგნი. ამ მასალის მიხედვით ჩვენს შეხედულებას ქართულ საბავშვო ლიტერატურაზე მრავალი კარგი რამ შეემატა. ყველამ ვიცით, თუ როგორ უყვართ ბავშვები საქართველოში, ვიცით, რომ სრულსაკონიანსა და ხანდაზმულ ქართველ პოეტებს ხშირად „სული წასძლევი“ ხოლმე რაიმე საბავშვო ნაწარმოების შესაქმნელად. ხსენებულ კრებულშიაც იგრძნობა ბავშვთა სიყვარული. ეს უმკველად ყურადსაღები მოვლენაა.

ამ კრებულში დაბეჭდილია მრავალი პოეტი, რომელთაც სულ სხვადასხვაგვარი კილო აქვთ. ეს ამავე მთარგმნელებს კარგად გაუთვალისწინებით და ყველა პოეტისათვის თავთავისი კილო შეუნარჩუნებიათ. მაგრამ, ჩემის აზრით, ამ პოეტთათვის საერთოდ მოიძებნება. კრებულში შეხვდებით ენარის თვალსაზრისით საკმაოდ გამოუყვეთელ ნაწარმოებებს, აქსავშირთ ამებნიცა და ქრესტომათიაში დასაბუქდე — ლექსები სამშობლოსა და ხალხზე. მათ შორის მე გამოვარჩევი ირაკლი აბაშიძის ორ ლექსს — „ჩვენი გერბი“ და „მომკალს ეძახის თავთავი“.

ამ ლექსებში, კლასიკური პოეზიის ტრადიციებისამებრ, მოცემულია ლაკონური და დამაფიქრებელი ქვეტექსტი. ჩემის აზრით, საჭიროა მათი შეტანა ქრესტომათიაში; ყოველ ბავშვს ბევრ რამეს შესძენდა ბუნებასა თუ შრომაზე დაწერილი ამგვარი ლექსების კითხვა.

კრებულში მოთავსებული მრავალი ლექსი დაწერილია სახუმარო კილოზე, ქართულსათვის დამახასიათებელი იუმორით. მათში იგრძნობა ხალხურობა. ეს განსაკუთრებით შეინიშნება ნორთათვის დაწერილ ლექსებში. მოვიხსენიებ ერთ მათგანს — მარიჯანის „ბედურების კვებას“. ამ ლექსში იგრძნობა ეროვნული კოლორიტი. რამდენი რამ არის ნათქვამი ათიოდე სტრიქონში! ნათქვამია ბაღურად, მშენივრად!

მე მინდა შევეხო ერთ საკითხს, რომელიც მუდამ წამოაიჭრება ხოლმე საბავშვო პოეზიაზე საუბრისას. საქმე ეხება იმ ამბავს, თუ რა ითქმება ნაწარმოებში ბავშვის პირით და რა — ავტორისა. რასაკვირველია, ბავშვის ნაცვლად ზოგ-

ჯერ ავტორი ლაპარაკობს ხოლმე, მაგრამ ლაპარაკობს ბავშვის კილოზე. მგალითად ავიღოთ ლექსი, რომელშიც სამი წლის ბავშვი ამბობს — ჯერ ათამდე თვლაც არ ვიცო, მაგრამ საბავშვო ბაღში შემოვიყვანე და ვისწავლო სიტყვების წერას, აგრეთვე იმასაც, თუ რაჯერ ორი რამდენიაო.

რა თქმა უნდა, ნება ავტორისაა, მაგრამ მე მგონია, რომ სამი წლის (და, თუ გნებავთ, ხუთისაც) ბავშვი უფრო ბავშვურად ლაპარაკობს ხოლმე. აქ უფრო სხვაგვარი, უფრო ცოცხალი და დაუღვრებელი კილო უნდა იყოს. ლექსის ენა მშრალი არ უნდა იყოს, უნდა იგრძნობოდეს, რომ ამის ამბობს სამი წლის ბავშვი და არა თხუთმეტ წელს მიღწეული ყმაწვილი. სასურველი იყო აგრეთვე, რომ მეტი ყოფილიყო ღიმილი.

მიინც რა გვახარებს ამ კრებულის კითხვისას? უწინარეს ყოვლისა ის, რომ კრებული თემატურად მრავალმხრივია, აგრეთვე ისიც, რომ ავტორებს ესმით, თუ რა უნდა მოუთხრონ ბავშვებს და რა არა.

თხუთმეტ წელს აქვს ლექსი „მიყიდე“. ჩვენ ვიცით, თუ როგორ შეუჩნდებიან ხოლმე ბატარები უფროსებს ამგვარი თხოვნით. და აი, ლექსის ავტორმა გაიგონა ეს სათხოვარი, ხოლო ჩვენ მანამდე ამგვარი რამ ვერ გავიგონეთ. ს. მიხალკოვი უმკველად იტყვის: რატომ მე ვერ მოგვარი თვალი ასეთ რამეს და სხვათა კი დანიხაო. ყოველ შემთხვევაში, ვერც ერთმა საბავშვო პოეტმა ამგვარი რამ ვერ დაწერეთ, ვერ გავიგონეთ ჩვენი ბავშვების მიერ წამდაუწუმ ნათქვამი ხსენებული სიტყვა. როგორ მთავრდება ეს ლექსი?

„კმარა, ჩემო შვილიყო,
კმარა, თორემ იცოდე,
ნამდვილ სახელს წაგართმევ
და „მიყიდეს“ გიწოდებ!“

აქ იგრძნობა ბავშვის ფსიქიკის ცოდნა და დაკვირვების დიდი სისუსტე.

რა თქმა უნდა, ამ კრებულში შედარებით უფრო სუსტი ნაწარმოებებიცაა, მაგრამ ძნელი სათქმელია, თუ რა არის ამ ნაწარმოებების ნაკლოვანებათაგან ავტორისეული და რა — მთარგ-



წმელისეული. ესეც არ იყოს, დღეს არც ღირს ცალკეულ წვრილმანებზე ლაპარაკი, მთლიანად კრებული კი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. ეს კრებული, როგორც საქართველოს მიერ გაბეჭდილი დიდი წვლილი, შეიძლება შევიტანოთ ჩვენი საბავშვო ლიტერატურის ოქროს ფონდში, სადაც ის საპატიო ადგილს დაიჭერს. სასიხარულოა, რომ ქართველ ბავშვებს ასეთი კარგი პოეტები ჰყავთ.

კარგი ლექსი აქვს გ. ქუჩიშვილს — „მღვსავი ბელქისი“. აქ გაისმის მკაფიო ხმა, დასამახსოვრებელი ინტონაცია. ჩვეც არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქმე პოეზიას ეხება და ამდენად ოსტატობაზე უნდა ვილაპარაკოთ. პოეტურ ოსტატობას თან ცოცხალი ინტონაცია უნდა სდევდეს, ამ კრებულში კი სწორედ ქართველ პოეტთა ცინცხალი ხმები გაისმო.

ახლა პროზის თაობაზე. მე წვეიკითხე სამი წიგნი — ი. ურჯუმელაშვილის „სუვიორველები“, გ. შატბერაშვილის „სათაფლია“ და ნ. ნაკაშიძის „სუნჯა“. მე მომეწონა ეს წიგნები.

უწინარეს ყოვლისა, „სათაფლია“ ძალიან საინტერესო საკითხავია. მე მისი კითხვა დავიწყე, როგორც ლექსების მონაწილემ, მაგრამ შემდეგ წიგნმა აიძვინა გამიბატვა, რომ დამეფიქვდა ეს ამბავი. აქ არ სჭარბობს სათავგადასავლო მხარე, ეს არაა ისეთი თავგადასავალი, რომელიც ბავშვებს აიძულებს სასთუმალქვეშიდან „ოგონიოკი“ გამოაძვირონ და, დაასრულონ მოთხრობა, რომელიც უმთავრესად სისხლის სამართლის გამოძიებაა წინა პლანზე წამოყვანილი. ამ წიგნში სისხლის სამართლის დანაშაულობათა საიდუმლოებაზე უფრო საინტერესო საიდუმლოა. არ მინდა გამოძიებულეს ვაყენინო, მაგრამ ამგვარი რომ უფრო საუფლისხმოა, და სასურველი იქნება, რომ ჩვენი ბავშვები გაიტაცოს ამგვარმა საიდუმლოებებმა.

ჩვენი რატომღაც ასე ფიქრობენ: რაკი ნაწარმოებში სათავგადასავლო ამბავია მოთხრობილი, აუცილებელი აღარაა ხასიათების გამოძერწვა, ფსიქოლოგია, ოლონდ კი 150 პროცენტაინი თავგადასავალი იყოსო. ამ ნაწარმოებში კი ბიჭების ხასიათებიც გამოყვეთილია, ხორცშესხმული ბებიაც მოქმედებს, საუბარიც ბუნებრივად მიიმართება და ბავშვური კოლეც კარგადაა დაკვირვებული. ძალზე მომწონს ბებიას დარეჯანი. მართალია, ის ეპიზოდურად გამოჩნდება ხოლმე, მაგრამ ავტორი მუდამ მარჯვე სიტყვებს პოულობს მის დასახატავად, ბებიას ხასიათი მკაფიოდა გამოძერწილი.

ძალიან საინტერესოა მოთხრობა „მტკვრის სათავისაყენ“. აქ ლაპარაკია კალმანებზე. ეს არის ავტორის ბედნიერი მინაჯნები. ეს თითქოს ზღაპარიცაა და არც არის ზღაპარი, რაღაც ახალი

ფორმა გამოქმნილი ამბის მოსათხრობისათვის. მოთხრობა ყველაზე ძლიერია მიველ წიგნში. მასში ყოველივე მოთხრობილია კალმანების თვალსაზრისით. საბავშვო მწერლებს ხშირად აუღაპარაკებიათ პაპები, დიდებულები, ბავშვები, ძაღლები თუ კატები. ბევრნი არი თვალსაზრისით ყოფილა ლაპარაკი საბავშვო პოეზიაში, მაგრამ როდესაც კალმანები ალაპარაკდნენ, ეს ამბავი მოულოდნელიც გამოდგა და გაბედულიც.

პირდაპირ შიში შეიგპარობთ, როდესაც კალმანები ადამიანის ხმით ალაპარაკდებიან — როგორ უნდა დააღწიოს ავტორმა თავი ამ მდგომარეობასო? მაგრამ თურმე კალმანები ბოლომდე კალმანებადვე რჩებიან, მაგრამ ამავე დროს იქმნება ახალი ფორმა, ახლებური ზღაპარი.

„სუვიორველები“ დიდ თემას ეხება. ამ წიგნს აქვს ის ღირებულება, რაც აუცილებელია საბავშვო ნაწარმოებისათვის: ეს განლაზე დანერგვის, გიტაცების უნარი. ბიჭები მას დიდი ვულისყურით წაიკითხავენ. ამ წიგნისა მხოლოდ დასასრული არ მომეწონა.

„სუნჯა“ საინტერესოა წიგნია. მაგრამ თარგმნილია უფრო მშრალად, თუმცაღა კეთილსინდისიერად. ჩვენ ახლა ვეღარ მოვახერხებთ წითელი ფანქარი მოვიმარჯვით და გამოსვლისათვის ვეფქტურთ ადგილები მოვაზოთ. წინათ კი ასეთი რამ ხშირად ხდებოდა, მთარგმნელები ისეთ რამეს შემოგვანებდნენ ხოლმე, რომ ორატორის წარმატება უზრუნველყოფილი იყო. სახედნეროდ, ასეთი ამბები ახლა აღარ ხდება. ხსენებული თარგმანიც კეთილშობილურადაა შესრულებული, მაგრამ მე შეჩვენება, მაინც ცოტათი მშრალია-მეთქი, მეორეა, რომ დედანი უფრო ცოცხლად იქნებოდა დაწერილი.

უნდა აღენიშნო ერთი ამბავი: ძალზე სასიამოვნოა, რომ სადკადოდ მოხერხდა ასეთი კარგი ცნობარის გამოშვება თანამედროვე ქართული საბავშვო ლიტერატურის შესახებ. ჩემის აზრით, არც ერთ სხვა რესპუბლიკას ამგვარი ცნობარი არ ჩამოუტანია. პირდაპირ თავბრუ დამეხვა სიამაყით: აი, ცნობარიც ამას ჰქვია! ამასთან ეს ცნობარი დაწერილია სხარტად და გასაგებად. შემიძლია ვთქვა, მასში მოცემულ ყველა შეფასებას ვეთანხმები-მეთქი. მართალია, ყველაფერი არაა ჩამოთვლილი, ქართველ კოლეგებს თავიანთი თავი ცოტა არ იყოს დაუჩაგრიათ: შეიძლება ბოდა ავტორთა მეტი რაოდენობის ჩამოთვლი, მით უმეტეს, ისეთ საზეიმო ამბავთან დაკავშირებით, როგორც მუდამ არის ხოლმე დეკადი.

მაგრამ მე მინდოდა თვის ზემოხსენებული ფაქტი მაგალითად დაგვესახა ყველა მომავალი დეკადისათვის.



მედიის თემატიკა

საინფორმაციო ბარათი

მოხუცებული ფოსტალიონი დინჯად აღის ხის გრძელ კიბეებზე. ხანდახან ისვენებს კიდეც, შემდეგ წელა მიჰყვება აივანს და კართან ჩერდება. კარი იღება და ფოსტალიონს ღიმილით ეგებება ცისფერთალება ქალიშვილი.

ქალიშვილს ყოველდღე მრავალი ბარათი მოსდის სამკუთხედებუდიანი, თეთრი, მწვანე, ლურჯი და ვარდისფერი კონვერტებით. ამ ბარათებს ჯარისკაცები გზავნიან.

ქალიშვილს დოდოს ეძახიან, გვარად არსენიშვილია. მან წელს დაამთავრა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფ-გეოლოგიის ფაკულტეტი. დოდო ბავშვობიდანვე თბილისში ცხოვრობს. დედაც ჰყავს, მამაც. დედისერთაა. გატაცებულია მუსიკით, პოეზიით, კითხულობს ბევრს. ჰყავს მეგობრები, ამხანაგები, ნაცნობები... დოდის თბილისის ქუჩებში, თეატრებში, კინოებში, ოცნებობს მომავლის დღეებზე... და ყოველდღე ღებულობს მრავალი ჯარისკაცის ბარათს.

ეს ამბავი ასე დაიწყო:

უნივერსიტეტში გაზეთ „მოლოდინი სტალინის“ კორესპონდენტებმა დოდოს სურათი გადაუღეს და სთხოვეს მიეწერა პატარა ბარათი უცნობი ჯარისკაცისთვის და ახალი წელი მიელოცა. დოდომ მაშინვე დაწერა პატარა თბილი ბარათი. ბარათში იგი იგონებდა მისი და მისი თანატოლების ბავშვობას, როდესაც ისინი ეზოებში დარბოდნენ და „ომბანას“ თამაშობდნენ, ხოლო მათი მამები სიკვდილს ებრძოდნენ და იმარჯვებდნენ. გავიდა დრო. ბავშვები დაიზარდნენ. ახლა დოდოს თანატოლები სამშობლოს დამცველთა რიგებში დგანან, რადგან ჩვენს ქვეყანას ჯერ კიდევ ჰყავს მტრები. ახლა ისინი იცავენ ჩვენს საზღვრებს, რომ მტერმა არ გაბედოს მათი გადმოსახლება. დოდო უცნობ ჯარისკაცს სწერდა, რომ იგი უკანასკნელ სტუდენტურ ახალწელიწადს ხვდებოდა, რომ იგი მოზარდი იქნებოდა, თუ ამ ბედნიერ დღეს მასთან და მის მეგობრებთან ერთად შეხვდებოდა, თუ მაგრად

ჩამოართმევდა ხელს მათ და მათთან ერთად იმდებოდა გულშიჩამწვდომ ქართულ სიმღერებს, თუ დაათვალიერებინებდა თავის მშობლიურ უნივერსიტეტს, სკოლას, სახლს, ქუჩას, სადაც იგი იზრდებოდა, თამაშობდა, უხაროდა და სწავლობდა. დოდო ბარათში იმასაც სწერდა, რომ სასურველი იქნებოდა, თუ სტუდენტები და ჯარისკაცები უფრო ხშირად შეხვდებოდნენ ერთმანეთს და უფრო ხშირად მოაწყობდნენ ერთად მხიარულ ახალგაზრდულ საღამოებს... წერილის დასასრულს იგი ულოცავდა უცნობ ჯარისკაცს ახალ წელს და გმირული საბრძოლო არმიის მე-40 წლისთავს და სთხოვდა უსათუოდ მოეწერა საპასუხო ბარათი.

1957 წლის 28 დეკემბერს დოდო არსენიშვილის ბარათი და ფოტოსურათი გამოქვეყნდა გაზეთ „მოლოდინი სტალინის“ და ჯარისკაცული გაზეთის „ლენინსკოე ზნამიას“ ფურცლებზე. პასუხს არ დაუგვიანია.

დოდო არსენიშვილის სახელზე მრავალი ბარათი მოდის უნივერსიტეტის საფოსტო განყოფილებაში, „მოლოდინი სტალინის“ და „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქციაში და პუშკინის ქუჩაზე, სადაც იგი ცხოვრობს.

ციხერთალება ქალიშვილს ბარათებს უგზავნიან სამხედრო სასწავლებლის კურსანტები, დომელიმ ჰე ვარნიზონის რიგითი ჯარისკაცები, სერჟანტები და ოფიცრები, „მობუტები“, რომლებმაც სამამულო ომის ქარცეცხლი გამოიარეს, და ახალბედები, რომლებიც მაშინ პატარა ბავშვები იყვნენ. იყვებიან ის ჯარისკაცებიც, რომლებიც ჯარში ახალწელიწადს პირველად ხვდებიან და ისინიც, რომლებიც ჯარში მეორედ ითენებენ ახალწლის დღეს. ბარათს უგზავნიან ქვეითები, მესაზღვრეები, ტანკისტები, მფრინავები, არტილერისტები, რადისტები, მგზავთურები, ქართველები, რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, თათრები, უზბეკები...

ზოგ ბარათს გულბრწყვილი და გამოუცდელი ავტორი ჰყავს. ყველას ერთნაირად როდი ეხრება სტრეიქონის გამართვა!.. ზოგი ოფიციალუ-



რია და უფრო მაღალფარდოვან სიტყვებსა და გამოთქმებს ეძებს, ზოგი უფრო ინტერმურია და ყველგანფერი ინტერესებს... ზოგის ბარათი პატარაა, ზოგისა — დიდი, ზოგი ქართულად ნაწერია, უფრო მეტი — რუსულად. მრავალი ბარათი გრამატიკული შეცდომებით საგსეა. ბევრია ერთმანეთის მსგავსიც. ზოგი ისევ ბავშვური, სწორი ასოებით წერს, ზოგი კი ისეთი გაკრული ხელი აქვს, ამოკითხვა უჭირს. ბარათების ავტორები დოდოს ხან „თქვენობით“ მიმართავენ და ხან „შენობით“, მაგრამ აღრესატის მიმართ ყოველთვის უაღრესი პატივისცემა, მოკრძალება და მორიდლება იგრძნობა.

კითხულობთ ამ ბარათებს და რწმუნდებით, რომ აღამიანებს ყველაზე უფრო მეტად სითბო სჭირდებათ, თბილი და კეთილი სიტყვა სჭირდებათ. მათთვის აუცილებელია სულიერი მეგობარი, რომელსაც ისინი თავის ოცნებებსა და იმედებს გაუზიარებენ.

დაძაბულობა მხედრული შრომის შემდეგ ხან-მოკლე შესვენების ვამს დაწეროლ ამ მრავალნაირ ბარათებში იგრძნობა ჯარისკაცული პოეზია და რომანტიკა, მხედრული მოვალეობის, არმიული ცხოვრების უსაზღვრო სიყვარული. ამ ბარათების ავტორებს უყვართ ის აღამიანები, რომლებთანაც თავის ჭინსა და ვარამს იყოფენ და აფასებენ იმ სამოსელს, რომელიც მათ დროებით აცვიათ.

მთესველი სტოვებს ამოსულ ჯეჯილს, მუქდელი — თავის სამუქდლოს, მუშა — თავის ქარხანას, მშენებელი — შენობის ასაგებად აღმართულ ხარაჩოებს.

მხიარული ცეკვითა და სიმღერით აცილებენ მათ სოფლის ბოლომდე ან სადგურამდე მშობლები, დები და ძმები, გულის ტოლები, ნათესავები, მეგობრები...

და მერე სადღაც ახლოს, სადღაც შორს, დღისით და ღამით, მთებში და ველებზე, სამხრეთისა და დასავლეთის საზღვრებთან, ქარში, თოვლსა და წვიმაში დადიან ისინი — საბჭოთა ჯარისკაცები — გუშინდელი მთესველები, გუშინდელი სტუდენტები, გუშინდელი მოსწავლეები, გუშინდელი მუშები და გუშინდელი მშენებლები...

მათ ნაცრისფერი ფარაჯები აცვიათ, მხრებზე შაშხანები ჰკიდიათ, წელზე ბრტყელი ქამრები აქვთ შემოჭერილი და ქამარზე პატარა ბარები და წყლის მათარები აქვთ მიმაგრებული.

ისინი პატივს სცემენ თავიანთ სამსახურს, გულმოდგინედ ზეთავენ დაზვის ტყვიამურჭვევებს, ავტომატებს, შაშხანებს, ხავერდის ნაჭრით იბრიალებენ ჩექმებს, ცარცის ნატებით — ხალათისა და მაზარის დიდებს, ქამრის ბალთებს, ქულზე მიმაგრებულ ხუთქიმიან ვარსკვლავებს. შესვენებისას უკრავენ გიტარას, გარმონს, მან-

დოლინას, ბავის ჰარმონიკას, მღერიან მღერისებრ თვალემა ქალიშვილებზე, რომლებიც მათ სოფელში ელოდებიან. და გულისძგერით ხვდებიან ყაზარამში შემოსულ ასეულის ფოსტალონს.

ღამით კი, როდესაც მდუმარება ისაღვრება, რიანისისა და კალუგის ველებიდან წამოსული ქაბუტები ფიქრობენ იმათზე, ვინც სოფლის ბოლომდე გამოათილეს ისინი.

მაგრამ დღისით ჯარისკაცებს ჯარისკაცული ოხუნჯობა და „მხარკის“ ვაბოლება უყვართ. ისინი მიდიან ლაშქრობებში, მიაბაჯებენ მუხლებამდე ტალახში

და წინ მიუძღვებით ოცუელის მკაცრი მეთაური, რომელიც იქნებ სულაც არ არის მკაცრი...

მათს ოფლიან ზურგებს ეკვრის ხაკის მწვანე ხალათი, ისინი თავის თავში ზრდიან სიამაყესა და გამბედაობას, თხრიან სანგრებს, არღვევენ „მოწინააღმდეგის“ მავთულხლართებს,

„აფეთქებენ“ „მტრის“ ტანკებს, საცეცხლე წერტებს, ბლანდავებს,

და ეუფლებიან საბრძოლო ტექნიკას, სამხედრო ხელოვნებას.

ისინი ვარგენულად თითქოს პირქუშები არიან, მაგრამ ნახი და აღერსიანი გული აქვთ. მათ გულს ახარებს ვაზაფხულის პირზე საწინდარი ქვემეხებთან ან საარტოლოგითა პოლიკონებზე ამოსული ენძელა და ზშირად ყაზარმის ფანჯრებთან მოიყვივებ ბელურებს ბურის ნამცეცხესაც უყრიან...

ეს სინაზე არსად არ მელაენდება ისე, როგორც ბარათებში. ისინი თავიანთ ოცნებებს უმხელენ უცნობ ქალიშვილს, რომელიც ვაზეთის ფურცლებიდან უღიმის მათ. ჯარისკაცებს აინტერესებთ დოდოს ყოველდღიური ცხოვრება, მისი ყოველდღიური წვრილმანი.

„მე წარმოვიდგინე თქვენი უნივერსიტეტი. ლექციები მთავრდება და აუდიტორიებიდან გამოდიან ჭლარა პროფესორები და მხიარული სტუდენტები“, — იწერება ერთი.

„ფოტოსურათი მიანც ფოტოსურათია, მით უმეტეს ვაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი, მე მინდა გამოვიცნო თქვენი თვალებისა და თმის ფერი, თქვენი ხმა, თქვენი დიმილი, მაგრამ ეს შეუძლებელია“, — იწერება მეორე.

„მე ვაზეთიდან ამოვჭერი თქვენი ფოტოსურათი და ახლა იგი გულისჯებით დამაქვს. იყავით გულწრფელი და მომწერეთ, ვყავთ თუ არა ვინმე. თუ არ ვყავთ, ვისურვებდი, მე ვყოფილიყავი იგი,“ — იწერება მესამე.

ჯარისკაცები ბარათებში ზშირად თითქოს თავისთავს ესაუბრებიან. ისინი უმთავრესად დოდოს თანატოლები არიან და ბუნდოვნად ახსოვთ მრისხანე ორმოცდაერთი, სადგური შუალამისას, მრავალი ხალხი, მატარებლის კივილი,

ცრემლებისაგან დაწითლებული თვალები, ფრონტზე წასული მამები და დაცარიელებული ბაჭანი...

„მე მაშინ ბავშვი ვიყავი და ჩემი თვალებით მინახავს, თუ როგორ ჰკიდებდნენ საბრჩობელაზე ცოცხალ ადამიანებს, როგორ თხრიდნენ გახურებული შანთებით თვალებს და როგორ გაჰყავდათ დასახვრეტად ქალები“, — იწერება უკრაინელი ჯარისკაცი პეტრე აკულენკო.

„ის დრო წავიდა, როცა „ომიანას“ ვთამაშობდით, როცა „წითლებად“ და „თეთრებად“ ვიყოფოდით. ყველას „წითლებში“ გვინდოდა ყოფნა, ამის გამო ხშირად წავეკინკლავდებოდით ხოლმე. ვინც „თეთრებაში“ იყვნენ, იმათაც „წითლებში“ უნდოდათ ყოფნა. მაშინ მართლაც მძინვარებად რამე და ჩვენ მამის ალერსი გვაკლდა. ახლა მეც ჯარისკაცი ვარ. მაშინვე ომში დაიღუბა. ერთი თვის წინ დედაჩემს ჩემი სურათი ვაფუგზავნი. ასე მწერს: ჯარისკაცის ტანსაცმელში მამაშენს ვაგხარო!.. გამეხარდა...“

რა თქმა უნდა, მე რომ ქართული ვიცოდე, ამ წერილს უსათუოდ ქართულად დავწერდი, მაგრამ, სამწუხაროდ, მე ჯერ კიდევ არ ვიცი ქართული, თუმცა მის შესწავლას ძლიერ ვცდილობ, — სწერს დოდოს რუსი ჯარისკაცი ვალენტინ მოსიევი.

„საქართველოში ორჯერ ჩამოვედი, პირველად ევაკუაციის დროს. ბავშვი ვიყავი და კარგად არც კი მახსოვს ყველაფერი. ახლა მეორედ ვარ

საქართველოში, როგორც ჯარისკაცი, და ჩემს სამშობლოს სამხრეთ საზღვარზე ვიცი,“ — იწერება ნოვგოროდელი ვიქტორ ქელანოვი.

„ჩემი ძმა ფეხბურთელია. იგი მოსკოვის „დინამოს“ კარს იცავს, მე კი — ჩემი სამშობლოს საზღვრებს,“ — სწერს ლევ იაშინის უმცროსი ძმა ანატოლი იაშინი.

უცნობი ჯარისკაცები დას, მეგობარს, „გრუზინსკა დივიზიას“ და უძვირფასეს ადამიანს უწოდებენ დოდოს. მათ გულწრფელად სურთ მისი ჯანმრთელობა და ბედნიერება. მადლობას უხდიან გულისხმიერი ყურადღებისათვის და სთხოვენ გაიხსენოს, რომ მაშინ, როდესაც იგი რუსთაველის გამზირზე მიდის და შუაღამეა, როცა შეყვარებულები ნელა შორდებიან ერთმანეთს და აღარ იყიდება საღამოს გაზეთები, როცა თვალს ეფარება უკანასკნელი ტროლიბუსი და ლენინის მოედანზე რეკავს საათი, — სადღაც შორს, სადღაც ახლოს, მთებში და ველებზე, სამხრეთისა და დასავლეთის საზღვრებთან, ქარში, თოვლსა და წვიმაში დადიან ისინი — საბჭოთა ჯარისკაცები — ხვალინდელი მთესველები, ხვალინდელი სტუდენტები, მუშები და მშენებლები...

ჯარისკაცები დოდოს სთხოვენ უპასუხოს თუნდაც სულ რამდენიმე სტრიქონით და ახსოვდეს, რომ მისი ბარათი მათი ჯარისკაცული ცხოვრების კიდევ ერთი პატარა სიხარულია...



ბადაჯიონე მიხრაძე

სასმედი და სარწყავი წყალი ძველ თბილისში

ცნობილია, რომ ძველი თბილისის გარეუბნებში — სეიდაბადის¹, სოლოლაკის, ავჭალის დირსიჭალის, დიდუბის, კრწანისის, ვერისა და საბურთალოს მიდამოებში შესანიშნავი ბალები ყოფილა გაშენებული. ვერიდან წყნეთამდე გრძელდებოდა საუკეთესო ბალები და თვით მდინარე ვერიდან გამოყვანილი არხით ირწყვებოდა აგრეთვე საბურთალოს ველი: „გარნა ვერე წყნეთამდე წალკოტია შეშკული... მისი სამკრით არის ველი საბურთალისა. ამას შინა ყოფილა რუ, ვერიდან მოტანილი, და აჲ უამისოდ უნაყოფო არს“².

ძველი თბილისის ბალების, როგორც გასართობი და დასასვენებელი ადგილების სიმდიდრე და სილამაზე და მათი მომზობლავი დეკორატიულობა (ხეივანები, ტალავრები, მოედნები, ფანჩატურები, შადრევნები, ვარდყვავილნარი, ვენახი და ხეილნარი), ცნობილი და აღწერილია არა მარტო ქართულ, არამედ უცხოურ ლიტერატურაშიც.

ასეთ ბალებში ცალკე ყოფილა გამოყოფილი საყვავილე ადგილები. ქალაქ თბილისს რომ თავისი არსებობის თითქმის მთელს მანძილზე ჰქონია შესანიშნავი ბალები, ამას გვაძენობს ჯერ კიდევ X საუკუნის არაბი ისტორიკოსი და გეოგრაფი ისტაჰრი, ხოლო შემდეგ გამოჩენილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი (1643—1713), ფრანგი ბოტანიკოსი ტურნეფორი (XVII), აგრეთვე ვახუშტი ბაგრატიონი.

¹ „სეიდი“ არაბული სიტყვაა და ნიშნავს „ბატონს“, ხოლო სეიდაბადი — „ბატონთა სამყოფელს“. სეიდაბადის ტერიტორია ძირითადად გოგირდოვანი აბანოების აღმოსავლეთითაა. ვახუშტის დამატებით, სპარსეთის შაჰმა შაჰ-სეფი II-ემ (1629—1642) ძველი თბილისის ტერიტორიაზე სეიდების ტომი დასახლა და ამის გამო ამ მიდამოებს „სეიდაბადი“ ანუ სეიდების სამოსახლო ეწოდა.

² ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თბილისი, 1941 წ., გვ. 54.

ვახუშტი ბაგრატიონის აღწერისა და ტობოგრაფიული გეგმის მიხედვით XVIII საუკუნის თბილისში ყოფილა ბალები: მეფის ასულისა, მამასახლისისა, ქაიხუდასი, მეფის დისა, თბილელისა (თბილისის ეპისკოპოსის), კრწანისისა, თბილისისა, ციხისა, ბებუთისა, ახალი მოედნის, ბეჟანისა...

რაღა თქმა უნდა, ბალები საჭიროებდნენ სისტემატურ მორწყვას, უამისოდ ვერაფერი იზარებდა. ამიტომ ბაღის გაშენებამდე, უპირველეს ყოვლისა, სარწყავი წყლის გამოყვანის საქმე უნდა ყოფილიყო მოგვარებული.

ისმის კითხვა: საიდან შემოჰყავდათ ძველ თბილისში მცენარეთა ნარგავობის მოსარწყავად და სასმელად საჭირო წყალი. რომელი მდინარე ან ხევი იყო ამ მხრივ ძირითადი მასაზრდობელი?

ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, ვახუშტი ბაგრატიონისა და ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის ტობოგრაფიული გეგმების მიხედვით, მოკლედ მაინც შემოვფარგლოთ იმდროინდელი თბილისის საზღვრები: ქალაქის სამხრეთი კედელი ნარჩაილიდან (წავეკისის ანუ დაბახანის ხევის პარალელურად) იწყებოდა, გრძელდებოდა დღევანდელი კომკავშირის ხეივნის მიმართულებით და თავდებოდა სიმაგრით, რომელსაც ვახუშტი „შაჰის-ტახტს“ უწოდებს. ამ სიმაგრის ნანგრევთა ნაშთები დღემდე შემორჩენილია.

შაჰისტახტში ჯერ კიდევ VI—IX საუკუნეში ობსერვატორია ყოფილა. ქართველი მცენარეები ამ ობსერვატორიიდან თვალყურს აღევნებდნენ და სწავლობდნენ ციურ მნათობებს და მათს მოძრაობას.

შაჰისტახტიდან კალს¹ კედელი უხვევდა ქვემოთ, მიემართებოდა ჩრდილოეთისაკენ, დღევანდელი ილია ქუეყანისა და ბუშკინის ქუჩებზე გაყოლებით, და ბარათაშვილის ქუჩის კუთხემდე

¹ კალა იმდროინდელი ქალაქის მთავარი ნაწილი იყო.

გრძელდებოდა. აქედან კი მიჰყვებოდა „ავანანთ-
ხევის“ მარჯვენა ნაპირს, ბარათაშვილის ქუჩის
დღევანდელ მიმართულებას, ჩადიოდა მტკვრის
ნაპირამდე და თავდებოდა იქ, სადაც დღეს ბა-
რათაშვილის სახელობის (ყოფ. მუხრანის) ხი-
დაა. ამ ძველი გალავნის ნარჩენები დღესაც
ჩანს პუშკინის ქუჩის № 27 და 29 სახლებს
შუა¹.

ძველი თბილისის ტერიტორია (ძირითადად
დღევანდელი კიროვის რაიონი) საკმაოდ მაღლობი
ადგილია, აქ ცალკეული ადგილები ზღვის დონი-
დან 370, 400, 450 მეტრის სიმაღლეზე მდებარე-
ობს. მტკვარი მოედინება საკმაოდ ღრმად ჩა-
ჭრილ ხეობაში, საიდანაც წყლის ამოქაჩვა ბა-
ლების მოსარწყავად სპეციალური ტექნიკური
დანადგარების გარეშე (რაც იმ დროისათვის მი-
წვედომელი იყო) არ შეიძლებოდა; უდავოა, რომ
ძველი თბილისის მომარაგება სასმელი და სარ-
წყავი წყლით შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ წყა-
როებით, რომლებიც გამოდიოდა ქალაქის სამხ-
რეთ-დასავლეთით მდებარე მდლობებში (მთა-
წმინდა, ოჭროყანა, წავისისა და კოჯრის მიდა-
მოებო).

ამ ადგილებში არის რამდენიმე საკმაოდ
ღრმა ხევი: „ღუქნების უკანა ხევი“, „ნასოფ-
ლარის ხევი“² და დიდი ხევი. დიდი ხევის ერთი
შტო სოფელ ტაბანელას ჩამოუვლის ჩრდილო-
ეთით, მეორე კი სოფელ წავისიდან მოდის. ამ-
ჟამად დიდი ხევიდან ხევის მარჯვენა ფერდო-
ბებზე გაყვანილია სარწყავი წყალი, ბოტანიკუ-
რი ბაღის საპროექტისათვის.

ჩამოთვლილი სამი ხევის შეერთების ადგილი-
დან ვიდრე ბოტანიკური ინსტიტუტის შენობამ-
დე მდებარე ხეცს ხალხი ეხლა ოჩრახევის ეკა-
ხის, ხოლო ინსტიტუტის შემდეგ მდინარე
მტკვრამდე — ლეღვა ხეცს, ან ზოგჯერ წავის-
ის ხეცსაც ექაზიან ცრთ დროს „დაბახანის ხე-
ვი“ ერქვა.

როგორც აღვნიშნეთ, თვითველი ხევის (ხე-
მით ჩამოთვლილთა გარდა, აგრეთვე მამადავითის
სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ჩამომდინარე „ავა-
ნანთხევის“) კალაპოტში მთელი წლის მანძილზე
გამოდის ბუნებრივი წყაროები და ზუღხულის
პაპანაქება სიცხეშიც კი იშვიათად თუ შრება.
ამიტომ სავარაუდებელია, რომ ძველი თბილისი
სასმელსა და სარწყავ (კვრძოდ, შადრევნების
მოქმედებისათვის საპროექტ) წყალს სწორედ აღ-
ნიშნული ხევიდან მომდინარე ბუნებრივი წყა-
როებიდან იღებდა.

წყლით მომარაგება რომ თბილისისათვის უმ-
ნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო და საამისოდ

დიდ შრომას ეწეოდნენ ხოლმე, ეს მტკვრის
ისტორიული საბუთებითაც და მატერიალური
კულტურის ძეგლებითაც. აი რას გვეუბნება
1756 წლის 20 მარტით დათარიღებული ერთი
ფრიალ საინტერესო ისტორიული საბუთი, რომ-
ლის ტექსტი შედგენილია გორჯასპი მდივნის
ნიერ და რომელსაც ხელს აწერს 38 მოწმე:

„ქ. მამანო და ქმანო, ღმერთს წინაშე, ვისაც
ამ მუჯალამისა ქვემოთე წერილის ძალი შეტ-
ყობილი გქონდესთ, გენახოსთ და იცოდეთ, იმ
რიგათ ქრისტიანსა და თათარსაც, მოწმობის მო-
წერას ვითხოვ თქვენგან მე, მდივანი გორჯასპი.
სეიღმათში ყაიბულას ნაქონს ბაღს ზევიდან
რომ ბაღის შენებას ხელი მიეყავ (sic), ამისი ერ-
თი გვერდი მტკვრის პირამდისინ, მეორე გვერ-
დი ზეთი ქუჩამდისინ, ბოლო ყაიბულას ნაქონი,
რომ ახლა აქიმის შვილის პირზა ალაღარის
ხელთ არის, ამის კედლის მიდგამდისინ, თავი,
სეიღმათიდან, რომ ხიდქვეშ საღვარე ხევი ჩა-
მოსდევს და მტკვარს შეერთვის, იმ ხევის მიდ-
გამდისინ, — ეს ადგილი და ნაბღვარი თავით
ბოლომდისინ გერანათ შექმნილი იყო და ხარა-
ბა, ასე, რომ ალარც ასარი და კედელი ქონდა-
და არც შიგ ერთი ხე და ხილი რამ იღვა და
ნახირის სადგომლათ და ხალხის ფეხის გზათ
იყო გამხდარი; ამის აშენებას რომ ხელი მიეყავ,
გალავანი, ასარი ავაშენე, შიგ ხეხილი და ვაზი
ჩაეყავი, ამისი სარწყავი წყალი განჯის კარს
ზევიდან, დაბახანის ხევიდან წამოვიყვანიე მილით
და კლდე გავაკაფინე და მახლაცი დავხარჯე,
რომ ამას წინათ ამ წყლის წამოღება ვერავის
მოგონებოდა და ვერავის შეეძლო; და ეს წყალი
რომ წამოვიყვანე, ამ წყლის ძალით და ღთის მო-
წყალებით ამ ბაღში შენობა ჩაეაგდეთ, ვისაც
ამ ზემოთე წერილისაებრ ჩემი ჯავისი გაწევა
და ამ ბაღის ასე აშენება გენახოსთ და იცოდეთ,
ამ წიგნზე მოწმობა მოაწერეთ სწორედ და ჰეშ-
მარიტათ. მარტის: კ. ქვს უმდ“².

როგორც ამ ისტორიული საბუთიდან ირკვე-
ვა, გორჯასპი მდივანი დღეი ჯაფითა და ხარ-
ჯით გაუშენებია ახალი ბაღი. ზემოთ დასახლე-
ბული ცნობილი ქაბულას ბაღის გავერანებულ
ადგილზე და ძველ ნაბღვარზე მას, უპირველეს
ყოვლისა, სარწყავი წყალი გაუყვანია წავისისა
ხევიდან, საამისოდ კედლები გაუჭრია და ასეთი
ვაი-ვაგლახით შეუყვანია წყალი ბაღში.

ახლა მიდამოებში არსებული წყლის მარაგი
ხშირად ვერ აკმაყოფილებდა მცენარეული ნარ-
გავებითა და ბაღებით მდიდარი ქალაქის მოთ-
ხოვნილებას. ამ ნიადაგზე ბევარი უსიამოვნებაც
კი ხდებოდა ხოლმე. ყველა მემამულე და მე-
ურნე ცდილობდა, რომ მის მამულს წყალი არ

¹ დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია. „თბილისის ის-
ტორია“, გვ. 109, თბილისი.

² სახელწოდება წარმოდგება ნასოფლარიდან,
რომლის ნაშთები ამ ხევის პირას დღესაც შეიმ-
ჩნევა.

¹ სარგბით შემოღობილი მესერი.

² ნ. ბერძენიშვილი, „მასალები საქართველოს
ეკონომიური ისტორიისათვის“, ტომი I, თბილი-
სი, 1938 წ., გვ. 25—26.)



მოკლებოდა და მოსავლი ირ დაეკარგა. სარწყავი წყლის ხარჯვა-განაწილებას სახელმწიფო კანონი აწესრიგებდა.

ამ მხრივ ფრიად საინტერესოა ვახტანგ VI-ის „დასტურლამაი“, შედგენილი 1704—1711 წლებში. მასში, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

„ბატონის ბაღის წყლის გარიგების წიგნში აქვს ფარეშ თავლიდარს ასლანს, ასე, რომ იმას ჰქონდეს, და ყოველს პარასკევს დღეს წყალმა ციხის ამბრისათვის უნდა იდინოს და პარასკევს აღამოს, შაბათს, კვირას, დღე და ღამე ბატონების ბაღში უნდა იდინოს. ორშაბათსა და სამშაბათს დღე და ღამე თბილისის და ქალაქის ბაღებისათვის უნდა იდინოს, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს ციხისა და აბანოებისაყენ იდინოს, და ამ რიგში ჰავეი მამადყულისაც თავის ბაღში მართებულად წყალს მისცემდენ თუ, ვინ იცის, წყალკოტაობა იყოს, ბატონის ბაღს წყალი ირ უნდა დააკლდეს. ვინც ამ ბრძანებას გარდავა და უჯეროდ წყალს ადენს, თორმეტი მინალთუნი ჯარიანი საბატონოდ გამოართვან, და ათისთავს ასლანმა აიღებს. აწიხსატის დეკანოზი, მხატვარი გრიგოლ და მისი მამა იოსებ შემოგვეხვეწა, გარეთ უბანს თავის პატარა ბაღისთვის წყლის მოძებას და ამასაც წყალს მისცემდეთ, როდესაც გარეუბნის ბაღები მოირწყოდეს. ჩვენი მომხსენებელი და აზნაური-შვილი, ამისათვისაც პატივგვიცია წყლის მოძებით“¹.

დადასტურებულად უნდა ჩათვალოს ის ფაქტი, რომ ქართველები დიდად დამსატრებული იყვნენ სარწყავი წყლისა და სასმელი წყლის გაყვანის საქმეში, რასაც სკირდებოდა ხალხის დიდი ჯავა და ხარჯი. არსებობდა კანონებისა და წესების თანახმად, სარწყავი წყლის გაყვანას ვერავინ ვერ დაუშლიდა. ხალხისათვის იმდენად საარსებო და სასიცოცხლო ფაქტორი იყო წყალი, რომ მას ვერავითარი ნაგებობა (ტელისიაც კი) და მამულს ვერ შეაკავებდა. შენობის დანგრევისას ან ნარგავების ამოთხრის შემთხვევაში ბატონს ზარალი აუნაზღაურდებოდა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ მოვთხროთ მკითხველს თბილისის მიდამოებში ამ ბრძოლა დროს ჩვენ მიერ აღმოჩენილი ერთი უძველესი წყალსადენისა და სარწყავი არხის ნაშთების შესახებ.

1955 წლის 10 ივნისს სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის მეოთხე აგროუბნის ტერიტორიაზე მიწის მოთხრა-მოწორებისას, ერთნახევარი მეტრის სიღრმეზე შევამჩნიეთ ოსტატურად ნაგები ძველი წყალსა-

დენის ნაშთები. ეს იყო ერთიმეორეში მჭიდროდ ჩასმული კერამიკული წითლად გამოშფვარი, ათი სანტიმეტრის დიამეტრის მქონე თიხის მილები, რომელთაც ძირსაც ვგოთ და ზემოდანაც ეფართ ორ ქანბადა ძველებური კვადრატული (ეგრეთწოდებული „ქართული“) აგურები, ზომით 22×22×5 სმ. ამრიგად, მილსადენი სამკუთხა-განივკვეთიან ბუნებში იყო მოქცეული და მონაცრისფერო ღუბაბით ჩამაგრებული. როცა განთხარ ფართობზე მილსადენის ნაშთი რამდენსამე აღვიღას გავაშოშველო, აშკარა გახდა, რომ იგი თბილისისაყენ მიემართებოდა.

ამ აღმოჩენამ ძალიან დაგვიინტერესა. მილების, აგურისა და ღუბაბის რამდენიმე ნიმუში, მოკლე აღწერილობითურთ, იმავე დღეებში გადავიცეთ თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს, ხოლო რამდენიმე ნიმუში შემდეგში—საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, და განვგარქეთ აღმოჩენის ადგილისა და მისი მიდამოების შესწავლა, რათა გავგვევლია ძველი წყალსადენის ტრასა და სათავე. ამ წინასწარ სიძებო მუშაობას ვაწარმოებდით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჯეაბიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის კონსულტაციით.

აღმოჩენის ადგილის ზემოთ რამდენსამე აღვიღას ჩაჭრილმა ვიწრო თხრილებმა კვლავ გამოავლინა სრულიად იმგვარივე მილსადენი და თვალწინ წარმოვიდგა ისტატურად ნაგები მარჯვე და მოხდენილი ძველი წყალსადენის ახალახალი ნაწილები.

ამგვარმა ძიებამ მიგვიყვანა იმ ადგილებამდე, სადაც, ჩვენი აზრით, აღნიშნული წყალსადენის სათავე ყოფილა. იგი მდებარეობს სოფელ ოქროყანის სამხრეთ-აღმოსავლეთის მიდამოებში, სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის მეოთხე აგროუბნის კანტორის მახლობლად, კოჯრის ასფალტიანი გზის პირას, კომკავშირის ზეივნიდან სამიოდე კილომეტრზე. ამ ადგილას საქართველოში საბჭოთაო ხელისუფლების დამყარებამდე მდგარა 2 ღუქანი (ოქროყანელი მებატონეების—გაბაშვილისა და პოლტორაძის), რომელთა მიხედვითაც შერქმევია მათ უკან მდებარე მცირე ზევს „ღუქანების უკანა ხევი“. ამ ხევის საწყისში გამოდის 2 წყარო, რომელთა შორის ხევის კლდოვანი კალაპოტის ნაკვეთი ხელოვნურად ჩაჭრილია. ოქროყანელი მოხუცების გადმოცემით, ზემო წყაროს წყალი ამ ჩაჭრილით მიემართებოდა და იერთებდა მეორე წყაროს, რომელიც მისგან დაახლოებით 70 მეტრის დაშორებით გამოდის. მეორე წყაროს ქვემოთ, საღ კლდეზე, ჩანჩქერია, ხოლო მის გვერდით გამოჭრილია ვიწრო და დაბალი (მეტრნახევარიანი დიამეტრის) გვირაბი, საიდანაც დღესაც მოედინება წყარო. გვირაბის სიგრძე 14 მეტრია, მას ტენილი მიმართულება აქვს. გვირაბი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 7,5 მეტრის სიგრ-

¹ „დასტურლამაი“ მეფის ვახტანგ მეექვსისა, ბატრე უმიკაშვილის რედაქციით, თბილისი, 1886 წ., გვ. 44—45.



ძით მიემართება, შემდეგ 2 მეტრზე დასავლეთით უხვევს, შემდეგ 4,5 მეტრზე სამხრეთისაკენ იცვლის მიმართულებას. ჩანჩქერის ძირიდან გვირაბი 2,5 მეტრის სიმაღლეზეა. მისი ფსკერი დაქანებულია ისე, რომ წყალი თავისუფლად გამოედინებოდა. გვირაბის ტეხილი მიმართულება იმით უნდა აიხსნას, რომ მისი გამჭრელები ცდილობდნენ წყლის მოწოლა ნაკლები ყოფილიყო და წყლის დაგროვებისათვის ხელი არ შეეშალა. ამავე მიზნით გვირაბის სიმაღლე შიგნით მეტია, ვიდრე შესასვლელში.

ისმის კითხვა: როგორ გადაჰყავდათ სამივე აღნიშნული წყაროდან მოგროვებული წყალი ხევის მარცხენა ნაპირზე? (გვირაბიცა და წყაროებიც ხევის მარჯვენა ნაპირზეა, ხოლო წყალსადენი — ხევის მარცხენა მიემართება). საფიქრებელია, რომ საამისოდ აქ მოწყობილი იქნებოდა მცირე ნაგებობა, აკვედუქი (ბერღარა), რომელშიც ჩადგმული იქნებოდა კერამიკული მილსადენის დასაწყისი. საყურადღებოა, რომ ჯგაფანშიგლის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მიერ 1948 წელს კიროვის რაიონში, 300 არაგველის ბაღის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს, ბაღში ჩამომავალ „ოხერ-ხევში“ შენიშნეს ასევე კლდეში, მცირე ჩანჩქერთან შეჭრილი პატარა გვირაბი, ხოლო მის ძირას გარშემოკრული კერამიკული წყალსადენის მილი!

გვირაბს ქვემოთ საკმაოდ დაქანებული ფართობის ვარდიგარდმო გადაკვეთით დახლოებით 2 კმ მანძილზე წყალსადენი მიემართება აღმოსავლეთისაკენ, შემდეგ გადაჰყვება ახლანდელ კოჯრის გზატკეცილს, 500 მეტრს გაივლის ჩრდილოეთისაკენ ფუნიკულიორის მიმართულეობით (იქ, სადაც კლდოვანი ფერდობები სოლოლაკს დაჰყურებენ), შემდეგ ისევ აღმოსავლეთისაკენ უხვევს და ჩადის სოლოლაკის განაპირა სახლებთან, კოჯრის ახალი გზის №18 და 10 სახლებს შუა. შემდეგ წყალსადენი ერთხანს იკარგება და თავს იჩენს მხოლოდ „ქვის დუქნის ხევთან“, რომელიც ხელოვნურად უნდა იყოს გაქროლი. აღნიშნული ხევის დასავლეთ ნაპირზე, ქალაქის ამ უბნის ნიაღვრისაგან დაცვის მიზნით, აშენებულია 500 მეტრი სიგრძისა და 1—1,5 მ. სისქის ქვითკირის ძლიერი სამაგრი კედელი. ამ ზეგზე შამორჩენილია უაღრესად საყურადღებო ძველი ნაგებობა, რომელიც ჩვენ მიერ მიკვლეულ წყალსადენთან არის დაკავშირებული. ეს არის ქართული აგურით ნაშენი მცირე, რკალური ხიდი, რომლის ერთი ბოლო აღნიშნული ხევის კლდოვან ნაპირს ეყრდნობა, ხოლო მეორე—ხევის მეორე მხარეს დაყოლებულ ქვითკირის სამაგრი კედელს. ამ „ხიდში“ კარგად ჩანს შგე წყო-

ბაში ჩატანებული, ჩაქირული მილები ნაშვე წყალსადენისა, ასე, რომ ეს ხიდიც აკვედუკია და მას სხვა დანიშნულება არც უნდა ჰქონოდა. შემდეგ წყალსადენი ჩატანებულია აღნიშნულ სამაგრი კედელში და გამოდის ზედ გზატკეცილის პირას—ტუტობა პირდაპირ შიდა ციხეში შედიოდა (ახლანდელი კომპაგვირის ხეივნის მიმართულებით).

ამრიგად საეჭვო აღარ უნდა იყოს, რომ აქ საქმე გვაქვს ძველ წყალსადენთან, რომელსაც ოქროყანის მიდამოებიდან 5 კილომეტრის მანძილზე მოჰყავდა წყაროს სუფთა და ცივი წყალი თბილისის ძველისძველი, მრავალგზის დანგრეულ-აღდგენილი შიდაციხის მოსამარაგებლად. რა თქმა უნდა, მის კარგად მოწყობას და, რაც მთავარია, ოსტატურად შეინიღებსა გადააწყვეტო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ციხეში სადაგრებულთა გამძლეობისათვის. მართლაც, სადაც კი მივსვამდით ამ წყალსადენის ნაშთებს, ყველგან აშკარად ჩანს, რომ იგი ოსტატურად შეუნდობავთ და მტრისათვის ძნელად უსასაგნები გაუხდით (გვირაბთან საათავადი უქანასკნელ აკვედუკამდე და სამაგრი კედლამდე).

ამ წყალსადენის გაკვეცივისას ოქროყანელებთან საუბარში გამოირკვა, რომ მისი სათავის აღმოსავლეთით, მისგან 800-მდე მეტრზე, საკმაოდ ნაიახებულ კლდოვან ფერდობზე 1918 წელს ნიაღვრის გაუშენებლობა წყალსადენის მოზრდილი ნაწილი, საიდანაც ოქროყანელებს 60-მდე მთელი, მოჭიქული თიხის მილი ამოუღიათ და სიფელში სასამელი წყლის გამოსაყვანად გამოუყენებიათ. წყალსადენის ნაშთების შესწავლისას აქა-იქ ჩვენც შეგვხვდა მილის ნატეხები, რომელთაც შიგნით მუქი მუქანე თუ მოყავისფრო ჰიქური უჩანს, მაგრამ თიხის მილების უმეტესობა მოჭიქული არ უნდა იყოს, თუმცა რაღაც საკმაოდ მოსქო, რუხი ქერტი კი აკრავს შიგნიდან. შესაძლოა, მილები მხოლოდ ალაგ-ალაგ იყოს მოჭიქული, ანდა იქნებ მოჭიქული და მოუჭიქები მილები სხვადასხვა ხანას ეკუთვნის და ძველი წყალსადენის შემდგომ შეკეთება-განახლებასთან გვაქვს საქმე.

დღესდღეობით ამ წყალსადენის ხნოვანების შესახებ გარკვევით ვიტყვი, რომ იგი ძველისძველი ციხის ნაგებობის მშენებლობასთანაა დაკავშირებული.

ერთი რამ ცხადია: ციხე-სიმაგრის არსებობა უწყლოდ შეუძლებელი იყო, ამიტომ წყლის გაცვანის სათვის ციხე-სიმაგრის მშენებლობასთან ერთად იქნებოდა მეგობარებული.

შუა საუკუნეთა წყალსადენები ჩვენში უკვე საკმაოდ შესწავლილია. 1937 წელს გათხრილი იქნა სხალტბა-შიომღვიმის შესანიშნავად მოწყობილი კერამიკული წყალსადენი, რომელიც წერილობითი წყაროების მიხედვით, 1202 წელსაა გაკეთებული მონასტრისათვის. 1948 წელს თბილისში, 300 არაგველის ბაღში აღმოჩენილი XII—

¹ არქეოლოგ ო. ჯგაფანის ანგარიში — „მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, ტ. I, 1955 წ.



XIII საუკუნეების მხატვრული კერამიკის სახელისნოს თხრობის ნაპოვნია ამ სახელოსნოსთან დაკავშირებული კერამიკული წყალსადენის ნაშთი. 1949 წელს ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პროფესორ ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით, თეთრი წყაროს მახლობლად, ნადარბაზევში გათხარა თამარ მეფის სასახლედ მიჩნეული ნაგებობის ნანგრევები და მის ეზოში აღმოაჩინა კერამიკული წყალსადენი, რომელიც წვრილი და სქელკედლიანი, ჩვენი მიერ თბილისის მიდამოებში ახალაღმოჩენილის მსგავსად, გარშემოქრული და ფილაქნობით გადახურული მილებისაგან შედგება, და რომელსაც წნევით ამოჰყავდა წყალი აღმართში. თვით თბილისშიაც (ვაჟა-ფშაველას ქუჩის ბოლოში), „ლურჯი მონასტრის“ ეზოში გაითხარა ნაშთი ძველი კერამიკული წყალსადენისა, რომელიც როგორც ჩანს, მთაწმინდის კალთებიდან მოემართებოდა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში მტკვრის მარჯვენა ნაპირზე წყაროს წყლები ძირითადად ამ მთასთან არის დაკავშირებული. შესაძლებელია ოქროყანის წყაროს წყალი ძველად, გარდა ციხისა, ქალაქშიაც ჰქონდათ შემოყვანილი.

ჩვენს მიერ აღმოჩენილი წყალსადენიც ერთი ამგვარი არქეოლოგიური ძეგლია. მისი შემდგომი მეცნიერული შესწავლა ალბათ დაახსტებებს მის თარიღს და თბილისის ძველი ციხე-ქალაქის წყლით მომარაგებასთან დაკავშირებულ სხვა საინტერესო საკითხებსაც გააშუქებს.

გადმოცემით, ხსენებული ციხე-სიმაგრის წყლის აუზში თევზებიც ჰყოლიათ მოშენებულნი. წყალსადენი ძველისძველი ციხისთან შენობულად ჩამოდიოდა ქალაქში, მის წყალს იყენებდნენ ლაშაზად გაფორმებული შადრევნებისათვის. შადრევნებიდან ამონახეტქი წყალი კი აუზებში გროვდებოდა და ბაღების სარწყავად იხმარებოდა.

ჩვენ მიერ აღმოჩენილი წყალსადენის წინასწარი შესწავლის მიზნით ოქროყანა-ლევთახევის (ბოტანიკური ბაღის) მიდამოების დავლისას ჩვენი ყურადღება მძიპურო კიდეც ერთი, ამჟამად უკვე მოშლილი ჰიდროტექნიკური ნაგებობის ნაშთებმა. ეტყობა, ეს ნაგებობა წარმოადგენდა ლევთახევიდან ქალაქში ბაღების სარწყავი წყლის სადინარს, რომელიც შედგება მსხვილი კენჭოვანი ცემენტისაგან ნაყალიბები, მრავალწახანოვანი მილებისაგან, და XIX საუკუნეზე აღრინდელ ხანას არ უნდა ეკუთვნოდეს. თუმცა საფუძვრებელია, რომ ეს მილები დაყოლებულია გაცილებით უფრო ძველი, ძირითადად აგრეთებულ კლდეში გაჭრილი სადინარის გასწვრივ, ე. ი.

განლაგებულია ძველი სარწყავი არხის ტრასაზე, ლევთახევის მარცხენა ნაპირს რომ მიუყვება. ამ მილსადენის სათავე ჩანს ბოტანიკურ ბაღის ზემოთ, იქ, სადაც სოფელ შინდისისაკენ მიმავალი ბილიკი გადადის ხევზე.

ამ ადგილას ხევს ოზარაღვესაც უწოდებენ. ამ სარწყავი მილის ხელოვნურად შემადგენელი სათავე ხუთიოდ მეტრით უფრო მაღლაა, ვიდრე ხევის კალაპოტი. აღნიშნული მილები გაიკვლევა რამდენსამე ათეულ მეტრზე, სათავიდან 130-მდე მეტრის მანძილზე. მილსადენის ტრასა ჩრდილოეთით უხევს, კვეთს შემოადინიშულ „ქვის დუქნის ხევს“, კოჯრის გზასა და კომკავშირის ხეივანის ფერდობზე დასავლეთით მიემართება. დავითაშვილის გადასასვლელის № 8 სახლსა და კოჯრის ქუჩის № 14 სახლს შორის ქუჩის ზღდაპირზე კარგად ჩანს ამგვარივე მილები. ახლანდელ დავითაშვილის ქუჩაზე (აღრე კი ხევზე) გადასასვლელად აგებული ყოფილა ქვის მასიური, ხუთი მეტრის სიმაღლის საყრდენებზე დანდობილი აკვედუცი, რომელზედაც ამ უბნის ძველი მცხოვრებნი ახლაც მიუთითებენ: დავითაშვილის ქუჩა №30 სახლთან დგას ქვით ნაშენი დიდი 5 მ. სიმაღლისა და 2 მ. სიგანის ბურჯი. მეორე ასეთი დასაყრდენი ბურჯი 1954 წელს დაუზღვრევით დავითაშვილის ქუჩა №35 ახალი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით.

ერთი მოხუცი ქალის თქმით, მას ბავშვობიდან ახსოვს, როგორ მოდიოდნენ ხოლმე დროადარეა ვარისკაცები აუზის გასაწმენდად, როცა იგი დაისილებოდა. სარწყავი წყალი მეფისნაცვლის (ამჟამად პიონერთა სასახლის) ბაღში მიდიოდა და მისი დენის შეწყვეტა არ შეიძლებოდაო. თითქოს იგივე არხი რწყავდა სხვათა ბაღებთან ერთად ყოფილ ალექსანდრეს (ახლა 26 კომისრის) ბაღსაც.

სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს სარწყავი მილსადენიცა და მისი აუზებიც ძველადვე არსებული ერთ-ერთი სარწყავი სისტემის ნაკვეთივე ყოფილა მოწყობილი. მის სათავესთან შეიმჩნევა ძველად გაჭრილ კლდეში ჩასხმული კირის დუღაბი, რომელზეც ჯებბირის შესამაგებლადაა გაკეთებული, ისევე, როგორც მეფისნაცვლისა და ალექსანდრეს ბაღები იყო მოწყობილი ძველი თბილისის სავარეუბნო ბაღების ადგილას.

ჩვენი გაანგარიშებით ახალაღმოჩენილი წყალსადენი თიხის მილებით ძველისძველ ნარიყალას ციხე-სიმაგრისაკენ მონადენი სუფთა წყაროს წყალი მშვილობიან პირობებში დააკმაყოფილებდა ქალაქის 14.400 სული მცხოვრების საყოფაცხოვრებო მოთხოვნებსაც, ხოლო ომიანობის პერიოდში კი უფრო მეტს— 86.400 მეომარს.



გიორგი ხუხაშვილი

ოსტატის საიღუმლო

(გიორგი ნატროშვილის მოთხრობების გამო)

„ასეთია ოსტატის საიღუმლო: მის ნახელავს რომ შეჩნდავენ, ისე უბრალოა, ყველას ჰგონია, მეც ადვილად გავაკეთებო, მაგრამ აბა სცადონ!“ ეს სიტყვები გიორგი ნატროშვილის ერთი მინიატურებიდანაა და იგი ზედგამოჭრილია მისსავე მოთხრობებზე საერთოდ. როგორც მწერალს, მას უყვარს დიდოსტატის უბრალოება, აღბეჭდილია ოპიზარების ჩუქურთმებსა და ორნამენტებში, სვეტიცხოვლის არქიტექტურაში, ვეჟა-ფშაველას პოემებში ან ნიკო ფიროსმანის ტილოებზე. ამ უბრალოების თავიანთსმეცემელია გიორგი ნატროშვილი და მისი მხატვრული ძიებანი სწორედ აქეთვეანაა მიმართული. იგი პრინციპულად უგულვებელყოფს შემოქმედებაში ყოველგვარ ხელოვნურ სირთულეს, პოზას და მუდამ ესწრაფვის თავისი გმირების შინასამყარო დაუახლოვოს ადამიანთა ყოფისა და ბუნების განუხსაზღვრელ, მრავალფეროვან სინამდვილეს. ამას იგი სტიქიურად, მარტოოდენ მხატვრის ალოზზე დაყრდნობით როდი აკეთებს. აქ მწერალს თანაბარი ძალით შეეღოს ხელოვნების კანონთა ღრმა გაგება და ცხოვრების უშუალო გამოცდილება. პირველში იგი რეალიზმის გამოჩენილ ოსტატთა ტრადიციებს ყურდნობა, მეორეში კი დღევანდელი დღის ენებიანი ვანცდა, ხალასი ტემპერამენტი და მოქალაქეობა შეეღოს. როგორც მხატვარი, იგი ბრძამდ არ უდგება სინამდვილის ვმპირიულ მისაღლას. ნატურას გულმოდგინედ არჩევს, დიდხანს მუშაობს ამისზე, სანამ არ წაიშლება დამუშავების კვალი. ამიტომაც ძველად საგრძნობია მის მოთხრობებში ავტორისეული ხერხები, იგი თითქოს არც გვახსოვს, ისე, როგორც არ გვაგონდება ქვემარბიტ ფერწერულ ტილოსთან მხატვრის პალიტრა ან ფუნჯი, ან სკულპტურულ ქმნილებასთან — მოჭანდაკის საჭრეთელი. მისი მანერა ისაა, რომ არსად არ არის მანერული, მისი თხრობის სტილი კი მაქსიმალურად მიიხლოებულია ენაწყლიანი, გონებამახვილი ქართული გლეხკაცის სისაუბრო ინტონაციასთან. მან იცის ენის ხალხური

ბუნება, იცის ქართული ბაჯალლო სიტყვის ფასი, როგორც ბელეტრისტიკა. ოდონდ სიტყვა არ არის მისთვის სამკაული, ზიზილ-პიპილო. არა წიგნებიდან, არამედ ყოფა-ცხოვრების წილში ავროვებს იგი სიტყვების „ოქროს მტვერს“, ოქროშევედელივით სვამს მათ თავთავიანთ ადგილზე. სიტყვის ამ ძიებაში იგი არ არის კოლექციონერი ქართული ენისა, მისთვის არ არსებობს ძვირფასი და არა ძვირფასი სიტყვა, ყველას თავისი დრო და ადგილი აქვს, ყოველი სიტყვა ვარგისიანია თავის ადგილას. მოსათხრობი ამბების მოქმედების გარემოში იგი ნათელი მხატვრული ხილვით პოულობს ყველაზე ბუნებრივ გამოთქმებს, გაუხუნარ ფერებს, ხორკლიან სიტყვებს. მის სიტუეტებს, დიალოგებს, ფრაზებს აზის ხალხურობის უტყუარი ბეჭედი. მაგრამ მის მიერ დახატული სურათები, მოთხრობილი ამბები, ამეტყველებული ადამიანები არ არის ვიწროდ სინამდვილის გადმოხატვა. ცხოვრებიდან აღებულნი მხატვრული მასალა მის მოთხრობებში ორგანიზებულია მწერლის შთანაფიქრით, მისი ფილოსოფიური თუ სოციალური ტენდენციებით, რაიც ნაწარმოებთა ღრმა ფენებშია ჩამარბული, ხელოვნების უტყუარ დგრიტად დადებული. ეს გამჭვირვალედ როდი მოჩანს მის მოთხრობებში, ოვალმისაცემად როდია მოტანილი. იგი ღრმადა ჩაფეცილი გმირის ხასიათსა თუ მთელი მოთხრობის ფაბულაში, ცალკე კი არ არსებობს, როგორც წყალში გარეული ზეთი, არამედ ორგანულად შესისხლორცებულია მხატვრულ ორგანიზმთან.

მისი მოთხრობის გმირები ხისაგან გამოკვეთილ სკულპტურულ ფიგურებს მოგვაგონებენ; მათში შემონახულია ხასიათების ხალხური ბუნება. ისინი ძირითადად სოფლის გლეხკაცები არიან, მიწასთან შეზრდილები, მიწით გამოკვეთილი, მიწსავეთ მარადილნი. მათ საუბარში ისმის საუკუნეებში ნაქედი ხალხური სიბრძნე. ისინი ქედმაგარნი, გაუტენხლნი არიან, მაგრად დგანან მიწაზე ორივე ფეხით, სჯერათ ადამიანის გუ-



ლსა და მარჯვენის, სიცოცხლე უყვართ და კვდებათ კიდევ სიცოცხლისათვის, როდესაც ამას ქვეყანა ითხოვს. მწერალს ღრმა, მართალი სიყვარულით უყვარს ისინი — მწყემსები, მევენახეები, გუთნისდებები, იცის მათი მურწუნობის ყოველი წერტილი, მათი საუბრის კილო, მათი ჭირ-ვარამი. არაერთგზის ყოფილა მათ გვერდით როველში, პირველი გუთნის გატანისას, ნადირობისას, ქელებსა თუ ქორწილში. მათი ქედ-ბედიანობის, მათი კაცობის, წაღმა დატრიალებული ცხოვრების მოსიყვარულე და მეგობარია იგი. ამიტომაც მის ყოველ მოთხრობაში ისმის სიცოცხლის საგალობელი, გამარჯვლი კაცის ბაჯილო პატრონებისა და სახე გულის ბოტბა. არსად იგრძნობა მის მოთხრობებში „ინტელიგენტური თავმომწონობა“, განსწავლული კაცის ფილოსოფიური ტონი; მან კარგად უწყის, რომ თვით ხალხშია დაუღვევი საბრძენი და მისი გაგება-ამოცნობაა ტალანტის უტყუარი თვისება. მან ისიც კარგად იცის, რომ ცხოვრება ერთი თვალის გადავლით არ შეისწავლება, რომ პირადი გამოცდილების და ადამიანთა ფსიქოლოგიური შეცნობის ალოსათან ერთად საჭიროა. სინამდვილის ურთულეს კანონთა წვდობა, მეცნიერული განალიზება მოვლენებისა და მთავარი მდინარების, მთავარი ნერვის პოვნა. მის მოთხრობებს მუდამ გასდევს ოდნავ ცალთვალ-მთხუჭული, უშუბმეჭმუხვნილი კაცი, რომელიც არა მარტო შეკუთრებს ცხოვრების მრავალფეროვან სანახაობას, არამედ აკვირდება კიდევ და ბევრს პოულობს ახალს, დამაფიქრებელს, მშვენიერს. უბრალო გლეხკაცის, რიგითი ადამიანის სულიერი ცხოვრების დიდ სიმართლესი ჭკერებს იგი უმაღლეს მშვენიერებას. ამიტომაც მისთვის ადამიანური ცხოვრების სიმართლე ტოლფასია ისტეტიკური იდეალისა.

ზოგადად სიცოცხლითა და სიკვდილით შემოფარგულად ადამიანთა ყოფაში იგი პოულობს მრავალ მომხიბლავ ამბავს, დიდხანს ატარებს თავის გულში და მერე უზიარებს მკითხველს. ცხოვრებას იგი დაბრძენებული გლეხკაცის თვალთ უყურებს და მისი ფილოსოფიაც სიკვდილი-სიცოცხლის სპიხობს ხალხური ოპტიმიზმის მიხედვით სპიხის.

ტენდენცია სიცოცხლის დამკვიდრებისა და განმტკიცებისა, რწმენა ადამიანის სულიერი და ფიზიკური ძალებისა ფუძეთა ფუძეთა გიორგი ნატროშვილის მოთხრობებისა. ეს ყველაზე მკაფიოდ ჩანს მოთხრობაში „უღარდელი კაცის სიკვდილი“. ხელწოდებით, გულმხიარული კალატოზის მიხას კოლორიტულ სახეში მწერალმა გახსნა თავისი მწამსი, ჰუმანისტური ტენდენციები გამოხატა. მისი უღარდელი კაცი, კალატოზი მიხა, სიცოცხლეზე შეყვარებული გლეხკაცი, რელიგიური დოგმებისადმი სექტეკურად განწყობილი, განებამახვილი და ბრძენი, სიკვდილისაგან და-

უმარცხებელი — უღარდელად კოლორიტული ფიგურაა. გლეხკაცური აილოს, უტყუარი მიწიერი აზროვნების წყალობით მიხას სწორად აქვს გაგებული და შეფასებული ადამიანის ცხოვრების თავი და ბოლო. ოდნავ ეპიკურიზმით შეფერილი მისი ოპტიმიზმი ემყარება ათასწლოვან სიბრძნეს ხალხისას. მიხა შეყვარებულია ცხოვრებაზე, სიცოცხლეზე და მის გლოვის სიწარულზე. შეუძლია უარი თქვას ადამიანურ სიხარულზე. მთელი სიცოცხლის მანძილზე იგი ოსტატის მადლიანი ხელით სახლებს აშენებდა, სიცოცხლეს ალაშაზებდა, მიხარული იყო, ენაკვიმიტი, სიკვდილის წინაც იგი იხუმრა და ლომილადფენი მოკვდა. ასეთი ადამიანის თვალბრძენი დანახული სიცოცხლე; ბევრი ჭირვარამის მიუხედავად, მშვენიერია და მისი ყოველი წუთი უსაზღვროდ ძვირფასი. ბუნება, ყოფა, სადაც მიხასთანები ცხოვრობენ, სახევა სიმშენის, ნაყოფიერების, ბარქაინობის მშვენიერებით. ბუნებაც ადამიანს ჰგავს, მის გვირგვინს. იშვიათი ფერწერული სიხადით შესრულებულ კახეთის პეიზაჟებში, რომლითაც იწყება „უღარდელი კაცის სიკვდილი“, სიცოცხლის ზეიმი გამოხატული და ეს ლეიტმოტივად გასდევს მთელ ნაწარმოებს, განსაზღვრავს მის განწყობილებას. აქ უკვე ჩანს ბუნებრივად და ყოფის ხელისგულვით მცოდნე პიროვნება.

„გედიქის ხევი შუაზე სკრის მთელ ქიხყს, ფარხაიანის ნავენახებიდან წამოსული ის ძველი ხირსის ზვრებთან დააწყდება, იქ, სადაც ალაზნის ველი იწყება.“

მომხიბლელი ვაზაფხული იცის გედიქის ხევი: მიწა ღონივრად რომ გაიზმორება და გაიღვიძებს, შიშველ, მუჭუბალსფერ სერებსა და ფერღობებზე ბაცი ალისფერი ენძელა და ყოჩივარად რომ ამოვლენ, მამინ იმ ფერღობებში ჯერ სადაც სორიდან, ტყიდან დობიბებს ოფოფი, უყვრად ახლოს გამოჩნდება, საქონლის საყართან ერთი-ორჯერ დაჰკრავს გრძელ ნისკარტს მიწის, მერე აფრინდება და გაშლის თავის ნარინჯისფერ ქიჩორს.

სახლები სასურავებზე ბელურები გაცხარებით ჩხუბობენ, კაქკაქებიც დაუსვენებლად დაფრინებენ, ბუღისთვის ადგილს ეძებენ, ატარებულნი ბავშვებივით ბლავიან ხბოები, ჭიხვინებენ პატარა კვიციბი, ვარდისფრად ჰყვავიან ატემები და ყველაფერ ამას ვაზაფხული ეწოდება! („უღარდელი კაცის სიკვდილი“).

ამ უბრალო ნაბატში უკვე იგრძნობა სიცოცხლის ფერთა მომხიბლავი სიმღერა, უკვე იგრძნობა სახევი გული ადამიანისა, რომელმაც ყველაფერი ეს შეიგრძნო თავისი სახლის აივნიდან, ალაზნის ნაპირიდან თუ ციკგომბორის ბილიკებიდან. ამ სურათს ზედმიწევნითი სიხუსტე, დეტალების ზომიერი განაწილება ახასიათებს და ყოველგვარი რომანტიკული აღტყინების გარეშე იკა თავის-

თავად ლამაზია. მაგრამ ეს მშვენიერება არაბრაობა იქნებოდა ადამიანის გარეშე. და აი მოთხრობაში ჩნდება მომდევნო სურათი ყოფისა, სურათი ადამიანთა ცხოვრებისა ჯერ მხოლოდ გარედან, პანორამის სახით დანახული ამწვანებული გაზაფხულის ფონზე.

„მაგრამ არაფერს ისე არ უხდება ის გაზაფხული, როგორც იმ წითელკრამიტიან სახლებს, ხეობაში, გზისპირებზე გაშენებულ სოფლებში რომ შემოგხვდებათ. ბევრი სოფელია ამ ხევზე და ის სახლები შორიშორს არიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ღვიძლ დებსა ჰგვანან, ერთი მამის შვილებს, სხვა და სხვა სოფლებში გათხოვილებს. მათ ერთიანი იყრი აქეთ — ერთხანობად ფეიქიზნი არიან, ძალზე უბრალონი, მაგრამ შნოიანნი. ბუხრები ჩახშობილი კი არა აქეთ, ზოგიერთმა ისტატმა რომ იცის, არა... ყველას მალაღვიძალა აქვს, რომ კვამლი შორს ასწიოს, ლურჯი ცისკენ. მართა გელაზი ქვა არა, ხურდად ნახმარი რიყის კენჭებიც კი თითქოს შეჰხარაინ და შეტკმინან გამელვუს, ქვეყანას, გვედის ამწვანებულ ხევს“.

აქ უკვე თვალნათლივ ჩანს ფერწერის ოსტატი — სხვადასხვა სოფლებში ერთი მამის შვილებივით გათხოვილი, ღვიძლი დებივით მსგავსი წითელკრამიტიანი სახლები, ავლამოვლებული ბუხრების და ხურდად ნახმარი რიყის თეთრი კენჭებით ნაგები კედლების დანახვაში. მაგრამ აქ სხვა რამეც ჩანს, არანაკლებ მნიშვნელოვანი მწერლისათვის, ვიდრე სიტყვით ფერწერის მომადლებული ნიჭი: ესაა თვით ყოფის დიდი, მომძლავრებული, მე ვიტყვით, ვენბიანი სიყვარული. ამ სიყვარულთაა გამსჭვალული მოთხრობაში ბუნებისა და ყოფის სურათები. ეს სიყვარული, როგორც ცხოვრების წვენი, გაყონილია ყოველ სიტყვაში. და აი, მოთხრობაში ჩნდება კიდევ ადამიანი, რომელსაც შნო და ეშში მიუცია ყოველივე ამისათვის, ცხოვრების მხატვარი, უბრალო სოფელი კალატო: „ეტყობა ამ სახლებს, რომ ისინი ვიღაც გულალაღსა და გულმხიარულ კაცს უშენებია, სიცოცხლეზე დახარბებული რომ ყოფილა, ზაფხულში ლურჯი გრილი რომ ჰყვარებია და ცისფერი აივნებიც ალაზნის ველზე წაიშლულ ნიაყროწყლისავით პირდაპირ უბუღში შეგუბებია... ბევრი ქორწილი გადაუხდიათ იმ სახლებში და ბევრსაც გადაიხდინა, ბევრი ყრმა დაბადებულა იქ და, როგორც კი თვალი გაუხელია, როგორც კი გრძნობა მისცემია, დედასთან ერთად ეს ლამაზი ივნები და დაპყრელებული ბუღურები შეჰყვარებია“. და მართლაც მკაფიოდ არ არის გამომყდენებული კახეთისა თუ იმერეთის აივნებიანი ოდების „ხალხურ არქიტექტურაში“ ქართველი კაცის სული, მისი ალღო და ბუნების სიყვარული? და განა საინტერესო არ არის თვით ამ მშვენიერების შემქმნელი? ერთი მათგანი მისა კალატო-

ზია, ენამოსწრებული, გულყეთილი, გულმხიარული მოხუცი, ყველასათვის მახლობელი და საყვარელი. მისას ავტორისეულ დახასიათებაში ჩანს, როგორ უყვარს იგი მწერალს, როგორ ჰყავს შესწავილი, როგორ ახსოვს მისი ნაკვეთი სიტყვათუ ხუმრობა, „რომელიც სოფელში მერე აღარ ავიწყდებათ, თვითონ კი მეორე წუთს აღარ ახსოვს“. მისას ოპტიმიზმი არ ეყვარება მარტოდენ ხალხურ სიბრძნეს. იგი იბადება თვით დღევანდელი ცხოვრების კანონზომიერებიდან, სოციალური წინააღმდეგობების თანდათანობით წაშლისაგან, ადამიანისა და საზოგადოების პარამონიისაგან. მისას ბედნიერი ღიმილი, მისი უღარდლობა თავისუფალი შრომის პაათშია აღმოცენებული და დღევანდელი კაცის იმედიაობით ნასაზრდოები. მისი უღარდლობა ცხოვრებაზე გულაყრილი კაცის ქარაფშტობა კი არ არის, არამედ ცხოვრების ჭეშმარიტი გაგებისა და ადამიანის მიწიერი ბედნიერების პირდაპირი ნაყოფი. მისა — ეს თვითონ ხალხია, რომელიც ჰორვარამს ინგლებს და მუდამ სისარულს, ბედნიერებას ელტვის. თავისი ეპიკურული გატაცებებით, მშვენიერი მიწიერებით და ცხოვრების ვენბიანი სიყვარულით იგი რაღაცით ენათესავება რომენ როლანის კოლა ბრუნოისს. ამავე დროს მისა არ არის ცხოვრებაზე აღრენილი სკვპტიოზისი, მის სიცილში არ არის ღვარძლი, მის საქმეში ცხოვრების რწმენა და ხვალინდელი დღის სიხარულია. ეს უკვე დრომ მიანიჭა მისას, ბედნიერი შვილები პატრონს, დაფასებულ მოხუცს. საუკუნეებში გამოზრამული გლეხკაცი სიბრძნე მის ბუნებაში დღევანდელი ყოფაცხოვრების განწყობალებას შერწყმია. არ გვიკნობ ამ ახირბული საყვარელი მოხუცის სიტყვები დიდი მწუხარების ყამს: „მეც ჩქარა მოგვედები და ერთი სათხოვარი მაქვს: არავინ არ ძტიროს ჩემს ქელხში, სულ სიცილ-ხარხარით დამმარხებ“. მისა ისე ხელმეხსებად, დიდი ფსიქოლოგიური სიმართლითაა დახატული მოთხრობაში, რომ ასე გგონიათ, თითქოს საღდაც სოფელში გინახავთ ეს ბერიკაცი, მასთან გისუბრიათ, მისი ღიმილით ნათქვამი აზრები ცხოვრების დაუფასებელ სიბრძნედ მიგიჩნევიათ და ამ საყვარელ ადამიანს უფრო იმდენი, სულიერად გაყავებული განშორებინათ.

უბრალოდ, მოთმინებით, რაიმე სიუჟეტური ეფექტის გარეშეა მოქსოვილი მოთხრობაში მისას ხასიათი. იგი გვაგონებს ქვისმთლღის მოთმინებით ნაკეთებ-ნაოსტატარს. საღდაც, მოთხრობის შუაგულში, თითქოს შემთხვევით ჩააგდებს მწერალი შვილიშვილისა და პაპის დიალოგს ფორტოსურათის გადაღების დროს. ეს დეტალი განსაკუთრებით მნიშვნელობას იძენს მოთხრობის ფინალში, როდესაც სამგლოვიარო პროცესის წინ წარუშლვარებენ მომღიმარ მისას გადიდებულ პორტრეტს. თითქოს ღიმილით ეთხოვება



უღარდელი ბრძენი ამ წუთისთვის, რომელიც ეგვიპტეში განუხრამლად წყვარდა. „თან ილიმებოდა პაპა ამ სურათზე, ისევე შეპხარდა თავის საყვარელ გედის ქედს, სადაც დაიბადა, იცხოვრა, იმხიარულა, დარღით კი არასოდეს არ უღარდნია. ვინ იცის, იქნებ ასე სჯობდეს წასვლა ამ ლამაზი წუთისოფლიდან“. კითხულობთ მოთხრობის სვედიან დასასრულს მხიარულ, ბედნიერ მხატვრზე, გული გიმძიმდებათ, მაგრამ გრძნობთ, რომ ბავშვზე ღმილი გათამაშებთ. ეს ღმილი ძლიერება და გვირგვინია ადამიანის მიწიერი ცხოვრებისა, თვით სიყვდილზეც რომ გაამარჯვებინებს ხოლმე. ესაა მწერლის პუმანისტური მრწამსი. მოთხრობის უკანასკნელი ფრაზაც რომ ამას ადასტურებს: „ვინ იცის, იქნებ ასე სჯობდეს წასვლა ამ ლამაზი წუთისოფლიდან“. ეს ჯანსაღი აზრი ადამიანისა და ადამიანურის ქვეშაირი გაგებიდან მომდინარეობს. იგი თვით ხალხის წიაღშია მოპოვებული, ერთი შეხედვით მარტივი, მაგრამ ღრმა ცხოვრებაშია აღმოჩენილი და ასევე უბრალოდ გლუვკაეტურ კილოზე ნათქვამი. ესაა პუმანისტური საწყისი საერთოდ გიორგი ნატროშვილის მოთხრობებისა, რადგან მისი სიუჟეტები ლოგიკურად ვითარდება რთული სოციალური თუ ფილოსოფიური დამკვირვებლისა. იგი თითქმის თავზეც ერიდება მწიგნობრულ მეთყვემებას, ზოგჯერ თავისი გმირებივით მარტივად მსჯელობს ხოლმე, მათსავით ნათლად ლაპარაკობს, არ ცდილობს თავისი თავი ოდნავადაც კი გამოჰყოს თავისივე გმირების ცხოვრებისაგან. ეს სულიერი ერთიანობა ავტორისა მის გმირებთან ქნის ამ უბრალოების შთაბეჭდილებას, რომელიც ხელოვნების ქუმარტ ქმნილებებს ახასიათებს. ეს არის მრავალმნიშვნელოვანი უბრალოება, რთული სიმარტივე. ამასია გ. ნატროშვილის პროზის ოსტატობის საიდუმლო.

ავტორის მსჯელობა ამ მოთხრობებში, პეიზაჟი თუ გმირებთან დამოკიდებულება აღსაყვანა შინაგანი მღელვარებით, მწერალი სულიან-ხორციანად ერწყმის მთელ მხატვრულ მსაალს. იგი გათქვეფილია თავისი დუნივით დახატულ განუმეორებელ პეიზაჟებში, თავისი გმირების ცხოვრებაში. ამიტომაც ძალდაუტანებლად მოედინება მის მოთხრობებში მხატვრული მსაალა, სიტყვებიც დატვირთულია აზრით თუ ფერით, ფრაზების ხალხური კონსტრუქციები ლაკონურად გამოხატავს ვრცელ შინაარსს, დიდ სულიერ მღელვარებას. ამგვარი საესკაბო შემოქმედის სულს ჩვეული მაშინ, როდესაც იგი წერს მისთვის ორგანულ ამბებზე, ამაღლებებელ პრობლემებზე, მასობელ ადამიანებზე. ეს კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც უსაზღვროდ გიყვარს ის, რაზედაც წერ. რომედ როლანი ერთგან აღწერას, როგორ მუშაობდა იგი თავის „გაგაღმრის მწიგნობრული“ აღსაყვან „კოლა ბრუნინონე“ ათტომიანი ტრაგიკული „უან ქრისტოვის“ შემდეგ: „მე დაესახლდი მინდერებს შორის, სრუ-

ლიად მარტო, ვენახების გვერდით. შავი ფოთლები იმლებოდა, ისამანი ჰყვოდა. ასევე ჰყვოდა ჩემი სულიც. მე მთლიანად გაქვნილი ვიყავი მიწისა და ყოველივე სულდგმულის სიცოცხლით. ჩემში ჩუხჩუხებდა წყაროები, მიწისაგან გასქელებული, ცინცალი, მღვირი და გიგმაი წყლები მსგავსად, რომლებიც ჩემს ვარშემო ველზეში მოჩხრიანლებდა. მე ვიცნობდი, როდესაც ვწერდი. დღე ძალზე სწრაფად გადიოდა. ყოველ განთიადს ისე ვხედებოდი, როგორც კოლა, ფრინველებით დახუნძლული ხეების ქვეშ; მე აღტაცებული ვიყავი სიცოცხლეში გაზმინებული სიმღერებისაგან“.

ამგვარი შემოქმედებითი ექსტაზი უდიდესი ბედნიერებაა ხელოვანისთვის. გიორგი ნატროშვილის მოთხრობების დიდ ნაწილს ეტყობა, რომ იგი ამგვარ სულიერ მდგომარეობას ხშირად მიველტვის. ხელოვანის მხურვალე სული იგრძნობა მის მიერ დახატულ კახეთის პეიზაჟებში და ბავშვობიდანვე გაიცდილი ვარშემო აქ უჩვეულო ფერწერული სიციხლით ცოცხლდება. თვითონ პეიზაჟებიც მოთხრობებში კონტრასტულია და ამით ბუნების სარკვეში დანახული ცხოვრების შინაგანი სირთულე და წინააღმდეგობებია მინიშნებული. ხშირად ეს პეიზაჟები ზავერდოვანი ფერებითაა შესრულებული, სიცოცხლის მშვენიერებით შემკული, წყაოფერების სინოყვირით მოხასხასე; ზოგჯერ კი აღბეჭდილია სიმკაცრით, ველური მინდობლობითა და უდაბურებით, რაც მიგვანიშნებს ამ ბუნებაში დატრიალებული ადამიანის დრამატულ სულიკვებებაზე („ისევე გაზაფხული იყო იორზე“, „შიში“).

ვაშლიანისა და პანტიშარის ხეობებს შორის მდებარე საძოვრებს მწერალი ასე გვიხატავს: „არც ასე შორს არიან ეს ადგილები შირაქიდან და წითელწყაროდან, მაგრამ აქ რომ ჩამოხვალთ, რატომღაც უეცრად, თქვენდა უნებურად, ქვეყნისაგან მოწყვეტილობის ძლიერ გრძნობა შემოგაწვევბათ გულზე. სულ ახლოს ხარ გაღვიძებულ და მოზმინავ სიცოცხლით სავსე ქვეყანასთან, მაგრამ გგონია, თითქმის საღდაც შორს, დასაყარგავში და მოუსაგელთში, გამგზავრებულიყო. იქნებ ამ გრძნობას ეს მთები იწვევენ, ხეობა რომ ჩაუკეტავთ, იქნებ ნაცრისფერი ფშანი, ამ მოწითალო გავარვარებულ ქვიშისფერი ხუტუნით, უცნაურ სურნელს რომ აფრქვევენ, დამაზნედელსა და უმიზნო ნაღვლის აღმძვრელს.“

იქნებ იმიტომ ეჩვენება კაცს ასე, რომ აქაური გაზაფხული ქვეყნად ნახულ არც ერთ გაზაფხულს არა ჰგავს, თითქმის სულ შებრუნებით და უკუღმა ხდება ყველაფერი. მეწამულ აღმურში ჰხვევენ ნაცრისფერ მიდამოს თრბობის ბუჩქები, გაზაფხულზე წითლად რომ ჰყვავიან, შემოდგომაზეც მათ ფოთოლი ისე უწითლდებათ, თითქმის მიწას ხანძარი მოსდებიათ. ფერდობებს მოდებულნი ქაფათარა ძეძვი კი ყვითლად ჰყვავის. ამ-

ტომ აქ გაზაფხულიც და შემოდგომაც, თვითონ ზამთარიც კი, ერთი ფერისანი არიან“.

ეს ბეიზაყი სრულიად არ ჰგავს „უდარდელი კაცის სიკვდილში“ აღწერილ გაზაფხულის სურათს. აქ თითქმის მინიშნებულია მოხუცი მწყემსის, იორამის სულიერ სიმართლევზე. ცამდე მართალი, ხელმარჯვე, მოუსვენარი ბერიკაცი ვერ შეეგუა ქალაქურ ყოფას. იორამი იმ გმირთაგანია გ. ნატროშვილის მოთხრობებში, რომლებიც მიწაზე შეყვარებულნი არიან და შრომა-გარჯაში პოულობენ ნამდვილ სიხარულს. გლეხკაცურმა გარჯილობამ, მწყემსის ხიფათიანმა და ძმულმა ცხოვრებამ წარმოგვა ამ მოხუცი აუწონავი პატიონება და ქვეყნის დოვლათზე გულშემბატკირება. აქ მწერალი მიგვანიშნებს ხალხის წიაღში განმტკიცებულ სინდის-ნამუსზე, მიგვანიშნებს გლეხკაცის სულიერ სინტიფეზე, რომელსაც დღეს ვეღარ შეღაზავს ძალმომრეობა და ცილისწამება. იორამში განსახიერებულა თვით მშრომელი ხალხი, რომელიც პატიოსან გარჯაში იწრთობა და უმოქმედობას ვერ ეგუება, დეკობებს გაურბის. აქ მწერალი გმირის სულში „ზის“, მისი თვლებით უჭურებს განახლებულ ქვეყნიერებას, რომელშიც ჰარამავ კაცს ბევრი რამ უკვე აღარ გაეგება, მაგრამ ალღითი მაინც ამ ცხოვრებასთანაა. მოხუცი იორამის სახე ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით იმდენად სრულყოფილია, რომ მის ნაფიქრალსა და ნამოქმედარში სიყალბის ნატამალიც არ მოიძებნება. აქაც მწერალი ჰუმანისტურად წყვეტს პრობლემას: ცოცხალ ადამიანს არ შეუძლია მოწყდეს იმ გარემოს, იმ საქმეს, რომელსაც თავისი ცხოვრების ძვირფასი წლები შეაღია; მხოლოდ მუდმივ მოქმედებაში, გარჯაში, ძვრშია სიცოცხლის აზრი და ღრმა სიბერეშიც ადამიანი ყოველივე ამაში უნდა პოულობდეს, ბედნიერებას. წართვით იორამისთანა მოხუცებს შრომა-გარჯისა და ფსუფსის სიხარული, მუჩინებით სამფეხა სკამი აიგანზე ან ბუხართან და თუ გინდ ყელამდე დოვლათში ჩასვით — მაინც მათ გულს ვერ გაუხარებთ. და იორამიც გაიპარა ისევ იორაზე, გაიპარა ნაცნობი გზებით, მწყემსების ფარებს მიაშურა და იქ, ხელისუფლებით ნაცნობ გარემოში, ჩათმის თემების მახლობლად, გაიღვიძა მის სულში ჩაღველდილმა სიბაბუკემ... რა ადვილია ყველაფერი ეს უნიათოდ, უფერულად თქვა. რაოდენი სიყვარული უნდა გქონდეს მწყემსების ცხოვრებისა, მათი ძმული საქმიანობისა, ხან გამწყარო და ხან მოალოდინე ბუნებისა, რომ ყოველივე ეს ცოცხალ, მომზიბლავ სურათად აქციო, ადამიანი გაახარო ადამიანის სულმადლობით, შინაბუნების მშვენიერებით. აქ, იორამის თავგადასავალში, მის უცნაურ საქციელში, ერთი შეხედვით გამოყრუებულ ბერიკაცის ახირებაში, ჩანს საკოლმეურნეო სიღვლის ყოფილი შემოჭრილი ხოციალური თავისებურებანი. იორამი არ არის

სიკვდილის მომლოდინე ბერიკაცი. იგი, მიხან მსგავსად, სიცოცხლეზეა შეყვარებული. სიცოცხლე, გაზაფხული კარნახობს მის გლეხკაცურ გულს და ისიც ბუნებასთან, მიწასთან, სამოვრებზე შეფენილ ცხვრის ფარებთან ხელახლა იბადება თითქმის. მთელი მოთხრობა გამსჭვალულია მიწის, გლეხკაცური ყოფის სიყვარულით. მისში მძლავრად ეღვრის თავისუფალი შრომის, გაღვიძებული ბუნების საგალობელი. ეს ბებერი და მარად ახალგაზრდა დედამიწა ხმაურობს იორამის სულში და მოხუცის მოღუბნულ ძარღვებს ახალ ენერგიით ავსებს.

ამ მოთხრობებში ჩანს მწყემსების, გუთნისდელების, მივენახებების ცხოვრების ღრმად მცოდნე პიროვნება. მას არ სჭირდება ამბების შეთხზვა, ცოცხალი სურათების ნაცვლად დეკორაციების ხატვა, ადამიანთა ხასიათების ხელოვნური შეკოწიწება. იგი შესისხლორცეხა გლეხკაცურ ყოფას, კანთის მდლიან ბუნებას, ნახულსა და გავიანლზე წერს, თითქმის ყოველთვის გულმოდგინედ პოულობს დამახასიათებელ დეტალებს, გმირთა მეტყველების ნიუანსებს. აქ არის შორეული შეხმაურება ვეჯა-ფშაველს გმირებთანაც, ერთი შეხედვით მარტვი ადამიანები დიდი შინაგანი სირთლის, ფილოსოფიური თუ სოციალური მრავალმხრივობის განჭვრეტასთან. ეს განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როდესაც მწერალი არც თუ შორეულ წარსულში გადაგვახედებს და ძველი ცხოვრების კონტრასტებით სავსე სურათებს აიტყვლებს („შიში“). თუ დღევანდელი კაცის ცხოვრების აზრად სიკეთისათვის, დოვლათისათვის, ბედნიერებისათვის ბრძოლა-გარჯის მიიჩნევს, წარსული მას სიკეთისა და ბოროტების გაუთავებელ კდილად ესახება. დასაბამიდან მოყოლებული ეს ჭიდილი სიმართლისა უსამართლობასთან, თავისუფლებისა ძალადობასთან, პატიოსნებისა უნამუსობასთან მის მოთხრობაში „შიში“ კლასობრივი ბრძოლის სახეს იღებს. ორი ძალა, ორი სოციალური მოწინააღმდეგე აქ მონუმენტურ პლანშია ნაჩვენები და მხატვრულ განზოგადებამდე აყვანილი. ვანო ჩუხტიაშვილისა და მიხანს ამ „შირატის არსენანს“, შორის ჩამოვადებული მტრობა აქ თითქმის ჩვენს მწერლობაში არაერთგზის ასახული კლასობრივი ბრძოლის სურათია და სხვა არაფერი. საქმე ისაა, რომ ამ თემას მწერალმა სხვაგვარი ელერადობა მისცა, ახლებურად, ფსიქოლოგიური სიღრმით გახსნა იგი და ამით თავიდან აიცილა ასეთ შემთხვევაში მეტად გავრცელებული შიშველი ტენდენციურობა. მდიდარი მესაკუთრე ვანო ჩუხტიაშვილის პორტრეტში მან ვეჯაცობის გარეგნული შტრიხებიც კი შეიტანა, ტლანქი ფიზიკური ძალის განსახიერებად წარმოვიდგინა იგი. მეტსახელი მეგლკაცა მას უჩვეული ფიციკური ძალის გამო შეარტვა ხალხმა. მაგრამ მის ძალღონეს მაღალ უყარგავს მღვრიე სული, მე-



საკუთრის მტაცებლური ბუნება, მორალური არარაობა. მიხა ყაჩაღი კი ხალხის წილიდან ამოზრდილი, ვაჟკაცობისა და სამართლიანობის უწმინდეს ხალხურ კანონთა ერთგულია, — აქა მიხი მორალური ძალმოსილება. მათი შეჯახება ორი კლასის განსხვავებული სოციალური და მორალური პრინციპების შეჯახებაა. ამ კვილიში ეანო ჩუხტიაშვილის გულში იბუღებს შიში, იგი შიგნიდან ანადგურებს მას. მოძალადის ეს ფსიქოლოგიური რღვევა-განადგურება მწერალმა ზედმიწევნით მხატვრული ზომიერებითა და დამაჯერებლობით გადმოსცა:

„იმ ღამეს ვანო ჩუხტიაშვილი ქორწილიდან ბრუნდებოდა. ქორწილში ყველა დათბო და დააწვინა, მერე შინსაკენ გაოსწია. კუნაბეტი ღამე იყო, მაგრამ გათენებამ მაინც არ მოუცადა. აკი ვაიკრიანის შინსაკენ — ნუ დადინარ დამდამობით, სიკვდილს ნუ ეთამაშებიო, მაგრამ ჩუხტიაშვილი არა ტყდებოდა. სწორედ მიხას ჯებრზე არა ფრთხილობდა: დაე, ჩუხტიაშვილს, დაუხვდეს...“

ამ ფიქრებში იყო გართული ჩუხტიაშვილი, როცა ბნელ ორბობაში შევიდა. უცებ მან სახეებით გარკვევით გაიგონა, რომ იმ სიბნელეში ეი-ღაცამ ღობის ძირში თიფის საკეტი ხმაურით გადაატრიალა და ეახნა ლულისკენ გაგზავნა.

მიმავალი შეკრთა, შეჩერდა, თმა აებურძკა, ყალყზე დაუდგა. ეს იყო პირველი შიშის ელვა, უკითხავად და უნებურად რომ ეწვია.

გაინაბა, სუნთქვაც კი შესწყვიტა, თითქოს ღამის სიბნელეში უნდა გამჭრალიყო.

დიდხანს იყო ასე გარინდებული.

მერე ჩუმად წაღდა ნაბიჯი, იმავე წამს სიბნე-ლეში ორი ეცეხლივით ბრიალა თვალი დაინახა, რკინის ჩხარუნე ისევე შემოესმა და მავთულზე დაბმული ვეება ძალი მისკენ ყვეფით გამოქანა. ის იყო ღრუბლის ნაფლეთებში იალკიალზე გამორჩენილი მთავრემ გამოიხედა და ვანომ ყველაფერი დაინახა.

ისევე თვისუფლად ამოისუნთქა, თითქოს ალაზნის შავდ მბურავ მორევში დასახრჩობად გაწირულს თოკი გადაუდგეს და მალა ამოიყვანესო.“

აქ უკვე გატყდა-ვანო ჩუხტიაშვილის მოჩვენებითი ვაჟკაცობა. გულში ჩაბუღებულმა ბოროტებამ დააუძლურა იგი, სულიერად მოდრიკა და მიხა ყაჩაღს ტყვიაც არ დასჭირებია მის დასამარცხებლად.

აქაც ერთხელ კიდევ გამოიხატა მწერლის რეაგორც სოციალური ტენდენცია, ისე მორალური მრწამსი. უსამართლო კაცს სულიერი მყარობა არ გააჩნია და ამდენად არც ვაჟკაცად ვარჯა იგი, ხოლო სიკეთე და სამართლიანობა თავისთავად დაუთრგუნავი ძალა, რომელსაც ადრე თუ გვიან თავისი გააქვს. ასეთია მწერლის კონცეპცია. მწერლის საყვარელი გმირები უადრესად ვაჟ-

კაცური ბუნების, გულკეთილი ადამიანები არიან. ეს სიკეთე ხან ცხოველის სიყვარულში გამოძღვადვდება („გიათრი“), ხან ადამიანების უსაზღვრო ერთგულებაში („ძე კაცისა“). ისეც ხდება, რომ გულუნვად გაღებულ სიკეთეს და კაცთმოყვარეობის ზედმეტ ქრისტიანულ მორალს ადამიანი თვითონ მიჰყავს განადგურებამდე. ასეთია ადამო („ძე კაცისა“). ამ ალაღმართალმა, ფიზიკურად ძლიერმა, კეთილმა კაცმა მთელი თავისი ცხოვრება ჯაფამი ვაატარა, სწავლას დწაფეზულ მძებს ქალაქში უზიდავდა სარჩო-სანოვავებს მამინ, როდესაც რკინიგზა არ იყო წრათსა და თბილისის შორის. თვითონ რომ მოკვდა, ვანათლებულმა მძებმა არც კი იკადრეს მისი ჰირსუფობა. „სამსახურს იწყებდნენ და ეს მოიმზუნებს — საქმეები გვაქვსო“. აქ მწერალი გულწკაობასა და ვაუტანლობაზე იმალღებს ხმას. ებრალება ადამო, გული შესტკივა ამ ზავმევიით გულალად გოლიათზე, რომელსაც არავინ დაუფასა ესოდენ დიდი სიკეთე და კაცთმოყვარეობა. სადღაც თითქოს ვერც მას უმატიებია ადამოსთვის ეს ზედმეტი ალტრუისტობა. მაინც მკითხველის თვალში ადამო ზნეობრივად ამაღლებულ, სულიერად დიდ პიროვნებად მოჩანს. იგი მოვავაგონებს ძმებისაგან გაყიდულ ბიბლიურ იოსებს, რომელსაც შეუძლია მხოლოდ სიკეთის თესვა და არ ძალუქს შურისძიება.

ამ სოციალური და მორალური პრობლემების მხატვრულად გადაწყვეტისას მწერალი შორსაა ნაძალადევი ინტელექტუალობის, ფილოსოფოსობისაგან. მის მოთხრობებში ყველაფერი ეს უბრალოდ, ერთი შეხედვით შეუქმნევლად ვითარდება, როგორც თვითონ ცხოვრებაში. იგი პირდაპირ ცხოვრების მასალიდან კვეთს სულბტურულ ფეოვრებს, ხასიათებს, უბრალო ადამიანთათვის დამახასიათებელი ძალდუტანებლობით აკეთებს დასკვნებს. მისი მოთხრობის სიუჟეტი თითქოს არცაა სიუჟეტი, თუ ამ ცნებაში ვიგულისხმებთ ამბის ორიგინალურ, კონტრასტებით აღსავსე სიტუაციებში ვანეინარებას. იგი ჩვეულებრივში ეძიებს არაჩვეულებრივს, შეგტყებულად გაუბრის ეფექტებს. მოულოდნელობებს. მის მოთხრობილ ამბებს მშვიდი მდინარება ახასიათებს, ვმირთა ვნებებსა და განცდებს ერთი შეხედვით თითქოს აკლია დაძაბულობა. სიმძაფრე, მაგრამ დაკვირვებული თვალი ამ მოჩვენებით სტატუტობის მიღმა რთულ შინაგან მოძრაობებსაც აღივლად შეამჩნევს.

გ. ნატროშვილის მოთხრობების უმრავლესობაში მამაკაცი მოქმედებს როგორც მებრძოლი და მშრომელი. მამაკაცური საწყისი განსაზღვრავს მისი ნაწარმოებების შინაარსს ძირითადად. შედარებით მკრთალი გამოუღის მის ქალთა სახეები. შეიძლება ამასზე თვითონ მწერალი არც დეფიქტბულყოფს, მაგრამ ეს ასეა. მის გმირთა ვაღერეას აკლია ქალის განცდების, სასიყვარულო

ვინების, ერთი სიტყვით მარადქალღმერთი მშვენიერება. თითქმის განგებ ერთდებოდა იგი სიყვარულის ამადღვებელ თემას, უფრო მაშაყაის ვაქაცურ ბუნებაში ჰვრეტს ადამიანის ზნობრივ სილამაზეს, ამ კუთხით თუ შევხვდებით, მის მიერ დახატულ ცხოვრებას აკლია სავსება. მწერალი უმთავრესად გატაცებულია სოციალური და ფილოსოფიური პრობლემებით. იმ მოთხრობებში, სადაც იგი ინტიმურ თემას ეხება („მინდვრის ბიჭი“, „ნიშნობა“) ქალთა სახეები არ არის ისეთი მხატვრული სრულყოფილებით დახატული, როგორც მაშაყაისა. ამიტომ შედარებით მკრთალია მის მოთხრობებში სიყვარულის პოეზია. ეს ერთგვარად აღარ იბეჭებს გ. ნატროშვილის გმირების ემოციებას სამყაროს, რაღაც სიმშრალე შეიქვება მასში.

ეს ცალმხრიობა ერთი მხრივ იმიტომ უნდა იყოს გამოწვეული, რომ გ. ნატროშვილის ბელეტრისტიკაში ომის თემა კრცულ ადგილს იჭერს. აქ იგი, როგორც სამამულო ომის მონაწილე, უმთავრესად პირად-ბიოგრაფიულ გამოცდილებებს ეყრდნობა ქართველი ჯარისკაცის თავგადასავალის ვადმოცემისას („ქართველი ჯარისკაცი“, „მფრინაეის დაბრუნება“, „ჩვენი დობილი“, „ბოშები“, „გიჟური“, „ჩემები“), აქ ისევ სიკვდილ-სიცოცხლის, ვეჯაცობის ამბებს უტრიალებს მწერალი. გრძნობთ, რომ ამ მოთხრობების ცალკეული პასაჟები, ეპიზოდები, დეტალები ფრონტის ორთმტრიალში ჩაუნისნავს მას უბის წიგნაკში, მერე დაქსაქსული მოგონებების ძაფები ერთმანეთისათვის ვადაუბამს და განსაცდელით სავსე დღეების ცხოველმყოფელი სურათები აღუდგენია. აქაც მისთვის ესოდენ მსაყვერელი გულგზავები მოქმედებენ. ისინი ბევრ რამეში ერთმანეთს ჰგვანან, ქიზიყელები არიან თუ დნებრისპირელები, რეზინის ზაპოროელებს რომ ასხენებენ ხოლმე მწერალს („ქართველი ჯარისკაცი“). აქ ომი ჯარისკაცის თვალთაა დანახული და დაძაბულადაა მოთხრობილი ამადღვებელი ამბები. არსად გამოგონების კვალი, არსად ხელოვნური სიტუაცია! აქაც სიცოცხლის დიდი სიყვარული ძღვეს სიკვდილს, ადამიანის უბრალო, მაგრამ ნაადრი რწმენა ამარცხებს განსაცდელს. ასეთია ჯარისკაცი. მისი გული მუდამ სავსეა რაღაც ბუნებრივი და ამოუცნობელი ობტიმიზმით. ცხადია, მან იცის, რომ სავსებით შესაძლებელია ერთ დღეს ისიც მოჰკლან, მაგრამ არა სჯერა ის, რომ ეს დღეს მოხდება, ვერც ხვალ მოჰკლავენ, ვერც ზეგ, საერთოდ, რაღაც გუმანით არა სჯერა. მართო სხეებზე ეწეის გული. რამდენი უნდა ეფიქრა თავის ოჯახზე, რომ სადაც მარანში მიგდებული ტომარა გახსენებოდა, გაახსენდა და შეეფოთდა, არ მოიწამლონო. ეს ეენახი მაინც რაღამ მოაგონა“.

ეს ჯარისკაცული ობტიმიზმი, სიცოცხლის სიყვარული და იმედი მისი გმირების თანამგზავრია. მწერალი არსად აგვიწერს უშუალოდ ბრძოლებს, მას არ აინტერესებს ერთი თვალის გადავლებით დანახული ომი. ადამიანის სულში მთელი სინამდვილე ეტევა და ისიც აქ, რთულ ფსიქოლოგიურ პროცესებში, ცდილობს გარკვევას. მის გმირებს ფრონტზეც ვაჰყოლიათ ხალხური ირონია და ზოგჯერ სიკვდილსაც დასცილიან ხოლმე.



პედაგოგიკური ჯიჯი

გიორგი ლეონიძის ღმრთობა

გიორგი ლეონიძის შემოქმედება ერთი მთლიანი სიმფონიაა, მიძღვნილი განახლებული საბჭოთა საქართველოს აწმყოსა, წარსულისა და მომავლისადმი. მან ახლებურად ამოიძღვრა სამშობლოზე და ქართულ სიტყვას თავისი ნიჭის ბეჭედი დააჩნია.

„მარადი შუქით ბრწყინვალეებს იგი, მისი ნათელი დამოთვებია, სიცოცხლე — მისი მშვენიერების იქით ერთ ნაბიჯზედაც არ მდომებია!“

საბჭოთა სამშობლო გ. ლეონიძის პოეზიის მთავარი თემაა, მისი პოეტური ოცნების სათავე და მწვერვალია. „სამშობლო — ჩემი გულის ფეთქება, სამშობლო — ჩემი ლექსის სახელო!“ — ამბობს იგი.

პეშინს უთქვამს — პოეტის სიტყვა უკვე მის საქმეს გულისხმობსო. მართლაც გ. ლეონიძის მთელი პოეზია მისი ღვაწლის ჭეშმარიტ გამოხატულებას წარმოადგენს, მის პატრიოტულ შემართებაზე შეტყუებულს. ნამდვილი შემოქმედებითი ბრძოლის შედეგია მისი მხატვრული სიტყვა, რომლის მოპოვება სიყვარულისა და თავდადების, სიხარულისა და ტკივილების, მძაფრი პათოსით აღსავსე შრომის გარეშე შეუძლებელია, თუნდაც პოეტი უდიდესი შემოქმედებითი ნიჭით იყოს დაჯილდოვებული.

როცა ვლადიმერ გ. ლეონიძის პატრიოტიზმზე, არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ლექსების ციკლს „ქართლის ცხოვრება“, რომელიც აღსავსეა სევდიანი და მწუხარე განწყობილებით. ლექსებში — „წინაპრებს“, „მეცამეტე საუკუნე“, „მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“, „წარსული“ „მინაწერი“, „ქართლის ცხოვრებაზე“, „ქეთევანის წიგნი“ წამიერად გაიღვივებენ ხანძრით გადაბუვული და სისხლით მორწყული მინდვრები, უმწურო ქალებისა და ბავშვების გაწამებული სახეები, ჩვენი წარსული ცხოვრების გულმგმბარავი სურათები.

მაგრამ ამ ლექსებში მოგვესმის არა პესიმისტური ჩივილი ჩვენი წინაპრების წარსულ ცხოვრებაზე, არამედ მათში ჩაქსოვილი სულიერი სიმტკიცე მრავალჭირანხული ხალხისა, რომელმაც გადაარჩინა მამაპაპური კერა. ხალხის ძალამ, მისმა ძლიერმა ბუნებამ, გმირულმა სულისკვეთებამ იხსნა ჩვენი სამშობლოს სიცოცხლე — ამბობს პოეტი და ლექსში „მთებო“ მგზნებარე პატრიოტული პათოსით უმღერის ქვეყნის გადამრჩენ ხალხს:

„დაგვეწეს, დაგვდაგეს და ვერ წაიღეს თავისუფლების ამაყი სული. იგი გადურჩა ბორკილს და ციხეს, ის მთებში იყო გადახიზნული! მთებო, ვერ ჰკლავენ ამ სულს ომები, და თუ მოსთხრიან, ამოკზნარავენ, თქვენ დაიბლაგვებთ, როგორც ლომები, როდესაც ძუ ლომს ლეკვს მოჰპარავენ!“

კლასიკური მწერლობა ხშირად მიმართავდა ხოლმე „ქართლის ცხოვრებას“, ჩვენი ხალხის ლეგენდარული გმირობის ამ უტყუარ მატრიანეს. ხალხის წარსულის მოგონება ამხნევებდა მრავალ მწუხარებანდობილ ქართველობას, რომლის ბედი ზოგჯერ ბეწვზე ეკიდა. კლასიკური ლიტერატურის წარმომადგენლებისათვის საქართველოს გმირული წარსული უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის მდიდარ სულიერ საზრდოს წარმოადგენდა. საბჭოთა მწერალიც ასახავს ისტორიულ წარსულს, მაგრამ სულ სხვა კუთხოთა და მიმართულებით, სულ სხვა მიზნით და დანიშნულებით. წარსულში მწიფდება თესლი მომავლისა. ეს სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ საბჭოთა მწერლისათვის ისიც ნათელია, რომ, თუ ჩვენი ქვეყანა გადაურჩა სისხლის წვიმებს და დღეს ამაყად წელამართული დგას, ეს ხალხის გამძლეობისა და მონოლითური სიმტკიცის შედეგია.

პოეტი მტკივნეულად განიცდის თავისი ხალ-

ხის მიმე წარსულს, მგარამ ამ განცდას თან
სდევს ჩვენი სამშობლოს დღევანდელი ცხოვ-
რების აღმფართოვანებელი სურათები.

„თქვენს საფლავებზე ვდგევართ ამაყად,
ერთპირ, ერთიმხნით, ერთძლიერებით,
ჩვენი მშენს ვუყურებთ გაჩაჩხიხებულს,
მისი ნათელი ბედნიერები!“

ამიტომ ვამბობთ, რომ გ. ლეონიძე წარსულს
უყურებს ნამდვილი საბჭოთა პატრიოტ-მოქა-
ლაქის თვლით. იგი გვიჩვენებს სიდიადეს
ჩვენი ეპოქისა, რომელშიც განხორციელება
სპოვა ყველა ხალხისა და დროის საუკეთესო
საუყუნეობრივმა მისწრაფებებმა.

სიტყვით კოლორიტული ფერწერა მკითხვე-
ლის ცნობიერებაში უნდა ახდენდეს ცხოვრე-
ბის შინაარსის გარდაქმნას ემოციებად, პოე-
ტიურ სურათებად, რაც მერ სიცხადეს ანიჭებს
იდეას. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ,
როცა ეროვნული სახეები გააზრებული იქნება
სინამდვილის რეალისტური აღქმის შედეგად:

„მე მყვარებია

ლურჯ ყანებში ყაყაჩოები,

მე ვარდიც მიყვარს,

უფრო მიყვარს ქარიშხლის შეხლა,

მგარამ უმეტეს ოცენებაზე

მე მიყვარს ესლა

საქართველოში

კომუნისმის ხარაჩოები“.

(„კომუნისმის ხარაჩოები“).

ამრიგად, პოეტისათვის სამშობლოს სიყვა-
რული თვითმხნური, დროსა და გარემოებო-
ბებს მოწყვეტილი ზოგადი გაცნობა როდია.
მის ლექსებში სამშობლოს სიყვარულის ამო-
სავალი წერტილია კონკრეტული მოვლენები,
ჩვენი ქვეყნის გრანდიოზული მშენებლობები,
საბჭოთა ხალხის გმირული შრომა. ერთი
სიტყვით, გ. ლეონიძის ლექსები მხატვრული
ბორცვებსხმა ცხოვრებისეული სინამდვილისა,
მისი პოეტური ამტკველებია. ამით აიხსნება,
რომ იგი ჩვენი ცხოვრების ამა თუ იმ მნიშვნე-
ლოვან მოვლენას აქტიურად ეხმაურება და გა-
მოხატავს მის სიდიადეს, ერის ცხოვრების წინ-
სელისა და განვითარების საერთო ფონზე. ასე
შევალითად, პოეტის გულსყური სინამდვილი-
თა ქართული ფოლადის გიგანტის — რუსთა-
ვის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობისა-
კენ, როგორც ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხ-
დარი ერთ-ერთი თვალსაჩინო მოვლენისაყენ.
ამ გრანდიოზული საქმიანობით აღფრთოვანე-
ბულ პოეტს თითქოს სურს რუსთავის ქარხნის
ვაგარჯარებულ ლუმენში თავისი შთაგონებაც

ფოლადით გამოაწრთოს და ახალ საქართვე-
ლოს ახალ სიმაგრეს რვალივით ნაქედი სტრი-
ქონები შეადულოს.

სამგორის არხის მშენებლობა, ერთ დროს
ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნება, ახლა
რეალურ საქმედ იქცა. ამ ფაქტის პოეტური
ამტკველებია ლექსი „გუშინ, სამგორის გახს-
ნაზე“.

პოეტი დღევანდელ დღეში ხედავს კიდევ
უფრო ბრწყინვალე მერმისის იმ მწვერვალებს,
რომელთა დასაპყრობად ჩვენს დიდ სამშობ-
ლოში გაიანებულია არსებული ბრძოლა და
შრომა. ნათელი ოპტიმიზმი, რაც ესოდენ
დამახასიათებელია საბჭოთა მწვერვლებისთვის
საერთოდ და კერძოდ გ. ლეონიძის პოეზიისათ-
ვის, სწორედ ხალხის ამ გოლიათური შრომის
პათოსს გამოხატავს. ეს არის საბჭოთა ესთეტი-
კის საფუძველი, ესთეტიკისა, რომელიც ემყა-
რება თავისუფალ შრომაში ამაღლებული საა-
კოთა ადამიანის შინაგან სილამაზეს, ხალხის
მიერ ძლეული და გარდაქმნილი ბუნების მშვე-
ნიერებას, ესთეტიკისა, რომელიც განვითარდა
და ვითარდება ჩვენი დროის ისტორიული აზ-
რისა და მომავლის ნათელი პერსპექტივებით
აღსავსე საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მდი-
დარი შინაარსის საფუძველზე.

„და თუ სამშობლოს ღრუბლის ცეარ-ნამი

ჩემი ლექსების ემბაზი არი,

ლექსს მივაყვაცებს ხალხთა სალამი,

სიყვარული ხმა შენაზარი“ — ამბობს პოეტი

და ამით იგი ხაზგასმით. აღნიშნავს, რომ

ქემარიტი პოეზია ხალხის ცხოვრებიდან მომ-
დინარეობს, რომ ხალხი არა მარტო მატერია-
ლური ღირებულების შემქმნელია, არამედ სუ-
ლიერი კულტურის; ჩვენი დიდი ისტორიის
შემომქმედ (იხარე, ხალხო ძლიერო“, „ჩარ-
თულია უკვე დენი“, ზგუშინ სამგორის გახს-
ნაზე“, „სიტყვა, თქმული რუსთავის ქარხნის
გახსნაზე“, „გმირი და პოეტი“ და სხვ.).

გ. ლეონიძის მთელი შემოქმედების უაღრე-
სად ფართო საზოგადოებრივ აზრსა და მნიშე-
ნელობას განსაზღვრავენ არა მარტო მშობელი
ერის სიყვარულით შთაგონებული ლექსები,
არამედ ის მხატვრული ქმნილებებიც, რომლებ-
ზეც ჩვენი მოძმე ხალხების გრანდიოზული
შემოქმედებითი შრომისადმი, ურყევი მძურ-
მეგობრობისადმი მიძღვნილი. როცა ვკითხუ-
ლობთ ლექსებს — „ვლადიმერ მაიაკოვსკი“,
„ტარას შევჩენკოს“, „ლესია უკრაინკას“, „სომ-
ხეთს“, „მისალმება აზერბაიჯანელი პოეტებისა-
დმი“ და სხვ. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ გა-
ნუწყრვლდა ამ ლექსებში შერწყმული ქართ-
ველი ხალხის სიყვარული მოძმე ერების სიყ-



ვართლან. ეს ლექსები შექმნილია ისეთივე შემოქმედებითი შთანფიქრით და პათოსით, როგორც, მაგალითად, „საქართველო“, „დღა-ენა“, „ვეფხისტყაოსანი“, „ილიას სურათზე“, „აიკის“, „თბილისს“, „სამგორი“, „რუსთავი“ და სხვ. სწორედ ამჟამის საბჭოთა პარტიოტობის ცხოველყოფელი ძალა და ძლიერება. ერთი სიტყვით, სავსებით სწორია პოეტის აზრი, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის ძმური, მეგობრული ურთიერთობა განუწყურებელია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან, რომ ამ მეგობრობის ამოსავალი წერტილია ჩვენი სოციალისტური ყოფა, რომ ეს მეგობრობა კომუნისტებისათვის საბჭოთა ხალხების გმირული ბრძოლების დიად იდეებშია. ჩვენ მიგვაჩნია რომ სტრუქტურები:

„გუგუნებს ქუჩა, ჩაქუჩი მღერის,
ხარაჩოები ცაში აღიან,
მკვდრეთით ამდგარა ქვეყანა მკერის,
რომ ბრწყინავს, შენი განთიადია...“

...გამაროს ყველა შემოსევანი,
გარდა მოსულ სიყვარულისა!
ძმებო, ჩვენ გული გულზე დავადოთ,
სადაც იწეება ალი მცხინვარი,
და სიყვარულის ცეცხლით დავადნოთ
ვით არარატი, ისე მყინვარი!...“

ქეშმარიტი პოეტიზირებაა იმ ძმური მეგობრობისა, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მტკიცედ და სამუდამოდ ჩამოყალიბდა სოციალური და ეროვნული თანასწორუფლებიანობის საფუძველზე და რომელიც დიდი ოქტომბრის ბრწყინვალე მონაპოვარს წარმოადგენს.

გ. ლენინის შემოქმედებაში პარტიის თემის თვალსაჩინო ადგილზე უკავია. ლექსები „რაიკომის მდივანი“, „ქართველ ბოლშევიკებს“, „საბჭოთა საქართველოს განაფხული“ და სხვ. — ჩვენი პარტიის გმირული საქმეების პოეტური გამოხატებაა. საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-18 ყრილობისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტი დიდი მგზნებარებით გვიჩვენებს ცხოვრებას აღსავსე გრანდიოზული მოვლენებით და ცხადყოფს, როგორ განვითარდა და ამაღლდა ჩვენი ქვეყანა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

„სამარადეამოდ
გადაგვანტეა
ხანარებისა და
სიმწარის ბოლი,
აღუდგენიხარ
უკვლავ პარტიას“

სამშობლო,
ნანგრევთ
ნაცარში მწოლი!“

შემდეგ პოეტი მგზნებარე ტონით მოგვითხრობს ჩვენი დიდი სამშობლოს უზარმაზარ მიღწევებზე, რომელიც მოპოვებული იქნა ხალხის მთელი ძალების დაძაბვით და ბრძოლით, მოგვითხრობს იმ უდიდეს მუშაობაზე, რომელსაც კომუნისტური პარტია ეწევა ხალხისა და ქვეყნის საყეთილდევად. საბჭოთა მწერლობისათვის კომუნისტური პარტიის სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა, მისი ყოველდღიური მშობლიური მზრუნველობა შთაგონების უმრეტეს წყაროდ იქცა. პარტიისათვის მიცემულ სიტყვას, როგორც წმიდათა წმიდა ფიცს; ხალხი ყოველთვის საქმით ანადღებს. პარტიისადმი ხალხის ამ უსასწვრო ერთგულებასა და სიყვარულს კარგად გამოხატავს გ. ლენინის შემდეგი სტრუქტურები:

„იღწვის, მუშაობს უკვდავი ხელი,
მშრომელი ხელი ქართულ მიწაზე
და ჩემი ხალხი,
ხალხი ქართველი,
მტკიცედ დგას თავის დასაფიცარზე“

ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა ყოველთვის ხაზს უსვამს ხალხურობას, როგორც საერთოდ ლიტერატურისა და ხელოვნების, კერძოდ კი პოეზიის უპირველეს ღირსებას. ეს საცხებით გასაგებია. თუ პოეზია მოკლებულია ხალხურობას, იგი მაშინ არც ნამდვილი პოეზიაა. მაგრამ ქეშმარიტებაა ისიც, რომ ხალხურობა გულისხმობს არა მიმსგავსებას ფოკლორის პოეტური ქმნილებების ფორმისადმი, არა პოეტური ფაქტურის პრიმიტიულობას, არამედ ხალხის გმირული სულისკვეთებით ამაღლებულ, ხალხის ცხოვრებიდან აღებული ტიპური სახეებით აღმუშავებულ ნაწარმოებებს. აქ ჩვენი იმის თქმა როდეს გვინდა, თითქოს. ხალხური ზეპირსიტყვიერების პოეტური მეტრები ზიანის მომტანი იყოს მწერლობისათვის. ჩვენ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ხალხურობა ბოლისდაბოლოს უნდა გავიგოთ, როგორც ცხოვრებისეული სიმართლის, ობიექტური საზოგადოებრივი სინამდვილის წარმოსახვა მძიმური ემოციების შემცველ მხატვრულ სახეებში. ჩვენის აზრით, ხალხურობა გ. ლენინის პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა. ლექსები „არ დაიდაროდ, დედაო“, „ქართველ ქალს“, „მხედარი პირტახია“, „მოიორი ალექსი ინაური“ და სხვ. სწორედ იმიტომ გვხვბლავთ და გვადლეულებენ, რომ ისინი გამსჭვალულნი არიან საბჭოთა ადამიანის მაღალი ზნეობრივი სისპეტაკით, ჰეროიკუ-



ლი სულით, ვაჟკაცური შემართებით, ერთი სიტყვით, სამშობლოსადმი თავდადების ღრმა და კეთილშობილური გრძნობით. რით აიხსნება ის იშვიათი პოპულარობა, რომელიც სამართლიანად მოიხვეჭა ლექსმა „არ დაიდარდო, დედაო“? უთუოდ მასში გამოხატული განწყობილებებით, რომლებიც პოეტს აღუძრა საბჭოთა მეთორის სულღერმა სიმტკიცემ და გაუტეხლობამ, მეომრისა, რომლის ლამაზი სიცოცხლე სამშობლოს შეეწირა.

ამ ნაწარმოების ლეიტმოტივი გამოხატავს საბჭოთა ადამიანის უანგარო სიყვარულს სამშობლოსადმი და შეიცავს იმ აზრს, რომ სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანის სახელი მარად უკვდავია. ლექსის ამ ძირითად იდეასთან ორგანულად შერწყმულია ის დიდი ადამიანური გრძნობაც, რაც მღვდმარეობს მშობელი დედისადმი შვილის უსახლდრო სიყვარულში. პოეტი ხაზს უსვამს ამ უფაქიზეს გრძნობას, დიდების შარაგანდღვით მოსავს იმ სახელოვან ვაჟკაცს, რომელმაც თავისი გმირული სიკვდილით უკვდავყო მშობელი დედა და მისი მგლოვიარე, დათაღებული სული მარადიული სიცოცხლის სიხარულით გააცისკრავს.

გ. ლეონიძემ შექმნა საბჭოთა სამშობლოსათვის თავდადებულ ქართველ მებრძოლთა დაუვიწყარი სახეები. ერთ-ერთი გააფთრებულ ბრძოლაში მტრები გარს შემოერტყნენ საბჭოთა ტანკს. როცა ტანკისტებს უკანასკნელი ტყვია გაუთავდათ, ფაშისტები შემოეხვივნენ მას და სასროლ კოშკში მყოფ მსოფლელ პირტახიასა და მის თანამებრძოლებს შეაძლიეს ფული, ოღონდ ცოცხლად დანებებოდნენ. პირტახიამ კოშკიდან ამოსძახა: „განა ჩვენ ვვაჭრობთ, ჩვენ ვიბრძვითო.“ პირტახია მოკლა ფაშისტების ტყვიამ. ეს ფაქტი, რომელსაც მკაფიოდ გამოქვდავდა საბჭოთა მებრძოლის მაღალი ზნეობრივი თვისება და სულღერი სიმტკიცე, საფუძვლად დაედო ლექსს „მხედარი პირტახია“, რომლის გმირი სამშობლოსათვის თავდადების უკვდავი იდეებით შთაგონებული ადამიანია. ამგვარ გმირთა გალერეას ამშვენებს აგრეთვე პორტრეტი მაიორ ინაურისა („მაიორი ოლქისი ინაური“), რომლის პოლკმა დასავლეთის ფრონტზე დიდი სახელი გაითქვა. იმი ჯერ კიდევ ახალი დაწყებული იყო და მაიორი ინაური ოცდაერთჯერ გადავიდა შეტევაზე. გ. ლეონიძემ მათარი შემოქმედებითი ძალით გვიხატავს ინაურის საბრძოლო თვისებებს. პოეტი ლაპარაკობს მის გამბედაობაზე, ენერგიულობაზე, შეუპოვრობაზე და მტერზე შურისძიების ცეცხლით ანთებულ ამ საამაყო მებრძოლს შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

„ბრძოლაში, თითქოს ქორწილში,
შენგაღ და ტყვისი მღერასა

ყურს არ მიუვლებ...მტრის რაზმებს
ზედ გადააფრენ მერანსა!“

ომში ძლევაშილიად გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხალხი შეუდგა მშვიდობიან შემოქმედებით შრომას, სიცოცხლე დაუბრუნდა ათასობით გაპარტახებულ სოფელსა და ქალაქებს და არა მარტო აღადგინა დანგრეული მეურმეობა, არამედ შექმნა ახალი ქალაქები, არხები. გიგანტური ელსადგურები, ბარაქიან ყანებად აქცია მილიონობით ჰექტარი ყამირი მიწები, დაიპყრო ოკეანეთა სიღრმეები და კოსმიური სივრცეები. კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის სა-მეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო სამგორის სარწყავი არხის აგება, რომელსაც გ. ლეონიძემ კეთილგულიათვის კერგად ცნობილი პოემით „სამგორი“ გამოეხმაურა და საქართველოს ისტორიული წარსულის ფონზე ნათლად დაგვანახა საბჭოთა ადამიანების გოლიათური შემოქმედებითი შრომის სიდიადე.

ჩვენი საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ არც თუ ისე დიდმა ღრმ გასვლა, მაგრამ დღეს შეიძლება ზოგიერთ ჩვენგანს აღარც კი ახსოვდეს, როგორ განიცდიდა მაშინ ლირიკული ენარი მემარტხენე მწერლების მხრივ სასტიკ თავდასხმას. იყვნენ მწერლები, რომელთა მტკიცებით ისეთი ენარები, როგორცაა ლირიკა, სატირა, აგრეთვე ტრაგედია თავისი ხასიათით შეესაბამებოდა მხოლოდ პატრიარქალურ-ბურჟუაზიულ მწერლობას და არა ახალ, სოციალისტური ეპოქის ლიტერატურას. მათი აზრით, ლიტერატურის ეს ენარები დრამოკომულია და საბჭოთა მწერლობის მოწოდებას სრულიად არ შეადგენს ასახოს ადამიანების ინტიმური ცხოვრება, სულღერი მღელვარება და განცდები. თქმა არ უნდა, ეს მტკიცებანი უარესად ცალმხრივი და საღ აზრს მოკლებული იყო. ჩვენს პირობებში ლირიკამ არა თუ დაქვეითება და კვლავი განიცადა, როგორც ამას ერთ ღრმ ზოგიერთი მემარტხენე მწერალი „წინასწარმეტყველებდა“, არამედ, პირიქით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საბჭოთა მწერლობაში.

როცა ვლადარაკობთ ლირიკულ პოეზიაზე, ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ბავშვობის დღეების მხატვრული ოღქმა ბევრი პოეტისათვის ერთგვარ ტრაფარეტად იქცა. რასაკვირველია, ამ თემაზე დაწერილი ყველა ლექსი როდია მოკლებული საზოგადოებრივ რეზონანსს, მაგრამ ამ ლექსების გარკვეულ ნაწილში მინც იგრძნობა სევდიანი მოგონება მტრის ბუდეებსა და საქანელაზე, კრული პეპლებით სავსე მინდერებასა და სოფლის ძველ



წისკვილზე. ბავშვობის თემატიკას გ. ლეონიძე ეხება:

„პატარძელი... ჩემი სოფელი,
ბავშვობის კერა, — პატარძელი,
ჩემი აკვანი წნორის ტოტისა
იქა ყოფილა ვადარწეული“.

მაგრამ ამ ლექსის ძირითად შინაარსს სულაც არ შეადგენს აკვინის იდილი. გ. ლეონიძის აზრით, რაც კარგი და ძვირფასია მის პოეზიაში ხალხის სულის მონაბერია. ყოველივეს, რაც ბავშვობაში იგრძნო და განიცადა პოეტმა, მხატვრის თვლით აღადგენს და ჯანსაღი ოპტიმისტური ტონით გადმოგვცემს. ბავშვობის ქრამულთა და კისკისით აღსავსე მშობლიური სოფელი პოეტისათვის ლდი ოცნებისა და ფრთიანი შთაგონების სათავეა, საიდანაც დაუცხრამელი მღვლარებით მოედინება მისი შემოქმედების ღონიერი მდინარე, თან მოაქვს სიყმაწვილის სიმკვირცხლე და სიხალისე:

„იქ მზრდიდა ხალხი... იქ მზრდიდა დედა
და ხალხის ფიჭვი ათასწლეული...
მახსოვს, ეზოში დიდი ფშატის ხე,
სიბერისაგან გადაქცეული.
იმ ხის ფეხებში მელანდებოდა
ხალხის მზის ოქრო და განძეული...
ჩემს მზეს ბორბლები არ დამტყრევია
ჯერ შუალდე მაქვს არ დალეული...“

გ. ლეონიძის აზრით, უმშვენიერესი და უღამაზესია ის პოეზია, რომელშიც დროის ძალღონე ჩქედს და სინამდვილის მძაფრი ბათონია აღბეჭდილი. გ. ლეონიძის პოეზია ესახება, როგორც ნათელი და მშვენიერი სიმბოლო მჩქეფარე ვახუშტისა, რომელიც ღრმად გვაგრძნობინებს და განგვაცდევინებს ფრთავაშლილი სიცოცხლის ზღაპრულ ზეიმს. პოეტს სწამს, რომ „სიძებუე და ლექსი ერთია, ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი“. პოეზიის, კერძოდ, ლირიკის არსი და დანიშნულება გ. ლეონიძემ ასე განსაზღვრა ერთ ლექსში:

„უღამაზესი მხოლოდ ის არის,
ვინც ავსებულა თავის დროს ძალით —
ადიდებულ, დამწიფებულ,
ყანა, მდინარე, ვენახი, ქალი.
დღევანდელი დღის პასუხ-მგებელი
ჩაასვი სიტყვა — ტყვია ტყვიაში!
მიწას არ ახსოვს, იყოს პოეტი
გამომწყვდეული კუბოს წყვილიდამი.
და რაც კი სუნთქავს დღეს ქვეყანაზე,
რაც სიცოცხლეთი არის ცხოველი:
მიწა, ფოთოლი, ღრუბლის ნაგლეჯი —
შენი სიტყვების ღიმისს მოელის“.

ლირიკულ პოეზიაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს სიყვარულს. ლიტერატურის

ისტორიაში ძნელია დავასახელოთ ისეთი ლირიკოსი, რომელსაც ამ უაღრესად კეთილშობილური გრძნობის გამოხატვა არ ეცადოს. რა თქმა უნდა, სიყვარული უაღრესად პიროვნული გრძნობაა და ამ თემაზე შექმნილი მრავალი პოეტური ნაწარმოები ასევე ინტიმურ ხასიათს ატარებს. მაინც ეს ნაწარმოებები როდი არიან მოკლებულნი ესთეტიკურსა და შემეცნებით ღირებულებას. ბევრი მათგანი მკითხველის გულში სამუდამოდ ისადგურებს, რადგან მის ფიქრებსა და განცდებს ეხმარება, მისი სულის გამოძახილს წარმოადგენს. სწორედ ამ მხრეზე გამოირჩევა გ. ლეონიძის სატრფიალო ლირიკა. ლექსებში „თოლია“, „მე ხომ მიყვარხარ“, „მე შენს სიყვარულს, ძვირფასო“, „მაგონდება ჩუქურთმაში ყვავილი“, „გულს ბუდე არა ჰქონია“ და სხვა, პოეტი უმღერის სპეტაკ და მტკიცე სიყვარულს, ყოველგვარ განსაცდელს რომ უმკლავდება:

„შენი შუქით ჩემი გული დამხვედა,
შენ დამხურე მისის ცა თავზედა!
და მსურს დავრჩეთ, რა დროსაც არ
გავივლით,
როგორც ჩარჩა ჩუქურთმაში ყვავილი...
ქვავდე ჰყვავის და არ უდრის განსაცდელს,
ათას უძლო, კვლავ გაუძლებს ათას წელს...“

გ. ლეონიძე ოსტატურად არჩევს სახეებსა და ფერებს, რათა მძაფრი პოეტური მგზნებარებითა და სისავსით გამოხატოს ქალისადმი უდიდესი მოყრძალება და თავყვანისცემა. პოეტი თავს ევლება საყვარელ არსებას, როგორც სიწმინდისა და კეთილშობილების განსახიერებას. პოეტის სიყვარული ჰვავს ღვართჭიფიან აპრილს, რომელსაც ამშვენებს მარად დაუდგრამელი სიცოცხლის სილაღე, სინაზე და სურნელებს. ლეონიძის სატრფიალო ლირიკას თან ახლავს მსუბუქი სევდა, სიყვარულის განუყრელი თანამგზავრი. ჩვენ გვინდა დავასახელოთ ლექსი, რომელშიაც ლეონიძე პოეტური პიებროლის საშუალებით, დიდი ლირიკული უშუალობით გადმოგვცემს სპეტაკი სიყვარულის კაემანს, განცდას იმ აღამიანისას, რომელსაც სატრფოზე ფიჭვი მისვენებას არ აძლევს:

„შევიტყე, ვერ სპობს შავი დღე;
ვერც მოშამული ისარი,
არც გადახმება, თუ ერთხელ
გულია ნამისარი.
შენთვის მღვლარებს, შენდამი,
შენგამო იკრფეს ღონესა,
ქარიშხალს ჩასთვლემს ხანდახან,
მე არა, შენსა მგონესა...“

გ. ლომინძის მხატვრული პორტრეტების გა-
ლერეაში ჩვენ გვხვობავს დაუფიქარი და
წარმტაცი სახე ნინო ჭავჭავაძისა, რომელიც
პოეტის თვავონებამ ჩვენს წინაშე გააცოცლა
მთელი თავისი მიმზიდველობითა და გრაციო-
ზულობით, ქალური სინაზითა და სინარჩართ:

„თუ გადამქარალი შენ ხარ ვარსკვლავი,
ახლაც მინათებს შენი მშვენიერა...
შენგან შევიტყვე, რომ სილამაზეს
არ უწყერია ვადამენება...
შენს სილამაზის იქით ბნელდება,
და იხურება ცისკრის კარდნი,
შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად,
მეკრღვე რომ ვარდასაც ძლივს იყარებდი“.

ეს არის სიმღერა უქვნობ, მარადიულ სი-
ლამაზზე, რომელიც სულიერი სიდიადისა და
გარეგნული მშვენიერების ჰარმონიულ შერწყ-
მის წარმოადგენს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ
გ. ლომინძე პოეტური პორტრეტების შესანიშ-
ნავი მხატვარია. მის მიერ დახატული ილიას,
აკაკის, ვაჟას, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ
ბარათაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგისა და
სხვათა პორტრეტები გამოირჩევა კომპოზიციუ-
რი მთლიანობით, დიდი გრძობითა და დაკ-
ვირვებით შერჩეული ფერებითა და საღებპ-
ევებით. ამ ლექსებში გააცოცლებულია ეპოქის
კოლორიტი, სიტყვა და საქმე იმ დიდი აღამი-
ანებისა, რომელთა საუკეთესო ტრადიციებზე
აღიზარდა და დავაჟკაცდა ჩვენი პოეტი.

გ. ლომინძე სამართლიანად ითვლება პოე-
ტური პეიზაჟის შესანიშნავ ოსტატად. ლექ-
სებში „გაზაფხული“, „ვისმენ მაისის სიმთა-
ხმას“, „მიყვარს მშუქარი ვაზის ყვავილი“,
„კახეთი“ და სხვ. ვაისის მაისის სიმთა მომ-
ჯადობელი წყრილი, ჰიკიკი გაზაფხულის
მერცხლებისა, ვხედავთ თავმოყრილ ატყორც-
ნილ ლერწმებს, საამოდ გაფურჩქვნილ ყვავი-
ლებს, ერთი სიტყვით, ვხედავთ ყველაფერ
იმას, რაც ბუნებას შეუქმნია აღამიანის საკე-
თილდებში, მის დასატკობად. ამ ციკლის
ლექსებიდან ჩვენ განსაკუთრებით გვინდა გა-
მოვყოთ ლექსი „კახეთი“, რომელშიც გადა-
შლილია თავისი სილამაზით თვალისმოშობილი
ალაზნის ველი, სადაც ბუნებას საგნე კალთა
დაუბერტყავს.

„ასწიე, ადი, შეიტკბე,
სამშობლოს დიდი მშვენიერა...
სამშობლოვ, მხოლოდ შენი მზე
გულს ოქროდ დამეშენება!...
შაბაჟ!
იღინე,
გაბრწყინდი
გაფრქვევით, ოქროს დიელო!

დე, შენმა გამოსხივებამ
ჩემს სიყვარულში იგლვოს!
შენ დამიშწიე სიტყვები,
ვით ხეს გასული მტევნები,
შენს, შენდამი, შენს შუქთა,
შენს ციმციმთ მისადენები!“

გაზაფხული თავისი მდიდარი ნაირსახეობით,
გამოღვიძებული და განახლებული ბუნების
ყიფინით, მთებიდან მომსკდარი ნიაღვრებით
გ. ლომინძის პოეზიაში სიმბოლური გამოხატუ-
ლება ჩვენი მჩქეფარე, მარად წინ მიმავალი
ცხოვრებისა, რომელსაც თვითველი ჩვენთავა-
ნი გრძნობს და ვანიცდის, როგორც სიცოცხ-
ლის გამარჯვების ნამდვილ დღესასწაულს.

სოციალისტური სამშობლოს სიდიადისა და
სიმშვენიერის გამოსახატვად პოეტს თითქმის
ყოველთვის ახერხებს მონახოს მაღალი ემო-
ციური სახეები.

გ. ლომინძის პოეზიაში ისმის მძლავრი გუ-
ლისცემა იმ ბედნიერი აღამიანისა, რომლის
სამშობლო, წარსულში მრავალგზის დანგრეუ-
ლი და გაპარტახებული, ახლა თავისუფალი
შრომის ფერხულში ჩაბმულია და გმირული,
ძალღონით აღსავსე ცხოვრებით ცხოვრობს:

„და ძალყოფილი,
ქვედამხობილი,
მუმლის ნაკებნი
და მოშხაბული, —
მორჩა,

წამოდგა ქართული მუხა,
აი, დიდება და სიხარული!
მით გული მაისს მიემგვანება...“

გ. ლომინძე მტკიცედ იცავს ქართული ელ-
სიკური ლექსის მეტრს. მან იმთავითვე უარყო
„თავისუფალი ექსპერიმენტები“ და ყოველივე
ის, რაც ქართული ლექსის ბუნებისათვის არა-
ორგანული და ერთგვარად ნაძალადევიც იყო.
მართალია, მისი ლექსები უმთავრესად კლასი-
კური პოეზიის ტრადიციული მერცხისათაა და-
წერილი, მაგრამ მისი ახალი მხატვრული სა-
ხეები, ფოლადივით მტკიცედ ნაჰედი ძარღვი-
ანი თქმები ამდიდრებენ ქართული საბჭოთა
პოეტური კულტურის საფუძვლებს.

გ. ლომინძე პოეტების იმ პლედას მიეკუთ-
ვნება, რომელიც ნაწარმოებსაც აეტორის ხელ-
მოუწერლადაც იცნობს მეთხველი. ამის მიზე-
ზი, უპირველეს ყოვლისა, პოეტური სტილისა
და მანერის თავისებურებებსა და ორიგინალ-
ბაში უნდა ვეძებოთ.

ლექსში გამოყენებული თვითველი სიტყვა
უნდა ეთანხმებოდეს მის შინაარსს, უნდა ემსა-
ხურებოდეს ნაწარმოების აზრის ნათლად გად-
მოცემისა და პოეტური ჩანაფიქრის გახსნის



ამოცანას. სიტყვათა იმ აურაცხელი მარავი-
დან, რომელიც პოეტის განკარგულებაშია,
უნდა შეირჩეს ყველაზე საუკეთესონი, ისეთნი,
რომელნიც მთლიანად ამოწურავენ პოეტის
მხატვრული იდეის სიღრმესა და მნიშვნელო-
ბას და ლექსში მხოლოდ გარეგნული სამკაუ-
ლის შთაბეჭდილებას არ დატოვებენ. ვ. ლეონიძე
შესანიშნავად ფლობს პოეტური სიტყვის
საიდუმლოებას. მაგრამ ზოგჯერ სიტყვის ძიკ-
ვაში პოეტი აშკარა ხელოვნურობამდე მიდის.
ამ შემთხვევაში მის მიერ დეფორმირებული
სიტყვა არ გამომდინარეობს ქართული ენის
ბუნებიდან („დროშაიანო“, „სიკაბუკური“ და
სხვ.). გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს ცალკეული
შემთხვევები კორძიან ადგილებს ჰქმნის ვ. ლეონიძის
შესანიშნავ ლექსებში. აქვე გვინდა დავს-
ძინოთ, რომ ვ. ლეონიძის მდიდარი პოეტური

სახეების გაღერებაში ზოგჯერ გვხვდება ფერ-
მკრთალი და ბუნდოვანი პასაჟები:
„მხოლოდ უსმენდნენ შაშვები,
კარები არსად გაიღო —
დამტაშვებელი ტაშები
საფლავში გამოშპალიყო“.

(„თბილისის განთიადი“).

საერთოდ კი ვ. ლეონიძეს ახასიათებს ფრთი-
ანი, ომახიანი სიტყვა. მისი პოეზიის დამახა-
სიათებელ თვისებად უთვლიდ უნდა ჩიითვალოს
ფორმისა და შინაარსის მთლიანობა, ელვარე
ხმალივით მოქნეული მისი სტრიქონები გამო-
ხატავს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს
წინსვლასა და განვითარებას, მისი გმირი ალა-
მიანების ფიქრებსა და განცდებს, იმ ღიღ და
განუზომელ სიყვარულს, რომლითაც ჩვენი
ხალხი აშენებს კაცობრიობის უბრწყინვალეს
მომავალს.



აღქმისათვის კომუნიკაციები

ვაქცინების მიწოდება საქართველოში

ქვეყნის მთავრობის მიერ დაგეგმილია ჩინეთის სახელმწიფოსგან ვაქცინების მიწოდების შესახებ მასალის შეკრებისას რამდენიმე მნიშვნელოვანი, ლიტერატურაში უცნობი, ფაქტი ჩაეხიზნა. ზოგიერთი ჩვენი მოწინავე ქართველი მოღვაწის მრავალფეროვანი ცხოვრებიდან.

ქვემოთ მკითხველებს გავაცნობთ გენიალური ქართველი მგონის — ვაჟა-ფშაველას ერთ თავგადასავალს, რომელსაც ადგილი ჰქონია ქიათურაში მისი ჩასვლის დღეს.

ქიათურის დრამატული საზოგადოებას განუზრახავს 1913 წლის 18 მაისს საქველმოქმედო მიზნით ლიტერატურული საღამოს მოწყობა ვაჟა-ფშაველას მონაწილეობით. მისი მოწვევის ორგანიზაცია საზოგადოების გამგეობას ქიათურელი მასწავლებლის ივანე გამელაურისათვის დაუვალეზა, რადგან ვაჟა მას პირადად ცნობია. ივ. გამელაურს ჯერ კიდევ 7 მაისს მიუწერია ვაჟასათვის: „ღიდალ პატივცემული და ძვირფასო ვაჟა! მე, როგორც თქვენი ნაცნობი, მოციქულად ვარ გამოგზავნილი. აი საქმე როგორაა: ქიათურის დრამატული საზოგადოება აპირებს ამ თვის თერამეტს გამართოს საღამო-მეჯლისი თავისი ქონების გასაძლიერებლად. აი ამ შემთხვევით უნდა ისარგებლოს, თქვენი თავი და თქვენი კიონზე გააცნოს აქაურ საზოგადოებას. რომ ამ სიშორეზე თქვენი შეწყუბება უხერხულია, მით უმეტეს, რომ გზის ფულს ხელ თუმიწუნე მეტს ვერ მოგართმევენ... მაგრამ მაინც ჰხედავენ და ჩემის პირით ვთხოვენ გაისარჯლოთ და თერამეტისათვის ჩამობრძანდეთ ქიათურაში. კერძოდ მეც ვთხოვ უარს ნუ გვეტყვი“. დასასრულ ავტორი წერს: „ვაჟა! აქ ბევრს იმისთანა სანახავს ნახავთ, რაც საქართველოს არც ერთ კუთხეში არ მოიძებნება. სხვათაშორის, კერძოდ მე ამისთვის მინდა, რომ უთუოდ ჩამოხვიდეთ“. აქ, ალბათ, მარგანეცის მრეწველობა უნდა ვიგულისხმობო.

როგორც საბუთებიდან ჩანს, ვაჟას თუმცა თანხმობა უცნობებია, მაგრამ საღამო, ჩვენთვის გამოურკვეველი მიზეზებით, ივნისის დასაწყისისა-

თვის გადადებულია. გამგეობის თავმჯდომარეს სოფ. ტარუშვილს ვაჟასათვის დამატებით უცნობებია: „მივიღე თქვენი თანხმობის (ალბათ მეორე) წერილი და გვლით შაბათს... 8-ს ამა თვესა. პირველი იქნება შაბათსავე და მეორედ კვირას, როგორც მოგწერეთ“.

ზუსტად დაუდგენელია, სახელდობრ, რომელ დღეს ჩავიდა ვაჟა ქიათურაში, მაგრამ, როგორც ირკვევა, სადგურზე მას არავინ დახვებოდა. საულისხმოა ის გარემოება, რომ ვაჟას დიდი აკაკის სამშობლო კუთხეში — ქიათურაში გამზარებამდე რამდენიმე დღით ადრე „სახალხო გაზეთში“ გამოუქვეყნება ცნობილი „დაგვიანებული პასუხი აკაკის“.

ქიათურის საზოგადოებრიობა ვაჟას პოეზიით აღრევე დაინტერესებულა და 1911 წელს წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქიათურის განყოფილებას გამოუცია მგონის „სამი საყმაწვილო ამბავი“ დასურათებული და ავტორის ბიოგრაფიითურთ.

ვიტორია დიმიტრის ასულმა დეკანოზიშვილმა გამოაცხადა, რომ როგორც კი ხალხმა გაიგო, ვაჟა ქიათურაში უნდა ჩამოვიდეს, ყოველდღე მოუთმენლად მოელოდნენ მგოსანს. თვით ვიტორია და ირაკლი დეკანოზიშვილს (ირაკლე წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილების თავმჯდომარე იყო) მზადება დაუწყით: თავიანთ სახლში (ლენინის ქ., № 41) ვაჟასათვის ერთი ბუნრიანი ოთახი გამოუყვით, დაუღაგებით და დანიშნულ დღეს ვაჟას მოელოდნენ.

იმ დროს მთელ ქიათურაში სამხედრო წესები ყოფილა გამოცხადებული. ქალაქი სამხედრო პარტიათა და ქანდარმებით ყოფილა სავსე. ჯაშუშებიც ჰქარბად დაძროდნენ.

სრულად მოულოდნელად ვიტორია დეკანოზიშვილს ბინაზე ზღებია ქანდარმთა უფროსის ადანეცის გაგზავნილი კაცი და გადაუცია, რათა მისი მეუღლე — ირაკლი დეკანოზიშვილი დაუყოვნებლივ უფროსთან გამოცხადებულიყო. ამ მოულოდნელი მიწვევით ვ. დეკანოზიშვილი შეშინებულია, სასწრაფოდ თავის მეუღლეს დაკავშირებია და ადანეცის განკარგულება გადაუცია.



როგორც ვ. დეკანოზიშვილი გვაცნობებს, ჭა-
თურაში ვაჟა თავისი ძველი ჩოხითა და ყაბალა-
ხით ჩასულა. აღდგან სადგურზე არაგინ დახვდა
და არც ის ცოდნია, თუ სად და ვისთან უნდა
წასულიყო, თან ჭიათურაში პირველად იყო, ამ-
იტომ სადგურის ბაქანზე წინ და უკან სიარული
დაუწყია და ვიდაცას ეძებდა. ვაჟას ეს „სიერ-
ნობა“ შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ქანდარბებს
და მალე ის, როგორც საეპეო პიროვნება, ადანე-
ციასთვის კაბინეტში წარუდგენიათ. ადანეცს
დაუწყია ვაჟას დაკითხვა. ვაჟას დინჯად და მოკ-
ლედ უთქვამს, რომ ის ქართველი მწერალია და
ჭიათურაში ჩავიდა საზოგადოების მიწვევით ლი-
ტერატურულ საღამოში მონაწილეობისათვის.
თავზედი ადანეცი დაცინვით შეხვედრია ამ გან-
მარტვას და უთქვამს: „მწერალი!.. მწერალი კი
არა, ეშმაკია. სადაური მწერალია!“ დაკითხვა
იმით დამთავრებულა, რომ ადანეცს უბრძანებია,
მოხუცი ვაჟა ქურდ-ბაცაკებისათვის განკუთვნილ
საპატიმროში ჩაემწყვდიათ. რაკი ვაჟა დარწმუნ-
და, რომ რეგვენ ადანეცთან ვერა გააწყრა, სა-
პატიმროში წასვლის წინ უთქვამს: ჩემი თუ არა
გჯერათ, ირაკლი დეკანოზიშვილს გამოუძახეთ
და ის დადასტურებს ჩემს განცხადებასო.

ირაკლი დეკანოზიშვილი მყისვე ადანეცთან
წასულა. სადგურზე მისვლისთანავე საპატიმროს
ფანჯარაში ვაჟა დაუნახავს და შეშინებულს შე-
უძახია:

- ვაჟა, ეს რა დაგმართათ?
- დამიჭირეს, ირაკლოჯანი!
- რატომ, საამისო რა დაამაგეთ!
- არ ვიცი, რატომ დამიჭირეს!

ირაკლი დეკანოზიშვილი ადანეცთან შესულა
და განუცხადებია:

- თქვენ ჩვენი გამოჩენილი მწერალი დაგიბა-
ტიძებიათ...
- ადანეცს სიტყვის დამთავრებაც არ დაუტლია
და კვლავ უკმეზად უთქვამს!
- ეგ მწერალს არა ჰგავს!
- მაგისთანა მწერალი ბევრს არცა ჰყოლია
და არცა ჰყავს.

დიდი და ხანგრძლივი ახსნა-განმარტების შემ-
დეგ ვაჟა-ფშაველა გაუთავისუფლებიათ და ირაკ-
ლი დეკანოზიშვილს თავის ბინაზე წაუყვანია. ვა-
ჟა დიდად აღშფოთებული ყოფილა ადანეცას
მოქმედებით და უფრო მეტად კი მისი დამამცი-
რებელი უქმეზობით.

ასე „თავზიანად“ შეხვდა ქანდარბერია ჭიათუ-
რაში პირველად და უკანასკნელად ჩასულ ვაჟა-
ფშაველას. ვინ იცის, იქნებ მგონის ძველი ჩოხა
და ყაბალახი მხოლოდ მარჯვე მიზეზი იყო, რა-
თა იმ არეულ დროს თავიდან აგცილებინათ ვა-
ჟას გამოსვლა ხალხის წინაშე, რადგან მეფის ოხ-
რანკამ კარგად იცოდა მისი პოეტური სიტყვის
ძალა და გავლენა, იცოდა როგორ აღაგზნებდა ის
ხალხს ცარიზმის წინააღმდეგ. ოხრანკამ უთუოდ

იცოდა, რომ ჯერ კიდევ ოცდარეო წლებს უკმა-
კი — გარის სემინარიელი ვაჟა ხალხისან მიშო-
ყიფიანის საშუალებით ხალხისანთა ფარული
ორგანიზაციის აქტიური წევრი იყო და ცარიზმის
წინააღმდეგ იბრძოდა; სოფ. უფლისციხეში პრო-
პაგანდისტთა ფარულ თათბირს უკმაკეი მიმარ-
თავდა მოწოდებით: „ან თავისუფლება, ან სჯი-
ბია სიკვდილი!“ ოხრანკამ ძალიან კარგად იცო-
და, რომ ვაჟა აღფრთოვანებული იყო რუსეთის
პირველი რევოლუციის ქარიშხლის მოახლოებათ:

მზედ იქცა გულში მითრთოღვარი
იმედი, ოდნავ მბუტუბავი

ანდა:
ცაზე მოფრენენ წერონი,
მოაქეთ საამო ამბები!

ხოლო რევოლუციის დღეებში აღტაცებით აუ-
წყებდა ხალხს: „კვდება, სულსა ჰღვებს ვეშაბი“
და სხვა. ოხრანკამ იცოდა აგრეთვე ის, რომ ვა-
ჟამ რევოლუციის დღეებში, „მარხელივან“ და-
წერა. მისთვის ცნობილი იყო ისიც, რომ ვაჟა
არა მარტო „თავისუფლების მოგოსანი“ იყო, არა-
მედ აგრეთვე რევოლუციის მოძრაობის პრაქ-
ტიკული მოღვაწე და შავი რეაქციის წლებში
ხალხთა თავისუფლებისათვის უშიშარი მებრძო-
ლიც: „ოჰ, გაზაფხულო, სადა ხარ? რად იგვიან-
ებ ნეტაო?“

ოხრანკამ კარგად იცოდა მგონის ასეთი ოპო-
ზიციური განწყობილება. ამიტომ მას ყოველგვა-
რი საშუალებით სდევნიდა და სწავლობდა მთაში
მის მოღვაწეობას.

კაპიტალი სამონოე როდი სტყუოდა, როდესაც
1907 წელს ფშავ-ხევსურეთში საიდუმლოდ შე-
კრებილი ცნობების საფუძველზე მეფისნაცვლის
კანცლარიას წერდა: ამ რაიონში რევოლუციურა
მოძრაობის სათავეში დგას სახალხო პოეტი ვა-
ჟა-ფშაველაო.

უთუოდ ზემოაღნიშნული გარემოება და არა
მგონის ცული ჩამტელობა იყო მიზეზი იმ „თა-
ვზიანი“ მიღებისა, რომლის შედეგადაც ვაჟა
ქურდ-ბაცაკებისათვის განკუთვნილ საპატიმრო-
ში აღმოჩნდა სადგურ ჭიათურაში.

მიუხედავად ამისა, ლიტერატურული საღამო
მ ივნისს მაინც ჩატარებულა. იმის გამო, რომ
ვაჟას ნახვით დანიტერესებულს ყოფილა ბევრი
ჭიათურელი, პირველ საღამოს იფფასიანი ბი-
ლეტები გაუყილიათ. საღამოს ერთ-ერთმა დამსწ-
რეთაგანმა — პლატონ ალექსანდრეს ძე ლოლაძემ
(ჭიათურა, ავ. წერეთლის სახ. თეატრის მსახიობი)
ჩვენი თხოვნით გვაცნობა: „საღამოს დაესწრენ
როგორც ინტელიგენცია და მარგანეცის მრეწვე-
ლები, აგრეთვე დიდძალი მუშები. მუშებით ვა-
ტენილი იყო თეატრის ქანდარბები და მათი ტა-
შის გრიალით შენობა ზანზარებდა“.

თეატრის უბრალოდ მოწყობილ სცენაზე ვაჟა

კულისებიდან შემოუყვანიათ სოფ. ტარუაშვილსა და ივ. გომელაურს და საზოგადოებისათვის წარუდგენიათ სიტყვებით: აი, მთის არწივი, დიდი მგოსანი ვაჟა-ფშაველაო. და მას მოკლედ მისალმებთან. ქანდარაზე მყოფ ერთ-ერთ უცნობ მუშას ადგილიდანვე უთქვამს მისასალმებელს სატყეა, რასაც ახალი მქუხარე ტაში გამოუწვევია. საღამოს ეს პირველი განყოფილება — საზოგადოებისათვის ვაჟს გაეცნობა ლობთბარ სანდრო კაცასძის გუნდის სიმღერებით დამთავრებულა. მეორე განყოფილებაში წარმოდგენილი ყოფილა „ციხის საიდუმლოება“ (იგივე — „სიხმარი კ. შკა.“). მესამე განყოფილებაში ვაჟს სამი ლექსი წაუკითხავს. ორი ლექსის სათაური გამოურკვეველია, ხოლო მესამე ლექსის შესახებ პ. ლოლაძე გვაცნობებს, მთის ზვიადობას ასახავდა და დახლოებით ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა: „არ გარგებს, თორემ შენ იცი მთავ, მალა-მალა მზერანო“. როგორც გამოვარკვეით, ეს რამელანობა სხეშეცვლილი სტრიქონებია ვაჟს ლექსიდან — „მოა და ბარი“, რომელიც შემდეგნაირად მთავრდება: „არ გარგებს, თორა შენ იცი, მთავ, ამაყობა ფრიად“.

ვაჟს ლექსებით ხალხი ფრიად კმაყოფილი დარჩინილა.

პირველი „საღამო რომ დამთავრდა, — გვაცნობებს პ. ლოლაძე, — კულისებში შევიბრინე. ვაჟა, ვანო გომელაური, სოფრომ ტარუაშვილი და ირაკლი დეკანოზიშვილი იღვნენ და მუსიკაიდობდნენ. ვ. გომელაურმა მიმიყვანა ვაჟსთან და უთხრა: ეს ვაგარიანი მოქართულია და მომავალი პოეტია (მე ბავშვობაში ლექსებს წყვრდი). შეპლდე მე მომიბრუნდა და მითხრა: აბა ვაჟს რამეს თუ ეტყვიო (ვ. გომელაურმა იცოდა, რომ მე მზად მქონდა პატარა ლექსი, რომლითაც ვაჟსათვის უნდა მიმემართა, თუ ის ჩვენს სკოლაშიც მოვიდოდა, მაგრამ მეცადინეობა 5 ივნისს შეწყდა და მოწადებთან ვაჟს შეხვედრა ვეღარ მოეწყო). ლექსი ჯიბიდან ამოვიღე, მაგრამ მღელვარებისგან წაკითხვა ვერ მოვახერხე და ვაჟს გადავიცი. მგოსანი თავისთვის კითხულობდა ჩემს ლექსს:

„ბუმბერაზი მთების შვილო,
და თითონაც ბუმბერაზო!
რომელ ენით შეგაქო და
რომელ კალმით გამოგხაზო.
ჩენი ქვეყნის სიამაყე,
ჩენო ღვიძლო, ჩენო ვაჟა,
ჰიათურა გესალმება —
ვაშა, ვაჟა, ვაშა-ვაშა!“

შემდეგ მომიმარემ თავზე ხელი ვადამისვა, ლექსი მრგვლად დაახვიდა და ჩოჩის საქილეში ჩაიღვა“.

საღამოს მომწყობთ თავიდანვე განზრახული ჰქონიათ ვაჟსათვის ჰიათურის სკოლის ჩვენება. მართლაც, 9 ივნისს, დილით, მას ჰიათურის ექვსკლასიანი საქალაქო სკოლა დაუთვალვიერებია, სკოლის მასწავლებლებთან უსაუბრია, ხოლო საღამოთი ისევ თეატრში ყოფილა და ლექსები წაუკითხავს. სამწუხაროდ, ვერ დავადგინეთ, შესურულა თუ არა გომელაურმა თავისი დაპირება: ვაჟსათვის „იმისთანა სანახავის“ ჩვენება, რომლის მსგავსი საქართველოში არსად მოიძებნებოდა, მაგრამ ვფიქრობთ, ვაჟა უთუოდ გაეცნო ჰიათურის უზარმაზარ მრეწველობას, რომლის წამომწყები და სულისჩამდგმელი დიდი აკაკი წერეთელი იყო.

ჰიათურის საზოგადოებას ლიტერატურული საღამოს შემდეგ ვაჟს საპატივემოლო ვახშაში მოუწყვია ირაკლი დეკანოზიშვილის ეზოში. ეზოში ქუჩის მხარეს ვაჟსათვის დაუდგამთ დიდი ტახტი სავარძლით, ხოლო ხალხი ეზოში შიგნი განლაგებულა. ვახშამს დასწრებიან ქალაქის ინტელიგენცია, შავი ქვის მრეწველები და მუშა-მოსამსახურენცი. ირაკლი დეკანოზიშვილს ვახშამზე მოუწყვია თარის განთქმული დამკვრელი (შესაძლოა ი. საღინაშვილი, რომელიც იმ დღეებში ზესტაფონსა და ჰიათურაში იმყოფებოდა და, „სახალხო გაზეთის“ ცნობით, ლიტერატურულ საღამოებზე „სხვადასხვა პანგები“ უნდა დაეკრა).

როგორც ლიტერატურული საღამოები, ისე ვახშამიც ვაჟსადმი გულწრფელი სიყვარულისა და ღრმა პატივისცემის ვითარებაში ჩატარებულა.

ვ. დეკანოზიშვილმა გვაცნობა, რომ ვაჟა მეორე დღეს ზესტაფონში წასულა ლიტერატურულ საღამოში მონაწილეობისათვის, ხოლო იქიდან ამავე მიზნით ქუთაისში უნდა წასულიყო.

იმდროინდელ პრესაში ზესტაფონსა და ქუთაისში ვაჟს გამოსვლების შესახებ ცნობები არ მოიბოვება, ხოლო 1913 წლის ზაფხულს კი ვაჟა მეორედ ყოფილა ფოთში და ლიტერატურულ საღამოში მონაწილეობაც მიუღია. შესაძლებელია, ვაჟა-ფშაველა მართლაც ზესტაფონ-ქუთაისის გავლით წავიდა ფოთში და ვ. დეკანოზიშვილს ეს ფაქტი დაამახსოვრდა.

ფოთის საზოგადოებას კვლავ დიდი აღფრთოვანებით მიუღია ვაჟა-ფშაველა, რისი დამადასტურებელია ისიც, რომ მგოსანი შვიდჯერ გამოუჩინათ სცენაზე ლექსების წასაკითხავად.

ასეთი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ხვდებოდა საქართველოს დაბა-ქალაქების საზოგადოება თავის გენიალურ მგოსანსა და დიდ მოქირანხელს ვაჟა-ფშაველას.



ნახალია ოკროსკაი

გოდონის მაჩაბლისეული თარგმანი

ივანე მაჩაბლის სახელი მკვიდროდა დაკავშირებული შექსპირის მისეულ თარგმანებთან, რომლებმაც ახალი ხანა შექმნეს ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის ისტორიაში. მაგრამ ქართული თეატრის განვითარების საქმეში გარკვეული როლი შეასრულეს მისმა სხვა თარგმანებმაც, რომლებიც, უეჭველია, ყურადღების ღირსნი არიან. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა გოლდონის პიესა — „როგორც ჰქუხს, ისე არა სწვიმს“, რომელიც 1879 წელს ითარგმნა და მუდმივმა თეატრმა თავისი მუშაობის პირველსავე წელს შეიტანა რეპერტუარში. მაჩაბლის ეს თარგმანი არ დაბეჭდილა და დიდხანს დაკარგულადაც ითვლებოდა, მაგრამ ამჟამად ინახება საქართველოს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში (Q-362). პიესის სათაურია: „როგორც ჰქუხს, ისე არა სწვიმს“, გოლდონის კომედია (იტალიურად) სამს მოქმედებდა“. ზელნაწერს არც თარიღი უხის და არც ხელმოწერა აქვს, მაგრამ როგორც თვით ნაწერი, ისე ავტორისეული სწორებანი მიგვიჩვენებენ, რომ ხელთ გვაქვს მწერლის ავტოგრაფი. ეს ზელნაწერი სახელმწიფო მუზეუმის ფონდში მოხვდა თეატრალური მუზეუმიდან. ტექსტი მეღნითაა ნაწერი. ზელნაწერი მთლიანადაა შემონახული, ოღონდ უკანასკნელი ფურცელი ცოტათი დაზიანებულია — ჩამონეულია.

პიესა განკავთ თარგმანი კარლო გოლდონის კარგად ცნობილი კომედიისა „ბუზლუნა კეთილისმყოფელი“, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს განთქმული იტალიელი დრამატურგის ნაწარმოებთა შორის. ეს პიესა მიეკუთვნება გოლდონის შიმოქმედების მრგვალო პერიოდს, დაწერილია პარიზში, სადაც გოლდონი 1762 წელს გაემგზავრა ვენეციიდან, ვინაიდან სამშობლოში მას ლიტერატურული ბტრები დევნიდნენ. პარიზში ჩასვლის 9 წლის მერე, როცა ფრანგული შეისწავლა, გოლდონმა ფრანგულ ენაზე დაწერა კომედია „Le bourgeois bien-

faisant“, რომელიც 1771 წლის 4 ნოემბერს დაიდგა პარიზში „კომედი ფრანსეზის“ სცენაზე, დიდი მოწონებაც ხვდა და მრავალი წლის განმავლობაში ამ თეატრის რეპერტუარშიც შედიოდა.

პიესა აგებულია ოჯახურ ინტრიგაზე; მის ცენტრშია ბუზლუნა კეთილისმყოფლის ბნ ჯერონტეს სახე. ჯერონტეს მძისწულმა დალანკურმა, რაც რამ ებადა, თავისი ცოლის მორთვა-მოკაზმვას დაახარჯა, სპეკულაციებში გაება, თავი ვერ გაართვა და მთელი ქონება დაკარგა. ჯერონტეს ისეთი სულწასული ხასიათი აქვს, რომ გარშემო მყოფთ რიგიანად არც კი აცლის ლაპარაკს. ის სულით და გულით ზრუნავს თავის დისწულ ანჯელიკაზე, მაგრამ როცა ელაპარაკება ხოლმე, სათქმელს ზრ თქმევიანებს და ქალისწილს ვერ გაუმხელია მისთვის თავისი აქვს, რომ ჯერონტეს თანამეგობარს დალანკურს ანჯელიკას სადარდებელს, და ეს ფიციბა კეთილისმყოფელა კაცი საქმეს ისე აგვარებს, რომ ყველა ბედნიერია.

70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანის დასაწყისში მაჩაბელი თარგმნის პიესებს, შეტწილად კომედიებს, რის ნაკლებობასაც ასე გინდობდა ახალგაზრდა თეატრი. 1879 წ. პარილში დაიდგა მის მიერ თარგმნილი პიესა მოლიერისა — „ეჭვით ავადმყოფი“. ბუნებრივი იყო, რომ მოლიერის მერე მიემართათ „იტალიელი მოლიერისთვის“, როგორც უწოდებდნენ გოლდონს საფრანგეთში. ამ არჩევანს უთუოდ ხელს უწყობდა ის საყოველთაო ინტერესი იტალიისადმი, რომელიც გამოიწვია იქ მომხდარმა ამბებმა, ვარიბალდისა და მიძინის მოღვაწეობამ, მათმა ბრძოლამ იტალიის გაერთიანებისათვის. 60 — 70-იანი წლების ქართულ პრესაში მწამენლოვანი ადგილი უკავია იტალიის ამბებს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამასთან შეინიშნება იტალიური ლიტერატურით დანტერესებაც. არიცი შეეხება თვით პიესის არჩევანს, უნდა აღვნიშნოთ, რომ თუმცა გოლდონს აქვს უფრო ძლიერი ნაწარმოებები, მაგრამ „ბუზლუნა კეთილისმყოფელმა“, რომელიც ფრანგულ ენაზე იყო დაწერილი, უფრო მალე მოიხივება სახელი ევროპაში, ვიდრე მისმა იტალიურმა, მით უმეტეს კი ვენეციურ დიალექტზე დაწერილმა პიესებმა. გარდა ამისა, შესაძლოა, მაჩაპელმა ნახა ეს პიესა „კომედი ფრანსუზის“ სცენაზე, რადგან სწორედ მისი პარიზში ყოფნის დროს, 1878 წელს, მას შემდეგ, რაც თითქმის ოცდაათი წელიწადი არ დაედგათ ეს პიესა, თვარტმა კვლავ აღადგინა „ბუზლუნა კეთილისმყოფელმა“.

მეორე და უფრო მნიშვნელოვანი საკითხია ის, თუ რომელი ენიდან თარგმნა პიესა მაჩაპელმა. მას შეიძლება ზელოდ ჰქონოდა როგორც ფრანგული და იტალიური, ასევე რუსული ტექსტიც. ფრანგული ტექსტი პირველად 1771 წ. დაიბეჭდა და შემდეგაც მრავალჯერ გამოიცა. თვით გოლდონს პიესა იტალიურად არ უთარგმნია. „რომელ თარგმანზეც ვცდოდ რამდენიმე სცენის თარგმნა, — წერდა ის თავის „მემუარებში“, — და მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, რაოდენ რთულია ეს საქმე და რაოდენ ძნელია მისი ზერიანად შესრულება. ჩემს კომედიაში აუარებელი ისეთი წინადადებები და სიტყვები, რომელთაც თარგმანში ეკარგებათ თავისი მადლი და ლაზაოთ“.

მწერლის სიცოცხლეში შესრულებული იქნა პიესის 4 თარგმანი, რომელთაგან „მემუარებში“ მხოლოდ ორს იხსენიებს. XIX საუკუნის იტალიურ გამოცემებში შევიდა ავტორისაგან მოწონებული ეს ვარიანტები, რომლებშიც გარკვეული შესწორებები იქნა შეტანილი. რუსულად პიესა თარგმნა ხრაპოვიციმ 1772 წელს.

მაჩაპელისეული ტექსტის სიზუსტე გვაფიქრებინებს, რომ თარგმანი შესრულებულია ფრანგული დენიდან, მით უმეტეს, რომ მან კარგად იცოდა ფრანგული. თარგმანში ვერ იპოვით რუსული ტექსტის ნიშანწყალს, მაგრამ შეინიშნება იტალიური ვარიანტის ერთგვარი გავლენა, მაგალითად, გმირთა სახელებში, რომლებიც იტალიური გამოთქმითაა გადმოტანილი: ჯერონტე, ანჯელიკა (ფრანგულში არაა ასო „ჯ“), პიკარო, ვალერიო, მარტინია (ფრანგული პიკარის, ვალერის და მარტონის ნაცვლად). იტალიური ტექსტის გამოყენებას გვაფიქრებინებს აგრეთვე პიესის ქვესათაურიც „კაი გულს ავ-ენა“ (ხელნაწერში გადახაზულია), ვინაიდან ფრანგულ ტექსტში არაა არავითარი ქვესათაური, ის გვეხდება მხოლოდ იტალიურ სათაურში: „Il burbero benefico ossia il bisbetico di buon cuore“ („ჯიჯილინა კეთილისმყოფელი ანუ კაი გულს ბუზლუნა“).

სავარაუდებელია, რომ მაჩაპელი, რომელმაც კარგად იცოდა სამი ძირითადი ევროპული ენა, იტალიურშიც ერკვეოდა. ამაში მას უთუოდ ხელს უწყობდა როგორც ფრანგული და ლათინური ცოდნა, აგრეთვე ისიც, რომ გერმანიაში ყოფნისას იტალიელ სტუდენტებთან უხდებოდა ურთიერთობა. ასე, მაგალითად, 1876 წლის 25/13 დეკემბერს ის სწერს ძმას: „სადილზედ ჩემს სტოლზედ სხედან ორი იტალიანელი, ერთი ფრანცუზი და მარტო ერთი ნემენცი, ასე რომ ჩვენი ლაბარაკი სადილად ნემენცურით, ფრანციტულით და იტალიანურით ატვრელდება“. შესაძლოა, თარგმნის დროს მაჩაპელს ხელთ ჰქონდა ორივე ტექსტი და, რაკი ავტორი იტალიელი იყო, მთარგმნელმა უფრო მიზანშეწონილად მიიჩნია გმირებისათვის იტალიური სახელი დაეტოვებინა.

ხელნაწერი გოლდონის კომედიის მთლიან თარგმანს წარმოადგენს. თარგმანის ორიგინალთან შედარებისას, თუ არ ჩავთვლით სათაურის შეცვლას, არ შეინიშნება ტექსტიდან რაიმე გადახვევა, გარდა სულ უმნიშვნელო რამისა: გამოტოვებულია ჯერონტეს ერთი რეპლიკა (II მოქმედების I სცენა), გამოტოვებულია ავტორისეული რამდენიმე რემარკა, სცენები დაუნომრავია და ა. შ. თარგმანი შესრულებულია ცოცხალი სალაპარაკო ენით, მიუხედავად იმისა არაფერია სცხია. საუცხოოდაა გადმოცემული თავისებური მეტყველება თითოეული გმირისა, განსაკუთრებით ჯერონტესი, რომელიც ნაწყვეტ-ნაწყვეტად მეტყველებს, ხოლო მრისხანების წუთებში უხვად ხმარობს წამოძახილებსა და ლანდღის სიტყვებს. მაჩაპელმა მშვენიერად შეათავსა თარგმანის სიზუსტე და ქართული ენისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი. ხელნაწერი გაცივრუნებს, თუ არ სერიოზულად უშუშავია ავტორის ტექსტზე, რა გულდასმით შეურჩევია გამოთქმები თუ სიტყვის მოქცევა, რომელთა წყალობითაც აღწევდა კიდევ თარგმანის უფარეს სიზუსტესა და გამომატველობას.

თუ თვალს გადავაგვრებთ სწორებებსა და წაშლილ ადგილებს, შევნიშნავთ, რომ, როგორც წესი, პირველი ვარიანტი წარმოადგენს უადრესად ზუსტ თარგმანს, ხოლო შემდეგი ვარიანტები უფრო ხატოვანი და ქართული მეტყველებისათვის უფრო დამახასიათებელი გამოთქმებია. მაგალითად: „Il a son bien; qu'il le mange, qu'il se ruine, tant pis pour lui“ — „იმას თავისი აქვს, თუ შესჭამს, თუ დაიღუბება (იმისთვისვე არის ცუდი) (თავის თავს დააბრალოს) თავში ქვა იხალოს“.

„შირად ვხვდებით სტილისტური ხასიათის სწორებებს, მაგალითად:

1 ფრჩხილებში ჩასმული წინადადებები ხელნაწერში წაშლილია.

„მე ვარ ოჯახის თავი, მე ვარ ოჯახის უფროსი, ეგ ჩემი საქმეა“. ოჯახის თავი, ოჯახის უფროსი მე ვარ, ეგ ჩემი საქმეა“.

თარგმანში განსაკუთრებით საძნელოა ხოლმე დედნის ილიომატური გამოთქმებისა და მეტყველების სპეციფიური საქცევების გადმოცემა. აღნიშნული ხელნაწერში იგრძნობა, რომ მთარგმნელი ცდილობდა არა მხოლოდ აზრობრივი თარგმანის მოცემას, არამედ შესაბამისი ქართული გამოთქმების მონახვასაც. ხანდახან სრული შესატყვისობაა მიღწეული: „de porte en porte“ — „კარდაკარ“; სხვა შემთხვევებში მონახულია აზრობრივად საესებთი ანალოგიური გამოთქმები: „Comment voulez-vous que je vous entende, si vous êtes à une lieue de moi?“ (როგორ გინდათ, რომ გავიგონო თქვენი, თუ ჩემგან ერთ ვერსზე დგხართ — „ერთი მითხარ, საიდან რა გაგაგონო, რომ ერთის საათის სავალზედა არ შეიკარებო“)

ხანდახან მოცემულია მხოლოდ აზრობრივი თარგმანი, მაგალითად: „si matin“ (ასე დილით, ე. ი. ასე ადრე — „ამ დროს“; „chien de caractère“ (ძაღლის ხასიათი) — „დასწყევლის ღმერთმა ჩემი ხასიათი“. მაგრამ მეტწილად შესამჩნევია საწინააღმდეგო ტენდენცია, სახელდობრ — არა მხოლოდ ანალოგიური გამოთქმების შერჩევა, არამედ მათი მნიშვნელობის ხაზგასმა კიდევ უფრო ხატოვანი ანდა ორი ანალოგიური გამოთქმით. მაგალითად: „ce que vous me proposez là n'est pas une chose à précipiter“ (ის, რასაც თქვენ მთავაზობთ, ჩქარებით ვერ გადაწყდება) — („გადაწყვეტო რა, ფაფის გაკეთება ხომ არ არის? ეგრე როდი უნდა აჩქარდ) გადაწყვეტო რა, შექამანდის მონახვა ხომ არ არის? შენ ძალიან ჩქარობ“; ან „un homme vif comme lui“ (მასავით ფიცხი ადამიანი) — „იმისთანა კაცი (გამოცხადებული სიცხარე) ბილიბისავით ცხარე“. ზოგ შემთხვევაში დამატებულია გამოთქმები: „ვაი შენს მტერს“, „თუ კაცი ვარ“, და ა. შ.

ხელნაწერიდან აშკარაა, რომ მაჩაბელი ცდილობდა წმინდა ქართული გამოთქმებისა და სიტყვების შერჩევას. ვასული სატუენის ჩვეულებრივ მეტყველებაში შემოსული ნასესხები სიტყვები, როგორცაა „ათი მინუტი“ (I აქტი, XIII სურათი), „სტოლთან მივა“ (I აქტი, VI სურათი) მის თარგმანში იშვიათად გვხვდება. ზოგ ადგილას მსგავსი ადგილები თვით ავტორს გაუსწორებია: „მე მაგაზუნ ვიფიქრე და (ბლანტებზე დაიწყე) ვიზრუნე კიდევ“; „ერთ (გროსს) ბისტს არ მივსცემ“; „(კონტრაქტზედ ხელს მოგაწერინებ) პირიბას დავამტკიცებინებ“.

ხანდახან ავტორი, ვიდრე მისთვის საჭირო სიტყვას მონახავდეს, რამდენიმე ვარიანტს იყენებს. მაგალითად, ფრანგული „témoin“ (მოწმე, ამ შემთხვევაში ჯერისწერისას) თავდაპირველად

უთარგმნია სიტყვა-სიტყვით — „მოწმე“; შემდეგ რე აულია „ხეჩახბერ“ და, ბოლოს, საბოლოოდ რედაქციაში, გადაუსწორებია „მიჯვარედ“. რაიც შეეხება სომხურ სიტყვას „ხეჩახბერ“ (მეჯვარე), რამდენადაც ეს სიტყვა გვხვდება მაჩაბელთან, საფიქრებელია, რომ ის იხმარებოდა კიდევ ქართლის ცოცხალ მეტყველებაში. მაგრამ მწერალს დარწმუნებით არ სცოდნია როგორ გამოითქმის ეს სიტყვა, ამიტომ წერს მას რამდენიმე ვარიანტით და გაქართულებული ფორმით: „ხეჩახბერი“, „სახეჩახბერი“, „სახეჩახბრო“.

თარგმანში ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სწორად იქნას გადმოცემული პიესის კოლორიტი და იმავე დროს გასაგებია იყო. სხვა ქვეყნის, სხვა ენისა და შეხედულებების სპოგადობისათვის. გოლდონის აღნიშნულ პიესას არა აქვს მკაფიოდ გამოხატული ადგილობრივი კოლორიტი. იტალიელს, რომელიც ფრანგულად წერდა და მოქმედების ადგილად პარიზი აირჩია, ამ შეუტანია არაერთი ღრმად ადგილობრივი, დიალექტური თავისებურებანი. რაიც შეეხება მოქმედების ადგილს — გოლდონის რემარკებში ამის შესახებ არაფერია თქმული, მაგრამ პიესის მსვლელობაში ამაზე მივითითებს ერთი რეპლიკა დორვალისა, — მას უნდა გამოიძახოს თავისი მოურავი, რომელიც სადღაც პარიზის ახლოსაა. ქართულ ტექსტში პარიზი არაა ნახსენები: „უნდა ჩემი მოურავი დავიბარო, რომელიც ერთის საათის სავალზედ არის ქალაქიდან“. შესაძლოა, პიესის გმირთა იტალიურ სახელთან შეხამებით მაჩაბელმა საჭიროდ აღარ ჩათვალა მოქმედების ადგილად საფრანგეთის დედაქალაქის დასახელება.

თარგმანში ერთგარი ტრანსფორმაცია განიცდა ნათესაობითი ურთიერთობის გამოხატველმა გამოთქმებმა, ვინაიდან ქართულ ენაში ნათესაობის საფეხურები უფრო უსუსტად ვინისაზრდება. ასე, მაგალითად, როდესაც დღანკური შეიტყობს, რომ დორვალი მისი დის ცოლად შერთვის ამირებს, მას ძვირფას ძმას (mon cher frère) უწოდებს. ქართულში ვკითხულობთ: „საყვარელო სიძე“. ჯერონტე მიმართავს იმავე დორვალს, როგორც ძმისწულს (mon cher neveu), ხოლო ქართულში უფრო მეტად დასაზუსტებლად ჩართულია წინადადება: „შენ იქნები ჩემი სიძე და ძმისწულობასაც გამიწეე. მომეხვიე, ჩემო საყვარელო ძმისწულო“.

მაჩაბელი ფულადს ურთიერთობასაც ადგილობრივი ცნებებით თარგმნის — ანჯელიკას მზითვის ეკოუსა და ლივის ნაცვლად თუმნობით ზომავს: „ათი ათასი თუმანი მზითევიდ და ხუთი ათასი პირის სანახავად“.

თარგმანში ქართულ ჩვეულებათა შესაბამისადაა მცველილი გმირების ერთმანეთისადმი მიართვა. ქართულ ტექსტში გაცილებით მეტია დიალოგი, სადაც ერთმანეთს „შენ“-ო, ეუბნები-

ან, მაგალითად, დიანკურის დიალოგი ცოლთან, ჯერონტესა მის მეგობარ დორვალთან და სხვ., მაგრამ ამგვარი შეცვლა, ჩვენი აზრით, გაუმართლებელია, როცა სახლის მმართველი ქალი მართლწიამ მიმართავს ვალერიის. დედანში მართლწიამ მას „monsieur“-ს უწოდებს და „თქვენობით“ მიმართავს. პირველ ვარიანტში თარგმანში „მეც ასეა: „გეუბნებით, ბატონო, წადით-მეთქი“ და ა. შ., მაგრამ შემდგომში მთელი დიალოგი გადაკეთებულია, და მხოლოდითი რიცხვის მეორე პირშია გადატანილი, ხოლო „ბატონო“-ს ნაცვლად ჩასმულია „ყმაწვილი“; მაგალითად: „აბა, ეხლა კი გზას დაადექი, ყმაწვილო... გასწი, რაღას უყურებ“. თუმცა პიესაში მართლწიამ მხოლოდ მსახური როლი, ის ანჯელიკას მზრუნველიცაა, მაგრამ მინც, ვფიქრობთ, ოჯახისათვის უცხო, მდიდარი კაცისადმი ასეთი ფამილარული მიმართვა ვერაა გამართლებული, თუ გავთვალისწინებთ კომედიის მოქმედების ეპოქას მისი მკაცრი წოდებრივი და ქონებრივი გრადაციებით.

საერთო მოცულობით ქართული ტექსტი იქნებ რამდენადმე სჭარბობდეს დედანს, ვინაიდან ავტორს ემჩნევა თარგმანში კომედიის ცალკეული ადგილების განვითარების, ხაზგასმის ტენდენცია. მაგრამ ეს სრულიად არ ამძიმებს ტექსტს, სადაც დაცულია მოქმედ პირთა მეტყველების თავისებურება და ცოცხალი დიალოგი, რაიც პიესის სცენიურობის საწინდარია.

გოლდონის კომედია თბილისში პირველად დაიდგა 1879 წლის 14 ნოემბერს და წარმატებითაც ჩაიარა. სპექტაკლის შესახებ სერგეი მესხის მიერ დაწერილ რეცენზიაში აღნიშნული იყო, რომ „გოლდონი ერთი ნიჭიერი და უხვი მწერალთაგანია იტალიის დრამატულ ლიტერატურაში... და უფ. მაჩაბელი მდლობის ღირსია, რომ ის გააცნო ჩვენს საზოგადოებას“ („დროება“, 1879 წ., № 238). მაყურებლებმა მოიწონეს ცოცხალი მოქმედებანი და ოჯახური მცირე ინტრიგაზე გაშლილი კონტრასტული სახეები. „ეს უბრალო თემა ისე ხელგონურად არის კომედიისში შემუშავებული და ისე ცოცხლად მიდის

მთელი პიესა, რომ მაყურებელს ერთ წამსაც არ მოსწყინდება და ინტერესით მოვლის—აბა შემდეგ რაღა იქნებაო“.

როგორც რეცენზიიდან ჩანს, მაჩაბლის თარგმანში ნახშირი იტალიური სახელები პიესის დადგმის დროს ქართულით შეუცვლიათ: ჯერონტე — იაქინთე, ანჯელიკა — ანეტა, ვალერიო — ლევან, ბეკარლო — ანთიმოზ, ღორვალ — აზნოვ, დიანკური — ნიკო, მადამ დიანკურ — სოფიო. ეს სახელები დარჩა შემდეგ დადგმებშიც.

პიესაში მონაწილეობდნენ კ. მესხი, კ. ყიფიანი, ნ. ვახუტია, მ. ყიფიანი, ბ. კორინთელი და სხვ., მაგრამ რეცენზია განსაკუთრებულ ქებას ასხამს მთავარი როლის ბრწყინვალე შემსრულებელს ვ. აზნოვს: „პიესა კარგი იყო, მაგრამ არც მთავარებში დააკლეს ხელი. განსაკუთრებით უფ. ვ. აბაშიძე საუცხოო რამ იყო მოხუცებული ბიძის როლში. თავიდან ბოლომდე მშვენივრად და არტისტულად შეასრულა იმან ეს როლი... სწორედ იტყვიდით, რომ ეს ნამდვილი მოხუცებული არისო და არა 26 — 27 წლის ახალგაზრდა კაციო“.

გოლდონის კომედიის დადგმა განმეორდა მომდევნო წლებშიც და ხელახლა დაიდგა 1880 და 1886 წლებში. როგორც ილია ჭყონია წერდა: „პიესას, რომელსაც შინაარსითაც და მშვენიერის ენითაც უმკველად საჩინო ადგილი უჭირავს ჩვენი რეპერტუარის „ადვილი კომედიების“ რიცხვში, — ადვილად შეუძლია ესთეტიკური სამოვლენება გამოიწვიოს მაყურებელში“ („დროება“, 1880 წ., № 233).

იმ ეპოქაში, როდესაც ახალგაზრდა ქართული თეატრი თავისი პოპულარობისათვის იბრძოდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ ამგვარ სცენიურსა და კარგი ენით დაწერილ ბიესებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ გემოვნების განვითარებას და თეატრის ყურადღებას მზამართავდნენ იქით, რომ აეთვისებინათ უცხოეთის ლიტერატურის კლასიკოსთა მხატვრული მემკვიდრეობა.



ზაქარია ჯამასპიშვილი გელა გუღანი

გამოჩენილი პროფესიონალი რევოლუციონერი

ამა წლის 10 ივლისს შესრულდა 90 წელი პროფესიონალი რევოლუციონერის, ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილი მოღვაწის, ვიქტორ კონსტანტინეს ძე კურნატოვსკის დაბადებიდან.

მთელი თავისი გმირული ცხოვრება ვ. კურნატოვსკიმ მუშათა კლასის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლას შესწირა. კურნატოვსკის სახელი და რევოლუციური მოღვაწეობა მკიდროდ არის დავაფშირებული საქართველოს რევოლუციურ წარსულთან. იგი ამიერკავკასიის მუშათა ბრძოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია.

ვ. კურნატოვსკი დაიბადა 1868 წლის 10 ივლისს (ძველი სტილით 28 ივნისს) რიგაში, სამხედრო ექიმის ოჯახში. დედა ადრე გარდაეცვალა. მამის აუტანელი ღესპოტური ხასიათისა და უდიერი ღედინაცვლის ზელში უსიხარულოდ ატარებდა პატარა ვიქტორი ზავშეობის წლებს.

კურნატოვსკიმ საშუალო განათლება თავის მშობლიურ ქალაქ რიგაში მიიღო, შემდეგ კი სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტში. მალე იგი შევიდა სტუდენტთა ნაროდნიკულ ორგანიზაციაში და 1886—1887 წლებში ამ ორგანიზაციის სპეციალური დავალებით კითხულობდა ლექცია-მოსხენებებს. კურნატოვსკის ნაროდნიკული მოღვაწეობის შესახებ იცოდა ქანდაკებებში, რისთვისაც 1887 წლის მაისში დააპატიმრა იგი და გაჩხრიკა მისი ბინა, რადგან ხელმოსაკიდი ევრაფერი იპოვეს, კურნატოვსკი პატიმრობიდან ვათავისუფლეს, მაგრამ უნივერსიტეტიდან მაინც გარიცხეს, პეტერბურგში ცხოვრება აუკრძალეს და მშობლიურ ქალაქ რიგაში გადასახლეს. იგი არც რიგაში წყვეტს რევოლუციურ მოღვაწეობას — აარსებს ფართულ წრეებს, კითხულობს ნაროდნიკულ ლიტერატურას და სისტემატური მიმოწერა აქვს პეტერბურგის რევოლუციონერთან. მაგრამ ვ. კურნატოვსკი ვერ შეეგუა რიგის შეღარებით მყუდრო ცხოვრებას, მალე მიატოვა იგი და საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა, სადაც 1888 წელს დააარსა მუშათა და სტუდენტთა ფარული წრეები, სისტემატურად იწვევდა მათსხდომებს, აშკარად ეწეოდა მთავრობის საწინააღმდეგო მოღვაწეობას, რისთვისაც კვლავ დააპატიმრეს და სამი წლით არხანგელსკის გუბერნიაში გადასახლეს.

1892 წლის მაისში კურნატოვსკი გადასახლებიდან დაბრუნდა, მაგრამ ქანდაკებების სპეციალური დადგენილებით მას პეტერბურგში, მოსკოვში, საგუბერნიო და საუნივერსიტეტო ქალაქებში ცხოვრება ეკრძალებოდა და ამიტომ კურნატოვსკი ვორონეჟში დასახლდა.

1892 წელს კურნატოვსკიმ დიდი წვალებით აიღო საზღვარგარეთის პასპორტი და ციურისში გაემგზავრა. ციურისში იგი დაუკავშირდა „შრომის განთავისუფლების ჯგუფს“, მონაწილეობა მიიღო II ინტერნაციონალის ციურისის კონგრესის მუშაობაში, მუშაობდა „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ ბიბლიოთეკაში, რუსეთში აგზავნიდა დიდძალ რევოლუციურ ლიტერატურას, ხელი მოჰკიდა მარქსიზმის დრამდ შესწავლას, გაემიჯნა ნაროდნიკობას და მარქსიზმის თვალსაზრისზე დადგა. საზღვარგარეთ ყოფნის დროს კურნატოვსკიმ დაამთავრა ციურისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი და ქიმიკოს-ინჟინერის წოდება მიიღო.

საზღვარგარეთ კურნატოვსკიმ 5 წელი დაჰყო. რუსეთში დაბრუნებისას, 1897 წლის 29 აპრილს იგი დააპატიმრეს სადგურ გერკობოლოსთან. გაჩხრიკის შედეგად მას აღმოაჩნდა მარქსის „აბიტაკის“ 2 ტომი და კიდევ ორი სხვა თხზულება გერმანულ ენაზე. გამოძიების დროს კურნატოვსკიმ თავი არ ცნო დამნაშავედ და აღიარა მხოლოდ ის, რომ ერთხანს მართლაც მუშაობდა რუსული სამკითხველთა ბიბლიოთეკარად ციურისში.

გამოძიების შემდეგ კურნატოვსკი 3 წლით გადასახლეს ციმბირში, სადაც შეხვდა ვ. ი. ლენინს. კურნატოვსკიმ ხელი მოაწერა ე. წ. „17-ის პროტესტს“, რომელიც ლენინმა დაწერა ეკო-

ნომისტების წინააღმდეგ. 1900 წლის შუახ-
ნებში კურნატოვსკი დაბრუნდა გადასახლები-
დან, ლენინის დავალებით მალე ჩამოვიდა თბი-
ლისში და აბრეშუმის ფაბრიკაში მოეწყო შტატ-
გარეშე მექანიკოს-ქიმიკოსად.

კურნატოვსკი მალე გავიწო თბილისის მუ-
შათა ცხოვრებას, დაუკავშირდა მესამე დასს,
ღრმად შეინწავლა ამ ჯგუფის შიგნით არსე-
ბული განხეთქილებანი და მტკიცედ დადგა უმ-
ცირესობის მხარეზე.

თუ თქმა უნდა, ჯერჯერობით მოხუცები
(მესამე დასის უმრავლესობა), უფრო პოპულა-
რულნი არიან, ვიდრე ახალგაზრდები (მესამე
დასის უმცირესობა), მაგრამ ეს მხოლოდ ჯერ-
ჯერობით. მუშათა კლასი მათ მალე უქბენ-
სო — ამბობდა კურნატოვსკი.

სტალინი და კურნატოვსკი მალე დამეგობრ-
დნენ და ერთად შეუტრეს მესამე დასის უმ-
რავლესობას. ისინი ღრმად დარწმუნდნენ, რომ
არაფერი გამოვიდოდა ვიწრო შერღულული სა-
წრეო მუშაობით, საჭირო იყო ფართო სააგიტა-
ციო-საპროპაგანდო მუშაობა, ცარიზმის წინააღ-
მდეგ აშკარა პოლიტიკურ ბრძოლაზე გადასვლა.
ადგილობრივი რევოლუციონერები აქ გადმოსახ-
ლებულ რუს სოციალ-დემოკრატებთან ერთად
საქართველოს მუშათა კლასს ამზადებდნენ რუ-
სეთის ცარიზმისა და ადგილობრივი მემამულე-
თა წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ პერიოდში
კურნატოვსკის ჩამოსვლას დიდი მნიშვნელობა
ჰქონდა თბილისის მუშათა რევოლუციური
მორბაობისათვის. ის ერთადერთი კაცი იყო
მამინ თბილისში, რომელიც პირადად იცნობ-
და რუსეთის მუშათა რევოლუციური მორბაო-
ბის დიდ ბელადს ვ. ი. ლენინს.

საქართველოში ამ პერიოდში მზადდებოდა ამი-
ერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები-
სა და დეპოს მუშათა 1900 წლის აგვისტოს ცნო-
ბილი საყოველთაო ვაფიცვა. კურნატოვსკი
მთელი ძალით ჩაება მუშაობაში, ეწეოდა უდი-
დეს სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას, პი-
რადად ამზადებდა მუშათა რამდენიმე წრეს,
იბრძოდა სტამბის მოწყობისათვის, სწორი რჩე-
ვა-დარჩევნით ეხმარებოდა თბილისის ცენტრალ-
ურ ჯგუფს და სხვ. მალე მან ქართულ რე-
ვოლუციონერთა დიდი პარტიისციემა დაიმსახუ-
რა, მის უბრალო, სადა და ღრმავარაგან საუ-
ბარს ყოველთვის აღტაცებაში მოაყავდა მსმე-
ნელი.

კურნატოვსკის „საუბარი ჩვენთვის, — წერ-
და არტემ გიო, — გახდა მიმართულების მაჩ-
ვენებელი ჩვენს რევოლუციურ აზრსა და მოღ-
ვაწეობაში“.

„იმისათვის, ვინც თუნდაც ერთხელ მაინც
მოუხმინა კურნატოვსკის — წერს ვ. ნინუა, —
არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩენოდა მისი
დიდი ცოდნა, ნაკიბობა და აზროვნება...“

რა კითხვანდაც არ უნდა მივგებართო კურ-
ნატოვსკისათვის, ის ყოველთვის მოატყობდათ
საფუძვლიან პასუხს მაგალითებითა და შედარე-
ბებით, პასუხს სრულსა და შეუდარებელს¹.

ქანდარმერია დიდი ხანია იცნობდა კურნა-
ტოვსკის, როგორც უადრესად სამიშ რევოლუ-
ციონერს და ამიტომ ყოველთვის საფანჯგოლო
მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა. კურნატოვსკიმ
ციმბირის გადასახლებიდან დაბრუნების შემ-
დეგ შესწლო თავი აერიდებინა ქანდარმერი-
ისათვის, ამიტომ ქანდარმერიამ საყოველთაო
ძიება გამოაცხადა მთელს იმპერიაში. რამდენ-
იმე თვის ძიების შემდეგ თბილისის ქანდარ-
მერიამ მიაგო ვიქტორ კურნატოვსკის კვლე-
თბილისის ქანდარმთა რეკონსტრუქციონერობის
ამის გამო წერდა: „ვიქტორ კურნატოვსკი,
ინჟინერ-ქიმიკოსი, წინათ ცხოვრობდა იპოლი-
ტე ფრანჩესკისთან ერთ სახლში, ხოლო შემ-
დეგ გადავიდა მატრიალურ ქუჩაზე (სახლი
№ 1). აგენტურის ცნობებით კურნატოვსკი
ფრიალ დიდი მწეტლეგენტი-დემოკრატის მოღვა-
წეა, რომელიც ესწრება, როგორც ამწყობთა,
ისე რკინიგზის მუშათა წრის სხდომებს. მეთ-
ვალყურებით დადგენილია, რომ კურნატოვ-
სკი 24 თებერვალს, საღამოს, ფრანჩესკისთან
ერთად იყო კრებაზე, რომელიც შეგდა ამწყობ
ეგროფის ბინაზე... 11 მარტს იყო ორთაქა-
ლის შეკრებაზე და სთქვა სიტყვა, 17-ში იყო
ჩხეიძის ბინაზე გამართულ კრებაზე, ხოლო
18-ში — დავითის გორაზე გამართულ სხდო-
მაზე“¹.

კურნატოვსკიმ დიდი მუშაობა გასწია 1931
წლის საპირველმისო დემონსტრაციის მოწყო-
ბისათვის. კურნატოვსკის საქმიანობით აღფრთო-
ვანებული მუშა ვ. ნინუა თავის მოგონებაში
წერს: „მრავალ ამხანაგთა შორის, რომელთაც
მე ვიცნობდი მთელ ჩემ სიცოცხლეში, კურ-
ნატოვსკი განსხვავდებოდა თავისი სულიერი
სილამაზით, თავისი მგობრნიარობითა და სიმ-
შვიდით. ეს იყო თვალსაჩინო ადამიანი, რო-
მელსაც ჰქონდა არაჩვეულებრივი თვისება აზ-
ლო მისულიყო ხალხთან...“

კურნატოვსკი იყო მუშების ნამდვილი მეგო-
ბარი. მას უყვარდა მუშები. მუშებს უყვარდათ
იგი და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდა
მათთან... კურნატოვსკის სახით ჩვენ გხვდავდით
პროფესიონალ რევოლუციონერს“².

არაქელა ოქრუაშვილი და მიხო ჩოდრი-
შვილი, რომლებიც ახლოს იცნობდნენ კურნა-
ტოვსკის, თავიანთ მოგონებებში წერენ: კურ-

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფი-
ლიალის არქივი, ფ. 14, ს. 2. ფ. 6.

² ე. კ. ოკულოვი, ვიქტორ კონსტანტინეს მე
კურნატოვსკი, 1948 წ., გვ. 59 — 60.



ნატოვსკის მიემართავდით ყველა ამხანაგი ყოველგვარი კამათისა და დისკუსიის დროს. მის მითითებებსა და რჩევას ყოველთვის უწყობდნენ ვეღებულობდით.

გ. კ. კურნატოვსკიმ, მ. ი. კალინინმა, ს. ი. ალილუევმა და სხვა ცნობილმა რუსმა სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობდნენ, გამოჩინულ ქართველ რევოლუციონერებთან ერთად უდიდესი საავიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა გაშალეს საქართველოში.

1901 წელს რევოლუციური მოძრაობის გემოცობლება შესამჩნევი გახდა მთელ კავკასიაში და განსაკუთრებით მის სამრეწველო ქალაქებში — ბაქოში, თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ფოთში და სხვა.

მუშათა კლასი აშკარად ემზადებოდა იმისათვის, რომ მისობა ეხევიდა უფრო ლეგალურად და უფრო გრანდიოზულად ვიდრე ოდესმე.

როგორც მუშები, ისე ქანდარმერია აშკარად გრძნობდნენ მოახლოებული შეჯახების აუცილებლობას. თბილისის გუბერნიის ქანდარმთა სამმართველო თავის ვრცელ მოხსენებაში ასაბუთებდა რა, რომ თბილისის მუშათა კლასი აშკარად ემზადება 1901 წლის მისობისათვის, პოლიციის დეპარტამენტს სთხოვდა მიეცა უფლება წინასწარ დაეპატიმრებინა მუშათა ამ მრევლარების მთავარი ორგანიზატორები.

თბილისის ქანდარმერიამ პოლიციის დეპარტამენტის თანხმობით დააპატიმრა მრავალი აქტიური მოღვაწე მათ შორის გ. კურნატოვსკიც.

დაპატიმრების შემდეგ კურნატოვსკი ერთი წლის განმავლობაში სამხედრო ციხეში ჰყოფდა, ხოლო წელიწადნახევარი მეტეხის ციხეში იჯდა. მეტეხის ციხეში კურნატოვსკისთან ერთად ისხდნენ სერგეი, ალილუევი, იპოლიტე ფრანჩესკი, ფილიპე მახარაძე, მიხეილ კალინინი, ლადო კეცხოველი, მიხეილ ბოჭორიძე და სხვები.

ღვაწლმოსილი რევოლუციონერები ციხის უაღრესად აუტანელ პირობებშიაც არ წყვეტდნენ აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობას.

დაპატიმრების მეორე დღეს პატიმრებს ახალი დიდი, პოლიტიკური დემონსტრაცია მოუწყვიათ, რისთვისაც ციხის ადმინისტრაციის ლ. კეცხოველი და ზ. ჩოღრიშვილი ბნელ საცანში ჩაუყარა 7 დღით, კურნატოვსკი და

ფრანჩესკი კი გაუყვანია საერთო კამერიდან საიდუმლო კამერაში.

კალინინის, კურნატოვსკის, ფრანჩესკისა და სხვთა საქმის გამოძიება დიდხანს გაპროგრესებულა. კურნატოვსკის ბრალი ედებოდა თბილისის მუშათა შორის მთავრობის წინააღმდეგ ფართო საავიტაციო-საპროპაგანდო მუშაობაში და მუშათა საიდუმლო საღაროების მოწყობაში.

კურნატოვსკისათვის ბრალდება რომ დემოკრატები, თბილისის ქანდარმერია სთხოვს პეტერბურგის, მოსკოვის, რიგის ქანდარმთა სხვა სამმართველოებს მოაწოდონ ყოველგვარი მასალები, რაც კურნატოვსკის შესახებ გააჩნინათ. ბოლოს, 1903 წლის 25 ივლისს თბილისის ქანდარმერიამ კურნატოვსკის 4 წლით გადასახლება მიუსაჯა.

1905 წლის რევოლუციის დღეებში კურნატოვსკი გამოიქცა გადასახლებიდან და აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩიტას რევოლუციურ მოძრაობაში. ამ რევოლუციოში ის თავგამოდებით იბრძოდა ბოლშევიკური პარტიის მიზნებისა და ამოცანებისათვის, მუშებისა და გლეხების, მთელი ექსპლუატირებული მასების განთავისუფლებისათვის ცარბაზის მძიმე უღლისაგან. ამ დიდი რევოლუციური მოღვაწეობისათვის კურნატოვსკი 1906 წელს კიდევ ერთხელ შეიპყრო ქანდარმერიამ და შორეულ აღმოსავლეთში გადაასახლა, საიდანაც იგი გაიქცა ჯერ იაპონიის კუნძულებზე, ხოლო შემდეგ მეტად აუტანელ პირობებში მიიღწია იტალიას და ბოლოს პარიზში ჩავიდა. იგი გზაზე გაცივდა და მძიმე ავადმყოფი შექენა. ვლადიმერ ილიას ქეღენინის ყოველგვარი ცდა — სიკვდილისაგან ეხსნა კურნატოვსკი, — ამათ აღმოჩნდა, 1912 წელს ღვაწლმოსილი რევოლუციონერი უცხოეთში გარდაიცვალა. ლენინური წრთობის სახელოვან გვარდიას გამოაკლდა მისი ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, პტოფესიონალი რევოლუციონერი, მარქსიზმის გამოჩინილი პროპაგანდისტი „მეგობრ ქვის ბოლშევიკი“, როგორც მას უწოდებდა გ. ი. ლენინი.

გ. კ. კურნატოვსკი ეკუთვნის სახელმწიფო-პროფესიონალ რევოლუციონერთა რიცხს. მან მთელი თავისი ნათელი ცხოვრება და დიდი ნიჭი კომუნისტური პარტიის საქმეს, მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის საქმეს მოახმარა.



ბიოგრაფიული მახარატი

ჰარტატი კ. მარქსისა და ვ. ლენინის ცხოვრებაში

შინც რა არის ჰარტატი თამაში ისეთი, რომ ასე ხიზლავდა და ხიზლავს ყველა დროის ყოველი თაობის წარმომადგენლებს?

„... ჩვენ ვაფასებთ ჰარტას, ამ ბრძნულ „თამაშს“, რომელიც დგას მეცნიერებისა და ხელოვნების ზღურბლზე, იმიტომ, რომ იგი შეიცავს მხატვრული შემოქმედების უმდიდრეს ელემენტებს. ჰარტატი აღამიანში ავითარებს მეთოდურობას, თანმიმდევრობას, გასაქანს აძლევს ანალიტიკურს, შემოქმედებითს ფანტაზიას. მაგრამ, უპირველესად ყოვლისა, ჰარტატი — ეს არის ბრძოლა, დამაბული ბრძოლა, რომელიც გამარჯვების მოპოვებისათვის მოითხოვს დიდ გამძლეობას, შეუზოგრობას, გამძლეობას, რკინისებურ ნებისყოფას“¹.

აი, რატომ იტაცებდა ჰარტატი კაცობრიობის დიქსიულ წარმომადგენელთ. აი, რატომ უყვარდათ იგი მსოფლიო პროლეტარიატის ბელადებს კარლ მარქსსა და ვ. ი. ლენინს, დიდ რევოლუციონერ-დემოკრატს ნ. გ. ჩერნიშევსკის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, პუშკინსა და ლერმონტოვს, ლ. ტოლსტოის და ი. ტურგენევის, საბჭოთა ეპოქის უნიკერეს პოეტს ვ. მაიაკოვსკის, მეცნიერებისა და კულტურის სხვა მრავალ გამოჩენილ მოღვაწეს.

მას შემდეგ, რაც ევროპის მთელ რივ ქვეყნებში 1848-49 წლების რევოლუციამ დამარცხება განიცადა და კონტრრევოლუციამ შესძლო დაეთრგუნა ხალხთა მასები, კ. მარქსი და მისი თანამებრძოლები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ევროპის კონტინენტი.

1849 წელს კ. მარქსი, ვ. ლიბკნეხტი და სხვა გერმანელი კომუნისტები ინგლისს ჩავიდნენ და საცხოვრებლად დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში შეჩერდნენ. მალე აქ ჩამოვიდა ვ. ენგელსიც.

ვილჰელმ ლიბკნეხტი — გერმანიისა და საერთაშორისო მუშათა რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის კარლ ლიბკნეხტის შვილი

მა — თავის მოგონებებში კ. მარქსის შესახებ მოგვითხრობს, თუ რა დიდი პატივისცემით სარგებლობდა ჰარტატი ემიგრაციაში მყოფ „დევნილთა“ წრეში.

ლონდონში, ოლდ-კომბტონ-სტრიტზე მდებარე მოლდ-ლოჯინგაუზში, სადაც ემიგრანტთა ნაწილი დროებით ცხოვრობდა, კ. მარქსსა და მის ამხანაგებს შორის დროდადრო იმართებოდა მეტისმეტად ცხარე ბრძოლები ჰარტატი. მათ თამაშს ხშირად ბევრი ინგლისელი ესწრებოდა, რაც კიდევ უფრო მეტ ინტერესს მატებდა შეხვედრებს საჰარტატი დაფასთან.

მარქსს ისე გატაცებთ უყვარდა ჰარტატი, რომ ზოგჯერ მოწინააღმდეგეებს კარგა ნაშუაღამევამდე არ მოეშვებოდა ხოლმე და ეთამაშებოდა.

ამ მხრივ ინტერესმოკლებული არ იქნება დაწვრილებით შევჩერდეთ ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელსაც დაწვრილებით აღწერს ვ. ლიბკნეხტი მოგონებებში.

მეგობრების წრეში კ. მარქსს ერთხელ საზეიმოდ განუცხადებია, ვიპოვე ახალი გაგრძელება, რომლითაც ყველას დაგამარცხებთო. მეგობრებს გამოწვევა მიუღიათ, და მართლაც, კ. მარქსს საითთაოდ დაუმარცხებია ყველანი. თანამებრძოლებს თანდათან აუღიათ ალლო და, ბოლოს, როცა ლიბკნეხტს შამათი გაუქეთებია მისთვის, დრო უკვე შეუღამეს ყოფილა გადასულა. რევანშის ენით აღსავსე მარქსს შეხვედრა თავის ბინაზე, მეორე დღის დილის 11 საათისთვის დაუნიშნავს.

„სრულ 11 საათზე — ლონდონისათვის ეს საკმაოდ ადრეა — მე ადგილზე ვიყავი, — წერს ლიბკნეხტი, — ქალბატონი მარქსი არ ჩანდა, ხოლო ლენინის ფიზიონომია მაინც აღამაინც არ ამეღაგნებდა თავზიანობას. ვიდრე ვიკითხავდი, რაიმე ხომ არ შეგემთხვება-მეთქი, შემოვიდა მავრი (ასე ეძახდნენ მარქსს ნათესავებისა და ახლობლების წრეში. — გ. მ.), ხელი გამომიწოდა და მაშინვე ჰარტატი შემოიტანა“.

შეხვედრის დაწყებიდან დიდი დრო არც კი გასულიყო, რომ ლიბკნეხტი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მარქსს თურმე მთელი

¹ გაზეთი „პრავედა“, 1936 წ.

ღამე უწვალნია იმაზე, რომ გაეძლიერებინა თავისი ვარიანტი. ამიტომაც იყო, რომ ღამენათევით ლენკენი ასე უხასიათოდ გამოიყურებოდა.

მომდევნო შეხვედრებში ხან ერთი იგებდა, ხან მეორე, და ვინ იცის, მეტოქეებს იქნებ დაათენდებოდათ კიდევ, მაგრამ საქმეში კატეგორიულად ჩაერია ლენკენი. მარქისს მუხლის დაეღუბით მან განაცხადა: „ახლა კი კმარა“. და ამით შეწყვეტილა ეს უჩვეულო დღე.

თანამედროვეთა გადმოცემით კარლ მარქისს მწვავედ განიცდიდა საქადრაკო ბრძოლის პერსპექტივებს. იგი გულგრილად ვერ იტანდა წაგებას.

„დილით, ადრიაანდ, ლოგინიდან იდგომა ძლივს მოვასწარი, კარებზე დააკაკუნეს და ოთახში ლენკენი შემოვიდა, — წინა ლბკენხეხტი, — ქალბატონი მარქისი გთხოვთ, მავრთან სილამოებით ჭადრაკი აღარ ითამაშოთ. პარტიას რომ წააგებს, პირდაპირ აუტანელი ხდებოა, და ლენკენმა მიამბო, მარქისს უგუნებობა იქამდის მივიდა, ქალბატონ მარქისს მოთმინება დაეკარგათ“.


საქადრაკო ლიტერატურაში შემონახულია კ. მარქისს მიერ გათამაშებული ორი პარტიის ჩანაწერი. სამწუხაროდ, პუბლიკაციის პირველადი წყაროები არ არის ცნობილი და ამიტომაც ჯერჯერობით ვერ დადგინდა პარტიათა გათამაშების თარიღი.

ზემოთ დასაწვლული პარტიების ანალიზის შედეგად ძნელი არ არის მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ კ. მარქისი ჭადრაკის სიყვარულს მხოლოდ პრაქტიკით როდი ამისწავდა. როგორც ჩანს, იგი საქადრაკო ლიტერატურასაც იცნობდა და ცუდად როდი ერკვეოდა თეორიაში. ამასთან იგრძობა მარქისის მიდრეკილება კომპინაციური თამაშისაკენ. მის დიდ კმაყოფილებას ანიჭებდა სიტუაციები, როცა საქადრაკო დაფაზე ყოველ წუთს ქარიშხალი იყო მოსალოდნელი.

ერთ-ერთ პარტიაში, კერძოდ მეიერის წინააღმდეგ, მარქისს იმდროინდელი თეორიული სხუხსნით გაუთამაშებია მეფის გამბიტი. მარქისი უკვე მეხუთე სვლაზე სწირავს მხედარს და ყოველი სვლით აძლიერებს შეტევას. ოცდაშესამე სვლაზე იგი კვლავ სწირავს მეორე მხედარსაც და რამდენიმე მოხდენილი სვლით გამოუვალ საშუალებო ქსელში აქცევს შვიგების შეტევს.

მეორე პარტიაში, რომელიც მან გაითამაშა ცნობილ გერმანელ ოსტატ გ. ნეიმანთან, შეიქმნა უაღრესად მწვავე დაბოლოება, სადაც ორთავე მეფე საშუააო ბადეშია გახვეული. ამასთან, მარქისს აკლია ეტლი და ხარისხი.

აი, ამ პარტიის საფინალო მდგომარეობა:



კიდევ ერთი შეწირვა — ამჯერად ლაზიერისა, და მარქისი დაამამთებს ოსტატის მეფეს.

$$1... \text{ლ } d_2 - f_2 + !$$

$$2. \text{ე } f_1 : f_2 \text{ გ } f_3 : f_2 + \text{ და მეფის სვლაზე } \text{მ } h_5 - g_5. \times$$

რვა-ცხრა წლისა იქნებოდა ვალოდია ულიანოვი, ჭადრაკის თამაშის შესწავლის სურვილი რომ აღეძრა. ცნობისმოყვარე ბავშვი დაკვირვებით აღევნებდა თვალყურს მამასა და უფროს ძმას, რომლებიც თავისუფალ დროს სიაშოვნებით მიუჯდებოდნენ ხოლმე მაგიდას და საქადრაკო დაფაზე გატაკებით ამოძრავებდნენ ლამაზად გამოკეთილ ფიგურებს.

მამამ ყურადღება მიამქცია პატარა ვალოდიას დაუტყბომელ ინტერესს და უყუყუანოდ დააკმაყოფილა მისი თხოვნა — ჭადრაკის თამაში მასწავლეთო.

გასაოკარი ნიჭისა და უნარის ბავშვმა მალე აულო ალლო თამაშს და პირველი პარტიის გათამაშებისთანავე შეიყვარა იგი.

გავიდა რამდენიმე ხანი და ახლა იგი უკვე თვით გახდა მასწავლებელი უმცროსი ძმის, მიტიასი. ახლა უფრო სწირად და მეტი გამბედაობით ეთამაშებოდა უფროს ძმას ალექსანდრეს, რომელსაც ულიანოვების ოჯახში მამის „საშუაში მეტოქის“ რეპუტაცია ჰქონდა.

ვალოდია დღითიდღე სრულყოფდა, აძლიერებდა თამაშს. ახლა უკვე აღარ იტაკებდა შეხვედრების მშრალი, ართმეტიკული ანგარიში. მისი სტიქია — შეუპოვრობა, ბრძოლა და მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი გზა-ხერხების ძიება იყო. მხოლოდ წინააღმდეგობის დაძლევათ, ვალოდაზეთ განიცდიდა იგი სიამოვნებას. ამიტომ იყო, რომ მასზე სუსტ მოთამაშეს ვალოდია არასოდეს არ ეთამაშებოდა თანაბარი ძალებით. „რა სანიტერესოა თანაბარი ძალებით თა-

საქართველო
საბჭოთაო

მასში, ასე ხომ ბრძოლა და ფიქრი აღარ დამპყირდება? — ეუბნებოდა ვალოლია ასეთ მოწონალობად.

ვალოლია ვერ ურიგდებოდა მეტოქის უსუსურ სკლუბს, როცა იგი პარტიას მოიგებდა პარტიონორს უკმაყოფილოდ ეტყოდა ხოლმე: „მე კი არ მომიგია, შენ წააგო“.

თხუთმეტი წლის ვალოლია მამასაც „შეეჩვია“, ზედზედ უგებდა პარტიებს. „პირველად მამა გვიგებდა, — იგონებდა გვიან ვლადიმერ ილიას ძე, — შემდეგ მე და ჩემმა ძმამ (ალექსანდრემ. — გ. მ.) მოვახერხეთ ჭადრაკის სახელმძღვანელოს შოვნა და მალე მამასაც ვუგებდით“.

ულაიანოვების ოჯახში მუდმივ „მოწინააღმდეგებლად“ ითვლებოდნენ ალექსანდრე და ვალოლია. 1886 წლის ზაფხულში, როცა ალექსანდრე არდადეგებზე შინ ჩაივლიდა, მათ ოფიციალური მატჩიცი კი გამართეს.

აქვე შევინშნათ, რომ ამ დროისათვის ალექსანდრე საკმაოდ კარგად თამაშობდა ჭადრაკს. ახლობლებს გადმოცემით, იგი დაფაზე დაუხედავად ერთდროულად სამ პარტიონორს ეთამაშებოდა.

ჭადრაკმა განსაკუთრებით გაიტაცა ვლადიმერ ილიას ძე 18 — 19 წლის ასაკში. ყაზანში ყოფნისას იგი თავის ბიძაშვილთან ერთად რეგულარულად დადიოდა საჭადრაკო კლუბში. ამვე წლებში მან მოსინჯა დაფაზე დაუხედავად თამაში და სულ იოლად დაამარცხა თავისი ძმა დიმიტრი.

ესეც არ აკმაყოფილებდა ახალგაზრდა ლენინს. იგი ცდილობდა უფრო ღრმად ჩაწვდომოდა ჭადრაკის თამაშის საიდუმლოებას; მან ჭადრაკს ხომ „კუქის გიმნასტიკა“ უწოდა.

და აი, ვ. ი. ლენინი მიწერ-მოწერით ორთაბრძოლაში ებმება ა. ხარდინთან, რომელსაც ჭადრაკის რუსი კორიფეი მ. ჩიგორინი რუსეთის ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ თვლიდა. შეხვედრამ კარგა ხანს გასტანა, ბოლოს დიდმა გამოცდილებამ თავისი გაიტანა: ლენინმა პარტია წააგო.

დამარცხებამ გული ვერ გაუტეხა ვალოლიას, პირობით, ახლა ამ ძლიერ მეტოქესთან პირისპირ შეხვედრის სურვილი აღეძრა და ეს სურვილი მოსვენებას არ აძლევდა. ამ სურვილის განხორციელებას ხელი შეუწყო იმ ამბავმა, რომ ულიანოვების ოჯახი 1889 წლის გაზაფხულზე ყაზანიდან გადასახლდა სამარაში, სადაც ა. ხარდინი ცხოვრობდა. თავდაპირველად ა. ხარდინი ვალოლიას ფორმად მხედარს აძლევდა, მაგრამ რამდენიმე დამარცხება რომ იგება, იძულებული გახდა ფორმად მხოლოდ პაიკი და სვლა მიეტყ.

1890 წლის ზაფხულში სამარაში მოეწყო თავისებური ტურნირი ათი კაცის მონაწილეობით. შეჯიბრების თავისებურება იმაში მდგომარ-

ეობდა, რომ მონაწილენი (რომლებიც არათანაბარი ძალისანი იყვნენ) დაჰყვეს თანრიგებლად, რათა განესაზღვრათ, ვის რა ფორა უნდა მიეცა მოწინააღმდეგისათვის. პირველ თანრიგში მხოლოდ ა. ხარდინი მოხვდა, მეორე თანრიგში — 20 წლის ვალოლია და კიდევ ერთი მონაწილე, ხოლო მესამე და მეოთხე თანრიგებში — დანარჩენები.

საინტერესო სატურნირო ბრძოლა ახალგაზრდა ლენინის გამარჯვებით დასრულდა. მან დაიმარცხა დაწვესებული ილილი — 15 მანეთი, მაგრამ ჯილდოს მიღებაზე უარი განაცხადა და მისივე წინადადებით თანხა საქველმოქმედო მიზნებით დაიხარჯა.

1893 წლისათვის ვლადიმერ ილიას ძე ჭადრაკს უკვე იშვითად თამაშობდა, რადგან მთელ ენერჯიას რევოლუციურ მუშაობას ახმარდა. მიუხედავად ამისა, ჭადრაკი დიდხანს დარჩა ვ. ი. ლენინის ცხოვრების თანამგზავრი და თუმცა შემდგომ წლებში ძლიერ იშვითად თამაშობდა, მისი სიყვარული მანაც არ განელებია.

ციმბირში გადასახლებისას, შუშენსკოეში, ლენინს საყვარელი სპორტი ციკურაობა იყო. პირველ გამოცდილება გაეცნული მდინარის მკერძალბულ ზედაპირზე ციკურებით და გასამხედა ხოლმე „ერთ ბედს ქვეშ მყოფთ“ — მასთან ერთად გადასახლებულ რევოლუციონერებსა და ახლობლებს:

— აბა, ვინ გამასწრებს!

ცნობილი რევოლუციონერის პ. ნ. ლეპეშინსკის მეუღლე ოლია ბორისის ასული მოგონებაში წერს, ილიჩის ბუნება, როგორც სპორტსმენისა, ყველაზე მკაფიოდ ჭადრაკის თამაშში გლინდებოდა.

ოლია ბორისის ასული მოგვითხრობს, რომ პირადად ვალოლიაზე პ. ნ. ლეპეშინსკი და ვ. ი. ლენინი მიწერ-მოწერით ეთამაშებოდნენ ერთმანეთს ჭადრაკს, ხოლო როცა მინუსინსკში (ციმბირი) მათ პირველად გაიცნეს ერთმანეთი, პანტელერმონ ნიკოლოზს ძეს მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, რომ მალე საჭადრაკო დღესთან „გაენსინჯა“ ვლადიმერ ილიას ძე. მათ შორის მონაწილეობა დღეებს ყოველმხრივ აქეზებდნენ მათთან ერთად გადასახლებაში მყოფი ვ. ე. სტარკოვი და გ. მ. კრეკინოვსკი, რომელთაც ბეტერბურგლიან მოსკოვამდე და მოსკოვიდან ციმბირამდე გზაზე ვაგონში სისტემატურად უგებდა ლეპეშინსკი.

„ეს ორთაბრძოლაეც დაიწყო, — მოგვითხრობს ო. ლეპეშინსკია, — დიდი ხანი არ გასულა, რომ ჩემმა მეუღლემ წააგო პარტია.“

— არა უშვას რა. ხანდაზან ასე მემართება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ვხვდები ახალ პარტიონორს, რომლის თამაშის მანერას სწრაფად ვერ ვეჩვევი ხოლმე. ვანხობ, რას ვეგეტყვის მეორე პარტია, — ამბობს პანტელერმონ ნიკოლოზის ძე.



მეორე პარტიაც ასევე სავალალოდ დამთავრდა მისთვის.

— ეგპ, დასწყევლოს ეშმაკა, რევანში, ჩქარა რევანში..

მაგრამ როცა მესამე და მეოთხე პარტიებიც იმავე შედეგით დასრულდა, საზღვარი აღარ ჰქონდა ჩემი მეუღლის ძველი „მოწინააღმდეგეების“ — სტარკოვისა და კრეიჟანოვსკის საერთო ზემოქმედებას.

ამ ხანმოკლე შეჯიბრების შემდეგ პ. ლეჰე-შინსკი იძულებული გახდა უკან დაეხია და კომპრომისზე წასულიყო: ვლადიმერ ილიას ძე მას ფორად რომელიმე მსუბუქ ფიგურას აძლევდა და ისე ეთამაშებოდა.

პ. ნ. ლეჰეშინსკის გადმოცემით, ერთხელ სამეული — სტარკოვი, კრეიჟანოვსკი და თვითონ შეხვედრია ჰადრაკში ვლადიმერ ილიას ძეს. სამეულს ლეჰეშინსკი მეთაურობდა. თავის მოკავშირეებს იგი განუმარტავდა ილიჩის მიერ გაკეთებული სვლის მნიშვნელობას და, ერთმანეთთან მოთათბირების შემდეგ, საპასუხო სვლას აკეთებდა. სვლას სვლა მოსდევდა და აი, შეიქმნა სიტუაცია, როცა სამეულის წევრები უკვე ზამაძლა გამოხატავდნენ აღტაცებას მოახლოებული გამარჯვების გამო. მაგრამ ილიჩი დაიინებით დასცქეროდა დაფას, მისი თვალთახედვა მიქცეულიყო იმ კუთხისაკენ, სადაც გენერალური შებრძოლება მზადდებოდა.

— აა, ეს კი ნამდვილად გაუთვალისწინებელი სვლა შემოგვთავაზა, — შეძრწუნებული ხმით ამცნობს ლიდერი მოკავშირეებს.

უკვე გვიანაა, ჯიუტი „მოწინააღმდეგე“ არა თუ თობს პარტიას, არამედ ორი-სამი მშვიდი სვლით ერთბაშად ცვლის მდგომარეობას. იგი ეშმაკური ღიმილით შესცქერის ამ რამდენიმე წნის წინ ნაადრევად მოზეიმე მოკავშირეებს, რომლებიც ახლა უკვე ერთმანეთს ედავებიან, ბრალს სდებენ დოკლამობაში და ამაოდ ეძებენ ჩსნას.

... მოსკოვში, ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის თერთმეტ დარბაზში, მოწყობილი იყო საბჭოთა მატატურული ლიტერატურისადმი მიძღვნილი გამოფენა.

საყოველთაოდ ცნობილი მასალების გვერდით გამოფენის სტენდებსა და ვიტრინებში ვნახულობთ ისეთებსაც, რომლებიც ამაჰად იშვიათობას წარმოადგენენ. ასეთია სურათიც, რომელიც ამას წინათ ვაზეთმა „ლიტერატურისა ვაზეტამ“ გამოაქვეყნა: სურათზე აღბეჭდილია კუნძულ კაპრზე მაქსიმ გორკისთან სტუმრად მყოფი ვლადიმერ ილიას ძე, რომელიც ჰადრაკს ეთამაშება ა. ა. ბოგდანოვს.


საინტერესოა ილიჩის, რომ ჰადრაკით გატაცებას ვ. ი. ლენინი მხოლოდ პარტიების გათამაშებით როდი გამოხატავდა. იგი დიდი სიამოვნებით ეცნობოდა საქადრაკო კომპოზიციას და ხშირად გულმოდგინედ ჩაუჯდებოდა ხოლმე საქადრაკო ეტიუდებსა და ამოცანებს.

1910 წელს დ. ი. ულიანოვისადმი გაგზავნილ წერილში ვ. ი. ლენინი წერდა:

„... აი, დღეს „რეჩში“ ვნახე ეტიუდი, რომელიც უცბად ვერ გადავწყვიტე და რომელიც ძალიან მომეწონა. მდგომარეობა ასეთია:

თეთრები: მფ გ3, კ ე7, მ გ1 და პაიკები: ძ3, ხ5. შავები: მფ ე3 და პაიკები h7, ძ5, ა2. (ვ. ი. უკანასკნელს ერთი სვლა აკლია ლაზიერად გადაქცევამდე) თეთრები იწყებენ და იგებენ. ლაზი არ არის?“

აი, ესეც:



ეს ეტიუდი ცუტვნით მოსკოველ საქადრაკო კომპოზიტორებს, მებს ვ. და მ. პლატოვებს, რომლებიც ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე ა. ტროიცისა და ლ. კუბელიან ერთად თანამედროვე საეტიულო ხელოვნების ფუძემდებლებად ითვლებიან.

ეტიუდი ძალიან მომეწონაო, წერს ვლადიმერ ილიას ძე, და მისი მაღალი მომთხვენელობა საქადრაკო ხელოვნებისადმი საცხებით ნათელი გახდება, თუ აღვნიშნავთ, რომ ამ ეტიუდმა 1909 წელს გამართულ საერთაშორისო კონკურსზე პირველი ჯილდო დაიმსახურა.

დასასრულ, ხალხმა გამოცანის სახით გამოხატა თავისი ბელადის ვ. ი. ლენინის სიყვარული ჰადრაკისადმი:

„როდის იცავდა ლენინი მეფეს?“





აგსტრალია

ლოკიპური მემკვიდრე

ამას წინათ ავსტრალიაში გამოვიდა ჯექ ბისლის წიგნი — „სოციალიზმი და რომანი. ავსტრალიური ლიტერატურის ანალიზი“. ამ საინტერესო ნაშრომის ავტორი განიხილავს თანამედროვე ავსტრალიურ ლიტერატურაში არსებულ მიმართულებებს და უკუიწინებს მას პესნიზმს და ცხოვრებისაგან მოწყვეტას. ავტორი დაასკვნის, რომ ავსტრალიური ლიტერატურის დემოკრატიული და პუმანისტური ტრადიციების ლოკიპური მემკვიდრე უნდა იყოს სოციალისტური რევოლუციონი. ეს წიგნი, რომელიც მუშა მწერლის კალამს ეკუთვნის, ავსტრალიაში მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენად და აღიარებული.

აგსტრია

ახალგაზრდობის მოწამვლის წინააღმდეგ

ავსტრიული გაზეთის „ფოლკსშტიმეს“ რედაქციამ გააჩაღა განგსტერული ფილმებისა და ყვითელი ლიტერატურის წინააღმდეგ ხელმოწერის კამპანია. ამ ფართო ღონისძიების საბაზე იყო სივდილი 17 წლის მოსწავლას, რომელსაც ვენაში იავს დაესხნენ ახალგაზრდა განგსტერები და წამებით ამოხადეს სული. „ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც განგსტერულ ფილმებსა და რომანებში, რომლებითაც სწამლავენ ჩვენს ახალგაზრდებს უახსუხისმგებლო სპეკულაციები და ვაჭრები“, წერს „ფოლკსშტიმე“ ამ კამპანიის თაობაზე, რომელმაც დიდი გამოხმაუ-

რება ჰპოვა შემფოთებულ მკითხველებში.

აშშ

ნაპოლეონი გოლუზივიჩი ყოფილა

გელაპის განთქმულმა ინსტიტუტმა, რომელიც არკვევს საზოგადოებრივ აზრს სხვადასხვა საკითხებზე, ამას წინათ 4.000 ამერიკელ მოქალაქეს მისცა შეკითხვები, რომელზე პასუხის გაცემაც უნდა შეემდლოს საშუალო განათლების მქონე ყოველ მოქალაქეს. გამოიკვია, რომ ბევრმა არ იცის, ვინ არის ქრისტეფორე კოლუმბი; საკმაო პოცენებს არც გაუგონია ისეთი სახელები, როგორცაა შექსპირი, ნაპოლეონი, რაფაელი და სხვ.; ზოგის აზრით, ფრეიდი გამოქცეული ეგვიპტელი ხელმწიფეა, ხოლო ტიცინი — ქალთა პარიკმახერი. ზოგი ფიქრობს, რომ ტოლსტოი არის კინოპროდუცერი, რომელმაც გადაიღო ფილმი „ომი და მშვიდობა“. ერთი მოქალაქის აზრით, არისტოტელეს რაღაც საერთო უნდა ჰქონდეს ტროაში ბერძნული ცხენის შეყვანასთან, გამოითქვა ისეთი აზრიც, რომ ნაპოლეონი იყო განთქმული ფრანგი ბოლშევიკი, რომელმაც დაიპყრო მოსკოვი და სიკვდილით დასაჯა მეფე.

ქინოფაბრიკის არქივში

ამერიკული კინოფაბრიკის ფოკსის თანამშრომელმა კინოფაბრიკის არქივში იპოვნა ორი საინტერესო რამ: ერთია კინო-მოყვარულის მიერ გადაღებული კინოლოკუმენტი, სადაც ჩანებენია იაპონელების თავდასხმა ამერიკელთა საზღვაო

ბაზაზე — პარლ-პარბორზე, ხოლო მეორეა — 8.000 მეტრიანი კინოფირი, რომელზეც აღებულა რუსეთის უკანასკნელი მეფის ნიკოლოზ II-ის კერძო ცხოვრება.

დმიტრიკის ახალი ფილმი

სახელგანთქმულმა ამერიკელმა კინორეჟისორმა ედუარდ დმიტრიკმა გადაიღო ახალი ფილმი „დაწყვეტილთა მიგულისი“ ირვინ შოუს რომანის მიხედვით. ფილმი გამსჭვალულია ფაშიზმისა და ომის სიძულელით, დაუნდობლად ასახავს ამერიკის დღევანდელ ცხოვრებას და მოუკრძობს ხალხთა ამომბოძვეს. კრიტიკოსთა აზრით, ფილმი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს და მაყურებელს ოპტიმიზმს შთაუწერავს.

ხანძარმა იმსხვერპლა

ამას წინათ ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გაჩნდა ხანძარი, რომლის დროსაც დაიღუპა კლოდ მონეს განთქმული სურათი — „წყლის ნარგისი“. ეს სურათი მუდმივი გამოფენის ექსპონატი იყო და შეფასებული იყო 900.000 დოლარად.

შვიდი ამერიკაში

ნიუ-იორკის ოპერის საქალაქო თეატრში წარმატებით იდგმება ახალგაზრდა ამერიკელი კომპოზიტორის (წარმოშობით ჩინის) კურკის ოპერა, რომელიც დაწერილია ჰაშეის განთქმული წიგნის „ყოჩაღი გარისკაცი შევიკის თავგადასავლის“ მიხედვით. ბევრმა ამერიკელმა რეჟისორმა ყოვლად დაურიდებლად გადააკეთა „გა-ამოდერნა“ კლასიკური ოპერე-



ბი, ოპერა „შვეიკის“ დამდგმე-
ლი და კომპოზიტორი კი სა-
თუთად და გულისყურით მოე-
კიდნენ შაშვეის ნაწარმოებს:
შუსიკა ეროვნული ჩეხური ხა-
სიათისა, ხოლო თვით შვეიკის
სახემ შეინარჩუნა მისთვის და-
მასხასიათებელი უღვევი ოპტი-
მიზმი, ჰუმორი, სიეშმაკე და
მომხიბლველობა. ამრიგად, ამე-
რიკაში გამეფებული საომარი
ისტერიისა და ვახურებული
შეიარაღების დროს ჩიხი ჯა-
რისკაცი შვეიკი იბრძვის ომისა
და მილიტარიზმის წინააღმდეგ
და ამერიკელებს მშვიდობისა-
კენ მოუწოდებს.

„ონეგინი“ რუსულად მღერის

40 წლის შემდეგ ოპერის თე-
ატრმა „მეტროპოლიტენმა“ აღ-
ადგინა ჩაიკოვსკის ოპერა „იე-
გენი ონეგინი“, რომელიც წარ-
მატებით იდგამება. ონეგინის
პარტიას ასრულებს ნიჟეირი
მომღერალი ჯორჯ ლანიენი,
რომელმაც რუსული ენა არ
იცის, მაგრამ ამ ოპერისათვის
მთელი პარტია რუსულად და-
ისწავლა.

ბერმანის

ბერმანის დემოკრატიუ- ლი რესპუბლიკა

რუსული ენის მასწავლე- ლების დაჯილდოება

გერმანია-საბჭოთა კავშირის
მეგობრობის საზოგადოების
პრეზიდენტმა გეორგ ჰადემ
ამას წინათ რუსული ენის მწ
დასახურებულ მასწავლებლებს
საზემო ვითარებაში გადასცა
ოჰან-გოტფრიდ პერდერის ოქ-
როს მედლები. ჯილდოების ვა-
დაცემას ესწრებოდა სახალხო
განათლების მინისტრი ფრიც
ლანგე, რომელმაც მიულოცა
მასწავლებლებს მაღალი ჯილ-
დო და უსურვა წარმატება
მათს ნაყოფიერ შრომაში გერ-
მანია-საბჭოთა კავშირის მე-
გობრობის განმტკიცებისათვის.
ლანგემ აღნიშნა ისიც, რომ მა-
ლე გერმანიაში ჩატარდება

კონფერენცია რუსული ენის
სწავლების გაუმჯობესების სა-
კითხებზე.

ბერმანის ფედერაციული რესპუბლიკა აკულში-ჰვითელი ბელეტრისტი

რომაელმა მარკ აპულიემ
(წარმოშობით აფრიკელმა), ლექ-
ტორმა, პროფესორმა და მწე-
რალმა, თავიხი სათავადასავ-
ლო რომანი — „ჰქროს ვი-
რი“, პაროლია ეპოსისა, დაწერა
II საუკუნეში ჩვენს წელთაღ-
რისცხვით. სათავადასავლო რო-
მანის ეს კლასიკური ნიმუში
დღემდე მსოფლიო საგანურ-
ში შედის. როცა ამ რომანდნიმე
თვის წინათ კელნის გამოც-
ემლობამ გამოსცა აპულიეს
წგენი, დასვეთ გერმანიის
ცენზურამ აკრძალა რომანი, რო-
გორც „ყვითელი ლიტერატუ-
რა“, განგსტერული ნაწარმოე-
ბი. და ეს მოხდა იმ ქვეყანაში,
სადაც ყოველ ნაბიჯზე იყი-
დება ამერიკელი განგსტერების
მართლაც სისხლიანი სათავა-
დასავლო წიგნები, რომელთ-
ბიც ახალგაზრდობას უფთო-
რებს ყოველდ მხეტურ ინს-
ტინტების და ადამიანის სი-
ცოცხლის არად ჩაგდებას.

მევიტე

ჯალილ გუშირადის ცნოვრება

ევიტების კინემატოგრაფია
ემზადება კინოფილმის ვადასა-
ღებად, რომელიც მიეძღვნება
ახალგაზრდა ალჟირელ გმირ
ქალს ჯალილ ბუშირედს. ჯა-
ლილის როლს შეასრულებს
ცნობილი ეკვბატელი კინომსა-
ხიობი მაგდა.

ისპანეთი

რალა დარჩით?

ფრანგული ჟურნალი „ფრანს-
ოხსერვატიორ“ აქვეყნებს საინ-
ტერესო ცნობებს ესპანეთის
ლიტერატურული ცხოვრების
შესახებ. ფაშისტურმა ხელი-
სუფლებამ აკრძალა ისეთი წიგ-
ნები, როგორცაა ფლობერის
„ი-ნი ბოვარი“, სტენდალის

„წითელი და შავი“, ბალზაკის
„დაკარგული ილუზიები“, აგ-
რეთვე დეკარტის, რუსოს, ვოლ-
ტერის, რენანის, ზოლას, ფრან-
სის და სარტრის ნაწარმოე-
ბები.

ინგლისი

ბელკონის ფილმი

ინგლისელმა კინორეჟისორ-
მა მაიკლ ბელკონმა გადაიღო
მხატვრული ფილმი — „დიუნ-
კერკ“, ინგლისის არმიის და-
მარცხების შესახებ 1940 წელს.
ფილმი ასახავს ინგლისის ჯა-
რების პანიკურ გაქცევას საფ-
რანგეთიდან 1939—1940 წლე-
ბის „უცნაური ომის“ ბოლის,
რასაც აუარებდა ადამიანი ემსხ-
ვერბლა. ინგლისის კრიტიკამ
ეს ფილმი აღიარა უკანასკნელი
წლების ერთ-ერთ უძლიერეს
ანტიზოჰმარ ფილმად.

მასწავლებელთა პროტესტი

ინგლისის მასწავლებელთა
ეროვნული კავშირის კონფე-
რენციამ სასტიკად გააკრიტიკა
ინგლისის განათლების სამი-
ნისტრო და მთავრობა სასკო-
ლო მშენებლობის პროგრამის
გამო. კონფერენციის დღეე-
ვატები აღნიშნავდნენ, რომ
დღემდე იყენებენ 1870 წელს
აშენებულ სკოლებს, ოღონდ
იმ განსხვავებით, რომ ახლა შიგ
უნდა დაეტიოს გაცილებით მე-
ტი ბავშვი, ვიდრე წინათ. ბე-
რი სკოლა ჯერ კიდევ ამ 25
წლის წინათ აღიარეს უფარგი-
სად, მაგრამ იქ დღესაც მიმდი-
ნარეობს სწავლა. უმიხოსდაც
მცირე თანხა იყო გამოყოფილი
სკოლების მიმდინარე შეეთე-
ბისათვის, ახლა კი ეს თანხა
ერთი მეოთხედით შეამცირეს.

„სარაკმეტო ციმა-ცხელემა“

ინგლისში დიდი ყურადღება
მიექცია ცნობილი ინგლისელი
მწერლის კომპტონ მაკენზის
ახალმა რომანმა — „სარაკეტო
ციმა-ცხელემა“; რომანში აწე-

საქართველო
საბჭოთაო

რილია, თუ რა ბედი ეწიათ შოტლანდიის გამოგონილი კუნძულის მცხოვრებლებს, რომლებიც აღდგნენ იმის წინააღმდეგ, რომ მათს კუნძულზე, უბრალო მეთევზეთა დაუყოვნებამდე, აავსეს სარაკეტო ბაზები. რომანი ასახავს იმ უდიდეს ბრძოლას ატომური შეიარაღების წინააღმდეგ, რომელიც გაჩაღებულია ამჟამად ინგლისელ მშრომელ მოსახლეობაში.

იტალია

სპორტი იტალიაში

იტალიაში არსებობს 35.000-მდე სასპორტო ორგანიზაცია, რომელიც მილიონობით სპორტის მოყვარულს აერთიანებს; დიდი ტირაჟებით გამოდის სასპორტო ჟურნალ-გაზეთები. ამავე დროს კი აქ სპორტი სავალალო მდგომარეობაშია. ხაზელმწიფო ერთ ლირასაც არ ხარჯავს სპორტის განვითარებისათვის. უფრო მეტიც, მთავრობამ გადაჭრით უარი განაცხადა არა მარტო იმაზე, რომ გამოეყო მსოფლიო ოლიმპიადის მოსამზადებლად საქირო თანხა — ამ ოლიმპიადის გამართვა განზრახული იყო 1960 წელს რომში — არამედ იმაზეც, რომ იტალიის საოლიმპიადო კომიტეტისათვის გადაეცე თუნდაც ნაწილი სპორტულ სანახაობათაგან შემოსული თანხისა, ურომლისოდაც ოლიმპიადისთვის საქირო სპორტული ნაგებობების დროული მომზადება არ მოხერხდება. სასულმწიფოს მხრივ ასეთი დამოკიდებულების შედეგია ის, რომ იტალიაში დაცეა სპორტსმენთა დონე სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

სკარლატის უცნობი ოპერა

ვენეციის სან ფრანჩესკო დელა ვინიას მონასტერში მონასპობად განკუთვნილ დოკუმენტებში აღმოჩნდა დომენიკო სკარლატის დღემდე უცნობი ოპერა, დაწერილი 24 წლის წინათ პოლონელი დედოფლის

მარია კაშიმირას დაკვეთით — დედოფალი განდევნილი იყო პოლონეთიდან და რომში ცხოვრობდა. ოპერა 1712 წელს დაიდგა დედოფლის საკუთარ თეატრში.

მორავიას ნოველები მარანო

ცნობილი იტალიელი კინოსახიობი ანა მინიანი ითამაშებს იტალიურ ფილმში, რომელსაც საფუძვლად დაედება ალბერტო მორავიას ნოველები — „გიოლას დიმილი“ და „ქურდები ეკლესიაში“. ფილმს დგამს ლუიჯი კომენცინი.

პოლონეთი

ახალი ინსტრუმენტი

ვიოლინების ცნობილმა ოსტატმა პავლე პლონკამ, რომლის ვიოლინიც განთქმულია ხმის სიწმინდითა და სილამაზით, დაამზადა ახალი ინსტრუმენტი — „გიტარელა“. ესაა გარდაამავალი ინსტრუმენტი ვიოლინა და ციტრას შორის.

სიკვდილის მერა გამარჯვებული

ვარშავის ებრაულმა თეატრმა დადგა ალტერ კაციჟენის პიესა — „ებრაელის საქმე“, რომელსაც პოლონური გაზეთის „ტირისუნა ლიუდეს“ რეცენზენტი აზრის სიღრმითა და აქტუალობით, აგრეთვე მხატვრულობით ბერთოდ ბრენტის „გალილეის“ ადარებს. პიესა მოგვითხრობს ებრაელი მწერლის დე სილვას შესახებ, რომელიც მე-18 საუკუნეში გმირულად შეებრძოლა ინკვიზიციას აზროვნების თავისუფლებისათვის და გაიმარჯვა კიდეს, თუმცა ინკვიზიტორებმა ის ცეცხლზე დაწვეს. პიესის ავტორი ნაცისტებთან ბრძოლაში დაიღუპა. პოლონური გაზეთი მოითხოვს, რომ ეს პიესა პოლონურად ითარგმნოს და დაიდგას პოლონეთის ერთ-ერთი წამყვანი თეატრის სცენაზე.

უბარსონების სამარხი

პოლონელმა არქეოლოგებმა იგვიპტეში გათხრების დროს

აღმოაჩინეს ფარაონების პირველი დინასტიისდროინდელი 62 სამარხი, სადაც იპოვნეს ძვირფასი სამკაულები და ჭურჭელი. ეს ნივთები დაახლოებით 5000 წლისაა.

საზრანგეთი

პიკასოს ახალი ფრისკა

სახელგანთქმულმა ესპანელმა მხატვარმა პაბლო პიკასომ დაასრულა თავისი უკანასკნელი უზარმაზარი სამუშაო — პარიზში იუნესკოს ახალი რეზიდენციისათვის განკუთვნილი ფრესკა, რომელიც გამოსახავს სიენის გამარჯვებას ბოროტზე, ადამიანის გამარჯვებას ბნელ ძალეზე, მშვიდობის გამეფებას. ზოგიერთმა ხელოვნების მკვლევარმა მოახერხა ვაკუით მივიც ენასა გენიალური მხატვრის ეს ახალი ქმნილება — 80 კვ. მეტრი ფართობის წითელი ხის 40 პანელი; მათ განცხადეს, ესა ჩვენი ეპოქის უდიდესი მხატვარ-სიმბოლისტის მოქმედების მწვერვალი, რომელიც აუწერიელ შთაბეჭდილებას ახდენს.

წინასწარი გაანგარიშებით ფრესკა შევასებულება 4 მილიონარდ ფრანკად, მაგრამ პიკასო საფრანგეთის მთავრობის მხოლოდ მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას თხოვს.

„მართლმადიდებლის“ პრემია

ვიურომ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ლუი არაგონი, ელზა ტრიოდე, ჟოზე სადელუი, სარტრი და სხვ., მიიღეს გადაწყვეტილება ამ რამდენიმე წლის წინათ დაარსებული ლიტერატურული პრემიის — „ერთი სულთნების“ მინიჭების შესახებ. პირველი პრემია ერთსულთნულად მიენიჭა ვოლკურის აკადემიის წევრს, 72 წლის ფრანსის კარკოს, მრავალი რომანის, ლექსებისა და რეპორტაჟების ავტორს. პრემიებმა მიენიჭათ აგრეთვე ახალგაზრდა მწე-



რალს როყე რიუდიგოზს მისი პირველი რომანისათვის, წარმოშობით ესპანელ მწერალს მიშელ დელ კასტილიოს ორი ანტიფაშისტური რომანისათვის, რომლებსაც დიდი წარმატება ხვდათ და, დასასრულ, ანრი ალტვას, ალჟირელ ყურნალისტს მთავრობის მიერ კონფისკაციაქმნილი წიგნისათვის— „კიოხვა“.

„მხოლოდ ერთი რომანი“

პროგრესული წიგნის მეგობრებმა ხელახლა გამოსცეს არაგონის რომანი „ორელიანი“, რომელიც 1949 წლის მერე აღარ გამოხულა. რომანი, რომელიც დაიწერა 1945 წელს, ცნობილი კრიტიკოსის პიერ ლეჟიურის შეფასებით, არის უდიდესი წიგნი სიყვარულის შესახებ, და მას კვლავ და კვლავ დაუბრუნდებთან ისინი, ვისაც შესწევს სიყვარულის უნარი. პიერ ლეჟსმა ამ წიგნის შესახებ თქვა: „იძულებული რომ გამხადონ ავირჩიო მხოლოდ ერთი რომანი, რომელიც წარმოგვიდგენდა უკანასკნელ 40 წელიწადს საფრანგეთში, მე „ორელიანს“ ავირჩევდი“.

კომეტივის ახალგაზრდა თაობა

ყურნალმა „ეროპ“ გამოაქვეყნა ახალგაზრდა ფრანგი პოეტების შეხედულებანი ფრანგული პოეზიის თანამედროვე მდგომარეობაზე. მათი უმრავლესობა — შარლ დოჟინსკი, ფრანსუა კერელი, ჟან პიერ ატალა, ჟან-მარი სურჟანი და სხვ., თავიანთ პროგრამად რეალიზმს აღიარებენ და სიურრეალიზმს და მის მსგავს მიმდინარეობებს უკუიხეიბენ, პოეზია უცხოად აქციეთ სახალხო ფართო მასებისათვის, რადგან ერთთავად ცდილობთ რაღაც განსაკუთრებული იყოთ და „სიტყვის ალქიმიას“ მისდევთ. თანამედროვე პოეტებიდან ახალგაზრდობა ცალკე გამოჰყოფს არაგონსა და ელჟარს, ხოლო უცხოელი პოეტებიდან — რომელთაღმი გულგრილობაც ტრადიციულია ფრანგული პოეზიისათვის — მაიაკოვსკის, ლორკას, ნაზიმ ჰიქმეთს და ბეროლოდ ბრეხტს.

აბსურდამდე მისული აბსტრაქცია

პარიზში ამას წინათ წარმოადგინილი იქნა აბსტრაქტული ხელოვნების „მწვერვალი“ —

მხატვრულ კრიტიკოსებს, რომლებიც მიწვეული იყვნენ აბსტრაქტული მხატვრის ივ კლეინის გამოფენაზე, მონპარნაის საგამოფენო დარბაზში დახვდათ მხოლოდ ახალი შედეგითი შიშველი კედლები.

უნგრეთი

„ფლორენსიელი ჯადოქარი“

უნგრეთმა მწერალმა ენდრ მურანი-კოვიჩმა დაწერა რომანი — „ფლორენციელი ჯადოქარი“, რომელშიც აწერილია ლეონარდო და-ვინჩის სიყმაწვილე და შემოქმედება.

ლისტის ცხოვრება მკარანში

უნგრეთის კინოსტუდია „გუნი“ და დასავლეთ გერმანიის კინოფაბრიკა „რელი“ ამზადებენ ერთობლივ ფილმს, რომელიც სახაზვს დიდი უნგრელი კომპოზიტორის ფერენდ ლისტის ცხოვრების ერთ ეპიზოდს. ფილმის გადაღება მოხდება ბუდაპეშტსა და ჰამბურგში. სცენარის ავტორია უნგრელი მწერალი გაბარ ტურზო, ხოლო რეჟისორი — დასავლეთ-გერმანელი დიულოი ტრებიხი, წარმოშობით უნგრელი.



3360 6 836.

5.7/60

6297/154



ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„**ДИСКАРИ**“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ